

644
1996

საქართველო

11-12

1996

239
საქართველო
ბიბლიოთეკა

ტყეა

ნოემბერ-დეკემბერი № 11-12

საქართველოს მკვლევართა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

შაბარსეაშვილი
1852 წ.
ამოგონიძე
1957 წ.

თბილისი
1996

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოიღვია, ქნარო!

3. უსაღმუნიები - გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

კოეზია და პროზა

7. ირაკლი ბაზაძე - მერეღონი. ლექსი
11. ღავით მაისურაძე - წაღი. რომანი. დასაწყისი
42. გიორგი ხუნაშვილი - ლექსები
47. ღიანა ელიაშვილი - ლექსები
50. ირაკლი კაკაბაძე - როგორ გვიყვარდა ჩვენი პრემიანი. მოთხრობა
68. შავურა არაბული - ლექსები
70. ღავით აკრინა - სჯულის ფიცარი - ლექსი
72. ვევენი აქუბარდია - ზღვის ღრვი. მოთხრობა
76. აკაკი სურგანიძე - ლექსები

ველას რაივე აქვს სასწოვარი

78. მურმან ჯგუზურია - „ვალატიონი არ იყო აქ...“ ლექსები

ახალი თარგმანები

92. გაბრიელ ბარსია მარკსი - გენერალი თავის ლაბირინთში. რომანი. დასასრული. ესპანულიდან თარგმნა თეა გვასალია

წერილები

145. ილია რურუა - „ვარ ამ დღეების ნამდვილი გვანაპრი“
147. მანანა ჩხაიძე - ვეშა-ვეშაპოდიტა საკულტო დანიშნულების შესახებ
151. გივი ღოგაშვილი - ქრისტიანული იდეოლოგია - პოლიტიკურ მოქმედებათა საფუძველი საქართველოში
156. ვეთაჟან ჟუთათელაძე - მაისკოპოსი ანტონ ტოვლიანს კი

კინო

159. ზვიად ღოღიაძე - ბათქიტიციონიკრებაული ლეგენდა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
ბაღათურ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ელზა მებრეველი
(მთ. რედაქტორის მოადგი.)
ლევან მაღალაძე
მიხეილ მოსულიშვილი
ჯემალ ძირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო
ნოდარ გრიგალაშვილი
გივი გეგეჭკორი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
მეზარ კვიციანი
რევაზ მიშველაძე
დავით მხედველი
გივი სულაბაძე
მიხეილ კვციანი
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
ელზა მებრეველი

ფსალმუნები

ფსალმუნი 63

ფსალმუნი ღაჰითისა –
როს იმჟღას უღაბნოში იმყოფებოდა.

2. ღმერთო, შენა ხარ ჩემი ღმერთი, –
დილაცისმარე
მოგიძიებ და
სწყურისხარ ჩემს სულს
და შენდა ილტვის სხეული ჩემი
უკაცრიელ და გამოფიტულ,
უწყლო მიწაზე.
3. ასე გიმზერდი სიწმინდეში,
რათა მეხილა
ძლიერება და
დიდება შენი.
4. რადგან სიცოცხლეს მირჩენია შენი წყალობა, –
ბაკენი ჩემნი
იტყვიან ქებას.
5. შენდა აღვაკლენ დღენიდაგ ლოცვა-კურთხევას,
შენი სახელის სადიდებლად
აღვაპყრობ ზელებს.
6. დამსუყდება და
ცხიმეულით დამამღრისდება
სული ჩემი და
მგალობელი ბაგე-ტუნებით
შენს სადიდებელს აღმოიტყვის გულისთქმა ჩემი.
7. ჩემს სარეცელზე გამახსენდება
და შენზე ვფიქრობ ძილგამკრთალი
გამთენიამდე.
8. რადგან შენ იყავ მეოხი ჩემი, –
შენს ფრთეთა ჩრდილქვეშ სიმღერებით
ავიკებ ტაძარს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ.,
1, 1994 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 1996 წ.

20614

სამართვებლო
პარლამენტის
ეროვნული

9. მსასოვარმა მოვანდე სული,
ფარად მეგულვის
მარჯვენი შენი.
10. სხეები კი
ჩემს სულს ეძიებენ შესამუსრავად,
ჩაჰყვებიან და
ქვესკნელში ჩაულენ.
11. მოისრებიან მახვილის ძალით,
მელათა კერძი შეიქმნებიან.
12. და მაშინ მეფე იხარებს ღმერთით
და ხელმწიფესთან შეფიცულები
დაიმკვიდრებენ საუკუნო ქება-დიდებას
და მეტრუვეთა ბაგეები დაიგმანება.

ზსაღმუშაბი 64

ლოტბარისადმი. ზსაღმუშაბი დავითისა.

2. ისმინე, ღმერთო, ჩემი ლოცვა,
ოდეს მოვიხმობ,
მტრის საფრთხისაგან დაცავი ჩემი სიცოცხლე.
3. გადამარჩინე შეთქმულთა ზაკვას,
ბოროტეულთა დრტვინვას და
ამბოხს,
4. რომელთაც ენა დაილესეს
მახვილის დარად,
ავსიტყვაობით განიმზადეს
მშვილდი თავისი.
5. ჩასაფრდებიან უცოდველის განსაგმირავად,
განუწონიან შხამიან ისარს
და არ აძრწუნებთ განკითხვის შიში.
6. ღონეს იკრებენ სიბოროტის აღსასრულებლად,
დათათბირობენ,
მიგებენ მახეს,
მაინც ვერავინ გაიგებსო, —
ამგვარად ბჭობენ.
7. ჩაიძიებენ უკეთურებას
და ჩაძიებას ჩაძიებით განასრულებენ,
მაგრამ ღრმა არის წიაღი კაცის
და დაფარული—
გულისთქმა მისი.
8. ხოლო უფალი გასტყორცნის ისარს
და მეყსეულად შემუსრავს ყველას.
9. და თვითული ემსხვერპლება საკუთარ ენას
და სინანულით გაიქნევენ მნახველნი
თავეებს.



10. შეძრწუნდებიან ადამის ქენი,
რომ განაცხადონ საქმენი ღმერთის
და მისეული ქმედებანი გაიგულისხმონ.
11. და გაიხარებს წმინდანი უფლით
და მასში ჰპოვებს
სანუკვარ სადგურს
და გულმართალნი ნეტარებას დაიმკვიდრებენ.

უსალმუნი 65

ლოტაარისადმი. უსალმუნი დავითისა. სიმღერა.

2. ღმერთო,
გამშვენებს სიონის ზოტბა,
შენ მოგეზღვება
ჩვენეული აღთქმა ყოველი.
3. შენ აყურადებ ლოცვა-ვედრებას,
შენ მოგლადადებს
თვითეული ძეხორციელი.
4. დაგვაუძღურა ცოდვილმა სიტყვამ,
შენ მოგვიტყევებ შეცოდებებს,
ყოველადმღიერო!
5. ნეტარ არს კაცი,
ვისაც აირჩევ,
შენთან დასვამ და
დაიახლოებ,
რომ შენს ეზოში დაიმკვიდროს ვანი თავისი;
ჩვენ აღვივსებით
შენეული სახლის სიკეთით
და სიწრფოებით
შენეულ ტაძრის.
6. საშიშარს რასმე სიმართლისას
გავვიცნაურებ,
ო, ღმერთო ჩვენი მაცხოვარების,
ქვეყნიერების სასო-იმედო —
ხმელთა და
წყალთა,
შორეულ ზღვათა.
7. მთებს დააფუძნებს თავისი ძალით, —
თვალშეუღვამი ძლიერებით
გარემოსილა.
8. დააშოშმინებს სიფიცხეს ზღვათა,
მათი ტალღების დელვას და
დუდილს
და შეამბოხე ხალხების ხმაურს.

9. ქვეყნიერების კადით-კიდე დამკვიდრებულებს
შეადრწუნებენ
შენეული სასწაულები;
მზის ამოსვლას და
შემოღამებას
შენ განადიდებ სიხარულის საგალობლებით.
10. კვლავ გადმოხედე ქვეყნიერებას,
დაარწყული და
დაათვრე იგი
და გაამდიდრე შენეული დავლა-მრავლობით;
ღვთის სადინარი სავსეა წყლებით,
შენ განამზადე
საზრდელი ჩვენი,
რადგან ყოველი ასერიგად განწესებულა.
11. წყალს მოასხურებ ორნატებს მისას,
ბელტს მოასწორებ,
მთაგრეხილებს მოავაკისებ,
წვიმის წვეთებით დაალობ ნაყოფს
და აღმონაცენს
კურთხევით ამკობ.
12. შენი სიკეთით
წელიწადი დააგვირგვინე,
პოხიერებით დაამსუყე სავალი შენი.
13. დამსუყდებიან უდაბნოთა სავარგულები
და მთაგრეხილებს
სიხარული გარე-შემოსავს.
14. განეფინება იალაღებს არვე ცხოვართა
და საძოვრები
მარცვლეულით დაიფარება,

იმღერებენ და
მხიარულად ილაღადებენ.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



ირაკლი ბაზაძე

პერადელონი*

განთავსებულია

I.

ტანზე მეხვევა ქსოვილივით ცეცხლი ასკეცად,
 მალე სიმშვიდეც აკვილდება — სივრცეს გაატანს
 თავის იდუმალ მშფოთვარებას... მერე გასხლტება
 შექმნილი ერთხელ მარადიულ არაფრისაკან.
 ხანძრის სუნი დგას, თვალში ხანძრის ფერფლი მაცვივა
 (საასპარეზოდ სივრცეს ჩემი დრო არ ეყოფა),
 ვერ შეაჩერა ჩემი ნდომა გზამ და მანძილმა
 და ველარც შიშმა, თუმცა ბევრჯერ გადამელობა
 ხრიოკი სული უღაბნოთა... ცნობისწადილმა
 თავის უტლანქეს და უმძიმეს ჩრდილქვეშ მამყოფა,
 მერე სასტიკი, მერე მკაცრი, მერე ნამდვილი
 მეც მომიხაჯეს დაეწყება და უარყოფა —
 თოვლივით სპეტაკ სიყვარულის ალერსის ნაცვლად...
 (დაღლილი მზერა გავადევნე წლებს გადაფრენილს),
 ყველაზე დიდი ტკივილია არყოფნის განცდა,
 ყველაზე მძაფრი ფერი არის არყოფნის ფერი.
 ესერიან ახლაც ლაფს სიყვარულს სიკეთისათვის,
 ესერიან ახლაც! (ვგვარცმისაა დრო აწინდელი).
 ავხედე ცას და სისხლისფერი ცა ვერ ვიცანი,
 ვერც მზე ვიცანი ჩამავალი ზღვაში წითელი..

არ შეუღის ცოდვილს გულუბრველოდ ცისადმი ლოცვა,
 როგორც ჭადრაკის გაშლილ დაფაზე
 ჩვენ შეცდომებში ვპოულობთ სწორ გზას.

II

მადლობა გამჩენს! ახლა ისევ ცოცხალი რო ვარ.
 ვარსკვლავთა ტევრმა თავის ცხელი ქვიშით დამწინწკლა
 და ჩემი ვნების ჩამოშლილი სხეულზე გროვა
 წინ დამიხვავეს დაპობილი ნაწილ-ნაწილად.

* სინანული ჩადენილი ცოდვების გამო.

დიდი ხანია ძრწოლა დამდევეს გზაზე მეგზურად,
 კედელს აკრული ჩემს მსგავსებას ირეკლავს სარკე,
 როგორც გრილ ტბაში გრძელკისერა გედმა შეცურა,
 ფიქრმა შეცურა — ბნელის გავლით სინათლისაკენ.
 ვერ გავეჭვები... წერამწერალს გზად ჩემი ფიქრი
 თან ახლავს მუდამ, მყუდროება ასტრალს გადაჰყვა,
 თითქო მისროლეს უსამანო სამყაროს იქით,
 სამყაროს მიღმა — ჯერ უხილავ სიზმრის გადღმა —
 არ უწერიათ გადარჩენა სადაც იმედებს,
 აღარც ოცნებას — ბალღივით რო ეზარდე, ვეფერე
 და... მარადიულ სიცოცხლისთვის ვერ გავიმეტე
 სული შობილი უფლის სევდის ცხელი ღვეღვიდან.
 არ უწერია შეცოდება ყველასთვის ნაგვემს,
 ასეა დღესაც, ასე იყო წარსულშიც, რადგან
 უარსაყოფი ვერაფრით დავემე,
 ვერ ვალიარე რაც ციერმა მარგუნა მადღმა.
 არდაბრუნება უწერია ჩაულის და გამქრალს...
 ციხის ერთგული დარაჯივით ფიზიული ჯერეც
 ვათვალყურადებ მერმისს... რაკი მომავლისაგან
 მოველი განსჯას გზებზე დამღლეულ წანწალის მერე.
 არ შევლის ცოდვილს გულუბრყვილოდ ცისადმი ლოცვა,
 როგორც ჭადრაკის გაშლილ დაფაზე
 ჩვენ შეცდომებში ვპოულობთ სწორ გზას.

III

არ ვიცი, ვინ ვარ, სიმღერა ვარ, თუ გოდება ვარ,
 არ ვიცი!.. ერთხელ გლუვ ყინულზე დასხლეტილ ფეხით
 წამომავენა წაქცეული ბედმა-მდევიარმა
 და დამადვენა კლდეთა გასწვრივ ბილიკთა გრეხილს.
 დიდი ხანია, ტკბილი იწყო ღიმილმა გახრწნა,
 თვალეში ჩაწვა ცბიერება მთელემარ მხეცივით,
 თითქო ვიყავი, თითქო ვარ და თითქოსდა არც ვარ.
 წკვარამ დამეთა ნაბრალეში ტანხალეწილი.
 ვინ დამამშვიდოს?.. დაღალული მზერა გალოპრა
 დღეს გულგრილობის მწარე სუსხმა, მრეშმა ავდრებმა
 და მერგო რაიც ზენაარის მაღალ წყალობად —
 ვიხსენებ, მაგრამ აღარაფრით არ მენატრება
 და დაჯისაჯე მწუნარების გვემით რისთვისაც
 (გულს წვიმით სავსე ღრუბელივით დარღს ვაწურავდი)...
 გუშინ რო ჩანდა, ახლა აღარ მოჩანს ნისლიდან
 ამერ-იმერის ბიბლიური მთათა სურათი,
 სადაც ქარების ღმუილია მარადმედინი,
 ზევეთა დიადი სიმღერაა გულარხეინი,
 ქვემოთ კი... ქვემოთ, ნისლეთს ქვემოთ, მუძუმოკვეთილ
 ამორძალივით ჩაწოლილან ქვემოთ ხევები.
 ახლა ამ დამღლეულ მონატრებას ვერსად წაუვალ,

ვერსად წაუვალ ვეღარც ნდომას, აქ რო დაება,
 ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლე გრძნობს გარდაუვალ
 ზიკვდილის ალერსს, გრძნობს დაცემას და... უკვდავებას.

არ შევლის ცოდვილს გულუბრყვილოდ ცისადმი ლოცვა,
 როგორც ჭადრაკის გაშლილ დაფაზე
 ჩვენ შეცდომებში ვპოულობთ სწორ გზას.

IV

ვის გავეუბნო საიდუმლო! ფიქრში აყვირდა,
 ფიქრში აყვირდა სინანული ჩემი — ცდუნების
 საშიში ექო... თვალში სუსხი რო ჩამახვეტა
 და მერე ტკივილს მაზიარა დაუსრულებელს.
 ვიღას ვუამბო (ნისლი მალავს მთვარეს — კლავისინს),
 როგორ დამაგდეს გრივალეების ტერფქვეშ ნაცემი
 ან ყურში დღემდე ლოცვასავით რატომ ჩამესმის
 ხმა — შორი ყრმობის ალტკინების და აღტაცების.
 ან ვის მოვეუბნო, ასე რატომ ვენდე მათრობელ
 სურვილს — ქალს მზაკერულ ღალატისთვის დასჯილს და
 დევნილს,

ახლა ვერაფრით დაღლილ მზერას ვერ გაართობენ
 კოლხეთს მინდვრები და ოკრიბის ტყეების ტყვრი.
 ახლა ვერაფრით აღმანთებენ! ჩემში მინავლულ
 ხანძრებს ვერარა გააღვივებს, როგორც ყვაილებს,
 ვერ აათაღეს ჩემი შიში სარკმლის მინაზე.
 ვერც ველს მომსკდარი შეაჩერეს ჩემი ბლავილი —
 გადაფენილი ცივ არეებს — დაუსრულებლად
 ყრუსა და შიშველს!.. ლაქვარდების ჩატბორილ სკნელში
 მართობს საკუთარ მოცახცახე ჩრდილის ყურება
 ცნობისწადილის უსაშველო წრიალით შეშლილს.
 ვერ მიპოვნია, მტლედ დავადო წამალი ტკივილს
 (ვერ მიპოვნია ვეღარც ჩემი ცდომის სათავე),
 თბილ თიბათეში გათიბულ თივის
 სურნელს, ვით ღამაზ შემოდგომის დარდს დავატარებ.

არ შევლის ცოდვილს გულუბრყვილოდ ცისადმი ლოცვა,
 როგორც ჭადრაკის გაშლილ დაფაზე
 ჩვენ შეცდომებში ვპოულობთ სწორ გზას.

V

აღარ მთავრდება მოლოდინი, აღარ თავდება
 სურვილით თრობა! ახლა ღრუბელს ჩემიც შეათბა
 ამაყი მზერა, ვიდრე თვალსაც დააღამდება
 თოვლის ღიმილთან და წვიმების გაბმულ შრიალთან.
 აღარ მთავრდება მოლოდინი!.. ჭრელი ამორბის
 ვრცელ განედების შიშველ მხრებზე მღუღარე ლავა...
 აქ კი... აქ ახლა სამშობლოში მქისე ჭაობი
 შეყუჟებია დროს გულსაკლავად.

აღარ მთავრდება მოლოდინი, ბედი ნებიერს
როდი ხდის ყველას... როდი აცმევს ყველას ტიარას,
მე კი... მე ერთხელ უცაბედად თუ უნებლიეთ
დრომ უკვდავებით თრობას წამით მეც მაზიარა;
მერე მღვიმეში შემიტყუა, რაშიც აროდეს
არ შეუხედავს ნათელს დღისას თავის მეწამულ
ღიმილით... სადაც გარდასული ჟამნი ზვობენ,
სადაც ყველასთვის აუხდენელ იმედს ძერწავენ.
დანთებულია ირგვლივ თოვლის თეთრი სინათლე,
თოვლი დევს ყველგან: თოვლი მხრებზე, თოვლი სარკმელზე,
და ვერ ვიხსენებ აქ დამაბეს თუ მიეფრინავდი,
ან ფრთენი ჩემი სად გაეშალე, ან სად დაგკეცე.
არ მახსოვს ისიც, მართლა ვიყავ თუ სიზმარიდან
გადმოძანერწვევს ღამეებმა ფაფუკ თრთვილივით
და ვერძნობ, სხეულთან ყრუ სამყარო მადგას გარედან,
შიგნით მღერიან ქარიშხლები გაბმულ ტირილით.
არ გვშველის რადგან გულუბრყვილოდ ცისადმი ლოცვა
როგორც ჭადრაკის გაშლილ დაფაზე
ჩვენ შეცდომებში ვპოულობთ სწორ გზას.



დავით მაისურაძე

წ ა ლ ი *

რომანო

შემოდგომის მწუხრისას
ყვავი მარტოღმარტო ზის
გამხმარ ტოტზე.

ბავშვო ბასიო

თავი I

1.

ლუკასთვის რომ გეკითხა, ბათუმის-
კენ ყველაზე ლამაზსა და სწრაფ თვით-
მფრინავს უნდა ეფრინა. სავარძელში
მოკალათდა. ერთმანეთში გადახლართუ-
ლი უსაფრთხოების ქამრებიდან თავისი
წვეილის ცალი დაძებნა და ტანზე მო-
იხრეო.

ორმაგ ფანჯარაში ბეტონით დასერი-
ლი მინდორი მოჩანდა აქა-იქ მიმოზნეუ-
ლი ყვავილებით, არაფერს რომ არ ეპუე-
ბიან.

გაზეთი გაშალა, ჩვეულებისამებრ,
ქრონიკას გადაავლო თვალი. ვიღაცა
საღღაც იარაღს „აჟღარუნებდა“; ცოტა
ქვევით — გაფიცულთა პიკეტს გვირაბში
შესასვლელი გადაეკეტა; მარჯვნივ —
მინისტრი ჩასულიყო ფილიპინებზე...

გამოჩნდა ბორტგამცილებელი: ბათუ-
მამდე თურმე ოთხასი კილომეტრია,
время в полете — пятьдесят минут,
полет проходит на высоте...

ზომალდი ზანტად მოწყდა მიწას,
უჩინარ აღმართს შეუდგა მოთმინებით;
სახლები უმალ დაპატარავდნენ, მიწა
შეინდისფერი სახურავებით მოიფინა.
აღამიანი აღარსად ჩანდა; გზებზე მხო-

ლოდ მანქანები დალოდავდნენ ჭიანჭვე-
ლებივით.

ცისფრად მოლივილივე, ზღვად მონათ-
ლული წყალსაცავი გამოჩნდა.

ლუკამ გაზეთი დაკეცა, ჩანთაში ჩა-
დო, სავარძლის სახელურზე დილაკი
მოძებნა და მთელი ტანით უკან გადაი-
წია.

...ლიფტი გამორთული იყო. მეოთხე
სართულზე ფეხით მოუწიათ ასვლამ.
სული ამომძვრაო, წაიწუწუნა ანიმ. პა-
ლატის კარის წინ შეყოვნდა, — ვცოდავ
აღბათ, ალალ მაშიდაშვილზე არ უნდა
ვამბობდე ამას.

მაინც რასაო, ჩაეკითხა ლუკა.

— კვირაზე მეტია, რაც აქ დავდივარ,
ლამის ყოველდღე; მივალ და ერთი სუ-
ლი მაქვს ზოლმე, როდის დავაღწევ
თავს აქაურობას.

— ბრიყვია?

— Если бы... Странная она какая-
то...

უცნაურ ქალს სახელიც უცნაური და
იშვიათი ერქვა — ალექსანდრა.

ანიმ ჯერ არ იცოდა, რომ თითქოს
ერთხელ და სამუდამოდ მონადირებულ

*წალი — ობლად ამოსული წვრილი ხე.

კაცი ასე უცერად გამოეცლებოდა ხელიდან.

სანდრა რომ არა, გაიფიქრა ლუკამ, ნეტავ, რა კალაპოტს მონახავდა მაშინდელი ჩვენი ურთიერთობა? ან ცოლად წარმოიდგინა: ნისლიანი, პირქუში დილა, აბაზანიდან გამოსული, ფლოსტებში ფეხწადგმული, თმადაუვარცხნელი ქალი... პატარა, კარაქწასმული პურის ნაჭერი, დუბელა ჩაი...

სიყვარული ლუკას არც მაშინ უხსენებია — ქალის სულის აფორიაქება ძნელი როდი იყო. ჯერ თავად უნდოდა გავეო თუ რა ხდებოდა მის თავს: უყვარდა ეს ქალი თუ... გულიც კი მოსდიოდა: მისი დასაწუნი ანის არაფერი სჭირდა — ჭკვიანი, არც ჭირვეული, არც შეუხედავი... თვალწინ კი ნისლიანი, პირქუში დილა ედგა, დუბელა ჩაი, საქმე, ალბათ, ის იყო, რომ ანი არადროს მონატრებია. იქნებ იმიტომ, ყოველდღე რომ მიწვევდა მისი ნახვად, გაიფიქრა. მერე წინა წლის შემოდგომა გაახსენდა; მივლინება, ანის მაშინ მეორე დღესლა დაურეკა, მოუცვლელია მოიმიზეხა.

ჭკვიანი კაცი, ალბათ, იმთავითვე მიხვდებოდა, ამ საქმიდან რომ ხეირიანი არაფერი გამოვიდოდა.

თუმცა ამაზე ლუკა არც მივლინებიდან დაბრუნების მერე ჩაფიქრებულა, არც იმ დღით, ანის გარეშე, მარტომ რომ ააკითხა სანდრას.

...პარილის მზე საავადმყოფოს ბაღს სწყალობდა. მოწყალეა იყო მისი დანახვა გულის გასიკვებამდე გაწელილი ზამთრის მერე. მარტივ ანჩხლი გამოდგა. მზე პარილის დასაწყისშიდა მოღონიერდა და ავადმყოფები, ვისაც კი სიარულის თავი ჰქონდა, მის გამოჩენას ეშურებოდნენ.

— მერედა, ვინ არის თქვენში მკვლელო, — იკითხა სანდრამ. — იქნებ შენ?!

— მე.

სანდრამ თითქოს არ დაიჯერა, ტუჩებზე ღიმილი შემორჩენოდა:

— აბა, რით?

— საჭრელია, დანასავით, — ლუკამ

ხელით ჰაერი გააპო, — გილიოტინის მაგვარი.

სანდრას გააჭრჭოლა, აიბუზა. ხელში ხის გამზმარ ქერქს აქუცმაცებდა, — გეცოდებიან?

— მაგაზე არ უნდა იფიქრო კაცმა.

ხეივნიდან ვიწრო ბილიკს დაადგნენ. ბალახი უკვე თავისას ცდილობდა.

— ახერხებ? — სანდრამ მუჭი ნელა გაშალა და ქერქის ნაფლეთები ბილიკზე დარჩა.

— С переменным успехом.

სანდრამ თვალი მორიდა, ხელი წალისკენ გაიშვირა, ჩაიბურტყუნა, — რა ხეა?

— არ ვიცი...

შემდეგ შაბათს ლუკამ თავისიანებს ააკითხა სოფელში. უქმეებზე ქალაქს რგი ადრეც შემორჩენია. საყვედური არც ამჯერად უთქვამთ, ის კი არ გამოპარვიათ, მის თავს რაღაც რომ ხდებოდა.

სამყოფი შეშა მამამისს დაჩეხა უკმეზალის დაღმართში საფეხურებად გაწყობილ მორებს აქა-იქ სამაგრები მოლობია, ლამის მომზღვლევაზეა. ორი კვადრიც ჩასაბარი იყო...

პატარა, თემოკრულ კალათში რაღაც ფაჩუნობდა. სანდრამ ხელი წაატანა.

— არ გეშინია? — ლუკა განზე გადგა, კალათი კუნძზე შემოდო.

ქალს ფერი ეცვალა, ხელი ჯიბეში ჩამალა და ჩუმად ჩაილაპარაკა, — თავვია, ალბათ, სამსახურიდან წამოიყვანდი.

— პირიქით!

— პირიქით?!

— კატა.

— იპოვე?!

— ჩვენია, სოფელში ცხოვრობს.

— სოფელში? მერედა...

— გასაცნობად ჩამოვიყვანე.

— ჩემს გასაცნობად?!

ლუკამ თავი დაუქნია.

— მოვეწონები?

— მგონი. გიშრისფერი თვალები უყვარს და უკან გადაწული თმა. „და კანი. — გაიფიქრა ლუკამ. რენუარი გაახსენდა — ასეთი კანი მზეს არ ირეკლავს“.

— მაშინ მადროვე. — სანდრამ თმა

გაისწორა, ლაბადის საყელო ჩამოიწია და სახეზე ღიმილშეყინულმა გამოსცრა: — ახადე.

ლუკამ კალათს თავი მოხადა და შავმა კატამ თეთრლაქებიანი თათები კალათის კიდეზე შემოაწყო. თეთრი ლაქა გულზეც ჰქონდა; ნიკაბიდან ბლანჟეთო დაწყებული სამკუთხედად მიუყვებოდა ფულს და შკერდზე წვეტს იკეთებდა.

— გაიცანით, ფრანცი.

— ფრანცი?

— „ფრანცს“ კაცები ვეძახით ქალებმა ჭინკა არჩიეს. ისე, სრული — „ფრანც-იოსებია“.

— ჰაბსბურგების სამეფო საგვარეულოსთან რაიმე...

— არანაირი. „ფრანც-იოსებს“ კაცებიც იშვიათად ვეძახით — ნამეტანი თუ გავაბრაზა.

— მე არ გამაბრაზებს, — სანდრამ ხელი გადაუსვა კატას. — მეც ჭინკას დაუძახებ, თორემ ფრანც-იოსები...

„ფრანც-იოსების“ გავონებაზე კატამ ფურები ცქვიტა...

ლუკა მაშინდა დაფიქრდა, საავადმყოფოში მისულს ან იქ რომ დაუხვდა. ან აწრიალდა და მალეც წავიდა. სანდრა ფანჯარას მიადგა. ბაღში დააპირა ჩასვლა; ლუკა ვერ დაიყოლია: საღამოობით ჯერ ისევე ციოდა. სანდრაც დილანდელზე უფრო ფერმკრთალი ეჩვენა.

— შეუძლოდ ხარ?

— ცუდად მეძინა.

— შენი ამბავი რომ ვიცე, წამლის დაღვევა დაგავიწყდებოდა, — ლუკამ ცოტა ხანს კიდეც იბუზღუნა, მერე მოლბა, — შეგაღონ?

— არა... ჰო, გაზაფხულმა. უფრო კი მოლოდინმა.

— ?

— რამდენი ხანია ველოდები. ხომ უნდა მოვიდეს.

ლუკაც წამოღვა, ფანჯარასთან მივიდა და მბჟუტავი ლამპიონით განათებულ ხეივანს მიაჩერდა. გაზაფხულის მისვლისა ბაღს მაინცდამაინც ჯერ

არაფერი დასტეობოდა, მაგრამ ლუკამ მაინც თქვა: — მოსულია და ეგ არის.

— კალენდრით.

— ისეც მოვა.

— მოვა. ოღონდ არ მინდა გამოძევა-როს.

— დარაჯობ?!

— ღამეც კი, — სანდრას დაღლილი ღიმილიც შევენოდა. — ხომ შეიძლება ბუნებამ ღამით გამოიღვიძოს!

— შეიძლება, შეიძლება. მაშინ დღისით მაინც უნდა წაატყუო თვალი.

— დღისით კიდეც შენ გელოდები...

ანი უჭკუო ქალი როდი იყო და ყველაფერს მალევე მიხვდა. იწყინა. იცოდა, რომ არავისი ბრალი იყო, მოხდა ასე... მაინც იწყინა.

ყოველივე რომ უწინდელ კალაპოტში ჩამდგარიყო, ანი, ალბათ, „მორიგ ახირებად“ მიიჩნევდა ლუკას იმჟამინდელ საქციელს, არაფერს შეიმჩნევდა, იქნებ აღექსანდრასთვისაც შეენდო...

...კარებში ლაბორანტმა შემოყო თავი: — ლუკა, თქვენ გკითხულობენ.

— ახლავე, — თქვა ლუკამ. გაუკვირდა, ვინ უნდა იყოსო. იშვიათად მასთან არჩილი შემოივლიდა ხოლმე, მაგრამ არჩილს შუამავალი არაფერში დასჭირდებოდა. ანდა რომელი თანამდებობის პირი ლუკა იყო, წინასწარი შეთანხმების გარეშე მასთან ვერავინ შესულიყო.

დერეფანში გასვლა დააპირა, კალამი გვერდზე გადადო და, მაგიდის მიღმა ქალის ლაბადის თეთრ ღილებს რომ მოჰკრა თვალი, ეცნაურა თითქოს, შეკრთა... თავი ასწია, მერე წამოხტა: — როგორ მომაგენი?!

— Ведьма я.

ლუკას გაეცინა, — а помело?

სანდრას არაფერი უთქვამს; იქაურობას თვალი მიაგლო.

კედლებზე პატარ-პატარა, სადა ჩარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა. ხმელი, სახეჩამომდნარი მამაკაცი; მის გვერდით — გრძელდაფიანი პენსნეს მიღმა — ჭკვიანი, ნაღვლიანი თვალები.

ლუკას მაგიდას პირმცინარი, შუახნის

კაცი დაჰყურებს. კაცი სიმიდის ვე-
ბერთელა ტაროს ატრიალებს ხელში.
ფოტო, ალბათ, ჟურნალიდან არის ამო-
ჭრილი, მარცხენა კიდე მთელ სიმა-
ღლეზე მინაბეჭდი მიჰყვება წვრილად.

სანდრამ თვალები მოჭურტა — FOTO
Хенка Уокера, журнал «Лайф». Авт.
права из-ва «Тайм».

— გენტიკოსია?

ლუკა კედელს დააცქერდა გაკვირვე-
ბული, ქალს გაუღიმა, — სიმართლეს
ბრძანებ, — ეს პოლიტიკური გენტიკაა.
მყუდრო ოთახი გქონიაო, თქვა სანდ-
რამ.

— არა უშავს. უწინ სამნი ვიყავით.
ვაჟამ — თქვენბური კაცია, ბათუმელი —
თავს უშველა, საქმე ნახა; ჰოდა, აქაუ-
რობას მე და ირაკლილა შემოვრჩით.

— დამსვი, — თხოვა სანდრამ.

ლუკას ბრაზი მოერია, ამხელა კაცი
რამ გამომაშტერაო. სკამი გამოუდგა,
თავის მაგიდასთან დასვა ქალი. გაუღი-
მა, — არ მეგონა, თუ ფრენაც დამღლეი
იქნებოდა. არა, შენ გახარებას, ცოცხი
რა უყავი?

— დარაჯმა შემოსასვლელში დამა-
ტოვებინა.

შენც ვერაფერი ბედის ქალი ყოფილ-
ხარო, თქვა ლუკამ. — რაღა მაინცდამა-
ინც იმ უჟმურს გადააწყდი. კარგი კა-
რისკაცის ნახვა თუ გასურდა, გუშინ უნ-
და მოსულიყავი. — გუშინდელი დღე
გახსენდა, — სოფელში ვიყავი ასული.
გზაში ავტობუსი გაფუჭდა და კვიანდა
ჩამოვედი. შენი პალატის ფანჯარაში
შუქი არ ჩანდა და უკან გაებრუნდი.

სანდრამ ისევ კედელს ახედა, — ეს
გამკვლავებელი ვინდაა?

— სელიე.

— აი, თურმე როგორი ყოფილა...

А кто-же все-таки с початком?

— აკი ვითხარი: გენტიკოსია-მეთქი.

— არა, მართლა...

— ახალგაზრდა ხარ, ვერ შეეცნებო-
დი.

სანდრა ცოტა ხნით გაყუნდა.

— ...მგონი მივხვდი... უცნაური ხარ.

ლუკამ თვალი სანდრას მოგრძო, ლა-
მაზად ნაზნექ თითებს ააყოლა. კაცის

მზერამ ქალს მაღალი მკერდი შეუკროთ
და გადახსნილი საყელოდან ამომალე-
ბული ყელი დაუფოთლა.

— ვინც თავს უცნაურად არ მიიჩ-
ნევს, — უთხრა ლუკამ, — პირველად მან
დამიტეოს ქვაი მე ზედა.

ქალს ნაღვლიანად გაეღიმა, — ჩაეკო-
ლავენ...

ვერც მაგით გამაკვირვებო, გაიფიქრა
ლუკამ.

და, თუ სიკვდილი არანაირად არ ასც-
დებოდა, თუ ვერასგზით გადაავადებდა
მას, აზასთან, თუ სიკვდილი მაინცდა-
მაინც ასეთი შემზარავი ეწერა, ერჩივ-
ნა, პირველივე გამოსროლილი ქვა სუ-
ლაც საფეთქელში მოხვედროდა და
უმაღ დეღლია სული.

ერთი რომ, ტანჯვას აიცილებდა თა-
ვიდან; მთავარი კი მაინც სხვა იყო: სე-
ნისის საცქერად და ჩაქოლვის იშტაზე
მოსულ ბრბოს პირში ჩაღას გამოაყ-
ლებდა, ხახამშრალსა და გაწბილებულს
დატოვებდა.

ბოღმა ვარო, გაიფიქრა. მერე ბრბოში
დღევანდელ კარისკაცს მოჰკრა თვალი;
მუშტისოღენა, მრგვალი ქვა მოემარ-
ჯებინა და მოუთმენლად ელოდა, ვიდ-
რე ვინმე, ვინმე სხვა გაბედავდა და სა-
მიზნესაგით გაშეშებულ ცოცხალ კაცს
დაუნდობლად გაუქანებდა ქვას თავში.

მერე კი, იცოცხლე... თუმცა ვერც
მეორე და ვერც სხვა დანარჩენი, სეტყ-
ყვასაგით წამოსული ქვა მიწაზე უსუ-
ლოდ გართხმულ ლუკას უკვე ვერას და-
აკლებდა.

ურწმუნოსა და ურჯულოს, მას ამ
წუთას ძალზე სურდა, სულის არსებობა
სათუო აღარ ყოფილიყო. სურდა, ხორცს
გაყრილი მისი სული ზეცაში აჭრილი-
ყო და იქიდან შეველო თვალი გაწბილე-
ბული ბრბოსათვის.

დავწერილმანდიო, გაიფიქრა და
ბრბოსთან უაზრო ჭიდილს თავი ანება.

— ხვალაც მოდი, ჩვენ ავგაროზ კა-
რისკაცს გაგაცნობ.

— ვერ მოვალ, — თქვა სანდრამ. —
ამაღამ ბათუმში ვბრუნდები.

ლუკა დაიბნა, — მაგიჟებ?!
ლუკა დაიბნა, — მაგიჟებ?!

— კარგადა ვარ უკვე... სადგურიდან მოვდივარ, ბილეთი ვიყიდე.

— გვონია დავიჯერებ?! А вещи?!

— В камеру хранения сдала.

ლუკამ, როგორც იქნა, დავჯერა.

— მოდი, წავიდეთ სადმე...

მატარებლით ლუკა ათიოდე წლის წინათ ყოფილა მცხეთაში. სვეტიცხოვლის გზას ხიდიდან გაიგნებდა. ხიდამდე იქით მიმავალ, მხარზე ჩანთაჩამოდებულ კაცს აედევნენ. კაცი ხიდთან დარჩა, ავტობუსის მოლოდინში. სანდრა და ლუკა ხიდის მოაჯირს გაუყვნენ.

მტკვარს ზედ ხიდქვეშ კი არა, კარგა მარჯვნივ ხიდის ჩრდილი განიერ ზოლად ერთბაშად ამუქებდა. მთლიანი ზოლის თავს — მეჩხერი ზოლები, კიდევ მათ თავზე — ორი პატარა მუქი ლაქა...

ხილებზე დგომა ორივეს ყვარებია. მეორე ხიდამდე არ მისულან, სანდრამ პომპუსის ხიდს დაუწყო ძებნა. უკვე გასცდნენ.

ცოტა ხნით მშრალ ხიდზეც შეჩერდნენ. ვიწრო, ღრმა ხევში, ქვედა ბოლოთი მტკვარს მიმდგარი ალვის ჭალა შიშველი იდგა. მარტო მარჯვენა ფერდობს შეფენილი რამდენიმე ფიჭვი იცვლიდა მწვანეს.

ხევი ამ დროს თუა ხოლმე მშრალი, თორემ ყვითელ, თითქმის ჩამპალ ფოთლებში ჩაკარგული, შარშანდელი წყლით გახრამული რუ მოგვიანებით, ალბათ, წყალს დაატარებს...

გზების გასაყრიდან მწვანეფერდაკრული გუმბათის ყელი გამოჩნდა.

ყოველ ამოსვლაზე ლუკა გარედან შემოუვლიდა ტაძარს. შესასვლელშივე, ხელმარჯვნივ — ორსართულიანი ხის შენობა — საპატრიარქო; გალავანში ჩაშენებული დიდი, რკინით მოჭედული კარი; მუხუემი; გალავანზე ასასვლელი კიბე, სამრეკლო და ბოლოს — სტოვა...

ეზოში შავი, დაგვაღული ძაღლი აედევნათ. ძაღლი ტაძრის კედელს მიუყვებოდა ფრთხილად.

ლუკა შეჩერდა; ძაღლიც შედგა, აქეთ-იქით გაიხედა, ისევ ლუკას ააპარა თვა-

ლი. ახლოს მისვლას ჯერ ვერ ბედავდა, უნდოდა კია.

— მოდი, მურა, მოდი, — ხელი დაუქნია ლუკამ.

— იცნობ?

— შავ ძაღლს, აბა, სხვა რა უნდა ერქვას! ბიძაშვილის ძაღლს, სოფელში, ასე ერქვა... მოუკვდათ. სხვა გაიჩინეს, ემასაც მურა დაარქვეს. ახლა სამი ჰყავთ: ეზოში და თითოც ბაღის თავსა და ბოლოში. არ იკითხავ, რა ჰქვიათ?

— სამივეს მურა.

— მითქვამს?

— არა.

ამასობაში ძაღლი უკვე ლუკასთან მისულიყო, ფეხებთან გაუჩერდა, თავი ასწია და წირპლიანი თვალებით მიაჩერდა სახეში. მერე, ალბათ დაატყო, რისი მომცემიც იყო ლუკა, დაღონებულმა თავი ჩაქინდრა და მიწაზე გაწვა.

— ქალი ყოფილხარ, ჩემო მურა, თანაც რა ქალი! — მოეფერა ლუკა, — ძარბდალს კარგი გამოძლომა დაგხატავდა! რომ არაფერი გვაქვს წამოდებული...

— შენ რა, აქამდე ვერ შეამჩნიე, ქალი რომ იყო, „თანაც რა ქალი?!“

ლუკამ მხრები აიჩინა.

ძაღლს გააზმორა, მიქნარება მოერიაც; თვალები მოხუჭა და კარგა ხანს აღარ ინება გახელა.

გულთმისანი ყოფილხარო, თქვა ლუკამ, — გვითხარი ბარემ: რატომ აღარ ახელს თვალს, хорошо ей или плохо?

— მოფერება თუ უნდა.

— რაზე შეატყე.

— მე კი შევატყე... ლაპარაკი რომ იცოდეს, თვითონაც გეტყოდა.

— ლაპარაკი კიდევ თქვენ იცით.

— განა არ მითქვამს?

ლუკა შეიმუშნა, წამოდგა, გალავანს მიშენებულ ორსართულიან აგურის სახლს მიაშურა.

სანდრა ცოტა ხანს კიდევ იყო ძაღლთან ჩაცუცქული. წასვლისას შესჩივლა. — ამათ გინდ უთხარი...

მუხუემი აღრე მხარეთმცოდნეობითი იყო, ახლა ისტორიულია. რამდენიმე პატარა ოთახი. სინათლე ხისჩარჩოიან

სტენდებში ჩაუმაღავთ და მინას ამოფარებულ ექსპონატებს დაჟყურებს; იქიდან არეკლილი პატარა ოთახებში იბნევა. თითო კედელზე ორ-ორი განათებული ჩარჩო.

„ადრე და შუა ბრინჯაოს ხანა. ძვ. წ. III ათასწლეული. წეროვანი. მუხათგვერდი“.

შეკოწიწებული ფილები, დოქები. ისრის ბუნიკი. ისრები, ღუზის მსგავსი ცული. ქალის სამკაული, ირმები.

„გვიანი ბრინჯაო, ადრეული რკინა“. დოქები, ბრინჯაოს წერილი რგოლები. სამაჯური თუა. — გაიფიქრა ლუკამ; აი, ამ სიმსხოს კი მაჯით ვერც ერთი ქალი ვერ ატარებდაო.

„აბა, მე ვყოფილვარ! ეს ხომ სეკვლებია! ეტყობა, ის წერილიც, ოღონდ ახლანდელი ზურდის მაგიერი...“

ლამის კაცის მტკავლის სივანე ბრინჯაოს ბრტყელი ქამარი.

სანდრა ჯერაც პირველ სტენდთან იდგა, შუბს შეჟყურებდა.

— რა ძალა გინდა კაცს, ამ ბლაგვი პირით რომ ნადირთან რამეს გახდე.

— ბლაგვი განა მაშინაც იყო! ჯა ბლაგვი რომც ყოფილიყო, — ლუკა გაიფხორა, — კაცებს ყველაფერი შეგვიძლია! — ხმაურით ჩაისუნთქა, სუნთქვა-შეკრულმა კუნთები დაბერა. სახე აუჭარხლდა.

— მჯერა, მჯერა! თუ ღმერთი გწამს, ამოისუნთქე, — სანდრამ მხრებში ჩასჭიდა ხელი და შეატორტმანა, როგორც ჩაბჭირებული ბავშვი, სულის მოსათქმელად.

ასე ახლოს არასდროს მდგარან. ლუკა ქალის თმის სურნელმა დაათრო. დაგუბებული ჰაერი დათმო. სუნთქვარეული ქალს ვეღარ გაეცალა; ხელი თმაზე გადაუსვა. რაიმე, თუგინდ სისულელე, მაგრამ აუცილებლად უნდა ეთქვა. — ამ ქამარს... გაიკეთებდი?

სანდრამ ჯერ თავი გააქნია, მერე გადაიფიქრა, რალაცის თქმაც დააპირა, ლუკამ აღარ დააცადა... რა ტკბილი ყოფილა... ბროწეულისფერ ტუჩებს ბროწეულისავე კემო დაჰკრავდა თითქოს.

ცული ცულობისას, ვიდრე მას ექსპონატად აქცევდნენ, უთუოდ ასეთსაც შეესწრებოდა; სვეტიცხოვლის ჩრდილოეთის კედელიც; სამთავროს გაღავნის ყორეში, ლამის შუიდან ამოსული ხეც...

მცხეთიდან ავტობუსით დაბრუნდნენ; უკვე ბნელოდა. ბათუმის მატარებლის გასვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი.

— მოგნატრა სახლი? — თქვა ლუკამ.

— არა... შენი მენატრება.

— რაა?

— შენი მენატრება-მეთქი.

— რაც არ გინახავს, რამ მოგანატრა?!

— ნუ მახვეწნიებ...!

ეს რა თქვაო, გაიფიქრა ლუკამ. „მახვეწნიებო...“ ლუკას ნება რომ ყოფილიყო აღარც გაუშვებდა ქალს ბათუმში... არადა, ბევრი რამ უშლიდა ხელს. მაგრამ ქალს აღარაფერი უთხრა და ჩაბნელებულ ქუჩას ჩუმად გაუყვინდა.

...პირველი ლამის მორევს ენება აკლდა. მაშინ ვერა, უკვე ბათუმში, მაისის მიწურულს მიხვდნენ...

ორმაგ ფანჯარაში ზღვა გამოჩნდა.

2

ლუკამ ზარის ღილაკს მიაჭირა ხელი; კარს იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბებიამისთან თუ გადავიდაო, გაიფიქრა. ალაღბედზე ერთხელ კიდეც ჩამოაწკარუნა და უკვე წასვლა დააპირა, ბინიდან ნაბიჯების ხმა რომ შემოესმა. უმაღ გვერდზე გადავა, კართან აიტუზა ანცი ბავშვივით, ზურგით აეკრა კედელს და გატვრინდა. საეკეტმა დაინახა კუნა და კარი გაიღო თუ არა, ლუკამ სანდრასთვის წინდაწინ მომზადებული წინადადება წაიფიქრულა: «Денман был фанатик, но он не был сумасшедшим!».

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ალბათ, სართული შემეშალაო, გაიფიქრა ლუკამ; თვალი კარისკენ გააპარა, მაგრამ ყოველივე თავის რიგზე იყო პატიოსნად: კარი — სპილოსძეღისფერი, სახელური — შავი, წირთხლზე მიმაგრებული ზარის ღილაკს ბზარი გასდევ-

და; ბზარში ჭუჭყი ბუდობდა და შავი, კლაკნილი ხაზი ნარინჯისფერ ღილაკს ორად ჰყოფდა.

კარს იქიდან ახალგაზრდა ქალის პატარა; ჭორფლიანი სახე გამოჩნდა. ქალი შეშინებული ჩანდა, მაგრამ არანაკლებ შეშინებული და შეფიქრიანებული ლუკა რომ დაინახა, გონს მოეგო, მობრძანდითო.

ლუკამ ჩანთა დერეფანში დაღო. ქალს ოთახში შეჰყვა, სკამზე ჩამოჯდა.

უცხო ადამიანისგან მასპინძლობა ცუდად ენიშნა — ჩვენს თავს უბედურება ხომ არაფერიაო, გაიფიქრა და... სანდრას ისევ სავადმყოფოში ამოაყოფინა თავი.

ეს არ იკმარა, ბებიამისი გამოასალმა სიცოცხლეს, მიწას მიაბარა.

გონება აემღვრა; სადავემისებელი, გაუკუღმართებული წარმოსახვა ამასაც აღარ დასჯერდა: მიწამ პირი დააღო, ყოველი ცოცხალი არსება შიგ ჩაიტანა; საფლავებიდან მკვდრები წამოიშალნენ ოხვრითა და ეიშით...

— ალექსანდრა არ გახლავთ, — თქვა ქალმა. — მივლინებაშია.

— მივლინებაში?! — ლუკამ შეება ივრძნო, მადლობა ღმერთს, ამჯერად გადაჯერო; მერე მაინც გულზე შემოეყარა, რაღა მაინცდამაინც ახლაო.

— ალექსანდრას ახლობელი გახლავართ, — თქვა ქალმა.

ლუკას გაუკვირდა, — ნათესავი ბრძანდებით?

— არა. ერთ პალატაში ვიწეკით. მე აღრე გამომწერეს.

ინვალიდები შემომჩაჩქეს, — გაიფიქრა ლუკამ. ნეტავი ამას რაღა სჭირდაო.

— ძლივს, — თქვა ქალმა, — როგორც იქნა, ერთი კვირით გამოვალწი, ორშაბათს უკვე შინ უნდა ვიყო და ჩემს იღბალზე ალექსანდრას სწორედ ახლა მოუწია მოსკოვში წასვლამ.

— მოსკოვში?

— დიახ. კვირა საღამოს ჩამოვა, — ქალი ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე

მორცხვად გაუღიმა, — ლუკა ბრძანდებით, არა?

— დიახ, — თქვა ლუკამ, თქვა ისე, თითქოს ამ ქალსაც უსიკვდილოდ უნდა სცოდნოდა ლუკას ვინაობა. განდიდების მანია მჭირსო, გაიფიქრა და გაკვირვებული მიაჩერდა ქალს. — მიცნობთ?

— ფოტოსურათზე გნახეთ.

შეუძლებელიაო, მხრები აჩქნა ლუკამ. — მე არ მიმიცია და საიდან უნდა ჰქონოდა?

— შეუძლებელი, როგორც ხედავთ, არაფერია. სიმართლე გიხსრათ, შემთხვევით მოვკარი თვალი, პასპორტში ელო. იქნებ არ უნდა მეკითხა თქვენი ვინაობა, მაგრამ... სულმა წამძლია და მაინც ვიკითხე.

ნეტავი რა პასუხი გაცნაო, გაიფიქრა ლუკამ; შეკრთა: „მართლაც და, ვინ ვარ მე?! მეც რომ ჩამაცივდეს, რა პასუხი გავცე ამ ცნობისმოყვარე ქალს? ქმარი რომ არ ვარ — ეცოდინება. მაშ — მიჯნური!“ თავში გაუელვა, ვაითუ, სანდრამ სულაც ნათესავად გამასალაო! თუმცა, მისი ამბავი რომ ვიცო, მიახლიდა — საყვარელია! კი გაუკვირდებოდა სტუმარს, განა ასეთი რა გაუჭირდა ალექსანდრას, საყვარელი უცხო ქალაქში რომ არ გაეჩინაო.

ამასობაში ქალი წამოღდა, — ჩაის დავაღვამ, ნამგზავრი ბრძანდებით, მოგმივდებოდათ, — მერე ტურზე იკბინა, — მამატიეთ, ისე გეპყრობით, თითქოს სტუმარი იყოთ.

— ნუ შესწუხდებით, მე ახლავე წავალ.

— ასე გვიან სად უნდა წახვიდეთ! გაგიჭირდებათ სასტუმროს შოვნა.

— მეგობართან წავალ. ამაღამ იქ დავრჩები. მერე გამოჩნდება.

— როგორ გაწუხებთ.

— რას ბრძანებთ, სულაც არა. ის კაცი მაინც მყავდა სანახავი და ჩემი მისვლაც ძალიან გაუხარდება. — ლუკა წამოღდა. — რით შემოძლია გემსახუროთ? — თქვა და თავისივე ნათქვამის შეეშინდა: ქალს ემანდ ტანტალი არ უყვარდესო, არ დამყაბულდეს. თეატრში

არ მომიწოდოს წყევანა, კინოში, ბოტანიკურ ბაღში...

— გმადლობთ, არ შეგაწუხებთ. ჩემს თავს თავად მოუვული. — ქალი შეიშმუშნა, — მაპატიეთ, თქვენ წელან გიჟი ახსენეთ...

— ვინ?.. ჰო, დენმანი... აბა, რა გითხრათ, ფანატიკოსი იყო, ჯომოლუნგმანზე დააპირა ასვლა.

მერედა, რატომ არისო გიჟი, გაუკვირდა ქალს, — ჯომოლუნგმანს ბოლო ხანებში ძალზე გაუშინაურდნენ. ლამისაა მეც ავბობლდე!

— ეს ახლა. მაშინ კი იგი ჯერაც დაუპყრობელი იყო. ამასთან, დენმანი მართლ აპირებდა მწვერვალის დალაშქვრას.

— სულ მართო?!

— ლამის. ორი კაცი ახლდა, თენსინგი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს... ვერა, მაპატიეთ, ვერ გავიხსენე... ყველაზე უცნაური კი ამ ამბავში ის გახლავთ, რომ დენმანს არამცოთუ დალაშქვრის ოფიციალური უფლება არ გააჩნდა, არამედ პირობაც კი ჰქონია დადებული, რომ ტიბეტის საზღვრებს არასდროს მიუახლოვდებოდა! მაგრამ მასაც სულმა წაასძლია და... — ლუკა გასასვლელისკენ გაემართა, — აბა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ. ალექსანდრა კვირა საღამოს ჩამოვა — ქალს, ალბათ, ძალზე მოღუშული ეჩვენა ლუკა, გაუღიმა, — აუცილებლად ჩამოვა. დღეს პარასკევია, უკვე დაღამდა კიდეც, ასე რომ დღევანდელ დღეს ნულარ ჩააგდებთ სათვალავში; შაბათიღა დარჩა და ცოტაოდენი კვირისა.

— მაშ, ბრძანებთ, „ცოტაოდენიო?“ — ლუკამ ხელი გაუწოდა ქალს, — გმადლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნახვამდის.

3

ვაჟა შინ დაუხვდა, ძალიანაც გაიხიარა. იცოდა, რატომაც მოუხშირა ლუკამ ამ ბოლო დროს ბათუმში სიარულს, მაგრამ ყოველთვის ისე უხაროდა, თი-

თქოს ლუკა მის სანახავად ჩამოსულიყოს.

ჩანთა ჩამოართვა, კარადაში მიუჩინა ადგილი; მერე ლუკა ოთახში შეიყვანა, საკარძელში ჩასვა და ბრძანა, — მი-თხარი ახლა, ახალი ხომ არაფერია შენკენ?!

ლუკამ მხრები აიჩეჩა, რა უნდა იყოსო. სიწუმე ეხამუშა, — შენი ყაჩაღანები სად, ბრძანდებიან?!

— ქალი ატყდა, ვინდა თუ არა, დასასვენებლად უნდა წაიყვანო.

— განა არა, გამიკვირდა, აქამდე რომ არ გამომიცვიდნენ. თქვენი გამკვირვება: ქვეყანა აქეთ მოიწვევს, თქვენ კი... ისევ ბორჯომში?

— ბორჯომში. დღეისწორს მანქანას გაუუგზავნი, ჩამოვიდნენ. საოცარია: აქ არიან — გული მაქვს გაწვრილებული, წავლენ და...

— დიდი ხანია, რაც წასულები არიან?

— სამი კვირა გახდება ხვალ.

ვაჟა დაფაცურდა, — რაც მართო ვარ, სახლში ჭამა თითქმის არ მიწვევს, ასე რომ ნუ დამძრახავ, — მაცივარი გამოა-ლო, ცარიელი თაროები შეათვალიერა და ამოიხირა, — „საოჯახო წიგნია“ ჩემი კატეხიზმი: „თუ უცაბედად გესტუმრათ ვინმე, გამოაღეთ მაცივარი, გამო-იღეთ ცივად მოხარშული ქათამი...“

ორივეს სიცილი წასკდა.

პატარა სუფრა მაინც გაიშალა. ცოტაოდენი დალიეს, ჭერი დალოცეს, ერთმანეთი ადღევრძელეს, მერე მშობ-ლები, შვილები; მერე დედამამიშვილები, ნათესაობა, მეგობრები...

დადლილობამ თავისი გაიტანა. როგორც იქნა, დაშოშინდნენ და მაგიდას დაუწყვეს მილაგება.

— დილით მე და ბადრი ხაშზე ვაპირებდით წასვლას.

— «Коломбо-белые getры?!».

— კოლომბო. აღარც კი მახსოვს, რატომ შეარქვი „კოლომბო“.

ლუკამ არაფერი თქვა. — გამოძინება მიჯობს.

— თუ ვინდა, გვიან წავიდეთ, ჩვენს ხელთ არაა!

ხაში ლუკას ბარემაც უყვარდა, არც

ადრე ადგომას დაიზარებდა, „კოლომ-ბო“ რომ არა; თავი გააქნია, — მერე ზღვაზე დამეზარება ჩასვლა.

ვაჟამ ლოვინი ღია ფანჯარასთან და-უგო ლუკას. დაწვენენ.

ვაჟამ ცოტა იწრიალა საწოლში, დაე-ღლილვარო, თქვა, დამთქნარა, მერე ვი-თმდა სასხვათაშორისოდ იკითხა, — სამსახურში რა ამბებია?

ლუკა გაოცდა: რამდენიმე წლის წი-ნით ვაჟას შელაპარაკება მოუხდა უფ-როსთან, კარი გაიჯახუნა და ბათუმში დაბრუნდა; მას მერე არასდროს ჩამოუ-გდია საუბარი ძველ სამსახურზე.

რა უნდა იყოსო, თქვა ლუკამ.

— ახალი ხომ არაფერია?!

— არა. ვაწვალებთ ვირთხებს და ვართ ჩვენთვის. მასალა, ჩემგან არ გესწავ-ლებს, ხან გვაქვს და ხან არა. აპარატუ-რა იგივე, ადამის დროინდელი, შენს მერე მართო პოლაროგრაფი შევიძინეთ, და ისიც დიდი ვერაფერი შეილია.

— შეგი როგორ მყავს. მაგას ვენაც-ვალე, არ უჩანს მორჯულების პირი?!

— კუზიანს სამარე გაასწორებს, — თქვა ლუკამ.

— უწინდელივით ჯიჯღინებს?

— ცოტა მოუკლო, დაბერდა და თავს უფრთხილდება.

— მივლინებებში ტანტალს მოიშლი-და...

— სადღა შეუძლია მაგდენი, ჩვენ და-ეწაწალებთ. თან გვამადლის, თითქოს სასეირნოდ დაედიოდეთ.

— ისევ მოსკოვში?

— მეტწილად. თუმცა ამას წინათ ტაშკენტში გახლდით მე და ირაკლი, კონფერენციაზე ვბრძანდებოდით.

— არ მითხრა, ირაკლისაც მოხსენება ჰქონდა!

— არა, შეფის მოხსენება წაიკითხა. ისე, უჭკუო ბიჭი არ არის.

ვაჟას ჩაეცინა. — ტაშკენტში მეც ვარ ნამყოფი. რა ნახე, რა მოგეწონა?

— რაც შენ ნახე, მეც იმას ვნახავდი. ბაზარი, ზერაფშანი, ოპერის თეატრი.

— ასე ადრინადად გახსნეს სეზონი?

— არა, გახსნის სამზადისში იყვნენ;

დარბაზი ჯერაც მოსაწესრიგებელი ჰქონდათ და ფოიეში გალა კონცერტი გამართეს.

ვაჟამ ტუჩები აიბზუა, ფოიეში გამარ-თული კონცერტი რა უნდა იყოსო.

— მაგას ნუ იტყვი. თეატრს შეიდი ფოიე აქვს, ერთიმეორეზე უკეთესი!

— ნამყოფი ვარ და ვიცი: კედლებზე სარკეა, სარკეზე კი თაბაშირითაა ორნა-მენტი გამოყვანილი, განიი ჰქვია.

— კარგად შეგისწავლია იქაურობა! მაგრამ ვერ შეამჩნევდი: მთავარ ფოიეს პატარა ნიშა აქვს. იმ ნიშაში ორკესტრა იჯდა. ფოიეს შუაგული მოცარეულე-ბული იყო საბალეტო ნომრებისთვის. მის გარშემო კი დიდრონი სავარძლება იდგა ორმწკრივად.

ვაჟა ისევ ამრეზილი შესცქეროდა ლუკას.

— სავარძლები დაუნომრავი იყო და, თუმცა არ ვიმჩნევდით, მაგრამ, იცოცხ-ლე, დასწრებაზე ვიყავით ყველა.

რატომო, გაუკვირდა ვაჟას.

— რატომ და, პირველ რიგში მჯდომს ის მაინც მოგეჩვენება კაცს, თითქოს ყოველივე, რაც იქ მოხდება — შენთვის მოხდება მხოლოდ! ჰოდა. რა გინდა მე-ტი! მთელი ამხელა ორკესტრი შენთვის გაირჯება, ტენორები და სოპრანოება ყურს დაგიტკობენ და... და, რაც მთა-ვარია, აქ შენს ცხვირწინ იცეკვებენ გა-მჭვრივალე სამოსში გამოწყობილი აღ-მოსავლეთის ღამაზმანები!

— ბიჭოს! ირაკლი რას გაიხარებდა!

— ძალზე აბუჩად იგდებ! ირაკლი შენ მართლა შტერი ხომ არ გგონია?

— მაგას როგორ გაკადრებდი, — გაე-ცინა ვაჟას. — მაპატიე, განაგრძე.

— ირაკლიმ იმარჯვა, პირველ რიგში გამოვიჭიმეთ. დაწყებამდე ჯერ ადრე იყო, ვიფიქრე, აქაურობას თვალს შე-ვაგლებ-მეთქი. ირაკლი არ გამოიყვანა — ადგილებს ვუდარაჯებო, ასე რომ ფოიე-ში ჩავტოვე და ზევით მარტოკა ავედი. ნამყოფი ყოფილხარ და თავს აღარ შე-გაწყენ იმის მოყოლით თუ რა ვნახე იქ... მოვიარე იქაურობა, დავბრუნდი და ირაკლის მიეუჯექი. ხელმარჯვნივ ირა-

კლი მეჯღა, მარცხნივ — სამოცს მიტანებული ქერა, სახეაღწევილი მამაკაცი, გაბრაზებული შემომჩერებოდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, მისი ჯავრობის მიზეზი თუ მე და ირაკლი ვიქნებოდით. ირაკლიმ კიდევაც მისაყვედურა, სად ხარ აქამდის, კაცი ლამის შარში გავეხვიეთ: თურმე ნუ იტყვი და, იმ ჩვენ მეზობელს (გერმანელი გამოდგა) ჩემი სავარძლისთვის დაუდგამს თვალი და „არენის“ გადაღმა, მეორე რიგში მიყუჟულ ამხანაგს ეპატიჟებოდა ჩემ ადგილზე. ირაკლიმ სკამი არ დათმო და, ცოტა არ იყოს, შელაპარაკებულან. კარგი სანახავი კი იქნებოდა: ირაკლიმ გერმანული არ იცის. გერმანელმა — რუსული, ქართულზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჰოდა, წარმოიდგინე, მუნჯურად რასაც გააგებინებდნენ ერთმანეთს! ამა სობაში მეც მივიდი.

ალბათ, კოჭებში შეგვატყო, აწი რომ ველარაფერს გააწყობდა ჩვენთან. გულზე გამსკდარმა — ოდესღაც ლამის ქვეყნის მბრძანებელი, დღეს რომ ოპერის ფოიეში ქეციან სკამსაც კი ვერ დაეპატრონა — ამხანაგს გახედა, ვერ გეტყვი — თავი გაიმხნევეს, ინუგეშეს თუ ნიშნის მოგებით იყო — ორივე უმაღლესზე წამოიჭრა და მოულაპარაკებლად, ორივემ მკლავში გაჭიმული მარჯვენა შემართა იმათებურად! წარმოიდგინე: ხელის ერთი, თითქოს არაფრის მთქმელი გაქნევა!

— არაფრის მთქმელი უძახე შენ!

— ქრონიკაში რომ გინახავს: „Sieg Heil!“ არადა, მოხდენილად კი გამოუვიდათ.

— უფურე შენ მაგათ! მერედა, შენ?!

— რა უნდა მეთქვა... არაფერი...

ლუკამ იცრუა. იცრუა, რადგან უცებ შერცხვა მაშინდელი თავისი საქციელის და ვაჟას ვეღარ გაუმხილა, რაც მოჰყვა ხელის იმ ერთ გაქნევას.

ვითომდა „არენას“ მიჩერებულმა ლუკამ თავისთვის ჩაილაპარაკა: „Drang nach Osten!“

ჩუმად კი იყო ნათქვამი, მაგრამ მის ქერა მეზობელს უსიკვდილოდ უნდა გავეგო. აკი შეკრთა კიდევ. ალბათ საგონებელში ჩავარდებოდა — თუ რატომ, რატომ დასცდა ამ შავგერემან ახალგაზრდა კაცს ასეთი რამ. ფიქრმა წაიღო, ხელმოსაჭიდა, ეტყობა, ვერა ნახა რა. გაბრაზებულმა გული აიყარა იქაურობაზე, აიმრიზა: გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილი ლამაზმანები უშნოდ დაკუნტრუსობდნენ; ბაზილი გადაბერებული ეჩვენა. მერე აღარც თავადი იფორი გაჰკარებია მის გულს, არც ვიოლეტა...

ერთი-ორჯერ ლუკასკენ გამოაპარა თვალი; მინც ვერაფერს მიხვდა. ვერ მიხვდა, ვიდრე ლუკამ კონცერტის მიწურულს გული არ იჯერა „ბრავოს“ დახილით (ნორმა მართლაც ბრწყინვალე იყო), მერე უღვაშზე ხელი ჩამოისვა, წარბი აზიდა და კავკასიელის აქცენტით, შემპარავად გაიმეორა იგივე სიტყვები: „Drang nach Osten?!“

დახილის ნიშანს კითხვის ნიშანი და ირონია მიმატებოდა.

მიხვდა! მხერა ჩაუქრა...

რას განუშებულხარო, უთხრა ვაჟამ.

— რა ვიცი... ჩემიანები გამახსენდა.

— აკი თქვი — კარგად არიანო.

— კი, ჯერჯერობით არა უშავთ რა.

სოფელში რუ იყო ამოსაწყმენდი; ბადის ბოლოზე, რიყის მზრიდან ღობე გასამაგრებელი; ღობიო გასაგლეჯი, სარები დასაძრობი; სარს გადარჩევა უნდოდა, ჩამალსა და დაფუტურობულს — პატარ-პატარად დაჩეხვა: ზამთარში გამოდგებოდა ცეცხლის გასაჩაღებლად.

შეშაც მოსაზიდი იყო, დასახერხი და დასაჩეხი, ღუმელი გამოსაწვავი...

შემოდგომის პირველსავე დღიდან აიტანდა ხოლმე ზამთრის შიში; თოვლჭყაპისა და ნესტიანი სუსხის უსიამო მოლოდინი, სუსხი რომ ძვალ-რბილში გაუკლიდა, მოყინავდა, დაუბერავდა ქარი...

ვაჟა ისევ მოუსვენრად წრიალებდა საწოლში. რაღაცის თქმა უნდა და ვერც უთქვამსო, გაიფიქრა ლუკამ.

— იცო, — როგორც იქნა, ამოიღულ-

ლულა ვაჟამ, — ბათუმი პატარა ქალაქია, განზრახ არ გამიკითხავს, მაგრამ... ალექსანდრას აქ...

ლუკას სუნთქვა შეეკრა, სისხლი საფეთქლებში მოაწვა, — სანდრას შესახებ ყველაფერი ვიცი; სხვაზე მეტი მაინც...

— არა, არა, — ვაჟა წამოჯდა. — სანდრაზე — არაფერი. აქ სანდრასაც არავინ ეძახის.

— მე შევარქვი, ჩემთვის.

კარგა ხანს გარინდებულები იწვნენ; ძილი არც ერთის თვალს არ გაჰკარებია.

— ბებიაშისი... ერთ დროს...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ლუკამ.

— თეოსოფიური...

— ვიცი-მეთქი.

ვაჟა საწოლზე მიწვა ისევ, განაწყენებულმა ამოიხენეშა და ჩაწუშდა.

გამებუტაო, გული დასწყდა ლუკას. ინანა, ასე უემხად რომ გააწყვეტინა სიტყვა. იცოდა, ვაჟას რაც აღაპარაკებდა. იცოდა, ვაჟა რომ ისევ და ისევ მასზე ზრუნავდა. ზრუნავდა გულწრფელად, უანგაროდ, ზრუნავდა ისე, როგორც მისი ამჟამინდელი ყოფა და მსოფლმხედველობა კარნახობდა.

— არა, იქნებ გადასახლების ამბავი...

— აკი ვითხარი — ვიცი-მეთქი...

ლუკა ახლა იმ ჭკუაზე იყო, რომ არამტოუ ახლობელს, მეგობარს, არამტოუ მშობელს — თავად მამაზეც იერსაც არ მისცემდა თავის ცხოვრებაში ჩარევის უფლებას. ერთი საწადელი ჰქონდა: თავი დამანებოს ყველამ და ჩემს ამქვეყნიურ ყოფაში ხელი არავინ აფათუროსო.

ღუმილი ჩამოწვა. ალბათ, ჩემი გადარჩენის იმედი გადაეწურაო, გაიფიქრა ლუკამ და აღარ იყო იმის მოლოდინში, ვაჟა რომ ერთხელ კიდევ გაიბრძოლებდა.

— ოდესმე, — ვაჟამ თითქოს მოუბოდიშაო, — ალბათ, წარსულს ჩაბარდება ყველაფერი და მაინც... ჩვენს არეულ დროში...

ლუკამ ამოიხრა, ნეტავი ეგ არ გეტქაო...

— რა?

— „მაინც...“

ვაჟას აღარაფერი უთქვამს; ლუკაც დაღუშდა.

ასეთ, ლამის ზაფხულის ღამეს, კაცს შეგიძლია შიშველი მკლავები თავქვეშ ამოიღო და ჭერს ცასავით მიაშტერდე.

ათი წელი გასულაო, გაიფიქრა ლუკამ; ამოიოხრა.

ნუთუ მართლა ათი წელი გასულა, რაც უკანასკნელად დაათენდათ კამათში? ნუთუ ეს აღარ განმეორდებოდა, უკაცრიელ ქუნას აღარასოდეს დაუყვებოდნენ ქვევით და ვარსკვლავებით მოჭვდილ ცას აღარ მიაჩერდებოდნენ უჩუმრად; ბენავის დანახვაზეც ერთდროულად აღარ გაახსენდებოდათ მაცხოვრის სიტყვა: ყოველი შენგან არგანკითხული მე ვიყავიო...

„და რაში დასჭირდა მამაზეციერს ენებისა და ხალხის აღრევა?! ვითომ რომელი გოდოლის ამშენებლებილა ვართ მე და ვაჟა...“

ქუჩიდან თაღქვეშ შემოსული მანქანის ფრუტუნმა ფანჯრის მინა აახრიალა. თალი საკმაოდ გრძელი უნდა ყოფილიყო: ვაჟას ორივე, ვაგონებივით გადაბმულ ოთახს ქვეშ გასდევდა და ქუნის მხრიდან რკინის კარი ება.

ფრუტუნმა ერთბაშად იკლო — მანქანამ, როგორც იქნა, ეზოში გააღწია, მოშორებით გაჩერდა და მალე ყველაფერი ისევ მიწყნარდა.

ლუკამ ვაჟას გახედა — ბათუმიში ჭრიჭინა თუ იცისო. პასუხად ფშვინვა მოესმა, ამოიოხრა და ისევ ჭერს მიაშტერდა.

თავს გაუბრაზდა — ახლა ჭრიჭინაც მოვიდნომყო. „შარზე ვარ და ეგ არის!“ სწამდა, რომ ვაჟა დღესაც არ დაიშურებდა მისთვის არაფერს და მაინც...

იქნებ მეგობრობა, სიყვარულივით, თავად მოდის, თავად მიდის და ჩვენ არაფერი გვეკითხებაო?! ან იქნებ სულაც კვდება; არა — ჯერ ბერდება: თვალთ აკლდება, კბილები სცვივა, ქანღდება...

ლუკამ გვერდი იცვალა: «Чушь со-бачья...».

ჯერ ისევ ბნელოდა, ლუკამ თვალი რომ გაახილა. ცოტა ხანს გარინდებულ იწვა, ეგება ძილი ისევ წამომებაროსო, მერე გაბეზრებულმა მარცხენა მჯჯა თვალებთან მიიტანა და დააცქერდა. ოთახში ქუჩიდან შემოღწეული მკრთალი შუქი საათის ციფერბლატს ეყო — ოთხი ხდებოდა.

ლოგინში წამოჯდა და იქაურობას თვალი მოაელო. ვაჟას ფშვინვა ჩაესმა, შეშურდა: ამას ალბათ, დამდამობით აღარ ეღვიძება ხოლმეო. ჩაეცინა, ისე გამოუვიდა, თითქოს დამდამობით ჭოტად ყოფნა აუცილებელი ყოფილიყოს კაცისთვის, რომ თავი ადამიანად ჩათვალა. თუ ღმერთი გწამსო, ამოიოხრა, ვინ გაკურთხა ამა ქვეყნის ჭირისუფლად!..

მართლაც და, რატომ ჩემობდა გულზე მოწამეობის ნიშანს?! და ასე რომც ყოფილიყო, მაინც რას ერჩოდა სხვას; თავად ემარტვილა, თუკი სხვაგვარად არ ძალუძდა, რატომ სწაღდა — უთუოდ ვაჟაც ეზიარებინა მოწამეობას?

სოფელ-ქვეყანას რატომ უნდა ეფხიზლა გაბმით, ვინ და რატომ დააკისრა კაცობრიობას აქგვარი საკანონოს მოხდა?

ანდა ერთ ციდა დისშვილებს რაღას ერჩოდა, მძინარეებს რომ დაეცხრებოდა ხოლმე, ჩაკოცნიდა და ლოგინიდან წამოყრიდა. იყო განა ღრეობიდან ხელს გამოყოლებული ტორტის ნაჭერი საკმარი საბაბი ბავშვების დასაფეთიანებლად?

განა დილა აღარ გათენდებოდა? განა ბავშვები გამოთენიხას თავისით არ დააჭყეტდნენ თვალებს და ხმაურით არ აიკლებდნენ იქაურობას?! ნუცა ჩაის აადულებდა, სუფრას გაშლიდა; ჩაის წუხელ მოტანილ ნამცხვარს მიატანდნენ..

ლუკას გაეღიმა — უეცრად გაახსენდა, სისხამ დილით, ბუხარის რკინიგზის სადგურში ზურგზე ბავშვმოგდებული ბოშა ქალი იმერულად რომ უქცევდა: აბაზი გაპეიმეტე, ბაღანას დილიდან ჩაა არ დაუღევიაო.

რას იფიქრებდა, ბუხარაში რომ ვინმე

ქართულად გამოელაპარაკებოდა! თანაც ბოშა ქალი! დიდება შენდა, ღმერთო!

ლუკამ თავი ანება კაცთა მოდემის კირკიტს, რამეთუ მშვენიერსა და, რაც მთავარია, უმტკივნეულო თავშესაქცევს მიაკვლია — შეეძლო ბუხარაზე ეფიქრა!

ბუხარამ მოხიბლა: სინჟმით, სიღინჯით, ღრუბელს ამოფარებული მზით. მედრესეების მოჭიქულ პირს თითქოს ღერი გადასვლოდა და იქაური მაილიცა ისეთი კაშკაშა არ იყო, როგორც სამარყანდში. ამით, იქნებ, იგებდა კიდევ!

განა სამარყანდი კი არ მოეწონა!

ლუკა ისევ მიწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო, ჭერს მიაშტერდა და ბუხარასამარყანდზე ფიქრი დაიგემოვნა.

ჯერ კიდევ რამდენი საუკუნის წინათ გამოუღვიძია იქაურობას, თვალები მოუფშვინებტავს და ცოტა ოფლი როდი დაუღვრია, ვიდრე, ნაღვანით ხელდამშვენებული, ცივილიზაციის ტაძარს მიეხლებოდა კრძალებით...

ურუანტელმა დაუარა ტანში — მაინც რა იყო იმხანად აღმოსავლეთი!

კარგა ხანს იწვა ასე, მზერაგაშტერებული. შესცქეროდა შუამღე ამოყვანილ ხარაჩოებგარშემორტყმულ კალონს; მერე თვალი მოჰკრა მედრესეს შიდა ეზოში დინჯად მოსაუბრე პირტიტველა ბიჭებს, რომელთაგან არა ერთი და ორი შემდგომში კაზმულსიტყვაობის და ფილოსოფიის სამსახურში ჩადგებოდა..

ემირს მიეახლა სამეფო კარზე და მბრძანებლის უხუნაესი წყალობით დიდად უჩვეულო, გასაოცარი ობსერვატორიის ნახვის ღირსიც გახადეს..

ლუკამ თავი გააქნია სინანულით — მერე რაღამ დაგაკნინაო, შე დალოცვილო, რამ გვაგახუნა... ჰაი ღედასა, ვესტუმრება ახლა ვინმე «ცივილიზებული» დასავლეთიდან, მიწყალედ შეაულებს თვალს შენს სამკვალეებს, თავს ისე დაიჭერს, ვალს რომ დაგადებს აქეთ — პატივი მოგაგე, გინახულიო. თავაზიანად გაიკითხავს თუ რომელ მბრძანებელს ჰყოლია მეტი ცოლი და ხარჭა, ოღნავ გაიკვირვებს, მერე კი... მერე კი მუსულ-

მანობას წამოვამახვებს, იქნებ ესეც არ გამაროს და ველურობა დაგწამოს...

სხვა ძეგლზე მეტად სტუმარს მაინც გურ-ემირი ხიბლავს, გვირგვინოსანთა საძვალე! ღმერთო! რა სიმდიდრეა ჩაწოლილი ამ ერთ სამარხში! რა ბრწყინვალეა, რა სილამაზე! აკი ისიც თქვეს, ამაზე უკეთესი რომ ყოფილა ოდესღაც, ვიდრე გუმბათის სკოფიაზე ოქრო და ლაჟვარდი კაშკაშებდა...

შენება თავის დროზე ჩვენც კარგი გვეოდნიაო, ამიოიხრა ლუკამ. ომსა და ომს შუა. მით უფრო, თუ მშვიდობიანობა წარმატებულ ომს ენაცვლებოდა. გელათი! ალავერდი! „რანი ვყოფილვართი!“

„ამათი მზე მოგვიანებით ამოსულა, სწორედ რომ თემურლენგის დროს. კოჭლი მზე! აბა, ის ყოფილა! საიდან გადმოსწვდომია საქართველოს! სამჯერ მარტო თბილისში მჯდარა!“

ლუკამ ჯერ კიდევ სამარყანდში გაიოცა, მტარვალსა და მისი ქვეყნის ამწიოკებელს ამ უცხო მხარეში ასე გულწრფელად რომ ეთავყვანებოდნენ, ეროვნულ გმირად ჰყავდათ შერაცხული და მისი სახელის ხსენებაზე იქაურ გიღს ტანში სულ ჟრუანტელი უვლიდა.

ლუკა წამოჯდა; მერე ფეხები საწოლიდან ჩამოაწყო, ფლოსტებში შეაცურა და წამოდგა. გაბრაზდა, მე რაღა ღმერთი გამიწყრა, აღტაცებული სულ „უჰ“-ს რომ გავიძახოდი, მათ ხომ სიმდიდრე ჩვენი აწიოკებით, ძარცვა-გლეჯით უბრუნებიათო.

მერე მტარვალი გადაავიწყდა და უფრო მეტად თავის თავზე გაჯავრდა, რიგაინად მხოლოდ ახლავდა რომ მოუკოდა გული.

რაჰკველობა დამღუპავსო, გაიფიქრა. ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გასწია, გრიდ მიწას შუბლით მიეყრდნო და ეზოს მიაშტერდა.

ეზოს გადაღმა ორი ორსართულიანი სახლი იდგა, მათ შუა — რკინის გარაჟი. რამდენიმე მანქანა ღია ცის ქვეშ „ათეველა“ ღამეს. მაღალი ჭადრის ძირში ნაგავი იყო მიყრილი, ნაგავს კატები შე-

სეოდნენ. ლუკამ თვალთ ჭინკას დაუწყო ძებნა, მერეღა გაახსენდა, ბათუმში რომ იყო; თუმცა, ფრანც-იოსები ნაგავში ძრომიალს არც იკადრებდაო.

ჰაბსბურგთა სამეფო კარზე კარგი ნაცნობი და ახლობელი ლუკას არავინ ეგულებოდა. იქიდან წამოსულმა გზად რომანოვებთანაც შეიარა, გული არც იქ დაუდგა და ისევ აღმოსავლეთში დაბრუნდა.

მაინც რამდენი საუკუნე, უფრო კი რამდენი თაობაა საჭირო, კაცს სიძულვილმა გონება რომ აღარ დაუბინდოს და მტარვალის საძვალე დიდებული საძვალეღა იყოს და სხვა არაფერიო. გაიფიქრა, აღარ მოავგონოს თავად მტარვალის, აწიოკება, პარტახი, გადაშენება და გადაჯიშება...

ველაფერს დრო თუ სჭირდებაო, თორემ... ლუკა შეეცადა, თუნდაც ახლად აშენებული, ჯერაც არდაწერული რაიხსტაგის შენობა მხოლოდღა შენობად წარმოედგინა: გაუჭირდა... მამის იარაღს მიცხვი ხიზნობდა, ცეცხლად არ ენთო, ღონემიხდილ ნაკვერჩხლად კი ჯერ ისევ ღვიოდა... უთქმელი კაცი იყო გიგა, ბუნწად თუ დასცდებოდა ორიოდ სიტყვა იმ ჯოჯოხეთზე. არასდროს უცდია ნაკვერჩხლის გაღვივება, ადრე თუ გვიან ნაცრად რომ უნდა ქცეულიყო; ნაცრის ქექვა კი...

„მაინც რა ნავსად გადამეყარა ის ჩემი ცოდვით სავსე, — გაბრაზდა ლუკა, — რა ღვთის წყრომა იყო, რომ ავიტეხე: „Drang nach Osten, Drang nach Osten...“

თან ჯერ ერთის. მერე მეორის ხმით, თითქოს გულზე მეხატებოდეს რომელიმე... ვის რა ჭკუა ვასწავლე ჩემი ბრყვეული საქციელთ, ვის რა მიუზღუდე? თვალის თვალისა წილ?

ისევ და ისევ „თვალის თვალისა წილ?“ განა ორი ათასი წელი ჯერაც საკმარისი არ არის, ამ ბიბლიურმა მცნებამ დროდადრო რომ აღარ იძალოს ჩვენში?! ნუთუ ვთვალთმაქცობთ, თითქოს კარგა ხანია გავემიჯნეთ წარმარ-

თობას, კაცობრიობამ კი ერთი ნაბიჯი-
თაც ვერ წაიწია წინ?”

აწრიალდა. კარი გამოაღო და აივანზე
გავიდა.

სიცივემ შემოჰკრა. აგრილებულაო.
გაიფიქრა; ალბათ, მალე ირიჟრაჟებს!
ვაითუ, უკვე შემოდგომამ იძალაო; გულ-
ზე შემოეყარა, აწი და აწი უარესად
აცივდებო. დაბურძღლა, მოიბღუნა.

და მაინც აქ კავკავი ერჩინა ლოგინ-
ში წრიალს. ინანა, რელადორში თან
რომ არ გამოიყოლა.

მერე გაბრაზდა: „შენ, ჩემო ძმაო,
უძილობა რომ გკვირს, წამალი კი არა
და, შელოცვა გინდა!“

ანდა ლოგინს უქალოდ არ უნდა გაჰ-
კარებოდა, ღონემიხდილსა და მოქან-
ცულს მკვდარივით რომ ჩასძინებოდა და
სიზმარსაც აღარ შეეწუხებინა.

ლუკა ოთახში დაბრუნდა, ფლოსტები
წაიძრო და დაწვა. სცადა ქალებზე ეფი-
ქრა. სულმა შეება იგრძნო, სამაგიეროდ
სულ მალე სხეულმა დაუწყო ტეხა. და
განა ორივე მისი არ იყო?!

აწი გვიჯობს რაიმე სხვაზე ვისაუბ-
როთო, უთხრა თავის თავს.

თემურლენგზე ფიქრი კარგს არაფერს
უქადდა; არც იმ უცნობ გერმანულზე,
არც საკუთარ ზნეზე.

არადა, დანამდვილებით ახსოვდა, რა-
ღაც კარგზე რომ ფიქრობდა სულ ახ-
ლახან. საგონებელში ჩავარდა — ნეტა-
ვი, რაზეო? იქნებ წინაპართა ძლევაშო-
სილებაზე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
გადაჭიმულ უკიდევანო საქართველოზე...

ამჯერად აღარც ეს ფიქრი ერჩენა
უწინდელივით უბიწო.

ღმერთო, შენ გამახსენეო, შეევედრა
ლუკა. განა არ შეგიძლია, მოწყალეობა
გაიღო, ადამიანს ტვინი არ ამოართვა
და მშვიდი ძილი თუ არა, მშვიდი ფიქ-
რი მაინც არგუნო...

დისშვილები გაახსენდა, ორი კნაჭა
გოგო: წარმოიდგინა, თბილისში დაბრუ-
ნებულს კისერზე როგორ ჩამოეკონწია-
ლებიან, ჩაკოცნიან, დაყოლილს, ტახტ-
ზე დააგორებენ და შეკითხვებით გააბ-
რუებენ.

თავი სასიამოვნოდ დაუძმობდა, აზრე-
ბი აერია. აქა-იქ უსიამო ხმაც ჩაესმა,
მაგრამ ბავშვების ჟღერტულს ვერ
სძლია და ამ ჟღერტულში კიდევაც ჩაე-
ძინა.



ღილიდან ვაჟამ სიძესთან დააპირა
გადაბარგება. ლუკა გაუძალიანდა, მაგ-
რამ ვაჟამ არ დაიშალა, ტანისამოსს
ჩანთაში ჩაუძახა და გასვლისას გაუღი-
მა, — ოთხ საათზე, სხვა თუ არაფერი
გამოგიჩნდა უფრო... — თვალი ჩაუკრა, —
ბესარიონის სარდაფში ჩამოდი, ვისა-
დელიოთ; ისე კი, ასეთი ორი დღე
აწი იქნებ აღარც გკონდეს. ერთგულეობა
მერეც გეყოფა.

ვაჟა წავიდა.

ლუკასთვის უწინ რომ ეთქვათ, ბათუმ-
ში ჩასულს ისე წავივა საქმე, ზღვას
თვალს ვერ დაკრავო — არ დაიჯერებ-
და. არადა, სწორედ ასე მოეწყო წინა
ჩამოსვლაზე. ივნისი ილეოდა, მაგრამ
გაუთავებელ წვიმებს სიცივე მოჰყვა და,
ისედაც ორი დღით ჩასულმა, ორივე
დღე სანდრას ოთახში გაატარა.

სანდრა იბუზებოდა, მიზნობდა. ლო-
გინიდან ერთხელ ძლივს გამოძერა, —
სადილის გასაკეთებლად.

ასე რომ ამ ზაფხულს ზღვა ლუკას
ჯერაც არ ენახა, ღილიდან მისკენ ელე-
ოდა სული. ვაჟას წასვლისთანავე წყა-
ლი გადაივლო, მერე ჩანთა გაიშხადა
ზღვაზე წასასვლელად, თონის პურს ყუა
წაატეხა და კარი გაიხურა. ქუჩაში გა-
მოსულს თითქოს ზღვის ხმაურიც კი
ჩაესმა ყურში; ჯერ შორსააო, გაიფიქრა,
მომეჩვენაო, და ვიდრე ზღვა სადღაც
შორს ქშინავდა, ძალა ეყო დინჯად და-
ჰყოლოდა ქუჩას. გზად ერთი-ორ მაღა-
ზიასთან შეჩერდა, ვიტრინები ათვალი-
ერა გულდაგულ, ვითომდა, არსად ეჩქა-
რებოდა. მაგრამ ბულვარი გამოჩნდა თუ

არა, ნაბიჯს აუჩქარა, მერე ლამის სირბილით გადასერა პლაჟი, ზედ წყლის პირას ტანთ გაიძრო და აქოშინებულმა გრილ, მოლივილივე წყალში შეაბიჯა.

ეკამა... ერთი-ორჯერ ღონივრად მოუსვა მკლავი, მერე გულადმა გაწვა და ცას შეამტერდა. იგი ხან შორს იყო, ხან, ზეცრად ჩამოწოლილი, სახეზე ელამუნებოდა.

თუკი სულთა სამყოფელი ასეთი მყუდრო და უშფოთველი გამოდგებოდა, ლუკა მზად იყო, მისვე შეეღოდა აქაურობას და...

მარტო ჩემი სურვილი და თანხმობა, ალბათ, საკმარი არ იქნებაო, გაიფიქრა, დამხედურთა ნებაც უნდა იყოს...

ფიქრში წასულს ერთი ბეწო, მტკაკელისოდენა ტალღა წამოეპარა და თავს გადაეკლო. გაოგნებული და თავზარდამცემული კარგა ხანს ფართხალეზდა წყლის ქვეშ, ვიდრე ფსკერს გამშაგებით არა ჰკრა ფეხი და ბლომად წყალნაყლაპი ნაბირზე ძლივს გამოლასლასდა.

ცხელ ქვებს ვერა და ვერ მოარგო ხმელი სხეული; წრიალით გაბეზრებულმა, თან — მზემ არ მიხამოსო, შარვალი ამოიცკა და კორტებს მიაშურა.

პაპანაქება იდგა. ჩრდილი მარტო მოედნებს შუა ჩადგმული მსაჯის კოშკურების ქვეშ ბუდობდა.

ორი გოგონა მოედანზე თამაშს ეშურებოდა. დილა-საღამოს სავსეა, ალბათ, აქურობაო, გაიფიქრა ლუკამ. მათ გარდა ჯერაც არავინ ჩანდა.

შავშეებს კარგა ხანს ადევნა თვალი. მერე ესეც მობეზრდა და უკვე შინ დააპირა წასვლა, რომ შუა ხანს გადაცილებული კაცი ჩამოუჯდა გვერდით — Константин Иванович.

ამინდზე ისაუბრეს. ორი დღის წინათ უწვიმაო, ივანიჩმა წაიწუნუნა — გუშინდელი დღეც გაცდა, კორტები დღესღამე გამოშროაო. დარწმუნებული იყო, რომ ჩოგბურთის თამაში ყველას უნდა სტოდნოდა, თუნდაც ცოტათი მაინც: «Чтоң хотя бы уметь смотреть... и наслаждаться!»

ლუკამ ივანიჩს ასიამოვნა, მარაქაში

გაერია — ლეივერი მინახავსო, — В кино.

ივანიჩს ხატად როზუოლი ჰყოლია. თუმცა პატივი ლეივერსაც მიაყო. ლეივერს ემერსონი მოაყოლა, ჰოადი, პანჩო გონზალესი, კოშე, ბოროტრა... განა რა ხნისაა, გაუკვირდა ლუკას, ბოროტრა რომ ახსოვსო?!

ივანიჩს უწინ ციმბირში უცხოვრია. ლენინგრადში დაბადებულ-გაზრდილს ომის მერე ციმბირელი ქალი შეურთავს და, რაკილა ბლოკადის მერე ნათესაობიდან ცოცხალი აღარავინ ეგულეობდა, ციმბირშივე დასახლებულა. კაი თხუთმეტი წელი გაუტარებიათ იქ. ერთ მშვენიერ დღესაც, მივლინებით ჩასული ფრონტელი ამხანაგი, ნიკოლოზი, შეხვედრია ქუჩაში — გათოშილი, ერთიანად აძაგძაგებული.

სსსადილოში შესულან, დაუღევიათ, ერთმანეთის ამბავი უკითხავთ, ძველი დრო გაუხსენებიათ. ნიკოლოზმა გაიკვირვა თურმე, ამ ყინვა-ყიამათში რა გაძლებინებთო. ბათუმში შეუთავაზებია ჩამოსახლება.

— Помню, сидим в окопе, кругом ночь, колотун, а он про море рассказывает, пальмы... так что, особо уговаривать меня уже не пришлось. А жена... Жене было все равно куда, лишь бы уехать...

— Я не бывал, но у вас там, говорят, красиво.

— Холодно.

რაც მართალია, მართალიაო, დაეთანხმა ლუკა.

— Своенравная была, царство ей небесное, бывало, придешь домой...

ლუკას გუნება წაუხდა, გაახსენდა, ამ ხუთიოდე წლის წინათ თითქოს და ცამოწმენდილზე, ეყენიმ როგორ მოთხარა და მიწასთან გაასწორა.

„იმედი ნულა გაქვს, შენგან აწი კაცი აღარ დადგება!

Господи, да за что мне такое!.. Труп! Живой труп! И несет же от тебя! მრცხვინია, რომ ორი წელი შევალიე შენისთანა არარობას! ორი წელი!.. И не смей совать это в свой паршивый рассказ! Писака!

რა ღურგალიც იყავი, მწერალიც ის იქნები! რატომ აიღე ხელი თახვების მოშენებაზე? გეძნელა?! სოკოც?! რომელი ერთი ვთქვა?! ადვილი ფლავის ჭამაა! Напялил маску неудачника! Неудачников жалко, а ты... А ты... Чучело! Пугало огородное! Он еще сидит! Да любой мужчина за такое фонарь бы поставил!..»

იმ დაწყვეტილ საღამოს ვინმე უცხო, უჩინმაინის ქუდიქვეშ გატვრენილი რომ შესწრებოდათ, ექენის უთუოდ ანჩხლ და კაპას დედაკაცად მიიჩნევდა. იმ ვიღაც უცხოთავეთ ფიქრი რომ შეძლებოდა, არც ლუკას გულს გაეკარებოდა და რდი და სევდა.

პირველმა შემოტევაზე, ცოტა არ იყო, გააოგნა — რა ეშმაკი შეუჩნდა და, მოთხრას თუკი მიპირებდა, ვახშამი რაღას ჩამაცეცხლავო. მართლაც, ექენიმ ჯერ დააპურა იგი, მერე ბავშვები შეყარა ლოგინში, ოთახის კარი გამოიხურა, სამზარეულოში დაბრუნებული ლუკას ჩამოუჯდა წინ. ხელები მაგიდაზე შემოაწყო, ზედ თავი ჩამოღო და ცოტა დაახანა, ვიდრე ბავშვები ძილში წავიდოდნენ. ასეთი დახანება უწინ სულ სხვა რამის მომასწავებელი იყო...

არც „მძორი“ იყო მოფერებით ნათქვამი და არც „ჩუჩელო“, ლუკას კი წყენის ნაცვლად გული ჩასწყდა: ტყუილ უბრალოდ ექენი ჯერ არავის ახირობია...

ლუკა წამოდგა, — пойду я...

— Как, уже? — გაიკვირვა ივანჩმა, წაიკნავლა, — посидели бы еще...

— В другой раз.

— Завтра. А можно вечером, сегодня. Я всегда здесь. Весь день. С утра. Разве что на обед выйду.

5

ლუკამ საათზე მეტი იბორიალა ქუჩაში, ვიდრე ბესარიონის სარდაფის კიბეს დაუყუებოდა. საფეხურებს აქა-იქ ქიმი ჰქონდა ჩამომტვრეული. ლუკამ სახელურს ჩასჭვიდა ხელი; სიბნელეში მაინც წაიბორძიკა, გაბრაზდა:

— ეგზოტიკას მოუკვდა პატრონი...

კიბე ჩაათავა, ხის კარს წაჰკრა ხელი. სარდაფი თამბაქოს კვამლში იყო გახვეული. ვიდრე მძუჭტავ შუქს თვალს შეაჩვევდა, კართან იდგა. თვალის ერთი გადავლებით ვაჟა ვერ დაღანდა და დააპირა, ქუჩაში დალოდებოდა.

— ლუკა!

ვაჟას ორი კაცი ახლდა: კოლომბო და მისი უფროსი. ლუკამ ერთი კი ამოიოხრა, მაგრამ აღარაფერი თქვა.

მაგიდა ნახევრად განჯინაში იყო შედგმული; ოდესღაც შელესილი კედლებიდან კირი ჩამოეფხიკათ და ბრტყელმა, ქართულმა აგურმა ლუკას პაპისეული ბუხრის თაღი გაახსენა.

სტუმარს პატივი სცეს, განჯინაში დასვეს. — რით არაა ბენუარის ლოჟა, ჰა?! — თქვა ვაჟამ...

ლუკამ ხელი წაუთათუნა კედელს...

ღამინებამდე კიდევ აუარება დრო იყო, ლუკამ გემთმისადგომისაკენ დაუხვია. სადარბაზოდან გამოსულ ქალზე თვალა დარჩა. ნაბიჯი შეანელა, ქალს გზა დაუთმო და მუშტრის თვალი შეაჯლო.

...ვის ლოგინშიც ევადე, ისევე იმასთან წაეთრე! — ასე დასწყვიოდა ხოლმე სახლის პატრონი გამთენია მოსულ ქმარს, — შენი მგზავსებელი კი ამოწყდა, შენი!..

ლუკა არასდროს შესწრებია მშობლების ჩხუბს, წაკინკლავებასაც კი და, მაინც, ბავშვობაში, ვიდრე მდგმურად იდგნენ იმ ძველი სახლის ნახევრად მიწურში, ეკონა. სწორედ რომ ასე უნდა მოქცეოდნენ სახლის პატრონები თავიანთ ქმრებს.

ლუკას განსჯით, ქალს ის კი არ ამაროლებდა, მისი ქმარი რომ გამთენიასლა მოლასლასდებოდა ხოლმე, არამედ სახელი მისი — „სახლისპატრონი“; სახლისპატრონისა კი საკუთარ ქმარსაც ისეთივე შიში და რიდი უნდა ჰქონოდა, როგორც მდგმურებს...

...ქალი ქუჩის მეორე მხარეს გადასულიყო; ლუკას გული დასწყდა. ქა-

ლები უყვარდა. მეტადრე ლამაზი. მაგრამ ჟინი შეინარევი იყო — სენისა. და ეს შიში ყველაფერს უშხამავდა.

სარკეში დილაობით მაინც იხედებოდა — ვერაფერი ბედნაო, და თუ ქალი მალევე იყო ყაბულს... იცოდა, რომ აზვადებდა, მაგრამ ძვალ-რბილში გამაჯდარ შიშს ვერ სძალავდა მოსალოდნელი სიამოვნების წუთი. ზოგს იქნებ ამიტომაც მიაჩნდა ლუკა „წესიერ“ კაცად.

მის ტოლებს თავიანთი ქალების მოსათუფლად კარგა ხანია ხელის თითუბადარ ჰყოფნიდათ. ლუკას კი სრულად ერთი ხელიც ვერ აეთვისებინა: ცერა ჯერაც უსახელო და მისაკეცი იყო.

ერთხანს ამ ცერს უყურა, რას მპირდებო, მერე ისიც მიაკეცა. ცოლობას იმიტომ სთხოვდა სანდრას, უიმისობა რომ ვეღარ აეტანა. ვაითუ, მერე ავიტანო, გაიფიქრა. დაბურძგლა...

გემთმისადგომთან ვეება გემი ჩამომდგარიყო. გემს პატარა ნავებიც ებარტყა, გარშემო გაემწკრივებინა. რისი მაქნისიაო, გაიფიქრა: „ზღვა თუ გემს მოურია, ნავს არც შეიმჩნევს. ხანძრისას თუ...“

ხანძარმა ვირთხა გაახსენა, გემბანზე რომ დაძრწის შიშისაგან გადარეული. ვირთხამ — შეფი. წარმოსადგევი კაცი იყო და არაფრით წააგავდა დაბეჩავებულ, თვალეზამოღამებულ თეთრ თავებს. ჩემიანებს რა ვუყო, ამოიოხრა, თორემ... იქნებ, მიეფურთხებინა მართლაც ყველაფრისთვის და აქ გადმობარგებულიყო.

იქნებ მაშინ მაინც პატარა, უმანკო თავის დანახვაზე შეფი აღარ გახსენებოდა!

ხელი აეღო ვირთხების წვალეზაზე. მიბარებოდა შევირდად ვაჟას, ესწავლა ფულის შოვნა და მისი ყადრი.

ლუკა გემის სართულების თვლას შეუდგა. გემბანთან მიდგომულ ასაკეც კიბეზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ჩამოდიხს. ქალს გული თუ უფანცქალებს: ერთი ხელით კიბის სახელურს ჩასჭიდებია, მეორე ხელი და წელი კაცისთვის მიუნდვია.

როგორ ყანყალებსო ეს უპატრონო, ლუკამ კიბის თავსა და ბოლოს შეაელო თვალი. ქალ-ვაჟმა, როგორც იქნა, კიბე ჩათავა, გვერდი აუარა ლუკას და მორვაგზლის შენობასთან შეჩერდა. ქალი ტანადი იყო, კანჭმალალი. კაცს უწინდელივით ჩაებლუჯა ქალის წელი. ერთომ, ხელი რომ გაუშვას, გაიფიქრა ლუკამ, გაექცევა განა? — ლამის ხმამალა გაეცინა, — ბოღმა ხარო, ჭირიმე, ბოღმა და შურიანი...

კიბის თავში მზეზე გარუჯული გოგო გამოჩნდა. სხეული ლამაზად აყოლა კიბის რხევას; მალალი მკერდი უთახთახებდა...

დიდებული გამოვონებააო — გემი, გაიფიქრა ლუკამ.

ქალს პირველად სწორედ რომ გემზე გადააწვდა. მეოთხე კლასის პატარა, მრგვალფანჯრიან კაიუტაში. თავად ეს მეოთხე კლასიც არ გააჩნდა — „პალუბნი“ იყო, მეოთხე კლასში „ხესიმედ“ შესული. ტალღები დროდადრო მრგვალ მინას ლოკავდნენ. დაბნეული და გაოგნებული იჯდა საწოლის კიდეზე, ვიდრე ქალი სამკაულს შეიხსნიდა, კაბას გაიძობოდა და დედიშობილა დარჩენილი თმაზე გადაუსვამდა ხელს... ალბათ, ყოველივე სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. თუმცა, თუმცა ავხორცობას იქნებ სწორედ ასეთი, დახუთული ოთახის სუნი უნდა ჰქონოდა...

როგორც იქნა, ეზიარა: ორი ღამე, მთელი დღე მათ შუა, და ნახევარიც პირველ ღამემდე.

ნუთუ ამისთვის იკლავენო თავს?

მთლად ეგრეც არა ყოფილა! თუმცა ძახილის ნიშნამდე წელიწადზე მეტი გავიდა...

ასაკეც კიბეზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდა ხალხი. გემი უწინდელზე გაცილებით დიდი იყო: ორი აუზი მაინც ექნებოდა, კინოთეატრი, სულ ცოტა, სამი ბარი...

მეოთხე კლასის ფანჯრები ამასაც ბლომად ჰქონდა...

იმ ღამით სოფელი ესიზმრა. ხევში წყალი მოვარდნილიყო; წყალს დაბალი მიწაყრილი გადმოელახა და ბაღის ბოლო დაეტბორა. გააყვებულ ნიაღვარს ხრიალი ჩვეოდა, მაგრამ ამჯერად ირგვლივ ავისმომასწავებელი, შემზარავი სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

მოკუფრული ცა კიდევ უფრო პირქუშს ზდიდა უკაცრიელ არემარეს.

ბებერ ჭერამზე გამობმული ძროხა კოჭამდე წყალში იდგა და შეშინებული შეჭყურებდა მოჯარს.

ლუკამ შარვლის ტოტები აიკაპიწა, მერე ხელი ჩაიქინა და ფეხსაცმლიანმა გატბა; ძროხას თოკი შეხსნა, ფერღში ხელი დაჰკრა და შინისკენ გაისტუმრა.

ნავი ინატრა; ბავშვობის აუხდენელ გულის წადილს მოეწეოდა: დაუყვებოდა „მდინარეს“ ქვევით, მიადგებოდა ხან ერთ ნაპირს, ხან მეორეს, სოფელ-ქვეყანას ნახავდა.

ქვეყანა იმჟამად ორად იყო გაყოფილი: ხევს გაღმა და ხევს გამოღმა...

ნავი სოფლად არავის ჰქონდა. ანდა, ვის რაში უნდა დასჭირებოდა — ხევი განიერი კი იყო, მაგრამ წყალი სულ ერთი ბეწო ღელედ მოედინებოდა და ძალზე იშვიათად, ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ თუ მოვარდებოდა, გადაუღებლად რომ იწვიმებდა რამდენიმე დღე...

უეცრად კივილი შემოესმა, ქალის გულშემზარავი კივილი. შეშინდა — ამ უკაცრიელ ადგილას ვინ უნდა კიოღესო. შიშისგან წამოაზიდა, გაეღვიძა; შიშნაჭამი თვალებით შეაშტერდა ჭერს.

დატბორილი ბაღის ბოლო უთუოდ სიზმარი იყო; ბებერ ჭერამზე გამობმული ძროხაც. კივილი კი...

ლუკას დანამდვილებით ვერ ეთქვა — კივილი იგი მართლაც სიზმარი იყო თუ... ამჯერად უკვე ცხადლივ შეეშინდა — ვაითუ, ქუჩაში კვიისო ვინმე. ეღდა ეცა, ადგომა დააპირა, კარადიდან პაპისეული ხანჯლის გამოღება და ქუჩაში ჩასვლა.

მერეღა გაახსენდა, თბილისში რომ

არ იყო... გუნება წაუხდა; ხანჯალი, კაცმა რომ თქვას, დიდი ვერაფერი იმედი იყო, თუკი შერკინება ჯანაინსა და შეიარაღებულ კაცთან მოუწევდა. ლუკამ მაინც ინანა ხანჯალი თან რომ არ ჰქონდა — ასეა თუ ისე, პატარა შეღავათს მაინც მისცემდა, მოკეთეს გაამხნევებდა, მტერს დააშინებდა.

ასე, უარაფროდ ქუჩაში ჩასვლა კი...

მართლაც და, რა ფასი ექნებოდა გამოსარჩლებას, თუკი მოძალადეს ვერას დააკლებდა, ჭკუაზე ვერ მოიყვანდა და ხელს ვერ ააღებინებდა ავ ზრახვაზე.

რა უნდა მოემოქმედა; რა შეეძლო... მარტოოდენ სიტყვით გააწყობდა განა რამეს ჭკუაარულ კაცთან? ვერაფერს; საქმე, ალბათ, მაინც ცემა-ტყეპაზე მიდგებოდა. იქნებ მათ მიძგილაობაში ქალს დრო ეხელთა. მოძალადეს დასწლტომოდა ხელიდან. მართალია, მერე არც ლუკას დაადგებოდა კარგი დღე, მაგრამ ქალი ამასობაში უკვე სამშვიდობოზე იქნებოდა გასული.

ამ ფიქრმა შეება მოუტანა. არაფრად მიიჩნია დალილაგებული პირისახე და ჩამტვრეული ნექნები. „ნეკნები“ ნამეტანია — ერთიც კმარაო, ვაიფიქრა და საკუთარ სისულელეზე ღამის გაეცინა, მაგრამ უმაღ ისევ შეფიქრიაანდა, ვაითუ, ვერც სამიძგილაოდ ვივარგო, ვაითუ, გამომიქანოს ერთი, მიწაზე მომსვას და ამით დამთავრდესო ყველაფერი.

შესაძლოა, უარესიც მომზდარიყო: იმ ვიდაცას მოსარჩლე მასხრად აეგლო, მუშტი არც ეხმარა, კი გემრიელი პანღური ეთავაზებინა ლუკასთვის და კუდამოძუებული გამოეტტუმრებინა.

ლუკა წამოჭარხლდა; გული მოუვიდა — მისვლაც მე მეკითხება და წამოსვლაცო, მაგრამ უმწეობის შეგრძნებამ გუნება მთლად მოუშხამა.

ეგებ კივილიც მესიზმრაო, იმედად გაუელვა თავში. ნამდვილად მესიზმრა, თორემ ის უბედური აქამდე კიდევ შეკივლებდაო.

ყური მიუგდო. არსაიდან ჩამიჩუმი არ იყო. ცოტა დაახანა; მერე მაინც ადგა,

შარვალი ამოიცვა, საკიდიდან ქურთუკი ჩამოხსნა და კარი გაიხურა.

ქუჩაში არავინ იყო. წვიმდა...

6

კვირა დღე გათენდა როგორც იქნა. ადრე თუ გვიან ეს დღეც ჩათვებოდა, საღამო ხანს სანდრა უნდა დაბრუნებულიყო და გულის გამაწვრილებელ მოლოდინსაც ბოლო მიეღებოდა.

ლუკამ საწოლზე წამოიწია, ფანჯარა გამოაღო: ცა მოწმენდილი იყო, მზე — კარგად ამომალღებული; აქედანვე ეტყობოდა თუ რარიგად ჩამოცხებოდა შუადღეზე. თუმცაღა... თუმცაღა ამინდს ბათუმში ვერავინ დაუდგებოდა თავებდალ.

ლუკა ცას იყო მიჩერებული; ჩამოქცევის პირი თითქოს არ უჩანდა ქვეყანას; შეევედრა: ბარემ ეს ერთი დღე გვაცადეო, ჩემი ქალისათვის თვალი მაინც დაჰაკრევიან და მერე... მერე შენ იცი შენი საქმისო...

ვერდი იცვალა, თვალი გაუშტერდა. კარგა ხანს იწვა გარინდებული, მერე ისევ ამოიხრა, გაიფიქრა — დიდი არაფერი დაშვებდა, თუკი ზეცა დღეს ჩემს თხოვნას ყურად იღებსო...

მაშინ ცას ნამიც არ გავარდებოდა შუალამედლე. ათის ოც წუთზე ბათუმს ზღვიდან მოსკოვის თვითმფრინავი მოაღებოდა და მიწას დაიგულებდა თუ არა ფეხქვეშ, შვებით ამოისუნთქავდა ყველა — ჩამომსვლელიც და დამხვდურიც. თვითმფრინავს მალე ტრაპს მიადგამდნენ, სანდრა კიბეზე ჩამოირბენდა, მინდორს გადმოსერავდა, კართან ატუზულ ლუკას რომ დალანდავდა — გაიკვირებდა, თვალში ნათელი ჩაუდგებოდა. ლუკა გულში ჩაიკრავდა ქალს, მოეფერებოდა...

ჯერაც დილა იყო. მზე უკვე კარგა ხანია აღმართს იყო შემდგარი; დინჯად, დარჩენიებული მიიწვედა საშუადღეოსკენ; ეტყობოდა, რომ არსად ეჩქარებოდა, იცოდა წესი და სულაც არ აპირებდა

მომლოდინე კაცის ხათრით ნაბიჯი ცოტათი მაინც აეჩქარებინა...

ლუკას გაწვრილებაზე ჰქონდა გული; ერთი-ორჯერ ღამის სულმა წასძლია და აღმართში ხელი შეაშველა მზეს, დროულად მოეგო გონს, ხელები გულზე დაიკრიფა და გაყუნდა. გაიფიქრა — დღემდე წარმართი ვარო.

მზეს ვერაფერს შეებდავდა, ვერ გაანაწყენებდა; კრძალვა მართებდა მისდამი; სახეში არ უნდა მისჩერებოდა უტიფრად, ქედი უნდა მოეხარა, თვალი მოერიდებინა, დაეღურსა. მზეს უკეთ გეგებოდა თავისი საქმის თუ როდის უნდა ამოწვერილიყო, ამოენათებინა; თავად იცოდა: როდის შეიძალდებდა და რამდენ ხანს ივილიდა აღმა, ვიდრე ჭიმჭიმაზე დადგებოდა. მას ეკითხებოდა თუ როდის მიდრეკილიყო, როდის ამოფარებოდა დრუბელს, ჩაწვერილიყო...

ლუკამ გაიზმორა, საწოლზე წამოჯდა. მთელი დღე ჯერაც წინ ელო; ლოგინში კოტრიალი და წამდაუწუჭ ზეცაში ცქერა ხელს არ მისცემდა — დრო ჯერ ისედაც ითრევდა ფეხს და, ლუკას რომ არაფერი ელონა, მთლად გაზანტლებოდა.

უჯობდა, ამდგარიყო, ეჭამა, ზღვაზე წასულიყო. შუადღეზე ივანიჩს შეუვლიდა კორტებზე, ჩამოსხდებოდნენ ჩრდილში... მერე ვაჟასთან ერთად ბესარიონს ჩააკითხავდნენ; ნასადილეკს ლუკა პორტისკენ გამობრუნდებოდა ბაგირზე გამობმული ვეება გემის საცქერლად. ამასობაში დღეც გავიდოდა...

ლუკამ კარგა ხანს დაჰყო ზღვაზე, გული იჯერა ცურვით; მოქანცულსა და სიცხით გათანგულს შეზლონგში ჩასთვლიმა კიდეც. შუადღისას ადგა, ჩაიცვა და კორტებისკენ გასწია. ივანიჩი არ დაუხედა. საჭმელად გავიდოდაო, გაიფიქრა. დაცდა ბულვარზე ამჯობინა; იქვე, ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა — პირით კორტებისკენ. ჩანთიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა; გული ვერ დაუღო და სკამზე მიაგლო.

დაფხვნილი აგურით მოფენილი გზის გადაღმა, ასეთივე გრძელ სკამზე ორი შაქრიხიანი მოხუცი იჯდა. ახოვანი,

წითური კაცი — მხერაგამტერებელი მარცვლავდა კრიალოსანს. მეორე — ტანმორჩილი აცმუკებული ეშმაკუნა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და, როგორც კი ლუკამ თვალი გაუსწორა, ეშმაკუნამ ღიმილი მიაგება — დაცხა!

ლუკას თითქოს ეცნაურა ეშმაკუნას ღიმილი; მხოლოდ ღიმილი. ღმერთო, გამახსენე! საიდან მეცნობაო; დარწმუნებული იყო, რომ ეშმაკუნა ღღემდე არსად ენახა, უსიამო ღიმილი კი...

ლუკა შეიშმუშნა, გაღიმება სცადა, სკამზე მიგდებული გაზეთი აიღო და ხელახლა გაშალა. გაიფიქრა, ივანჩი მალე მაინც დაბრუნდებოდა...

ივანჩის ციმიბირი გაახსენდა:

«Красиво», «холодно», «все равно куда».

ალბათ, ოჯახი არა აქვსო, გაიფიქრა, თორემ აქაური კაცი, შვილები და შვილიშვილები რომ ეხვიოს გარს, კორტეზზე არ დააღამებდაო. აქედან წასული, ალბათ, ქუჩაში დაყვარობს გვიანობამდე; შინ მივა და სავარძელში ჩაჯდება, პლედს ამოიკებს და ტელევიზორს მიაშტერდება.

შეეცოდა, ვაითუ, არც ტელევიზორი აქვს და არც პლედო. გუნება წაუხდა; ფიქრობდა იმაზე თუ ვინ გააპატიოსნებდა ამ მიუსაფარსა და უპატრონოს; ვინ გაბანდა, ჩააცმევდა, ჩაასვენებდა კუბოში, ვინ დაუნთებდა სანთელს...

მიცვალბულის სასთუმალთან უხალისოდ მოციმციმე სანთლის ალში უსიამო ღიმილმა გამოჟონა, წედან ეშმაკუნას რომ გადაჰკრა სახეზე. ამჯერად იგი უეშმაკუნოდ, მარტომდამარტო გამოეცხადა ლუკას. იკრიჭებოდა უშნოდ, ნიშნის მოკებით მისჩერებოდა სახეში. ლუკა არ გაიკვირებდა, მის თვალწინ გაუჩინარებულ კატას რომ თავის სანაცვლოდ ღიმილია დაეტოვებინა. მაგრამ ეს ღიმილი სულაც არ იყო კატის; უფრო მეტიც — იგი აღარც ეშმაკუნასი იყო. კეთილი სული არ ჩანდა; ვინ ხარ, რა ხარო, ჩაეკითხა ლუკა.

ღიმილი სანთლის ალში დაფარფატებდა ისევ; თანდათან გახუნდა, გაიცრცია.

ის იყო, გამურწვა დააპირა. რომ იქაურობა უეცრად გაკაშკაშდა, ლუკამ მოასწრო და უპატრონო ღიმილი, თითქოს ჩონჩხი ყოფილიყოს, ზორციტ შემოსა: საბანაშვილო მუსიკას მოყოლილი კაცი შერჩა ხელში. „ბებერო მელა!“

ლუკას უცებ სახე აელეწა. ერთბაშად გაახსენდა, რა სირცხვილიცა ჭამა ნიკას პანაშვილზე; უნებლიეთ თუ ყმაწვილკაციური დაუდევრობით რომ შეურაცხჰყო და გაამახსრა მიცვალბულის..

და განა ნიკას ეს ეკუთვნოდა ლუკასგან, განა ამას ელოდა, როცა ოციანი წლების დასაწყისში ნაძალადევის ვიწრო, მიყრუებული ქუჩის პატარა ეზოში სახლდებოდა...

ლუკას იგი ფეხზე მოსიარულე არც უნახავს — კარგა ხნის ჩავარდნილი იყო ლოგინად. ეზოს კუთხეში მიყუჟულ პატარა ხუხულაში ამოსდიოდა სული.

Пути господни-ს ახსენებდა ზოლმე, პეტერბურგში ჰქონია ნასწავლი, ვიდრე გამოავდებდნენ. ლუკას ვერ წარმოედგინა, საიდან და როგორ შეიძლება ბატონ ნიკას გამოვდება. რაც ახლაა, მაშინაც ის იქნებოდაო, წამოაყრანტალა ერთხელაც ბეყე-ავთომ.

ლუკას გული მოუვიდა: ვინ ეკითხებოდა ქუჩის გადაღმა ეზოდან შემოთრეულ ბეყე-ავთოს, ლუკას რომ კარის მეზობელს ულანძღავდა?! ბეყე-ავთო ერთი წლით უფროსი იყო და ლუკამაც ვერაფერი შეებდა, თავისთვის ბურტყუნებდა მარტო — დაეტიოს თავის ეზოში, ჩვენთან რას დაეხტებოდა. ლუკა საჭმელს მიეძალა — ბეყე-ავთოს უნდა დასწოლდა სიმაღლეში და კიდევ გაელახა იგი.

ან კი რას ერჩოდა! ბეყე-ავთო ლუკაზე უფროსი კი იყო. მაგრამ სკოლაში არც ის იყო ჯერ მისული და, თუკი ბატონ ნიკაზე რაიმე დასცდა, უთუოდ მშობლებისაგან გაგონილს იმეორებდა კაჭკაჭვით.

გვეც რომ არა, ვერც ლუკას გონება გასწვდა იმდენს, ლოგინს მიჯაჭვული კაცი ფეხზე წამომდგარი რომ წარმოედგინა. გაგონილი კი ჰქონდა, ბატონი ნიკა თავის დროზე ტანადი და მშვენიერი შე-

სახედავი კაცი რომ ყოფილა, მაგრამ როგორც კი ჩამომდნარი მოზუციის გაახალგაზრდავებას შეეცდებოდა, ლოგინში გამოტოლი კაცი მამამისის სახეიერს იღებდა...

მამამისს ლოგინში უსაქმოდ, ნებივრად კოტრილის უფლება კარგა ხანია აყრილი ჰქონდა; ავადმყოფობასაც იშვითად თუ დაუწევებოდა. როგორც კი სიცხე გამოჩნდებოდა, ცოლის უნუმრად ლუკას გამოალაგებინებდა კარადაში შეყრილ ტანისამოსს, საწოლიდან ფეხებს გადმოაწყოდა და ოხერა-ხენეშით ამოცვამდა შარვალს. ლუკა წინ ჩამოუსკუპდებოდა და თვალს ვეღარ ამორებდა მამის ბანჯგვლიან კანკებს. ლუკა პირწავარდნილი მამა იყო, ყველაფერში დაემგვანა მას: სიმჭლევეით, ცხვირით, თვალისა თუ კანის ფერით. მარტო მოტიტკვლებული ფეხები დაღატობდა. ვერ გაეგო თუ რისი მაქნისი იყო ბალანი, მაგრამ მამამისს რაკი ჰქონდა, თვითონაც უნდა ჰქონოდა უსათოოდ.

კი უთქვამს გიგას — გაიზრდები, შენც ამოგივო, მაგრამ, აი, რამდენი თვე გასულიყო მას მერე, მაგრამ ბალანი ლუკას არა და არ ამოსდრიოდა. ძალზე შიშობდა, ქოსა-მიშას არ დამგვანებოდა, უბანი რომ პირში ქოსატყუილას ეძახდა, პირს უკან კი საჭურისს.

საჭურისის რაობა რომ იკითხა, მამამისმა თვალები ჭყიტა, შუბლი მოისრისა და ამჯობინა, ბანზე აეგლო სიტყვა.

ლუკა აღარ ჩასციებია, „საჭურისი“ მუხსიერების ყულაბაში ჩაუშვა; ყულაბაში, სადაც ინახავდა ყოველივეს, რაზეც კი უფროსები ხელს აუკრავდნენ — გაიზრდები და თავად მიხვდები.

„გაზრდა“ ლუკას ცნობიერებაში სკოლაში წასვლასთან იყო გაიგივებული და მომავალი წლის შემოდგომასაც დიდი იმედით ელოდა.

გაუგებარი სიტყვები, იქამდე თითქოს მკვამლე, შემოდგომისკენ უნდა დამწიფებულიყვნენ, საჭირო ფერი და გემო მიეღოთ; შემოდგომის პირველსავე დღეს ყულაბა თავისით გადასკვებოდა, მოწე-

ული ბროწეულივით, და უმაღლესად გახდებოდა, რაც აკაეშირებდა საჭურისსა და ქოსას.

ერთი სული ჰქონდა, თუ როდის მივიდოდა სკოლაში და თუკი მასწავლებელი იკითხავდა, ვინ რა იცითო, ამაყად წამოდებოდა და ყველას გასაკონად გამოაცხადებდა: ვიცი, რაც არის „საჭურისი!“

იმაზეც ბევრჯერ უფიქრია, ბატონ ნიკას ჰქონდა ფეხებზე ბალანი თუ არა. როგორ გაბედავდა მოზუციასთვის საბნის გადაწევისა და ქვეშ შეჭყეტას. ამიტომაც ცდილობდა, წარმოედგინა თუ როგორ გადმოაწყოდა იგი ლოგინიდან ფეხებს.

რამდენჯერაც კი წარმოედგინა, ფეხები ბატონ ნიკას ყოველთვის ბალნით ჰქონდა დაფარული პატიოსნად. მაგრამ როგორც კი თვალს ზევით ააყოლებდა, ისევ გიგა შერჩებოდა ხოლმე ხელში; ვეღარ გაეგო, ის ბანჯგვლიანი ფეხები ბატონ ნიკასი იყო თუ გიგასი.

ბალანზე უფრო ძნელი წარმოსადგენი კი ფეხზე მოსიარული ნიკა იყო. ლუკას იქნებ ასე არც გასჭირვებოდა, ნიკასთვის ლოგინად ჩაყარდნამდე ერთხელ მინც რომ მოეკრა თვალად.

მაგრამ მამის ხუთი წლის კი არა — ათის უნდა ყოფილიყო, ხოლო ახალგაზრდასა და თვალტანადს რომ შესწრებოდა — ოცდაათის...

ახალი კაცის გამოჩენა უბანში, სადაც ერთიმეორეზე ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა, გამოაცოცხლებდა ხოლმე იქაურობას. ვიდრე თავისიანად არ მიიჩნეოდნენ, ასეთ კაცს სახელით არავინ მოიხსენიებდა — ჩამოთესლებულიო. ჰოდა, კაცი თუ ნამეტანი შორიდან არ იყო ჩამოთესლებული, უბანი არ დაიზარებდა და სანდო კაცს მიაუღებდა ჩამოსულის უწინდელ ბინაზე ამბის გასაგებად. თითო-ორიოლა ჭორს ქარი მოიტანდა, დანარჩენს თავად ჩამოთესლებულს დაფუძვევინებდნენ და ცოტა ხანში უკვე მოიმწვანებდნენ კიდევ.

ნიკასთან ეს ფანდი არ გაუვიდათ — ნამეტანი ეშორათ პეტერბურგი; არც ნი-

კა აპირებდა, მეზობლებს ჩამოდგომოდა და ჩაეკაკლა თუ საით იყო დღიდან გაჩენისა წასული და წამოსული. უბანიც, სხვა რა დარჩენოდა, რაც იცოდა, იმას ქექავდა, უკირკიტებდა. იმ ცოტაოდენ გასაქექში კი თავი და თავი სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამოვდება იყო. ეს მაინც იცოდნენ დანამდვილებით და ნიკას არსებობის ნიშანსვეტადაც სწორედ ეს იყო მიჩნეული.

ზოგმა ნიკა ეტაპს აადევნა და რევოლუციის მერედა აღირსა ციმბირიდან ჩამოსვლა. აბა, კაცმა რომ თქვას, თუ არა ციმბირში, სხვაგან სად უნდა ჩამომდნარიყო ასეთნაირად?!

ამ ქვეყანას უსაქმურს რა გამოუღევეს, თუმცა მაინცდამაინც არც დასაქმებულა არიდებდა ლაპარაკს თავს. იმდენი ქნეს — გული დააჯერეს, ვითომდა ტახტიდან მეფის გადმოგდებაში ნიკასაც ერია ხელი. გადიოდა წლები და, ნიკას რომ არავინ ემახდა მთავრობაში, ზოგიერთებმა ანარქისტობა დასწამეს.

თვითონ ნიკას როცა ჰკითხავდნენ — ელიმებოდა: ინჟინერი ვარო... ჯერ სულ ახლად დასახლებულმა შორიდან რომ მავთული გამოჭიმა, სახურავებს გადმოატარა და თავის ხუნულაში, მაგიდაზე შემოდებულ შავ ყუთს მიუერთა, იფიქრეს — გაგიჟდაო. იმთავითვე უთქვამს ნიკას — ეს ისეთი ხელსაწყოა, რომ კაცი სხვა ქალაქში ილაპარაკებს, ჩვენ კი აქ გავიგონებთო, მაგრამ ვინ დაუჯერა!

ნიკამ უბნის კაცებს თავი რომ მოუყარა და ყველაზე გულადს ყურზე მიადლო შავი „ნაუშნიკი“, იმ გულადმაც კი ელდანაკრავივით მოისროლა ყურზე მიკრული ჯადო. დანარჩენების სიცილი უნდა გენახა თურმე!

შიში რომ გაუნელდა, ყოჩმა — აბა, კიდევ ვცდიო; სკამზეც კი ჩამოჯდა, „ჯადოს“ რომ არ ეჯობნა, მერე შიშისაგან გაშეშებული კისერი ნიკასკენ მიაბრუნა და ყურზე ანიშნა, მომადგეო. ამფსონებმა შეგულიანება სცადეს — აბა, ჰეო, — და გაისუსნენ: ასე ენაჩაგდებულნი ჯერ არ ენახათ უბნის ყოჩი, ფერწასული, თვალამდგრეული რომ მისჩე-

რებოდა კედელს: დოქით წყალი შენთან ვაზეს, პაპიროსიც... ყოჩს კი მათთვის აღარ სცხელოდა: ფერი მოუვიდა; სახე თანდათან გაებადრა, თვალეზი აუციმციმდა:

— ი, კაცია შიგ, კაცი...

ჩოჩქოლი ატყდა, კაცები „შავ ჯადოს“ დასცქეროდნენ, სველ თბის ადებდნენ წამიერად, ვითომ გავარვარებული უთო ყოფილიყოს, ზოგმა დაწოსა კი დეც. მაგრამ ყურთან მიიღებდნენ: თუ არა, ყველას ერთი ეკერა პირზე — კაცია შიგ, კაცი!!!

რა არ უთქვამს მაშინ ნიკას: ატომებიო, ელექტრონები; სინუსოიდაც კი დაუხატავს.

კულიანილო, გაიფიქრეს, თორემ აშხელა, სინუსოა თუ რაღაც ჯანდაბა, ასეთ წერილ მავთულში როგორ გააძვრინარი.

ხალხში გაიკითხეს, ქალაქის მესვეურებში — მართლა ყოფილა რაღაც „რაბლიო“. ნასწავლი კაცის სახელი გაუვარდა. შინაური, გარეული, დიდი თუ პატარა „პატონ ნიკად“ მოიხსენიებდნენ.

ხანი გავიდა და რადიოსაც შეაჩვია ხალხმა ყური; თუმცა რამე უცნაურს თუ წააწყვდებოდნენ ან ყურს მოჰკრავდნენ, ისევ და ისევ ნიკასთან უნდა მისულიყვნენ შესაკითხად...

სულ რომ ფიანდაზად გაეგო, ყველას გული ვის მოუგია. ისეთებიც გამოინახნენ, ხმა რომ დაუგდეს: მიტრა ჯერაც ცოცხალი იყო, ნიკამ მის ქეთევანს თვალი რომ დაადგაო.

იმასაც ამბობდნენ, თითქოს ამ ხუნულაშიც ქეთევანის გამო დასახლებულიყო.

ნიკას არავისთვის გაუცია პასუხი, არც ავად, არც კარგად. მიტრას სიკვდილიდან წელიწადნახევრის მერე მიტრას ძმებისთვის უთქვამს: „მე და თქვენ რძალს შეუღლება გვეწადის, ბავშვებსაც პატრონი ყოვლივით...“

მაზღებს სიცილად არა ყოფნით, შენნაირ გლახაკს რძალს როგორ მივათხოვებთ, ძმისწულუბსაც ჩვენ ვუპატრონებთ და ეგვე შენ შენთვისო.

ბევრს ცდილა თურმე ნიკა, მიტრას

მძებრი დაეთანხმებინა, მაგრამ ქალმა, მახლები რომ ბავშვების წართმევით დაემუქრნენ. ხმა გაკმინდა და ნიკაც იძულებული გამხდარა, თავისთვის დაგდეულიყო.

ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არ დისრუბიათ... ნიკას ხუხულა იყო მალულს სიყვარულისა და ენების ერთადერთი თავშესაფარი.

მახლებმა: „ქალო, შენ თუ ნამუსზე ხელი ავიღია, დრო მოვა და მოგეკითხება, ჩვენი ძმისწულები კი არ დავინახოთ იმ...“

ბავშვები, ვიდრე პატარები იყვნენ, ქუჩაში ყიალი რომ მოხერხდებოდათ. ნიკას ხუხულაში შეიკუნცებოდნენ ხოლმე. მერე ბიძის ქამარი იწვინეს და იქით გახედვასაც ერიდებოდნენ.

დაიზარდნენ, თავ-თავიანთი გზა მონახეს. თითქოს შინ აღარაფერი იჭერდათ, თითქოს ჯადო ჰქონდა სახლს გაკეთებული — დაიფანტნენ, ქვეყანას მოეღვენენ.

ნიკა ლოგინად ჩავარდა, ხანი ქეთევანსაც დაეტყო, დროადრო მოსცელაუდა ხოლმე. სანახავად უმცროსი მახლის ცოლი თუ ამოაკითხავდა, დანარჩენები, როგორც კეთროვანს, პირს არიდებდნენ. ნიკა კი მეზობლების ანაბარა რჩებოდა და ღვთის...

ერთხელ, ამას უკვე ლუკაც შეესწრო, დამ და სიმემ ჩამოაკითხეს. ეზოში რიგინად არც იყვნენ შემოსულები, ლუკამ დედას წაკრა ხელი. ბატონ ნიკას და არისო, წასწურულა დედამ და შემოსულებს მიესალმა. ერთმანეთი მოიკითხეს; ამათ საიდანლა იცნობსო. გაუკვირდა ლუკას. კაცმა თმაზე გადაუსვა ხელი, — რამხელა გავრდილხარ! შინაა ძია ნიკა?

— დიახ, — თავი დაუქნია ლუკამ, უნდოდა დაემატებინა, აბა სად წავიდოდაო; დედას ახედა და გაჩუმება არჩია.

ორივემ ნიკას ოთახამდე მიაღვენა ჩამოსულთ თვალი. ამ სიცხეში კარი რად მოიხურესო, ფიქრობდა ლუკა. ქალი, ალბათ, სკამზე ჩამოჯდებოდა, კაცი... ტაბურეტზე წიგნები ეწყო, გადაა-

ლაგებსო, გაიფიქრა და გულზე მიიმუშავით ჩამოკიდებულ, სარეცხის სამაგრებით დახუნძლულ კანაფზე დაიხედა.

ასხმულა რომ ყბამოქცეულ შალვას არ დამსვავსებოდა, ლუკა ცდილობდა, სამაგრები თანაბრად გაენაწილებინა: სამაგრი — მარცხნივ, სამაგრი — მარჯვნივ. ორი პერანგიც და, ზეწარს ჩამოეხსნითო, იმედით შეჰყურებდა სარეცხის თოკს: სიგრძეზე გადაფენილ ზეწარს ხომ ექვსი სამაგრი ჰქონდა!..

დედა ხახალს ჩასჩერებოდა; ლუკა აწრიოდა:

— მიდი, დე, ჩამოხსენი, არ ვაწვიმდე.

გაავრების პირი არ უჩანდა მოწმენდილ ცას, თუმცა სარეცხის დარდი რომ არ ჰქონდა ლუკას, დედამისმაც კარგად იცოდა; ხელი გადაუსვა თავზე, პერანგებს გვერდი აუარა და ზეწარს მიაღვა. ლუკა წამოენთო — ეშმაკობას მიმიხვდაო, და ის ექვსი სამაგრი ზეწარს რაც მოჰყვა, მამინეე როდი აასხა კანაფზე; ჯერ ხელში ატრიალა, აქეთ-იქითაც გაიხედ-გამოიხედა, თითქოს სამაგრები სულაც არაფრად უღირდა, და წინა ექვსს როცა ორი პერანგის ოთხი სამაგრიც დაემატა და ხელში ვეღარ დაიტია, გაიფიქრა — უკვე შეიძლება ასხმულაზე მათი გადატანა...

ნიკას ხუხულის სიფრიფანა კედელი თითქოს კიდევ უფრო გათხელებულიყო, ისე მკაფიოდ ისმოდა ყოველივე იქ ნათქვამი. მოსული კაცის მჭახე ხმამ ერთი ორჯერ შეაზანზარა იქაურობა, ქალის წიკვინს კი შემოდგომის წვიმასავით ბოლო არ უჩანდა.

— დე, რატომ ეჩხუბებიან ბატონ ნიკას?

შინ ეძახიანო, ამოიოხრა ლიზამ.

— მაშ, ეს რაა, — ლუკამ ხუხულაზე ანიშნა.

— სოფელში ჰქონიათ დიდი სახლი.

ლუკა ძალიანაც ეცადა, დიდი სახლი წარმოედგინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თავიანთ ოთახს დეიდა ქეთოს ოთახი და ნიკას ხუხულა მიუერთა და ამას დასჯერდა.

დედამ სავსე ხახალი თეძოზე მიიბჯინა, ლუკას უხმო, გაძალიანებულს ხელი ღონივრად ჩასჭიდა და ოთახში ჩაათრია.

— გამიშვი, დე, ავალ რა ეზოში, — აწკმუტუნდა ლუკა, — გამიშვი, არ გავალ ქუჩაში, — უცებ გაირინდა, კაბაზე შეახო ხელი, — ტირი, დე?

— ენამავ... — ქალმა ხელი მოისვა სახეზე, თითები წყლიან ჯვამში დაისველა და მაგიდაზე გაშლილ პერანგს დააბურტყა. — უბედური...

— ვინა, დე?

— მიდი, მურაბის ქილას მოხადე თავი...

ლუკა გაკვირვებული მიაჩერდა დედას, — ნაძვის ხესაც დამიდგამ?

— ამ პაპანაქებაში?!. დაგიდგამ, მოიცადე ცოტაც...

...შემოდგომამ, წვიმას გადაღების პირი რომ აღარ უჩანს, გულის გაწვრილება იცის, პატარა ოთახის ოთხ კედელს შუა.

ზამთარიც კი ნაკლებად ეჯავრებოდა ლუკას, ზამთარში ღუმელს ააგიზგიზებდნენ ხოლმე; იშვიათი თოვლი გააქათქათებდა არემარეს...

— მამა, ბატონი რაა?

— ბატონი?... საქართველოში მეფესაც ეძახდნენ მასე; მემამულეც ბატონია.

— მემამულე რაა?

— ვისაც მამულები აქვს, მაცადე, გეტყვი, — გაუღიმა შესაკითხად პირდაღებულ ლუკას, — მინდორ-ველები, ტყეები, სახნავ-სათესი; გლეხები ჰყავს.

— გლეხები რაღაა?

— გლეხები რააო! პაპაშენი სამარეში გადაბრუნდება... მუშები, ოღონდ სოფლად. ბატონები... ყველა არა, თითო-ორი, ქვეყანაზე ფიქრობდა; დანარჩენები ნადირობაში და ქეიფში ატარებდნენ წუთისოფელს; გლეხები კი ინახავდნენ მათ.

— სად ინახავდნენ?

— რა ვითხრა აბა, უვლიდნენ, გაიგე?

— გავიგე. ბატონ ნიკას გლეხები სადღა არიან?

გიგა აქამდე ცდილობდა ღიმილი არ

მორეოდა, მაგრამ ახლა ყოველი ცდა წყალში ჩაეყარა.

— შენ რა ვითხარი! ბატონ ნიკას გლეხები არცა ჰყოლია.

— აფსუს.

— ეგ ვითომ რათაო?!

— ცოდოა, მოუვლიდნენ.

გიგას ღიმილი შეაშრა, დადუმდა. ქონიორზე ხელი გადაუსვა შვილს, გაიფიქრა, გაზრდილა და ვერ შეგამჩნიო. მართლაც და, განა მოხუცის მოვლა ეგ იყო, ხანდახან ღიზს საცვლებს რომ ამოურეცხავდა, სადილს შეაწვდიდა ან ლუკას ხელით ნამცხვარსა თუ ხილს შუგუზავნიდნენ. სიკეთეს ღმერთი არ დაგივიწყებო, ქალბატონო ღიზა, მიხრწნილი ხმით გამოსძახებდა მოხუცი. ეგ რომელი, ამოიოხრებდა ღიზა, არც ერთს რომ არ გეწამს, ისაო?..

— თუ გლეხები არა ჰყავს, რაღა ბატონია?

— განსწავლულია...

— რაა?

— ნასწავლი.

— ნასწავლი ხომ შენცა ხარ.

— მეც... ოღონდ მე რომ შენი ხნის ვიყავი, ეგ უკვე ნასწავლი იყო; თუმცა მაგას რა ჭკუა აქვს, ვინ ადრე და ვინ გვიან. — გიგა შეყოვნდა, სიტყვას დაეძებდა ისეთს, ნიკას ბუნებაც რომ გამოეხატა და ლუკასთვისაც გასაგები ყოფილიყო. — ინტელიგენტია!

— გავიგე. — „ინტელიგენტს“ ლუკამ ვერაფერი გაუგო. მამისა დაიჯერა — კარგი რამ იქნებო...

საბავშვო ბაღი შორს ჰქონდათ და მის სანაცვლოდ ლუკა ბატონ ნიკას მიაბარეს. ნიკას ხმის გამკეში გაუჩნდა, წყლის მიმწოდებელი. ლუკამ კი თვლა ისწავლა, ანბანი, წელიწადის დრონი, თვეები, ნაკიანობა.

ნიკასთან ნასწავლითა თუ გაგონილით შინ იწონებდა თავს!

— დედამიწა მრგვალია!

— კარგი, შე კაცო, მართლა?! — შეიცხადა გიგამ. განცვიფრება რომ არ გაყალბებულყო, ტუჩების ერთად მოყრას ღამობდა.

— აბა! — სიამაყით გადივსო ლუკა, — დიდა და ვერ ვაძინებთ!

გულახდილობაზე რომ მიმდგარიყო საქმე, დედამიწის სიმრგვალე ცოტათი ლუკასაც აეჭვებდა, მაგრამ რაკი ბატონი ნიკა ამბობდა...

ახალი წლის დილას, გონინაყით შესულს, ნიკამ მიწებამოცლილი pinsenez მორგო პაჭუა ცხვირზე.

— სხვა არა მახადია, ჩემო ლუკა, ნუ დამძრახავ. გიხდება ძალზე!

ლუკამ სარკეში შეთავალიერა თავი. მერე ნიკას პენსნესკენ გააპარა თვალი მალულად. ამოიოხრა, შუშებიანი სჯობიაო. უცებ წამოენთო, მადლობის თქმა დაეწყო — ლოყაზე ემთხვია მასწავლებელს.

მოსუცი აღერსს გადაწვეულიყო, შეფრთხილდა, იფიქრა, ბიჭს კინკრინოზე მაინც ვაკოცებო. ვიდრე მიმჭკნარი, გაბეალებული ხელები დაიმორჩილა, ჰაერში ააფათურა, ლუკა უკვე სარკეს მისწერებოდა ისევ. შუშების ბრალი იყო თუ რა — თავისი თავი ბატონ ნიკაზე ნაკლებად განსწავლული ეჩვენა. დადონდა. მერე მოსუცის სიტყვა გაახსენდა, გიხდებაო, და გულზე მოეშვა ცოტა.

თვალი გაუშტერდა ჩაფიქრებულს: ზაფხულამდე სხაპასხუპით კითხვა თუ ვისწავლე და იქამდე არც არაფერი გავტეხე, ვთხოვო იქნებ და, სულ არარაობას, ერთი შუშა მაინც ჩავასმევიინო.

ერთხელაც ჰკითხეს, ვინ გინდა გამხვადიო. „ბატონი ნიკა, ინტელიგენტი!“

მათ „გიმნაზიას“ კვირა და უქმე არა ჰქონია. მხოლოდ ზაფხულის არდადეგები — ლუკასა და მის უფროს დას სოფელში რომ წაასხამდნენ მამიდასთან.

ნუცასაც ბატონ ნიკას გიმნაზია ჰქონდა გამოვლილი, ოღონდ დედამიწის სიმრგვალე მას ნაკლებად ენადვლებოდა, უფრო — კარმენის უკერტიურა და... მოცარტი. ნიკას ხომ პატეფონიც ჰქონდა — დიდი, წინგოსფერი ყუთი, რომლის თავსახურის შიგა მხარეზე სანდომიანი თეთრი დათვი იყო გამოსახული.

ერთხელ ასწავლა ნიკამ მისი მომართვა და მას მერე...

ნუცამ მძა აიყოლია და ორივენი წინ ჩამოუდგნენ მამას:

— გვიფიდე რა პიანინო.

ვაი მამათქვენსო, ამოიოხრა გიგამ.

მათი სურვილის აღსრულებას ორი რამ სჭირდებოდა: ფული და დასადგმელი ადგილი. მეორე პირობას კიდევ შემოევლებოდა რაღაცნაირად — კარადას ჩააჩინებდა, ტახტს შემოაბრუნებდა ფანჯრის გაყოლებაზე; ფანჯარასთან მისვლა გაძნელებოდა, მაგრამ მაგასაც შეეგუებოდა კაცი; ფული კი...

სულ ნუცას ყურების ბრალი იყო ყველაფერი.

— ვვინებ, — უთქვამს ნიკას, — ჩვენს ნუცას აბსოლუტური სმენა აქვს.

— აბსოლუტური ამქვეყნად არაფერია და რაღა მაინცდამაინც ჩემ ნუცას გაუწყრა დემრთი?!

— სტაკოვსკის ყურები აბა! სტაკოვსკისა!

სტაკოვსკის ხსენება გიგას ბარემაც ეამა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ დაეთანხმა ნიკას. ყურები ნუცას არა სტაკოვსკისა, არამედ მამჩემისა გამოჰყვავო, ფიქრობდა გიგა სიამაყით; როგორ შემოსძახებდა ხოლმე „სხვათა მოჯამაგერობას ადვილად იტყვის ენაო“ ან მინავლებული ხმით — „წინწყაროს“. გაისუსებოდა ასკაციანი ქორწილი...

თანაც ერთ დღეს ზომ არ იკმარებდნენ საქეიფოდ, გადააბამდნენ სამ-ოთხ დღეს და თუკი საღმე დიდი ღზინი გაიმართებოდა, თამადად უთუოდ დიდლუკა უნდა ყოფილიყო. რამდენჯერ ქალაქიდანვე (შეშა ჩაჰქონდა იქ, გასაყიდად) წაუყვანიათ მეზობელ სოფელში. გზიდან შემოთვლიდა: ჩოხა დამაწიეთ, შარვალი და ახალი აზიაცკებიო..

— მამჩემის ნამდერი ხომ ვახსოვთ?

— კაცოც დიდებული იყო და სიმღერაც დიდებული იცოდა. თქვენი მიკვირს, ასეთი მამის შვილი და არა მღეროდეს?!

— სმენა მდალატობს, ბატონო ნიკა.

— ძნელი დასაჯერებელია. გიცდიათ კი?

— ერთი ორჯერ; კარგი არაფერი გამოვიდა და გაუნუმიდა.

— მერედა, ვინ ვითხრათ — კარგი გამოვიდა თუ ცუდი?

— მაგის გარჩევა მაინც შემიძლია, სხვა თუ არა.

— დალოცვილო, ეგ უსმენობა კი არა, ყალბი დეტონაციაა.

— რაც გნებათ, ის დაუძახეთ, მამაჩემი კი გულნაკლული წავიდა იმქვეყნად — შვილებს სიმღერა ვერ შევაყვარეო.

ნიკა გაჩუმდა. უღვაშს დაუწყო წვალებს; მერე უღვაშს თავი ანება და ისევ გიგას მიუბრუნდა:

— სოფლად დიდლუკას რომ ეძახდნენ — ვიცოდე და, ცხონებულმა, ზოგ-ზოგი გველლუკასაც მეძახისო.

— ეგრე იყო. დაგესულა და პირში მიხლა მაინცდამაინც არ ჰყვარებია და საიდან გამოტყვერა ეს მეტსახელი, დღემდე არ ვიცი.

— უთუოდ ჰქვიანი კაცი იყო მამათქვენი და არც მალავდა ამას... არა, იმას როგორ ვაკადრებ, თითქოს ჰქუა ოდესმე შარაზე გამოეტანოს, მაგრამ... ატყობდნენ, ხმაც რომ არ ამოეღო, გამოხედვარე ატყობდნენ, ვერაფერს გამოაპარებდნენ... ჰოდა, ყველას როდი უყვარს მაგისთანა კაცი. ეჰ, — ნიკამ ამოიოხრა და თავი გააქანა სინანულით, — დრო გავა და გადაჯიშდებით გველლუკას შვილები. Придуриваться станете.

ნიკამ ისევ ამოიოხრა, თვალი გაუშტერდა. ლამაზა ნუჭრიანი იყო; ერთ ადგილას ნუჭრი გამოვარდნილიყო და ცერის სიმსხო ხვრელი შავ, დიდრონ ხოჭოდ მოჩანდა თეთრ ჭერზე.

— კაცი არ უნდა გამოსულიყო გამოქვაბულიდან...

— თქვენგან გამკვირვებია, ბატონო ნიკა... კაცობრიობა ორთველიან ველოსიპედს ჰგავს — მუდამ მოძრაობაში უნდა იყოს თუ არადა...

— თქვენია თუ სხვისი, მაგ შედარებას ერთი ნაკლი აქვს, ეგ თქვენი ველოსიპედი უკან ვერ ივლის.

— უკან ვერც კაცობრიობა ივლის, იმ გზით მაინც, რომლითაც დღემდე უვლია. თუმცა ერთი უზუსტობა ახლა მეც დავინახე: surplace! მაგრამ ისიც დროებითია... მერე მოწყდები ერთბაშად ადგილს და...

— მხოლოდ სიურპლასის იმედზე თქვენი მტერი დადგა... მე კი, ჩემო გიგა, მგონია, რომ კაცობრიობა ველურ ბაღს უფრო წააგავს. ცხოვრობს ველური ბუნების კანონით. დროდადრო კი ცდილობს, ცხოვრება იგი მის მიერვე შემუშავებულ ეთიკურ ნორმებს დაუმორჩილოს.

— ალბათ, გაველურების გზაზე დამდგარი ბალი ვართ, არა?

— ძნელია მაგის თქმა, ძნელი... ეს ორი პროცესი სიამის ტყუპებით განუყრელნი არიან. ერთ ძმას პროგრესი ჰქვია, მეორეს კი რეგრესი. ორივე სახელს, მოგეხსენებათ, ერთი ფუძე კი აქვთ, gresus, მაგრამ განგებისაგან მისჯილმა ერთად ყოფნამ და ბორკილივით ერთმანეთის თრევამ ძმები იმდენად მოღალა და გააბეზრა, რომ უეშმაკო ხრიკს მიმართეს: საერთო რომ სახელში მაინც აღარაფერი ჰქონოდათ, ფუძეზე უარს თქვეს და წინსართებიდა დაიტოვეს სახელებად პრო და რე.

წუთისოფელს კინკლაობაში ატარებენ, უბრობაში. ხანაც ხელჩართულ ბრძოლაში... თუმცა დროდ:დრო ერთმანეთს კიდევაც დაუტკებებიან ხოლმე, პირს შეკრავენ; ამ დროს ყველაზე მეტად ძმებს ხალხის გასულელება უყვართ თურმე: სახელებს გაცვლიან ხოლმე მალულად და ვედარავის გაუგია თუ რომელმა პრო და რომელი რე.

ნიკას თვალი გაუშტერდა ისევ... ფანჯარაში ალუბლის ტოტი მოჩანდა. მიჩანდა მეზობლის ფარდულის კედელი; კედელთან — დაბრეცილი სკივრი და ფოცხია... ფანჯარასთან ახლოს მისული ცის ნაფლეთსაც დანახავდა კაცი; კრახანის ბუდეს, მითოვებულსა და აფშუტებულს, სახურავის კოჭზე გულდაგულ მიმაგრებულს...

გიგა შეიშმუნა, გამომშვიდობება და

გასვლა დააპირა; ნიკას მიუტრიალდა... შეეცოდა, ზმანება არ დაუფრთხოო; სკამს შეეყინა. ვინ იცისო, ფიქრობდა. რა ეხატება: ნევის პროსპექტი თუ პეტროფის შადრევნები, მეჯლისი თუ ყოველი არეული დროის მანიშნებელი — დისპუტი ან მიტინგი... იქნებ სინანულს შეეპყრო, ამ ხუხულაში რომ ამოსდიოდა სული. იქნებ...

ნიკას ზმანების ამოცნობით გართულს ნიკასივე ხმა ეუცხოვა:

— არ ვიცი, ჩემო გიგა, რაზე ფიქრობდით, ბავშვს კი ინსტრუმენტი სჭირდება.

— ვიცი, — ამოიხრა გიგამ. — არც ჩემი მღვთმარობა გესწავლებათ.

— არ მესწავლება... იქნებ მუსიკალურ სკოლაში მიგვეყვანა.

— ეცადე, არ ქნეს. წელს დაგვიანებულაო. ეგეც რომ არა, მისაღები გამოცდებია ჩასაბარებელი.

— მაშ, გამოცდები... გამოცდები... ახალგაზრდობაში ერთი ამხანაგი მყავდა, კობიაშვილის ქალი. ცოცხალი თუამისამართს მოგცენო, წერილს დაგიწერო, თვეში ერთხელ რომ მაინც მივიღოთ, იქნებ არც ფული გამოგართვით.

კობიაშვილის ქალი, ბედად, ჯერაც ცოცხალი იყო. ნუცა ამღერა, მაგიდაზე ფანქრით აკაკუნებინა. გიგამ რომ ფულზე ჩამოუგდო ლაპარაკი — შეიცხადა.

კვირაში ერთხელ იბარებდა ხოლმე. ეფერებოდა და ანებივრებდა ნუცას, მაგრამ თვის დამლეკს, თითქოს ნიკასთან პირი შეკრაო, დაიჟინა — უინსტრუმენტოდ აღარ იქნებაო.

გიგამ ბევრი იმტვრია თავი და უკეთესი რომ ვერა გამოხაზა, თეთრი ქალღმერთის ზოლზე კლავიატურა გამოხაზა ტუშით, ზოლი ფიჭვის ვიწრო ფიცარზე დაწება — ჯერჯერობით ამას დასჯერდნენო.

იმ ფიცარს ნუცა აღარც შეღვევია; ილღიაში ამოჩრილს მუდამ თან დაატარებდა, შინ და გარეთ; ჩამოჯდებოდა საღმე, მუხლებზე დაიდებდა, „კლავიატურას“ ცხვირსახოცს გადაუსვამდა კობიაშვილის ქალივით, და ფრთხილად,

სასოებით შეახებდა ფიცარს თითქმის მერე რა, არც ერთი „კლავიში“ თუ არ იდრიკებოდა, მთავარი ის იყო, ბგერა რომ მაინც ჩაესმოდა ყურში!

ცხვირსახოცის გადასმა გაცილებით იოლი საქმე გამოდგა, ვიდრე წამდაუნუმ ხელის დაბანა. ტუშით ნახაზი „კლავიატურა“ მალე გაიქონა, გაიზინტლა. ნუცამ მისი გარეცხვა სცადა: ფიცარი შუა ეზოში მდგომ ონკანს შეუშვირა... ტუშმა შავი „კლავიშებიდან“ აეთრში გაჟონა, დაქსელა იქაურობა, მერე მღვრიე ნაკადად, გლისანდოსავით დაუყვა თავდაღმა ფიცარს.

ტირილი რომ საქმეს შეელოდეს, აბურცული ქალადი გაიტაცებოდა, წყალს ჩაყოლილი ტუში აღმა დაიწყებდა დინებას და თავის ადვილს მონახავდა.

ცრემლს შვება მოაქვსო; გიგა რომ სამსახურიდან დაბრუნდა, ნუცას უკვე გამოტირებული ჰქონდა „კლავიატურა“; ეზოში იჯდა გარინდებული, ასლოკინებდა.

დატუქსვა აღარას უშველიდა და გიგამ ფულის სასესხებლად მეზობლებს ჩამოუარა...

...იმ ზაფხულს ტყემალმა დაისხა კარგად. ივნისის მიწურულს ბალი უკვე მოლეულია ხოლმე, ჭერამი კი ჯერაც არაა შემოსული.

ტყემალს, ვიდრე მკვახეა და პირს შუშხავს, დროდადრო მაინც წაატანდნენ ხოლმე ხელს ბავშვები, მწიფე კი სოფლად ხილად არ ითვლებოდა.

მეორე კვირა ილეოდა, გიგამ რომ ვერ ააკითხა ქალაქიდან და უხილობითა თუ მამის უნახაობით ყურებსჩამოყრილი ბავშვები ცოტათი მაინც რომ გაეხალისებინა, ლიზამ სპილენძის დიდი თასი გამოდგა განჯინიდან. თასის დანახვაზე ბავშვებს გული შეუტოკდათ, მურაბის მოხარშვის გარდა, ამ თასს სხვა არაფერში იყენებდნენ. ჯერ ადრეო, გაიფიქრეს, ტყემალს თუ რივიანად დამწიფება არ ვაცადეთ, ბევრი შაქარი წავაო. ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ხეზე აძვრნენ, ტყემალი ჩამოკრიფეს; უფროსებს არ დაანებეს და

თვითონვე გარეცხეს და დააცალეს ყუნ-
 წები.

ახლა ოთხივენი ზედადგარს ესხდნენ
 გარს კოვზომარჯვებულები — მურაბას
 მოხარშვამდე ჯერაც ბევრი აკლდა, ქა-
 ფი კი წუთი-წუთზე უნდა მოეგლო.

ღობიდან ძალომ გადმოსძახათ, შუა
 ზაფხულში ცეცხლს რომ მიფიცხები-
 აართ, აზირ, გზისკე გაიხედოთო.

ბავშვები წამოხტნენ, მამა ჩამოსუ-
 ლაო და ვიღას ახსოვდა მურაბა ან მუ-
 რაბის ქაფი.

კისერზე ჩამოკიდნენ გიგას და აღ-
 არც უკითხავთ, აქამდე რად არ ჩამო-
 სულიყო, მარტო იმასლა ჩასძახოდნენ, —
 აწი ხომ დარჩები, ხომ აღარ წახვალ!

— დავრჩები, მაშ რას ვიზამ! — იცი-
 ნოდა გიგა. — დავრჩები, დავრჩები!

— მაშ, ძალომ რომ ასე და ისეო?! —
 ჩაიბურტყუნა ნუცამ.

— მაინც, რაო?!

— რაო და, თავად ჰკითხე! — ნუცამ
 წარბი შეკრა, გიგას ხელი გაუშვა და
 განზე გადავა.

გიგამ რძალს გასძახა, — ჩემო პელო,
 ეზომდე მისვლა არ მაცადეს ამ სახე-
 ძალებმა, დავასმინეს, ძალომ ასე და
 ისეო, და შენ გახარებას — ხომ მშვი-
 დობაა?!

— ვცოცხლობთ, — გაუღიმა პელომ, —
 მე რა მიჭირს, ღიზა შეჭამეს, მამა რა-
 ტომ არ ჩამოდისო! მე კიდევ ვეუბნე-
 ბი, — პელომ თვალი ჩაუკრა გიგას, —
 მამათქვენმა-მეთქი სხვა ქალი შეერთო!
 მაშ!

— მერედა არ სჯერათ? — გაიკვირვა
 გიგამ. ბავშვებს მიუბრუნდა, — აბა, ძა-
 ლო ტყუილს გეტყობათ?! იცით, ვინ შე-
 ვირთე?!

— ვინა, — კუშტად მიაჩერდა ნუცა.

— ვინა და... მუსიკალური სკოლის
 დირექტორი — რაისა ღლონტი!

ნუცამ ჯერ უნდოდ შეათვალიერა მა-
 მა, მერე სახე გაუბრწყინდა, გიგას კი-
 სერზე შეახტა და დააკოცნა:

— მართლა მამა, მართლა?!

არ შეურთავს გიგას რაისა ღლონტი,
 მაგრამ ნუცა მაინც მიიღეს სკოლაში;

დრო გავიდა და ლუკაც კობიაშვილის
 ქალს მიაბარეს.

მერე ღმერთმა გადმოხედათ, ნახევრად
 მიწურიდან ამოვიდნენ და სხვა უბანში,
 გამონაცვალ ოროთახიან ბინაში „გაპარ-
 პაშდნენ“, მეორე სართულზე!

ზედმიწვევით კარგად აეწყო ყველა-
 ფერი: ეგ იყო მარტო, რომ ნიკას ნახვას
 იშვიათადლა ახერხებდნენ...

...schön, schön... — მოესმა ლუკას. თა-
 ვი აიღო: მოხუცების სკამთან შორტებ-
 ში გამოწყობილი ორი კაცი იდგა. ბაცი
 ქორი კინკრისოზე და მოტიტვლებუ-
 ლი ფეხები. გერმანელები იქნებიანო,
 გაიფიქრა ლუკამ.

Schön-ის მიზეზი კრიალოსანი იყო.
 ერთმა ხელიც კი შეახო გასიპულ გი-
 შერს.

ახმახს კრინტი არ დაუძრავს; ფიქ-
 რში წასულიყო, მხერა გაშტერებული
 კრიალოსანს ისევე აუჩქარებლივ მარ-
 ცვლავდა. შენს გაძლებასო, გაუკვირდა
 ლუკას, დღე ერთია და ასეთი მიმსვლელ-
 მიმსვლელი, ალბათ, ათასი. დილაობით,
 სამსახურში როგორც დაიარება სხვა,
 ესენი ბულვარზე გამოდიანო, ფიქრობდა
 ლუკა.

სკამზე ჩამოსხდებიან და სამუხეუმო
 ექსპონატივით გულგრილად მიაჩერდებ-
 ბიან ათასი ჯურის მნახველს.

მოხუცები, ეტყობა, უკვე შეგუებულე-
 ბი იყვნენ ბედს. ეშმაკუნა რომ ეშმაკუ-
 ნაა, ისიც კი მოეთენთა მზეს და გასავა-
 თებული შესცქეროდა მოსულებს. ერთ-
 მანეთში ლაპარაკი დააცადა, მერე,
 თითქოს ვალს იხდისო, კრიალოსანზე
 ანიშნა და ცალყვად ჰკითხა: „კარგია?“
 ეს ერთი სიტყვა ეცოტავა, ინამუსა და
 დასძინა: „მოგწონთ?“

მოსულებს თავისი ენის გარდა, აღ-
 ბათ, არა გაეგებოდათ რა, მაგრამ ეშმა-
 კუნას უკვე საღერღელი აშლოდა და,
 როდესაც სტუმრები კრიალოსანის გიშ-
 რისავეფერ ფონს წაეტანნენ, მოწყალედ
 განუმარტა: „ღლია კრასატი“.

ლუკას გაეღიმა.

უცხოელებმა თავიანთი გზა ნახეს.

ემაკუნამ ისევ ლუკასთვის მოიცა-
ლა, — „გალოდინებს?!“

ლუკამ თავი დაუქნია, მერე ხელემა
გულზე დაიკრიფა, თვალები მოხუჭა და
სახე მზეს მიუშვირა...

...ძველ ეზოში სინათლითა და დარში
მისვლას ერიდებოდა ლუკა: დღისით
ეზოში ქალები საქმიანობდნენ — გვიდ-
ნენ, რეცხავდნენ, ფენდნენ; საღამოობით
კი, მზე რომ გადავიდოდა, მთელი ეზო
გამოეფინებოდა გარეთ. გამოიტანდნენ
გიტარას, მანდოლინას; იღლიაში ამონ-
რილ ნარდს მუხლებზე დაიდებდნენ:

— ღუბემ, კამათელო! — შეევედრებო-
და ერთი.

— ვაჰ. ასეთი არაფერი მინახავს, —
ხელებს გაშლიდა მეორე, — ძაღლის ბე-
დიც ამასა ჰქვია! ღღეს ერთი მარსიც
ვერ მოვიგე, ოინია ისევე.

მტრის ფანჯის კარში ვაცოცხლებუ-
ლი ქვა ღუბემით რომ პირდაპირ შენა-
კარის ფანჯაში მოდიოდა, ყველამ იცო-
და, მაგრამ ჭკუის სწავლებასზე მაინც
არავინ იღებდა ხელს:

— ოინი იქნება, აპა არა, გამოიქცა ეს
უჯიშო! ჩოუსაფრდებოდი კაცი ფანჯაში,
ღუშაშს გააგორებდა, ოთხს გამოვიდო-
და, დარჩებოდა ერთი დოფარავი, იაქე
და მისი ჯანი!

— მე კი გაგავორებდი იაქეს, მაგრამ
ღუშაშის გამგორებელია მაგი?!

ამ დროს თუკი შეაღებდა ლუკა ჭიშ-
კარს, დაიწყებოდა გაბმული ფუჭსი-
ტყვაობა: „ლუკას ვახლავართ! სკოლაში
რა ამბებია; ცოლის მოყვანას ნულარ
გადასდებ; სჯობია, ლამაზი იყოს და
მდიდარი, თეფშის მოწკრიანლება ხო არ
გავიწყდება ხოლმე, თორემ ქორწილში
გაგიავდრდება“.

ავღარში და სიცივეში კი, შებინდე-
ბოდა თუ არა, ყველა თავის ოთახში შე-
იკუნცებოდა და თვალს ვედარავინ მო-
კრავდა ლუკას, ფეხაკრეფით რომ მიი-
პარებოდა ნიკას ხუხულისკენ.

ნიკას კი ლუკასთვის მიენდო სკოლის
ნიშნებიც, ცოლის მოყვანაც, მისი სიმ-
დიდრეცა და სილამაზეც...

ნუცა რომ კონსერვატორიაში ჩაირი-

ცხა, ნიკას სიხარული ცას მისწვდა —
ნუცამ მაინც გამომართლაო! „აკი ვიძახ-
დი, სტაკოვსკის ყურები აბია-მეთქი.
გაიხაროს კობიაშვილის ქალმა... ქეთე-
ვან! ქეთევან, ნუცა კონსერვატორიაში
ჩაირიცხულა!“

ქეთევანი მაშინ ჯვრაც მხნელ იყო,
ჯანს დიდად არ უჩიოდა, მაგრამ სულ
მაღე, იმავე შემოდგომით ისიც ჩაყარ-
და ლოგინად.

...რამდენი წელი გასულა იმ ბედუკუ-
ლმართი დღიდან, ქეთევანის მახლებმა
უარით რომ გამოისტუმრეს ნიკა; მას
მერე თავად მახლებს რამდენი სიმწარე
და უბედურება დაატყდათ თავს — უკურ-
ნებელი სენი გინდა თუ ალალებზე ნა-
სროლი ტყვია...

თითქოს სხვისი შეცოდება მაინც უნ-
და ესწავლა ადამიანს. მაგრამ არა: უმ-
ცროს მახლს რომ ქეთევანის ამბავი
შეუტყვია, ვესლიანად უთქვამს: მიეწია
ნიკას, გაყვეს ცოლად ახლა თუ უნდაო...

ქეთევანს ენა მიუტანეს. უტირია, თა-
ვი მოუკლავს.

ღმერთი თუ არის სადმე, ეხლავე რად
არ მოგკვლავსო, უთქვამს ნიკას, მაგრამ
ღმერთმა, თუკი ეს შეიძლება ღმერთს
გადააბრალო კაცმა, კიდეც ორი დღე
აწვალა ასე: მერე, ეტყობა, მოწყალეა
გაიდა: ნიკას დაუძინია და ძილში გა-
პარულა...

მისი სიკვდილის ამბავი უმაღ მოედო
უბანს. ეზოში ხალხი შეგროვდა.

იქამდე არცთუ ბევრი იწუხებდა დი-
დად თავს ნიკასთან მისვლითა და მო-
კითხვით, ყველას თავისი საქმე და საზ-
რუნავი ჰქონდა განა აღარ უყვარდათ
ან პატივს არ სცემდნენ; არა: მათ ცნო-
ბიერებაში ნიკა უბნის კუთვნილება გამ-
ხდარიყო; მართალია, ლოგინად ჩაყარ-
დნო, მაგრამ მაინც უკვდავი, მარადი-
ული; იგი შემკვიდრეობით უნდა გადას-
ცემოდა თაობიდან თაობას...

თმა არავის გაუწეწავს, არც სახე ჩა-
მოუხიკავს ვინმეს, მაგრამ სინანულის
ცრემლი არ დაკლებია განსვენებულს.
კაცებმა ქეთევანს სამიმარბი უთხრეს,
მერე ითაბიერეს, ფული შეაგროვეს და

იმ დღით მოსაგვარებელი საქმე დაინაწილეს: სიკვდილის ცნობა იყო ასაღები, კუბო შესაკვეთი, ნიკას ზუზულა დასაცლელი, რათა კუბო მაინც დატყულებული და ერთი-ორი სკამი ჭირისუფლებითვის; თუმცაღა საკითხავი იყო თუ ვინ დაჯდებოდა ჭირისუფლად: ქეთევანი ლოვინად იყო ჩავარდნილი, ნიკას დამკვიდრებელი არაფერი იცოდა. მაგრამ რაკი უჭირისუფლო მკვდარი უბანში დღემდე არავის ენახა, ამიტომაც, უფრო წესისთვის, მეზობლებმა მაინც დადგეს რამდენიმე სკამი.

ორ ენადაუღლელ ტყუპისცალს დაევალა ხალხისთვის შეეტყობინებინათ ნიკას გარდაცვალების ამბავი. ერთს ქალაქი უნდა დაეცლო, სხვა უზნებში გადაბარებული ძველი მეზობლებისთვის რომ მიეწვდინა ხმა, მეორეს მანქანა უქიარავს და სოფლად გაამგზავრეს, ნიკას დასთან.

ქალაქში მოსიარულეს ვიგასთან არავინ დაუხვდა შინ. მადლობა დმეტოს, მოიფიქრა და მეზობელს დაუტოვა ამბავი.

საღამოს, ვიგა თავისი ჯალაბით ძველ უბანში რომ ავიდა, გასაკეთებელი აღარაფერი იყო. ბალზამის გამკეთებელი კაცი, ის იყო, გაისტუმრეს; ხვალისთვის შეპირებული ჰქონდათ კუბო, შავი ნაჭერი და სამგლოვიარო მუსიკა.

მეზობლები ეზოში იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად წუთისოფლის უკუღმართობაზე ბასაობდნენ. დროდარო კი თვალი უნებლიეთ ჭიშკრისკენ გაურბოდათ — სადაცაა ნიკას და უნდა გამოჩენილიყო. იცოდნენ, რა ანჩხლი დედაკაციც იყო, ატეხდა წიოკს, მიეჭრებოდა ქეთევანს — ძმა დამონე, დამიღუპეო; არც მეზობლებს დაადგებოდათ კარგი დღე, შუამავლობა დაბრალდებოდათ და მერე..

ისიც იცოდნენ, რომ იგი მიცვალებულს არ დაანებებდა ქეთევანს და მის ჯიბრზე ცხედარს სოფელში გადაასვენებდა. ეს რომ არა, მეზობლები ნიკას ადგილსაც აუღებდნენ კუკიაზე და მიწასაც მიაბარებდნენ; წესისა და ადათისამებრ შესანდობარსაც იტყოდნენ და ორ-

მოცი დღის თავზე საფლავზეც ვაკვიდოდნენ.

ქეთევანმა ვიგას შესწივლა: — მეც სამარის კარს ვარ მიმდგარი, როდისღა და რით ვადავიხდი მეზობლების პატივისცემას. არაფერი დააკლეს ჩემს ნიკას, გამიპატიოსნეს, — მერე შეიმშუპნა, ცოტა დააყოვნა და განაგრძო: — ეს არის მარტო, თუკი რამ არის მისავალი, „იქიდან“ მოტანილი მუსიკა ჩემს ნიკას არ მიუვა. შენ გეხსომება, ფირფიტების უშველებელი დასტა ჰქონდა, ზოგი ძველი, თავისი ნაყიდი, ზოგი ნუციკოსი და ლუკას ნაწუქარი. იქნებ თხოვო ნუციკოს, ფირფიტები გადაათვალიეროს, გადაარჩიოს. დარწმუნებული ვარ, ეს უფრო ემება განსვენებულის სულს...

ვიგამ აღუთქვა, ყველაფერს თქვენი ნების თანახმად გააკეთებო.

ლუკა ფირფიტების ამორჩევაში მიეხმარა ნუცას, ნუსხაც შეადგინეს — რა და რანაირი თანმიმდევრობით უნდა დაკრულიყო.

მეორე საღამოს ლუკამ ფირსაკრავი მომართა და პანაშვიდის წინ ბებერა „მუსიკანტი“ გაქუცული მაგნიტოფონი რომ მოათრია, მოუბოდიშა — ცხოვრების წერილებში ანდერძი უპოვნიათ. ვიცი: იმ ანდერძს ნუსხა ჰქონიყოს დართული, სადაც მითითებული იყო თურა უნდა დაეკრათ მის პანაშვიდზე.

ლუკას არც იმის თქმა დაეწყებია, რომ „მუსიკანტი“ თავის გასამრჯელოს უკლებლივ მიიღებდა. კაცს განაწყენება დაეტყო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩამოჯდა, მუხლს ჩაეხრი, დანაბარებს მოეუსმენ, ამასობაში საათიც ვაგა და წავალო.

პანაშვიდი ლუკამ ტანპიოზერის უვერტიურით „გახსნა“. კაცმა ტუჩი აიბზუა, რა სამგლოვიარო ეს არისო, კაცი დაუბერდი და პანაშვიდზე ამისი მსგავსი არაფერი მომისმენია!.. ლუკამ მხრები აიჩეჩა, დანაბარებს ვასრულებ და მეტი მე არც არაფერი მეკითხებაო. არ იყო იმის გუნებაზე, უცნობი კაცისთვის ჩაეკაკლა თუ რა ბედის კაცი იყო ნიკა

და რატომ უფორიაქებდა სულს ტანჰო-
 იზერის აჩრდილი...

ოთახში სახლის პატრონი და რამდენიმე უხუნელი შემოვიდნენ, ლუკას ჩამოუსხდნენ, გამოკითხეს თუ რას საქმიანობდა და რას აპირებდა მომავალში. პირობა ჩამოართვეს, ძველ ეზოს რომ არ დაივიწყებდა, უბანს, და (თვალი ჩაუკრეს), დიდი კაცი რომ გახდებოდა, მოსადგელში დიდხანს არ ალოდინებდა ძველ მეზობლებს. მერე ისევ, უკვე მერამდენედ, ნიკას აუკარგვიანობაზე ილაპარაკეს, იღბალზე, განგებაზე.

პანაშვიდი უკვე მთავრდებოდა, ლუკამ ეშმაკური ღიმილი რომ შეამჩნია „მუსიკანტს“ სახეზე. გული მოუვიდა რას უკრიჭებო; ერთი კი შეუბღვირა მოხუცს და... უმაღ მიხვდა, რომ თავად მისცა მას კრეჭის საბაბი: ლაპარაკში გართულმა ვერ შეამჩნია, თუ როგორ ჩამთავრებულიყო „გაფრინდი შავო მერცხალო“ და... შეიდაცა უკვე „კუჩხი ბედინერს“ უბერავდა.

ვაი, სირცხვილო...

ლუკამ თვალები დააჭყვიტა... გზის გადამა სკამი ცარიელი იყო. მოხუცები ყავის დასალევად წავიდოდნენ, გაიფიქრა. «обеденный перерыв».

ლუკა კიდეც კარგა ხანს იჯდა თვალგამტერებული. ეჭენის უიღბლო ქორწინება გაახსენდა...

მზე მართლაც უშნოდ იკბინებოდა. ემანდ არ გაავდრდესო, გაიფიქრა ლუკამ, ცოტაც მაცადოს ბარემ და მერე... საათზე დაიხედა: ჯერ ორიც არ იყო. არც ისე ცოტა ყოფილა დარჩენილიო.

ლუკამ დღემდე ვერ აუღო დროს ალლო: იგი ხან ხელიდან უსხლტებოდა აფართხალებული თევზივით, ხან გაჯიქლებოდა ხოლმე, დღევანდელივით, და ისე ურცხვად მიიზღაზნებოდა, რომ სიცოცხლეს შეაძულებდა კაცს.

გაბრაზდა. განა დრო ვინ ოხერი ეგლო ეგეთი, თავის ნებაზე რომ ევლო, წასულიყო, მოსულიყო, თვალის დახამ-

ხამებაზე ჩაეკლო ანდა სულაც გაჩერებულიყო!

ეგეთი რა განძი იყო, რომ ერთს დაკარგვოდა, მეორეს ეპოვნა, სხვას ეშოვნა, გამოეძებნა; მომჭირნეს გამოეზოგა, მუხთალსა და ვერაგს ეხელთა, ხოლო მევენსა და მევენს იგი ტკპილად მოეჭამა...

მაგას ჩემი გონება ვერ გასწვდებოდა, გაიფიქრა ლუკამ. „არჩილს დავეღრიჯები — ერთხელ კიდეც ამიხსნას, იქნებ მაშინ მაინც გავუგო რამე ამ სამყაროს“.

ლუკამ გვერდი იცვალა. გაუკვირდა, ნუთუო არჩილის გარდა დღემდე არავის მოსვლია აზრად, დრო რომ სულაც არ არსებობდა და ადამიანი დიდ სისულელეს სჩადიოდა, ამ არარსებულს სულიერისა თუ უსულოს უნარსა და თვისებას რომ მიაწერდა. მართლაც, გაუგებარი იყო, თუ რანაირად ახერხებდა კაცი ამ არარსებულის გაფლანგვას ანდა რამ მოაფიქრა, იგივე არარსებულის თავისი წილი სხვისთვის დაეთმო და შემდგომ კიდეც დაემადლებინა...

არჩილი, ალბათ, მიამიტი იყო, პირველობას რომ ჩემობდა; იქნებ სხვა ადრევე მიმხედარიყო ამას და მხოლოდ იმიტომ დაეგუებინა პირში წყალი, რომ ვერ გაემხილა თავისი ნაფიქრალი კაცისთვის, რომელსაც უკეთესი არარსებულის მოლოდინილა უმსუბუქებდა უდიდამო, ძალღუმადურ სიცოცხლეს...

ლუკამ ბევრი უძახა დროს — მოჩვენება ხარ, არ გცნობო, მაგრამ ჯერჯერობით ისეთი ვერაფერი დაეკლო მისთვის. დრო ისევე ზანტად მიითრევდა ფეხს და ცოტადა აკლდა, მთლად რომ არ გაჩერებულიყო.

ლუკა იმ ჭკუაზე იყო, უკვე გაჩერებასაც აღარ ჩიოდა — ემანდ, კიბოსავით უკან-უკან არ დაიწყოსო ფოფხვა.

დაბურძგლა... მართლაც, მეტი რა უბედურება უნდა დატყდომოდა კაცს თავზე, რის ვაი-ვაგლახით გათრეული ცხოვრება ხელმეორედ, თანაც ამჯერად უკუსავალი რომ გაუხდებოდა...

(გაგრძელება იქნება)

გიორგი სუსაშვილი

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია დაბადებიდან 70-ე წლისთავს ულოცავს ბატონ **გიორგი სუსაშვილს** და ვთავაზობთ რამდენიმე სონეტს ციკლიდან „ავტოპორტრეტი“.

სონეტების ციკლიდან „ავტოპორტრეტი“

იბადებიან ასხის მთებში განთიადები
და ტანდაბალი ბალახივით ჩუმად ვიზრდები.
ვარ გაფანტული სამყაროში ფერად სიზმრებით,
მზეში მბრუნავი ფრთებშესხმული გავმთლიანდები.

ტრიალ მინდორში ხელგაშლილი დაუტრიალდები,
მბრუნავი სივრცე მიმაქანებს, მემაცდურება,
ალაჟვარდებულ სილურჯეში შესაცურებლად
გამითაცებენ გორაკები, მთები, ალვები.

ტრიალებს დიდი დედამიწა ფერად კადრებად,
თითქოს მდინარემ გამოსტაცა ტივი სატივეს.
ეს სილამაზე, ღმერთო, ისე დამახატვინე,
სივრცედ გაფრენილ თეთრ მონასტერს რომ ეკადრება.

თავდება ბრუნვა, მე ვჩერდები გულანთებული,
ვგრძნობ ყოველივეს დაუხატავ სურათებივით.

შორით დამახილს ქარიანში ვინ აძლიერებს?
თითქოს მდინარე ნაწვიმარზე უცებ მოდიდა,
ფანჯრებდაგმანულ, კარჩარაზულ ჩვენი ოდიდან,
გამოკეტილი იხედება სიცარიელე.

წაჰკიდებია თითქოს ცეცხლი დამჭკნარ იელებს,
ნესტიან კედლებს რა აერთებს ჩემ მოლოდინთან.
დედის სურათი, აუშლელი დარდი ლოგინთა,
ნათელი ღამით ქარიშხალში როცა იელვებს.

და რა ხანია ყველაფერი მტკვერმა დაფარა,
ყრო მოთმინებით დრო და ჟამი უნდა გალიონ.
ადევს სიძველე მამის პერანგს, ჩამქრალ ყალიონს,
შავი ქსოვილით შემოფუთნილ ფოტოაპარატს.

საკუჭნაოში, შეუნახავთ სადაც ძველები,
 ჩემი ბავშვობის გაცვეთილი ფეხსაცმელები...

და როცა შორ გზებს დავადგები ჩემი სოფლიდან,
 უცნაურ იღბალს მინდობილი და შეფიცული,
 მე მიყვარება ეს მდინარე, სახლი ფიცრული,
 რაც საგზლად გამყვა და შორეთში წლობით მყოფინდა.

ლურჯი ფრინველი სად პირველად ჩემთან მოფრინდა,
 დედის ხელებით ველს შებმული ეს ავგაროზი.
 სოფელი ჩემი, თითქოს ჭიბი ამ სამყაროსი,
 ზედ შემრობილი ჩემი სისხლით, ცრემლით, ოფლითა.

როცა შორ ზღვებსა და ქალაქებს მივესალმები,
 პარიზის ქუჩებს თუ მადრიდში მბრუნავ კორიდას,
 პატარა ბანძა გამოჩნდება იმ 'სიშორიდან,
 ჩვენი ვენახი თუ მაღალი კედლად ალვები.

ბავშვობა ჩემი, თვალგახელილს რაც აქ მიყვარდა,
 ლოდინით გზისკენ მაცქერალი დედა ჭიშკართან.

დადუმებული, იდუმალი დგას სინაგოგა,
 მშვიდი, მორჩილი, ღვთისმოსავი და ღვთისმსახური,
 სად კარიბჭეზე ვარსკვლავია გამოსახული,
 თითქოს წარღვნიდან მოფრენილი მტრედი დაგოგავს

და მე არ ვიცი, რამ მემპართო და შემატოკა,
 მშვილდით გოლიათს დავითივით შევეტოლები,
 კათედრალეებში მიძინებულ სეფერთორების
 რომ ვიყო მცველი და ხმა ღმერთის მესმას მარტოკას.

ირგვლივ დაფრენენ მოჭიკჭიკე შავი მერცხლები,
 მესმის მუსიკა, მწუხარების ის მელოდია,
 გამოქცეულნი ეგვიპტიდან რომ გამოდიან,
 ტანჯვით და სიბრძნით თითქოს ბავშვიც შევივერცხლები.

გაიხსნა წიგნი და მე ვისმენ ცრემლით ნაამბობს,
 თითქოს დაჰკრაო მოსემ კვერთხი და ზღვა გააბო.

მოუჩანთ თითქოს ბნელ ღამიდან დევებს ეშვები,
 მყუდროებაში თითქოს ეშმამ გაინავარდა,

როგორც ღამეში უეცარი თოფის გავარდნა,
შემპართობს შიში, ბნელ ორმოში თითქოს ვეშვები.

რა მძულვარებით, გააფთრებით და გავეშებით
კოცონს გარშემო მოცეკვავე რბიან ქაჯები,
არ გაძინებენ, გარს გივლიან დადარაჯებით,
კუნაპეტ ბნელში ჟღარუნებენ ავი ეჟენები.

ღანღივით აღებს დახშულ ჭიშკარს ბოროტი კაცი
და მიაქვს შეშა დაჩეხილი ოდის ქვეშიდან.
თითქოს ღრეობა გამყივარი ისმის შემლილთა,
ფანჯრებს აწყდება მახეზარი ზამთარი მკაცრი.

გარიჟრაჟამდე სახლს გარშემო უტრიალებენ
ატეხილ ქარში მოარული კუდიანები.



ფათერაკიანს ანგელოზი თითქოს დაგყვება,
როცა ხილული გახდებიან უხილაეები,
გაჩეხილ წარბით, დაკაწრული მუხლისთავეებით,
ეკლებნაჩხვლეტი თითებითა და ილაყვებით.

საბედისწეროდ გიზიდავენ მღვრიე ტალღები,
ლელმად წამოსულ ქარიშხალში ისმის შენი ხმა,
რამდენჯერ თითქოს განგებისგან გადარჩენილხარ,
ყოველ ნაბიჯზე ფათერაკებს რომ ეჯახები.

და გახსოვს ის დღეც, დიდ ჭადარზე როცა ახვედი,
ზღვის დასანახად მოექცევი მაღალ კენწეროს.
ძირს ჩამოვარდნა თითქოს ბედის წიგნში გეწეროს,
ოღონდ გენახა საოცარი გადასახედი.

თუმცა გადარჩი, ზაფრანაკრავ მამას აღარდებს,
„ეშმაკებს დასდევს, რა უნდოდა ნეტავ ჭადარზე?“



სამყარო თითქოს კიდით კიდე წამში მომეცლოს,
უკან ვიტოვებ აჩქარებულ საუკუნეებს.
მატარებლები ღამით შორეთს დაჰგუგუნებენ,
მითების ღროში გადამიყვან, დიდო ჰომეროს.

ათასწლეულთა იქით მამცნობ, მე რა მომელის,
მეხთატეხაში, როცა ცაზე მთვარე ელავდა,
ელვის ნათელით გამინათე ძველი ელადა.
ასე შორ გზებზე მოგზაური იყო რომელი?

რა საოცარი შერკინების და ბრძოლის დროა.
 ელინურ მითებს მიჰყვები და წარღვნას მიქადა,
 დამარცხებულ აქვევლთა ცხენი გიგანტი,
 პარმშვენიერი ელენე და მრისხანე ტროა.

ბრმა ჰომეროსის დანამღერი და გალექსილი,
 ძლევა დევგმირთა ქუსლში დაჭრილ აქილევისით.

დღითიდღე ვკარგავ ტოლ-მეგობრებს და ნათესავებს,
 მოკლდება ლზინი და ვერვევი დარდსა და ტანჯვას,
 იქით არიან, ამ ქვეყანას მცირედი დამრჩა,
 გაქრნენ სივრცეში, მარადიულ ბნელს შეეზავნენ.

მოდინ ჩემთან, თითქოს ფანჯრებს შემოლენწავენ,
 მოგონებებში მათ სახეებს თითქოს ვაკვდები,
 იმ საფლავებთან გადურწევლად დგანან აკვნები,
 ისეა, როგორც ქვეყნის შექმნის პირველ დღესავე.

ჩემს გულში გათხრილ საფლავებში წვანან გულმშვიდად,
 დუმს თვინიერი თუ მედგარი ჩხუბის მოთავე,
 ორთავემ მაინც ეს სიცოცხლე რომ იცოტავეს,
 ვინ სძლია სიკვდილს სიკვდილით და არ შეუშინდა?

და რაც შემოგვრჩა პირტიტველა, ლამაზ ყმაწვილებს,
 თითქოს სიცოცხლე ერთმანეთის გავინაწილეთ.

ზღვაზე გაშლილი იალქნები ბავშვურ რომანტიზმს,
 ნაცადი აშლილ ქარიშხალზე, ნიავეკარებზე,
 დაუსრულებელ სივრცეებში მიმაქანებენ,
 ვარ მეზღვაური ოდისევსის მძლავრი ხომალდის.

და შორ მანძილებს წარმოსახვის თვალით ვზომავდი,
 რაც ოც წელიწადს ტროადიდან განვლე, ოდისევს.
 რაა დიადი პენელოპეს ერთგულ ლოდინზე,
 არც მერე თქმული, არც ნამღერი ტროას ომამდის.

ციკლოპის თვალში ბასრი შუბი განაწონები,
 იმედის შუქი ასხლეტილი ცას ლაჟვარდოვანს,
 კოლხურ ღამეში სამუდამოდ მომაჯადოვა
 უცხო კუნძულით სიმღერებმა ამაზონების.

თითქოს მოვცურავ ფათერაკთა გზაგამრუდებით,
 ოცი წლის მერე ოდისევსი შენთან ვბრუნდები.

აურაცხელი სილამაზის ვარ მეინახე,
გულგატეხილი სიცოცხლის ზღვას ვერვინ გამყაროს,
თუმცა არ ვიცი, როგორია ირგვლივ სამყარო,
მე ისეთს ვხატავ, როგორც ვიგრძენ და დავინახე.

თუ რამ შევიცან, შეეძლე მხოლოდ ამის გაგება,
სიუხვე ფერთა, ფერთა კვლომას რაც შევახამე,
შავი და თეთრი, ჟამთა დენა და დღე და ღამე
რადგან ამქვეყნად არაფერი არ იკარგება.

და ვცოცხლობ მანამ, სანამ ვხარობ შენზე ფიქრებით,
ჩვენ დრო და ჟამის ჩარჩოებში ვეღარ ვეტყვიით,
ისევ ღვთის ნებით შეერთებულ ელემენტებით
მიწად ნაქცევნი მიწიდანვე წარმოვიქმნებით.

და რაც აქამდე განცვიფრებულ თვალებს ებურა,
იქცეს სინათლედ, მარადიულ ვარსკვლავთ წრებრუნვად.



ლიანა ელიაჟა

შანტასტიკური კვიზაჟი

ღმერთო, ლაღაურას მთასაც ნულა
მოშლი,
თორემ გვიანია მერე სინანული,
წყალზე მორღვეული მოჩანს ციხე-
კოშკი,
წყალში ჩაძირულა ძველი ანანური.

წყალქვეშ შრიალია კაკლის ჩეროების,
წყლიდან ამოჩრილი ჩივის
ბუხრისთავი, —

და ეს ჰეიზაჟი დაუჯერებელი
შენ რად მოგესაჯა, მითხარ რაისათვის?
ტკბობად შთაგონების მშვენიერ წამებად?
არ ხარ ბრეიგელი და არც ბიუნუელი,
მიწის ნაწვალეები ნერგით გაწამების
გარდა სხვა სასწაულს ბედისგან
ნუ ელი!

სამშობლო

ოფლით, სისხლით არ მომირწყავს
უცხო მხარეს სხვისი მიწა
და არც სახლი ამიგია,
სხვაგან მხოლოდ სუნთქვა მიწევს,
დასაფიცად, ნურვინ მიწვენს,

მხოლოდ ჩემი გამიგია,
გენი, სისხლი სითაც მიწევს,
წინაპარი სადაც მიწევს,
ჩემი სამშობლოც იგია!

უზნეო ზეიმი

„რად გინდა ბედნიერება,
თუ ვველა უბედურია?!“

ბ. ტაბიკა

მუმილი ეხვევა მუხას,
თაღხით იბურვის სახლი,
თუკი იწვი და სწუხარ
სახმილით შენი ხალხის,

უზნეო საქმეს ვერ იქმ, —
ვერ გაშლი ღზინის სუფრას.

ხორცის ხორხოცს და ზეიმს
ვერ ჰკადრებ ჭირისუფალს.

მკვლევლებს გუნდრუკს ვერ უკმევ,
ვერ უქებ სიჩაუქებს
და ვერც იცხოვრებ უკვე
შენს ტანჯულ ხალხზე უკეთ.

ცდუნება

თავად მაცდუნა თითქოს,
 არ დაიჯეროს ვინმემ
 მიჯობს, მოვტყუებდე თვითონ,
 მოვატყუილო ვინემ.

არ მიცხოვრია უნდოდ,
 ვცდებოდე, არა ვგონებ,
 გამკილოს, ვისაც უნდა,
 ვინც მიყვარს, იმას ვმონებ.

მწირო

ავთანდილ ელიასას

ყველამ რაღაცა ჰპოვა,
 შენ უპოვარი დარჩი,
 მონის ქონებას არჩევ,
 არ ემორჩილო მარჩილს

და როს სიკვდილის მხედრებს
 ოქროს წილ ტყვია კოცნას,
 შენ სულს უბერავ იბერთ
 თავისუფლების კოცონს.

თეთრი როიალი

ათასი ლტოლვილის, ბაღლის, ხეიბარის
 ზეცად აღერილა მზერა დაზაფრული,
 ვერტმფრენს ჩაჰფრენია, ვითომც
 არაფერი,

ნალაფარი თეთრი როიალი.
 ერთად დაარისხეთ, რაც კი ზარებია!
 ვაი, რა საზარელი ძმებო. დროი არი!

აღბილის დედა

ნემს ღას

მონას მონის ერგო, კეისრის — კეისარს,
 აღბილის დეღობა რადგან დაგეკისრა,
 კერპის ერთგულებით ფხიზლობ და
 დარაჯობ
 იმას, მიტოვებაც რაისი არა სჯობს.
 ქვეყნად მოვლინება მარტო ამაღ
 ღირდა, —
 ცეცხლად შენთებოდი კერიის
 ნადკერდალს.

თავი შეგექცია არა ზმა-ლაყაფით,
 ძაღლივით გეყეფა ქვეყნის ალაყაფით.
 და როს დაადგება ყველაფერს საშველი,
 შენ ნუ გეგონება, ამაოდ დაშვერი.
 სამღურავ არ დაგცდეს ბედის და
 გამჩენის,
 საჩინო ნიჭია უჩინრად დარჩენა.

შანღური

შავ კაბის კალთაში ჩაკარგული
 ფანღური ჩხაკუნებს გლოვად, —
 ერთი პურის ფული თუ გამოვა
 მანდილზე მანეთების გროვა.

ფეხების მტკერი და ხელების ჭუჭყი,
 ნაგავზე ნაგავების ზროვა, —
 რა ცოდად მოეკითხა, ღმერთმა უწყის,
 შენს ფრესკულ ფერსა და ოვალს?!

ურთხეული

ღროს ქარმა რუხმა
 ხეს საკმლისას — ურთხმელს

გული გამოუხრა,
 ახლა ფესვებს უთხრის.

ელგია

აღრე ამეფარა
 სუღარა სიბერის, —
 თვალებს უსინათლოდ ვახელ,
 მსურდა რაც აქამდე,
 არ მსურს არაფერი,
 კალთებს აღარავის ვახევ.

აღარ მეფერება
 სარკე და სარკმელი.
 თვითონაც ვარიდებ სახეს,

ბგერების, ფერების
 დგას კორიანტელი,
 მუსიკა ჰაერს არ არხევს.

ღროს ვერ შევეფერე;
 რაა საკვირველი?!
 ზუზუნებს ტყვია და სახრე,
 არ გთხოვ, დამიფარო,
 სანთელ-საკმეველი
 აღირსე, უფალო, სახელს!

თუშური მუსიკა

შემოუნახავს სათუთად
 ქართული სულის კვალი:
 ბუქურთა, ქუმელაურთა,
 ცოკალთა, დოჭუ, კვაკლო.

ძნელია შენი შენ აქო,
 არ აქო — უფრო ძნელი:
 ომლო, ჭეშო, შენაქო,
 ბოჭორნა, ჯვარბოსელი.

ახოვნობს აქ თანხმოვანი
 ხორხისმიერი ხმისო'

ხახაბო, ჭანჭახოვანი,
 ჰელო, ჩილო. და ხისო!

სულის სალბუნი სხვა მსგავსი
 გსმენიათ, ძმანო, დანო:
 ჭონთიო, გოგრულთა, ფარსმა,
 დიკლო, დართლო და დანო?!

ხილვით ხო გადაირევი,
 კუთხეა ღვთით ნაკურთხი:
 ვერხონი და გირევი,
 დაქვიერთ-დადიკურთა!



ირაკლი კაკაბაძე

როგორ გვიყვარდა წვენ ერთმანეთი

იმ საღამოს მარიანა საოცრად ლამაზი იყო. ორკესტრი უკრავდა მოცარტის ლამის სერენადას. შავ ტაქსედოებში გამოწყობილი ოფიციანტები სანთლის შუქზე გვაწოდებდნენ „ოულდორფ ასტორიას“ საუკეთესო დელიკატესებს.

იმ საღამოს ფერთა ბრწყინვალეობაც არაფერი იყო იმ ჩუმ სილამაზესთან შედარებით, მისი არსება რომ ასხივებდა. ის ლაპარაკში იყო გართული... მე კი სანახევროდ სიტყვების მნიშვნელობაც არ მესმოდა. მინდოდა სწრაფად დამეღია ეს სილამაზე.

ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ყოველი ჩვენთაგანი ცდილობდა სახელმწიფო საქმეებზე ელაპარაკა. ხანდახან გაშმაგებამდე მიდიოდნენ მოკამათებები. წითლები, შავები, თეთრები, მწვანეები, დამოუკიდებელნი და დამოკიდებულნი — ყველანი გაცხარებულნი ამტკიცებდნენ რაღაცას, თითქოს ცხოვრებას თვითონ არ შეეძლო დაემტკიცებინა ჩვენთვის ყველაზე უბრალო ჭეშმარიტება...

— გადავწყვიტე წამოვუსულიყავი, — ამბობდა მარიანა და თან ცივ კაკუჩინოს წრუპავდა. მის ლამაზ და მოწყვნილ სახეს სანთლის შუქი კიდევ უფრო მეტ ემშხ მატებდა.

— და ფიქრობ, რომ ეს სწორი იყო? — ვეკითხებოდი მე.

— ალბათ... ყოველ შემთხვევაში, იქ განერება შეუძლებელი ხდებოდა. ყველა ამბობდა, საქმე სიკეთისკენ მიდისო, მაგრამ სახეზე ხალხს ბოროტება ეწერა. არ ვიცი, რა დამემართებოდა იქ. ეხლა

კი ნამდვილად ვხვდები, რომ ცხოვრება არსად არ არის ადვილი. მაგრამ იქ დაბრუნებას მაინც არ ვფიქრობ...

გოგონა ნაღვლიანად იღიმებოდა. იმ დროს მეჩვენებოდა, რომ მისი თვალები საოცრად მეტყველნი იყვნენ და მისი არსება უჩუმრად ნანატრ სიტყვებს მეუბნებოდა:

„მოდი, ჩამიხუტე და მე მოვანიჭებ იმ მყუდროებას, რომელსაც გაშმაგებულად ეძებ, როგორც მწყურვალი წყალს დასიცხულ ტრამალში. მე შემიძლია ვიყო სიმშვიდე შენთვის...“

მაგრამ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ ხშირად ვერც ვახერხებთ იმის თქმას, რასაც ვგრძნობთ. იმ მომენტში კი სახეგაქვავებული ვიჯექი და ვუსმენდი მარიანას მიერ მოყოლილ საოცარ ამბებს.

— როგორც ყველა გადახვეწილ ქართველს, მეც თავიდან იმედი მქონდა, რომ ემიგრაცია შედარებით სიწყნარეს მომიტანდა. ძალიან ბევრს გვქონდა ეს ილუზია...

— და მერე...

— და მერე ძნელია დაინახო გულგრილი სამყარო. გაქვავებული სახეები, როცა გინდა, რომ სინაზე და სიყვარული გაუნაწილო ადამიანებს. არ ვიცი, რა გველის ჩვენ...

მინდოდა დამეჭირა მისი სილამაზე და საშუღამოდ დამეტოვებინა ჩემთან. ვიცოდი, რომ სისულელე იყო, მაგრამ ეს ფიქრი მაინც არ მტოვებდა.

მარიანა კი თავის ამბავს ყვებოდა:



— სამიოდე წლის წინ მამაჩემის ოფისში იტალიური წარმოშობის ახალგაზრდა ამერიკელი ბიზნესმენი შემოვიდა. მისი სახელი ეხლაც ისე მახსოვს, როგორც მაშინ თქვა პირველად, თავის წარდგენისას — სტივენ გალვანო...

იმ წუთას მომეჩვენა, რომ ეს კაცი არაჩვეულებრივ ენერჯიას და მამაკაცურ ძლიერებას ასხივებდა. წამისწამ ხუმრობდა და ამით კიდევ უფრო ხიბლავდა გარშემო მყოფებს. მიაბაძელი იყო და გოლფის მოედნებს ფლობდა მთელს ამერიკაში. მანკეტენის ცენტრშიც ჰქონდა ოფისი. საქართველოში წყლების გამოშვება გადაწყვიტა და ამიტომაც მიმართა მამაჩემს, როგორც პარტნიორს.

„რაფინატის“ კოსტიუმი და ხაკისფერი ინსპექტორის ფეხსაცმელი ეცვა.

იმ დროს ბევრს უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა. გათხოვება რომ მდომებოდა, არ გამიჭირდებოდა. უბრალოდ, არ მინდოდა. სტივენი რომ დაკინახე, ვიფიქრე, რომ მხოლოდ მას შეეძლო ჩემი გულის მოგება.

არა იმიტომ, ამერიკელი ბიზნესმენი რომ იყო და ფლორიდასა და ნიუ-იორკში სახლები ჰქონდა. ეგეთები ბევრი მინახავს. უბრალოდ, საოცრად ლამაზი და თბილი მომეჩვენა. ყოველთვის ცდილობდა, თავისი სითბო ყველასათვის თანაბრად გაენაწილებინა, მაგრამ მე სულ მეგონა, რომ ჩემთვის ყველაზე მეტი ჰქონდა შემონახული. შეიძლება ეცდებოდი კიდევაც, მაგრამ ამ გრძნობას ვერ ვიშორებდი და როდესაც სადმე გამოჩნდებოდა, ერთი სული მქონდა, მასთან ახლოს ვყოფილიყავი.

ჩვენი ნაცნობობის პირველივე დღეებიდან გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ. ხან ყვაილებს თაიგულს ამომიტანდა აგარაკზე, ხანაც ჩემს დანახვაზე უნებურად ფეხი დაუცდებოდა. მეც ვგრძნობდი, რომ გამორჩეული ყურადღების საგანი ვიყავი. ერთხელ აგარაკზე სეირნობისას ისიც მითხრა, ქალი არასდროს მყვარებია სერიოზულად და თუ ვინმეს შევიყვარებ, აუცილებ-

ლად ცხოვრების ბოლომდე. მომეჩვენა, რომ იმ დროს არ ტყუოდა, რომ მისი სული ნამდვილად მოწყურებული იყო სიყვარულს და ბედნიერებას. გულში მზად ვიყავი, გამეწია მისთვის მეგობრობა, თუკი ოდესმე ამას მთხოვდა.

დროთა განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდებოდა. ცოტა ხანში დავიწყეთ ერთმანეთისათვის სიხარულისა და ტკივილის გაზიარება.

ასე გაიარა ჩვენი ნაცნობობის პირველმა კვირებებმა.

ერთ მშვენიერ დღეს სტივენ გალვანომ თქვა, რომ ევროპაში უნდა გაფრენილიყო საქმეებზე. მე არაფერი მითქვამს, რადგანაც ერთმანეთისთვის ოფიციალურად ჯერ ისევ უცნობი ვიყავით. უბრალოდ, კარგი მეგობრობა გვექონდა. მაგრამ ის გრძნობდა, რომ მე არ მინდოდა მას სამუდამოდ განვშორებული, და, ვფიქრობ, რომ თვითონაც იგივე გრძნობა ჰქონდა.

— მე აუცილებლად დავბრუნდები, — მითხრა წასვლის წინ.

და მეც ამის იმედით ვცხოვრობდი. იმ ხუთმა თვემ როგორ გაიარა, არც მახსოვს. ბედნიერებისათვის მყოფნიდა იმის შეგრძნება, რომ გარკვეული დროის მერე სტივი უნდა მენახა... უკვე წარმოდგენილი მქონდა, როგორ შემოაბიჯებდა ჩვენს აგარაკზე და თავის უცნაურ ხუმრობებს დავაკყრიდა. ფიქრებში ისიც კი ვიცოდი, რა ეცმოდა.

არ ვიცი, შეიძლება ძალიან მიაბიტი ვიყავი, მაგრამ საოცრად მიხაროდა ამაზე ფიქრი. მიხაროდა იმ ადგილებში ყოფნა, სადაც ჩვენ ერთად ვყოფილვართ. სულ პატარა რამეც კი მყოფნიდა ბედნიერებისათვის. ეს იყო ყველაზე ტკბილი გრძნობა, რომელიც კი ოდესმე გამომიცდა. რაღაც გაურკვეველი, დიდი სიხარულის მოლოდინი და ბედნიერების წამების თვლა. იმ პერიოდში ყველა მიყვარდა. დაედოდი გონებაარეული თბილისის ქუჩებში და ყველაფერი ლამაზად მესახებოდა. ეს გაუთავებლად გამშლილი კარებიც, ისტერიულად მო-

ყვირალი მომიტინგეებიც. ჩემთვის არ არსებობდა პოზიცია და ოპოზიცია. ჩემთვის არ არსებობდა პოლიტიკა, რომელიც ყველას ტვინს უღრღნიდა. ჩემთვის საკმარისი იყო სტივის ერთი გაღიმება მძევლად რომ დამიტოვა წასვლის წინ და მისი მიხრა-მოხრის გახსენება. ეს მავიწყებდა ყველაფერს ამ ქვეყანაზე და არაფერი ჩანდა ამაზე ძვირფასი.

ასეთ ყოფაში გავატარე შემოდგომისა და ზამთრის ხუთი თვე. ვიცოდი, რომ ის უნდა ჩამოსულიყო და არ მაინტერესებდა, როდის მოხდებოდა ეს.

სტივმა თავისი სიტყვა შეასრულა და გაზაფხულზე ჩამოვიდა თბილისში. ამ ხნის განმავლობაში კარგა გვარიანად შეცვლილიყო. სახეზე წვერიც კი მოეშვა. რატომღაც უფრო მზიარული და უღარდელი მეჩვენა.

თქვა, რომ შეეცაიაში საქმეების გამო შეჩერდა, საკუთარ ბიზნესზე ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ამ დროს სიყვარულს მიხსნიდა.

საოცარია, არა? ისე ლაპარაკობდა, რომ ყველას ირგვლივ უხაროდა მისი მოსმენა. ისე, თითქოს ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან გრძნობებს ეხებოდა; თითქოს ყველასათვის მარტივი და გასაგები იყო მისი ენა; იმ წუთას მარტო მე არ ვფიქრობდი ასე:

მამაჩემსაც ძალიან მოსწონდა სტივი. ალბათ, ხვდებოდა კიდეც, რომ ჩვენს შორის სიმპათია იყო... და გულის სიღრმეში, მგონი, თანაგვიგრძნობდა კიდეც. მიხაროდა, რომ მათ შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა, რადგანაც თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობდი.

— მარიანა, ნიუ-იორკში არ წამოხვალ?.. — მკითხა ერთხელ სტივმა, როდესაც განმარტოებულნი ჩვენს ბაღში ვსკვირნობდით.

— როდის? — კკითხე გახარებულმა.

— ორ თვეში ახალ ოფისებს ვხსნი იქ.

— ნიუ-იორკში გოლფის მოედნებს აკეთებ?..

— ჰო, ოღონდ მანჭუტენზე არა. კეს-

ტჩესტერის საგრაფოში და ლონგაილენდზე. მინდოდა ფორესტ ჰილსშიც გამეკეთებინა, მაგრამ ზედმეტად ქეციანი აღვილი აღმოჩნდა. მოკლედ, რომ ჩავალთ, ყველაფერს განახებ.

იმ წუთას ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. მეგონა, რომ ქვეყანა უნდა გადაბრუნებულიყო.

მამაჩემს თვითონ სტივი მოელაპარაკა. უთხრა, რომ დასაწყისისათვის სწავლის ფულს გადამიხდიდა და მერე თავის ოფისში მამუშავებდა. მართალია, ხელი არ უთხოვია ჩემთვის, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. დედაჩემიც არ იყო წინააღმდეგი — გულის სიღრმეში მასაც უხაროდა. ვიცოდი, მასაც მოსწონდა სტივი.

ბედნიერი ვიყავი იმის განცდით, რომ როგორც იქნა, განვთავისუფლდებოდა ყოველწლიური მეურვეობისაგან და თან მეცოდინებოდა, რომ ჩემი ბედნიერების წყარო ჩემს გვერდით იყო. მომავალზე ფიქრის დროს ტანში სასიამოვნო ჭრუანტელი მივლიდა.

სტივი თბილისში ოთხ თვეს გაჩერდა. საქმეებს აგვარებდნენ ის და მამაჩემი. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან.

— მოემზადე, ივლისის ბოლოს უნდა წავიდეთ, — ერთ მშვენიერ დღეს მითხრა სტივმა. იმ დროისათვის ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო დარჩენილი, მაგრამ მე მაინც სასწრაფოდ დავიწყე ბარგის ჩალაგება. ჩემები იცინოდნენ, არავის გაუგია აღამაინმა წასვლამდე ერთი თვით ადრე ბარგის ჩალაგება დაიწყოს.

ის თვეც მალე გავიდა. და ჩვენ უკვე თვითმფრინვაში ვისხედით და მოსკოვიდან ნიუ-იორკისკენ მივფრინავდით. სტივმა თავისი დაღლილი თავი პირველად დამადლო მხარზე და ასე, ნახევარი საათით ჩასთვლიმა. იმ წამს თითქოს სუნთქვა შემეკრა. ოღნავ განძრევაც კი არ მინდოდა. მაშინ ვიგრძენი პირველად, თუ როგორ მიყვარდა.

— რომელი მომღერალი გიყვარს ყვე-

ლაზე მეტად? — მკითხა სტივმა, როდესაც გამოიდგოდა.

— რეი ჩარლზი... — ვუპასუხე მე.

— ესე იგი, მასაც ვნახავთ, — ჩაილაპარაკა ღიმილით, — ეს იყოს სასიამოვნო სიურპრიზი...

მერე მითხრა, რომ ოცი დღით კალიფორნიამი უნდა გვემოგზაურა. სანტამონიკაში სასტუმრო უკვე შეკვეთილი ჰქონდა, როგორც ეტყობა, ადრევე დაიჭირა თადარიგი ამისათვის.

ამის მერე კი ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში ინგლისური ენის კურსები უნდა გამეკვლო.

ჩემთვის ადრე ასეთ რამეზე ფიქრად კი წარმოუდგენელი იყო. თითქოს ოცნების ზომალდში ვიჯექი და სიტკბობის ოკეანის ტალღებს მივაპობდი.

— მეც დასვენება მოვუწყვე ჩემს თავს, — მითხრა სტივმა. — რა მოხდა, ოცი დღის განმავლობაში მენეჯერმა რომ აიტკივოს თავი ჩემს მაგივრად. გვარიანად დავიღალე უკვე...

რატომღაც მომეჩვენა მაშინ, რომ თვითმფრინავი ზედმეტად სწრაფად მიფრინავდა და სადღაც მიმაქანებდა. ჩემს გულში კი იმხელა იმედი იყო, რომ ალბათ, ყველა ადამიანის ტკივილს ერთად გადაწონდა.

ნიუ-იორკში მხოლოდ ერთ დღეს გაეჩერდი.

იმ დღეს სტივმა თავისი ოფისის ორი თანამშრომელი გამაცნო. ერთი კანცელარიის უფროსი იყო, გორდონი ერქვა, მეორე კი — მენეჯერი, სახელად მაიკლი. ორივე სასაცილო, მაგრამ კეთილადამიანად მომეჩვენა. მაიკლი დაბალი და ცოტა ზედმეტად ჩასუქებული იყო. გორდონი კი, პირიქით, — მაღალი და ხმელი. ჩემთან ლაპარაკის დროს ორივე საოცრად იბნეოდა. თავიდან ვიფიქრე, მოვეწონე-მეთქი, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ყველასთან ასე ემართებოდათ.

შემდეგ საღამოს უკვე ბევერლი-ჰილსზე ვიყავით. თავი ზღაპარში მეგონა. ჩვენს სასტუმროსთან სანტამონიკაში ყოველ დღით დიდი, შავი ლიპუზინი

მოდიოდა. საჭესთან ახალგაზრდა, ახოვანი პაპლო იჯდა, მექსიკიდან ჩამოსული ბიჭი, რომელიც თავისი დღე და მოსწრება პოლიუდში მოხვედრაზე ოცნებობდა.

სტივმა ჩასვლის დღესვე სახელდახელო ძღვენი მომართვა: რამდენიმე საბანაო კოსტიუმი და ერთი ძვირფასა გამოსასვლელი კაბა მივიღა.

— კაბა მარტო მიღებებზე დაგჭირდება; ისე, შეგიძლია თავისუფლად იყო. ძალიან ცხელა იმისათვის, რომ ყოველდღე გამოპრანჭულმა იარო... — მითხრა, როდესაც საჩუქრებს მაძლევდა.

თვითონ მუდამ მოკლე შარვალი ეცვა.

სიმართლე რომ ვთქვა, არასდროს ვყოფილვარ ამ იდიოტური ფორმალბებით შებოჭილი, საბანაო კოსტიუმში თავს გაცილებით ლაღად ვგრძნობდი.

თავდაპირველად ბევერლი-ჰილსზე სტივის მეგობრები მოვინახულეთ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იყო. მახსოვს, ამავობდნენ, უპატრონო ბავშვებს ყოველ წელს ფულს ეუგროვებთ და ჩვენი ხელით მიგვაქვს მათთან. ვიდევ თქვეს, რეგისტრირებული დემოკრატები ვართ და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ საარჩევნო კომპანიას ვეხმარებითო.

იმ საღამოს საუცხოოდ გაკეთებული ბროკოლის კერძით გაგვიმასპინძლდნენ.

მეორე დღეს კი სან-დიეგოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ იახტკლუბში ვიყავით. სტივი ამ კლუბის წევრია: ამას გარდა, კიდევ ცხრა კლუბში შედის: მათი უმრავლესობა გოლფისა და იახტის კლუბებია.

არაფერი მირჩევნია ოკეანეს შტილის დროს. ძალიან ლამაზია. მით უმეტეს, თუ იახტაზე ხარ გაშობილი და მზის სხივები ესალბუნება შენს სხეულს.

უყურებ მზეს წყლის თვალუწვდენელ სივრცეს და თავი უსაზღვროდ თავისუფალი გგონია. რა შეიძლება იყოს ამაზე კარგი.

— მარიანა, შენ ძალიან ლამაზი ხარ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გგონია... — მითხრა ერთხელ სტივმა.

ის ჩემს გვერდით იწვა იახტაზე და თვალები დახუჭული ჰქონდა.

ერთი წამით წარმოვიდგინე, რომ ჩემს მთრთოლვარე სხეულს მისი აღმასისებრი ტანი გადაჰფარებოდა. რატომღაც მომიჩვენა, ეს იქნებოდა ჩემთვის ნეტარების უმაღლესი წერტილი. და იმ დროს არაფერს გვიმლიდა ხელს...

მაგრამ ტყუილად ველოდი...

მამინ პირველად ვიფიქრე, რომ იმ წუთას ის საკუთარი სხეულით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ჩემზე ფიქრით. ვერ ვხვდები, რატომ, მაგრამ უეცრად თავში გამიელვა, რომ მთელი ეს ლაპარაკი ჩემს სილამაზეზე მხოლოდ სიცარიელის ამოსავსებად იყო გამიზნული.

მერე ვცდილობდი, აღარ მეფიქრა მათზე. მაგრამ ფიქრი ხანდახან თავისთავად მიდიოდა იქ, სადაც ყველაზე მეტად არ მინდოდა.

მეორე დღეს დიდ წვეულებაზე ვიყავით. ერთი ცნობილი პროდიუსერი აწყობდა სადილს ახალ ფილმზე მუშაობის დაწყების აღსანიშნავად. ბევრი მუსიკოსი და კინოვარსკვლავი ტრიალებდა უზარმაზარ ვილაში და მის ეზოში.

შევამჩნიე, რომ თვითონ ამ პროდიუსერს გარეგნობით ნამდვილ ღორს რომ ჰგავდა, ყველა პატივისცემით ესაღმებოდა. ასეთი მოწიწება მანამდე იშვიათად თუ მენახა.

— რატომ ხდება, რომ ხალხი ამ კაცს ასეთი განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა... რამეს წარმოადგენს თუ?.. — ცნობისმოყვარობამ მძლია და კვითხე სტივს.

— ფული... — მოკლედ მიპასუხა მან და თავისთვის ჩაიცივნა

— ფული მამაჩემსაც აქვს. მაგრამ მომღერლები და მსახიობები ხელებს არ უკონიან... — წამომცდა.

— ყველგან ვიღაცა ვიღაცას უკონის ხელებს, — გააგრძელა ჩემი წინადადება სტივმა და თან სახე მეტისმეტად მშრალი გაუხდა. წინ იყურებოდა გაქვავებული თვალებით. — ზოგან მთავრო-

ბას უკონიან, ზოგან — ბიზნესმენებს, ზოგანაც ჯარისკაცებს...

სტუმრებს შორის რეი ჩარლზიც იყო. ადრე ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მომიწევდა ჩემი ბავშვობის საყვარელ მომღერლთან ერთ დარბაზში ყოფნა.

მოხუცი რეი ცხოვრებაში ბევრად უფრო უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ეკრანზე. გარს უამრავი ხალხი ეხვია. ისინი თითქოს მოდების ყურნალიდან გადმომხტარიყვნენ. მნელი წარმოსადგენია ამდენი ლამაზი ადამიანის ნახვა ერთად.

ხალხის ყრიაბული და მუსიკის ჰანგები მზიარულ გუნებაზე მაყენებდა.

სტივი იმ დღეს ჰოლივუდის მსახიობს ჰგავდა. უცებ ხელი მოჰკიდა და პირდაპირ იქითკენ წამიყვანა, სადაც ხალხი ირუოდა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ჩემს პირისპირ დავინახე მოხუცი რეი ჩარლზი. კარგად მახსოვს, ხელში ლიმონათის ბოთლი ეჭირა.

სტივმა ხელი მოჰკიდა მას და ყურში ხმამაღლა ჩამაძახა:

— რეი, შენი გაცნობა უნდა მსოფლიოში უღამაზეს ქალიშვილს.

ამ სიტყვების გაგონებაზე კინალამ დავეცი.

— მართლა?.. აბა ერთი დამანახეთ, რომელია?! — ჩაილაპარაკა რეი ჩარლზმა და ყველამ სიცილი ატეხა. ერთი წამით მომეჩვენა, რომ ეს ბრმა კაცი მე მიყურებდა.

ამის მერე როგორ ვცეკვავდი და ვმზიარულობდი, აღარც მახსოვს. იმ საღამოს გამიელვა პირველად თავში, რომ ზედმეტად კარგად ვვრძნობდი თავს და არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. არ ვიცი, რატომ მომდის ხოლმე ასეთი მისტიკური აზრები. მაგრამ, როგორც წესი, ასეთი წინათგრძნობა ყოველთვის მიხდება... საოცარია, არა?..

სანტა-მონიკაში ერთ სასტუმროში, მაგრამ ცალ-ცალკე ოთახებში ვცხოვრობდით. ჩვეს შორის ამ ხნის მანძილზე არაფერი მომხდარა. ისე, რომც მომ-



ხდარიყო, არავის უნდა გაკვირვებოდა. კვირაში ერთხელ თბილისში ვრეკავდი და დედაჩემს ველაპარაკებოდი. მშობლებს ძალიან უხაროდათ, ასეთი ბედნიერი ხმა რომ მქონდა.

სტივი ჩემზე თხოუმიტი წლით უფროსი იყო. მაგრამ ასაკი არ ეტყობოდა. ხომ იცი, არიან ასეთი ტიპის კაცები, ორმოცდაათი და სამოცი წლისანიც პატარა ბიჭებს რომ ჰგვანან. სტივი სულ მოძრაობდა და, ალბათ, ეს აახალგაზრდავებდა.

ვიცოდი, რომ ის სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი იყო. ერთხელ, როდესაც სან-ფრანცისკოში მივფრინავდი კერძო თვითმფრინავით, ვაპუბლე და ვეითხე მისი ბიზნესის შესახებ.

— ჩემს კომპანიაში მთავარ საქმეს მენეჯერები აკეთებენ. — მითხრა მან. — ნიუ-იორკში რომ ჩამოხვალ, თვითონ ნახავ, როგორ მუშაობენ. ისე, მე სხვა შემოსავალიც მაქვს...

— როგორ? — დაინტერესდი მე.

— ერთ-ერთი ძალიან დიდი კომპანიის სელექციონერი ვარ...

— რას ნიშნავს სელექციონერი?

— ნიჭიერ და შესაფერის მუშახელს ვურჩევ და ამაში საკმაოდ დიდ ფულს მიხდიან.

— კი მაგრამ, თვითონ რატომ ვერ არჩევენ?

— მე ამისათვის სხვადასხვა ქვეყნებში ვმოგზაურობ და ხალხი იქიდან ჩამომყავს. ეს ხალხი არც ისე ძვირად უჯდება ჩვენს კომპანიას და თანაც კარგად და მუყაითად მუშაობენ. ჩემთვის ეს სახალისო საქმეა. ბევრ ქვეყანას ვნახულობ და კარგ დროსაც ვატარებ.

— მარტო შენ ხარ სელექციონერი?

— მარტო ჩემს იმედზე როგორ იქნებოდა. ეს კომპანია თვეში მილიონობით დოლარს აკეთებს. ერთი და ორი სელექციონერის იმედზე როგორ დარჩება.

— და სამშენებლო ბიზნესი?

— სამშენებლო ბიზნესი სწორედ ამ კომპანიამ დამაწყვინა. მის სუფსიდიანზე დავაარსეთ ეს ფირმა და ახლა კარგ ფულსაც ვაკეთებთ.

სიმათლე რომ გითხრა, კარგად ვერც მივხვდი, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. უბრალოდ, გამიკვირდა, რადგან ადრე არც უხსენებია ჩემთან სელექციონერობა. გადავწყვიტე, ამის მერე აღარ მომეზურებინა თავი უაზრო შეკითხვებით. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ბიზნესის საქმეები მე არასდროს შემეხებოდა.

ისე, მანამდე გაგონილი მქონდა, რომ იტალიური წარმოშობის ამერიკელები კარგად ცხოვრობენ და დიდძალ ქონებასაც ფლობენ. ამაზე უამრავი ფილმიც მაქვს ნანახი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, ბევრს მაფიაც ასაზრდოვებდა. მაგრამ, ახლაც ეჭვი მეპარება იმაში, რომ ყველა ჭუჭყიანი ფულით ცხოვრობს.

ერთხელ, ინტერესის გულისათვის გადავწყვიტე შეკითხა სტივისათვის, რას ფიქრობდა ამაზე.

— მაფია არ არსებობს, — მოკლედ მომიჭრა.

— როგორ?

— ისეთი მაფია, ფილმებში რომ გაქვს ნანახი, არ არსებობს. ეს ყველაფერი გადაჭარბებული და გამოგონილია. ამით კომუნისტებს აშინებდნენ თავის დროზე.

— ესე იგი, სინამდვილეში სხვანაირადაა?

— სინამდვილეში ვერე არ არის. სისულელეა მაგის დაჯერება.

იმ წუთას რატომღაც მომეჩვენა, რომ, როგორც პატარა ბავშვს, ისე მელაპარაკებოდა. თითქოს ძალიან უბრალო და მარტივ ჭეშმარიტებებს მიხსნიდა. მე ეს არ მწყინდა, მაგრამ ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა. მე ხომ აღარ ვიყავი ასეთი პატარა...

არასდროს მიფიქრია ბევრი ასეთ რამეებზე. ხომ იცი, ჩემი გარემოცვა თბილისში არ იყო ისეთი, რომ ვინმეს თავი ეტეხა სოციალური პრობლემების ამოხსნით. ჩვენ ყველაფერი გვექონდა და ზედმეტის გაგება არც გვინდოდა. ის კი ვიცოდი, რომ მდიდარი ხალხის უმრავლესობა, ჩვენი მშობლების ჩათვლით, ფულს მთლად პატიოსანი გზით არ აკეთებდა. ზოგიერთი ამით ტრაბახობდა

კიდევ. თან მაგალითად სულ ალ კაპონე ან ვიტო ჯენოვეზე მოჰყავდათ, ან კიდევ ვინმე მათდაგვარი. ეს მაკვირვებდა, მაგრამ ვცდილობდი, ცხოვრება ზედმეტად არ გამერთულებინა ამაზე ფიქრით.

ერთ საღამოს, როდესაც ჩოგბურთის თამაშით ნასიამოუნებნი და დაღლილნი ჩვენს სასტუმროში დაებრუნდით, კართან თეთრი ლიმუზინი დაგვხვდა. თავიდან ვიფიქრე, რომ უბრალოდ ვინმე მდიდარი კლიენტი მოვიდა და ოთახს უკვეთავდა, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ სტივის ნომერში შუქი ენთო.

— შენთან არიან?

— შვეციიდან და ბრაზილიიდან სტუმრებს ველოდები, საქმიანი შეხვედრა გვაქვს... — თქვა სტივმა.

მანქანიდან გადმოვედით და ჩვენი ოთახებისაკენ გავემართეთ.

სტივის ოთახში ორი, იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა ქალი დაგვხვდა. ერთ-ერთ მათგანს ქერა თმა და მაღალი, აწყობილი სხეული ჰქონდა. ძალიან მხელი იყო რაიმე ნაკლის პონა. სახეზე კი ცივი, თითქმის ვაქევაებული გამომეტყველება ჰქონდა. მეორე თითქმის მისი ანტიპოდი იყო. მის გიტარასავით სხეულს მზის ფერი დაჰკრავდა.

საოცარი შესახედავნი იყვნენ ორივენი. ტანზე მხოლოდ საბანაო კოსტიუმები ეცვათ.

იმ წუთას გამკრა თავში, რომ რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო სტივის მიერ პარველ დღეებში მორთმეულ საჩუქრებსა და ამ კოსტიუმებს შორის. მაგრამ მერე ვიფიქრე, სისულელეა-მეთქი.

ისინი ფორთოხლის წვეს სვამდნენ, თან გერმანულ სიგარეტებს ეწეოდნენ.

— როგორ ხართ, ჩემო ლამაზებო?... — ისე მიესალმა სტივი, თითქოს ოცი წლის უნახავი ბავშვობის მეგობრები ნახაო. — გაიცანით, ეს არის ჩემი მეგობარი მარიანა, საქართველოდან.

— საიდან? — ჩაეკითხა ბრაზილიელი.

— რუსეთის ჯორჯიიდან, — გაასწორა სტივმა.

ვეციდნე, 'ინცის ისევე ვეციდავნიქ კი იზაბელა.

— დიდი ხანია, რაც ჩამოხვედი?... — მკითხა ბრაზილიელმა.

— სამ კვირაზე მეტია.

— უკვე მუშაობ?

— არა, უნდა ვისწავლო. — ვთქვი მიამიტად.

— შენი გარეგნობის პატრონს სწავლა არც სჭირდება... — მითხრა იზაბელმა და თან ორაზროვნად ჩაიცინა.

რატომღაც არ მესიამოვნა. გულმა რეჩხი მიყო.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, — მითხრა სტივმა, როცა შემატყო, რომ დავიბენი.

ოთახში ყავა და თხილი შემოიტანეს. გარედან არაჩვეულებრივად სასიამოვნო გრილი ჰაერი უბერავდა. სტივს მოკლე შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა.

თუ ზუსტად მაზსოვს, მგონი თეატრზე ლაპარაკობდნენ. ორივენი საკმაოდ კარგად ფლობდნენ ინგლისურს. თან ბევრი რამ იცოდნენ. ისიც კი, — რა სპექტაკლები გადიოდა ბროდვეისზე, ნიუ-იორკში, ვინ მღეროდა „რადიო-სიტი ჰოლში“, როდის უნდა ეჩხუბათ ფორმენსა და ჰოლიფილდს ატლანტიკ-სიტიში და სად იქნებოდა ჯექ ნიკოლსონი.

ახლა უკვე გავარკვიე, რომ ამერიკის შესახებ უცხოელებმა ხშირად უფრო მეტი იციან, ვიდრე ამერიკელებმა. ერთი წლის მერე უცნაურად აღარ მეჩვენება ეს. მაშინ კი პირდაღებული ვუყურებდი, როცა სტივი ამ ორი საათის ჩამოსულ უცხოელ გოგოებს ეკითხებოდა, რა უნდა მომხდარიყო ნიუ-იორკსა თუ ლას-ვეგასში.

ჩვენი სასტუმროს უკან დიდი საცურაო აუზი იყო, ცხელი წყლით და სამასაჟო მოწყობილობებით. ძალიან სასიამოვნოა ასეთ აუზში გაგრილება, როდესაც მზე აცხუნებს კალიფორნიას. ღამ-ღამობით წყალი თბება და არანაკლებ სასიამოვნოა აუზში ჩახტომა მზის ჩასვლის მერე.

როდესაც ყავის სმა დავამთავრეთ,



სტივმა შემოგვთავაზა აუზში ჩავსულიყავით და დაძინებამდე ფორთოხლის წვენი დაგველია. გოგონები კისკისით წამოღვნენ და წელზე მოთ მთლიანად გაშმელდნენ.

მე მანამდე არ ვყოფილვარ სრულიად შიმშელი ხალხში. იმიტომ კი არა, რომ უცნაური კომპლექსები მაწუხებს. არა, ყველაფერი ვიცოდი წამოსვლამდე. ისიც, რომ დასავლეთში თავისუფალი სექსია, ისიც, რომ ტანსაცმელს აქ ყურადღებას არ აქცევენ, ისიც, რომ ზშირად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ კაცთან დაწვეები. ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი საქმეა. სულის სიღრმეში მაინტერესებდა კიდევ ასეთი თავისუფლების ხილვა. მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა, როცა საკუთარი თვალით ვნახე ყველაფერი ეს. რატომღაც უცებ მომეჩვენა, რომ იმ წუთას ტანსაცმლის გახდა მთელს ჩემს სულიერ სიმდიდრეს წაიღებდა. იმ ოცნებებსაც, რომლებიც ბავშვობიდან მაცხოვრებდნენ; იმ სილამაზესაც, რომელიც ბევრს ხიბლავდა და იმ სისადავესაც, ჩემდა შეუმჩნეველად ჩემი მთავარი ღირსება რომ გამხდარიყო. იმ მომენტში ყველა თავისუფლად გრძნობდა თავს, მე კი უცებ საკუთარ თავში ჩავეიკეტე.

— გაიხადე, რას ელოდები?.. — მითხრა იზაბელმა ღიმილით. მას საოცრად ლამაზი მკერდი ჰქონდა.

ზმა არ ამომიღია. სულში რაღაც გაურკვეველი პროტესტი მომაწვა. ხომ იცი, ყველაფერი პირადულია.

იქვე, გასაშლელ სკამზე დავეჯექი. თან ფორთოხლის წვენს ვწრუპავდი. არ მინდოდა აღელვება დამტყობოდა სახეზე. საერთოდ არ მიყვარს ასეთი რამეები.

ვიყურებოდი ცაში და ვცდილობდი საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი ეს სწორია. მინდოდა მეფიქრა, რომ ჩვენ, უბრალოდ, არასწორად ვართ გაზრდილები, თორემ ასეთი ცხოვრება ნორმალურია. მაგრამ არაფრით გამომდიოდა ეს.

იმ წუთას ნამდვილად მძულდა სი-

ცოცხლე. იმის მაგივრად, რომ ტანსაცმელს გამეხადა და გამოემჩინა ჩემი ლამაზი სხეული, იმის მაგივრად, რომ დაემტკბარიყავი სიცოცხლის სილამაზით, ვერ ვიტანდი საკუთარ თავსაც და სხვებსაც...

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი აუზიდან ამოვიდნენ. ერთად ვისხელით გასაშლელ სკამებზე.

— ახლა იწყება ყველაზე სასიამოვნო ნაწილი, — თქვა სტივმა.

იმ დროს მთვარეს შევხვდეთ. სანახევროდ ღრუბლები ფარავდა, მაგრამ მაინც საოცრად ლამაზი იყო. ეს გონებაში ჩამრჩა. დაბურული მთვარე და მაინც ლამაზი. ამის შემდეგ ზშირად ვფიქრობდი ამაზე.

— თუ გინდა, შემოგვიერთდი, — მითხრა სტივმა წყნარი ხმით.

მთავაზობდა ოთხივეს ერთად გავეტარებინა დამე.

— სტივის ლოგინი დიდია და ყველას კარგად დაგვიტევს, — სიცილით ამბობდა იზაბელი. ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი ხდებოდა სერიოზული.

სისხლი თავში ამივარდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხელ-ფეხი ამიკანკალდა. ისინი ზედმეტად წყნარად გამოიყურებოდნენ.

უცებ წამოვდექი, სტივს ხელი მოვკიდე და გვერდზე გავიყვანე.

— სტივ, შენ მე ვინ გვინივარ!.. — ვუთხარი აღელვებული ხმით. მგონი, ეს ყვირილი უფრო იყო, ვიდრე ლაპარაკი.

— მე უფრო ხარ მარიანა, საქართველოს ულამაზესი ქალწული, — მიპასუხა ოდნავ დაბნეული და გაიღიმა.

— არა, მართლა, რას ფიქრობ ჩემზე?..

— არაფერს ცუდს...
იმ წუთას სტივმა ისეთი გაკვირვებული სახე მიიღო, რომ ერთი წამით დავეჭვდი კიდევ, ყველაფერი ეს ხომ არ მეჩვენება-მეთქი.

— შენ გვინივარ, რომ მე ეს ნორმალურად მიმაჩნია და ასეთ რამეებში მონაწილეობას მივიღებ?..

— რა?
— მე რა, ჩავგორდები ლოგინში უცხო

ქალებთან ერთად. ჯერ ერთი, „ლესბიანა“ არ ვარ. მე მგონი, ამას აქამდე უნდა მიმხედარიყავი!..

ამ სიტყვების გავონებაზე მომჩვენა, რომ შეცბა.

— ბოდიში, მარიანა. ჩვენ, უბრალოდ, ვერთობით. თუ არ გინდა, არავინ დაგაძალავს...

მე მგონი, იმ წუთას შევეცოდე. ხელი ნაზად მომიკადა და გულისხმიერი ხმით მითხრა:

— მე სულ არ მინდოდა შენი წყენინება, მაპატიე, თუკი რაიმე არ გესიამოვნა. თუ გინდა, შენს ოთახში შედი და დაისვენე. — მეტი არაფერი უთქვამს. გატრივალდა და წავიდა. ის ორი გოგოც ვაკვყვა. მე პირსახოცი მოვიხურე და ჩემს ოთახში შევედი.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩემი ამაღლებული ოცნება საშინელი ძალით მიწაზე დაენარცხა. მთელი დამის განმავლობაში თვალი არ მომიხუჭავს. სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა გამოვიარე აქამდე და რა მელოდა ამის შემდეგ. ძალიან მინდოდა დავწყნარებულიყავი და როგორმე თავი შემემაგრებინა. იცი, რას ვფიქრობდი თავიდან?.. ვფიქრობდი, რომ ამას განვებ აკეთებდა, რომ ჩემი გრძნობა გაემწვაკვებინა. როდესაც მითხრა, იმდენ ქალთან ვარ ნამყოფი, რომ უკვე თვლაც აღარ მაქვსო. ვიფიქრე, ამას ჩემს გასაბრალებლად ამბობს-მეთქი.

ყველა მეუბნება, გეჩვენება ასეთი რამეები; მაგრამ ვიცი, რომ არ მეჩვენება. ნამდვილად ვიცი. ის ვილაცებსაც მიეზავნიდა. ნიუ-იორკში როგორც კი ჩაკვდი, ჩემთან ერთი სეკუნო ვილაც დასახლდა. სიუზანი ერქვა. ყველაფერს უამბობდა სტივს ჩემზე. სტივი კი, როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით, მაგრძნობინებდა: ყველაფერი ვიცი შენს შესახებო.

„აპერ ვესტ-საიდში“ ცეხოვრობდით 87-ე ქუჩისა და ბროდუეის კუთხეში. სამი თუ ოთხი გაჩერებაა მეტროთი უნივერსიტეტამდე. დილით კურსებზე და-

დილი და საღამო თავისუფალი მქონდა. ოთახის ფულს სტივი იხდიდა.

სტივის ოფისი „კალამას სირკლე“ იყო. ის სულ გართული იყო საქმეებით. ამიტომ მთელი შემოდგომის განმავლობაში სულ რამდენჯერმე ვნახე. ერთხელ რესტორანში დამპატიჟა — „პლაზაში“ და ერთხელაც „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ვიყავით. მეტი აღარ მახსოვს. ისე, ხშირად რეკავდა ჩვენთან. მაგრამ ხუთ წუთზე მეტს იშვიათად ვლაპარაკობდით.

სიუზანი საკმაოდ უცნაური ადამიანია. ერთად რომ ცეხოვრობდით, სულ იმის მეშინოდა. ახლო ურთიერთობა არ მოენდომებინა. თავიდან კი სიმათიურად მომჩვენა. იცი, რაღაც სიღამაზე ნამდვილად აქვს. კრომველისაგან ლტოლვილი პურიტანების შთამომავალია. მერე, ურთიერთობაში, გავარკვიე, ვერ შევეწყობოდით. იმიტომ კი არა, რომ ჩემგან განსხვავებულ აზრებს ვერ ვიტან. არა...

სიუზანი სულ გაშმაგებით მიმტკიცებდა, ეს ქვეყანა თუთრ მამაკაცებს ეკუთვნით და ისინი ყველა დანარჩეს ჩაგრავენო. სიმართლე რომ ვთქვა, ვერ ვხვდებოდი — როგორ. არა, შეიძლება ეს სიმართლეცაა, მაგრამ, ალბათ, ქუჩაში სიარულით და ზედაპირული ურთიერთობებით ამას ნაკლებად იგრძნობ. პირიქით, მგონია, რომ აქ კაცებს ეშინიათ ქალების.

ერთხელ ვაშინგტონის დასათვალიერებლად წავედით ერთად. საოცრად ჩამრჩა მეხსიერებაში. თითქმის ყველაფერი ვნახეთ. სიუზანი ირონიულად იცინოდა.

ძალიან მომეწონა ვაშინგტონი. ნიუ-იორკში გაგიჟებულს თავი ევროპულ იდილიაში მეგონა. თანაც ყველაფერი ეს რატომღაც ძველ რომს მაგონებდა. იმ რომს, სადაც იულიუს კეისარი და მარკუს ანტონიუსი მბრძანებლობდნენ. ისე, დღევანდელ რომშიც არ ვარ ნამყოფი და არც ვიცი რატომ ვაკავშირებ ერთმანეთთან.

კონგრესის შენობის წინ დიდ, გაშლილ მდელიზე ვისხედით. ჩვენს გასწ-

ვიც ვორჯ ვაშინგტონის მემორიალი მოჩანდა. მდელიოზე ვისხედით და თან საჭმელს ვჭამდით. რალაც პიკნიკის მაგვარი მოუწყვეთ საკუთარ თავს.

სიუზენმა თითი ვორჯ ვაშინგტონის მემორიალისკენ გაიშვირა.

— იცი, რა არის ეს?

— არა, — ვთქვი მე, თუმცა ვიცოდი, რაც იყო, მაგრამ ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა.

— ეს არის თეთრი მამაკაცის სასქესო ასო.

— როგორ?

— ამ ქანდაკების მთავარი აზრი ის არის, რომ ამ ქვეყანაში თეთრი მამაკაცის ბატონობა უსასრულოა...

დიდი ყურადღებით შევხედე მემორიალს. ერთი შეხედვით შეიძლება მიგეშვასეხებინა კიდევ, მაგრამ არა მგონია, რომ მართლ იმ უხამსობას წაავადა.

სიუზენი უშფოთველად განაგრძობდა ჭამას.

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობ.

— ვერც მიხვდები, სანამ შენ თვითონ არ გამოცდი ამ ქვეყნის სინამდვილეს.

— კი მაგრამ, თუ ხვდები, რას აკეთებ იმისათვის, რომ ცხოვრება უფრო იოლი გახდეს? — ვეღარ მოვიტმინე.

— ფული, — ღვარძლიანი სახით მიომოგ სიუზენმა. — ფული და ძალაუფლება მაკლია. ფულის მანქანა ვარ ვაბმული. ამ ქვეყანაში გინდ უფულოდ იყავი და გინდ უთავოდ...

ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა. სიმართლე თუ გინდა, იმ წუთას მის თვალბეჭეში ბოლმა უფრო დავინახე, ვიდრე რაიმეს გაკეთების სურვილი.

იცი რა, შეიძლება ჩემი ლაპარაკი ძალიან დაუკავშირებელი და ძნელად დასაჯერებელი იყოს. თუ გინდა, ნუ დაიჯერებ, მე უბრალოდ ვთხოვ — მომისმინო.

ვფიქრობ, რომ სიუზენი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც მე მითვალთვალებდა. ვიცი, შეიძლება გიჟად მოგეჩვენო, მაგრამ არ ვაჭარბებ. ის ჩემს ლაპარაკს მაგნიტოფონზე იწერდა. მერე სტივი

მაგრძობინებდა, რომ ყველაფერი იცოდა ჩემზე.

ნიუ-ჯერსიში ერთი ქართველი მეგობარი მყავდა. ხშირად ვლაპარაკობდით ტელეფონით. თანაც ყოველთვის ქართულად. არ მახსოვს, ოდესმე ინგლისურად გველაპარაკოს. ძირითადად პირად ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით. გინდ დაიჯერე და გინდ არა, სტივმა ამ ჩვენი საუბრის შინაარსებიც იცოდა.

ფულის ასაღებად სტივის ოფისში დავდიოდი. მაიკლი ყოველთვის ძალიან ზრდილობიანად მხვდებოდა. ჩამოვსხდებოდით ხოლმე და ასე, ნახევარ საათს ვლაპარაკობდით სხვადასხვა ამბებზე. მეტ ხანს არ ვჩერდებოდი, რადგანაც ვიცოდი, რომ ყველა საშინლად დაკავებული იყო.

აღარ მახსოვს ზუსტად, მგონი, ოქტომბრის ბოლოს ჩემს საძინებელ ოთახში სურათების დიდი დასტა აღმოვაჩინე. არ მიყვარს სხვისი ნივთების თვალიერება, მაგრამ იმ დროს უკვე ეჭვები მღრღნიდა. ვგრძობდი, რომ ვიღაც მითვალთვალებდა; არ მინდოდა სტივისათვის დამებრალებინა ეს. იმ დროს ვერ კიდევ მეგონა, რომ ჩვენს შორის რალაც არსებობდა. ვფიქრობდი, რომ მეპრანჭებოდა ანდა საერთოდ არაფერი არ იცოდა ამ თვალთვალის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი ჩემს გულში ისევ ისეთი ნათელი წარმოდგენა დამჩინებოდა მასზე, როგორც მანამდე მქონდა.

მართლაც, ხომ შეიძლებოდა ვიღაც სხვა ყოფილიყო. თანაც იმ ხანებში ნიუ-იორკში მასზე ახლობელი არავინ მყავდა. ჩემებისაგან კი უკიდევანო ოკეანე მამორებდა.

მოკლედ, იმას ვამბობდი, რომ ჩემი საწოლის ქვეშ სურათების დიდი დასტა აღმოვაჩინე. ახლაც კარგად მახსოვს, როგორ დავთვალე, — სამოცდათორმეტი სურათი იყო. რალაც უცნაურად მწველი ინტერესის გრძნობა მამორავებდა...

ელდა მეცა, როდესაც ჩემი საკუთარი ფოტოსურათები დავინახე. ყველა მათგანზე მე ვიყავი გამოსახული. თანაც

სულ შიშველი, ბანაობის დროს. შევამჩნიე, რომ ყველა სურათი ერთი წერტილიდან იყო გადაღებული და ეს წერტილი უნდა ყოფილიყო სადღაც ჭერთან ახლოს, საშხაპე მილთან.

რატიომღაც მომეჩვენა, რომ სურათები სხვადასხვა დროს იყო გადაღებული.

ამის თქმა დალაგებულად ახლა შემიძლია, თორემ მაშინ ფიქრის თავიც არ მქონდა. უცბად ისტერიული ტირილი ამიტყდა. მთელი სხეული მიცანცახებდა. არ ვიცოდი, რა მექნა...

შინ არავინ იყო ჩემს გარდა. სიუზენს ღამის მეცადინეობები ჰქონდა. მახსოვს, დაახლოებით საღამოს ხუთი საათი იქნებოდა. სიუზენი კი ღამის თერთმეტ საათამდე არ უნდა მოსულიყო.

ვიცი, რაღაცას ვყვები უშნო დეტექტივის სტილში. მაგრამ ამ ამბებს რომ ვიხსენებ, ტანში ახლაც ჟრუანტელი მივლის. ყველაზე ძნელი ის არის, ადამიანები დაავჯერო, რომ სიმართლეს ამბობ. თან, მით უმეტეს, როცა ასეთ რამეს ჰყვები.

მაშინვე ხელში ავიღე სურათების დასტა და სტივის ოფისისაკენ გავიქეცი. ეს იყო ერთადერთი რეფლექსი, რომელმაც იმ წუთას იჩინა თავი.

ალარც მახსოვს, როგორ მივალწიე „კალამბას სირკლამდე“. ფეხებს თავისით მივყავდი.

ოფისში მარტო მაიკლი დამხვდა. მდივანი ქალი უკვე დიდი ხნის წასული იყო.

მაიკლი სკამიდან წამოდგა, როცა ოთახში შევედი. ეტყობა, საზე სულ მთლად გადარეულს მიმიგავდა.

— რა მოხდა?

— ცუდად ვარ და რამე მიშველე... — ძლივს ამოეთქვი და სკამზე დავეშვი.

არეულად დაუწყვე მოყოლა მთელი იმ ამბებისა, რაც მოხდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ მითვალთვალბენ, — ვეუბნებოდი აკანკალებული და ცრემლმორეული, — სტივიმ აუცილებლად უნდა იცოდეს...

მაიკლი ყურადღებით მისმენდა.

— სტივი ახლა გერმანიაშია და, ალბათ, ორი კვირის მერე ჩამოვა, — მითხრა, როდესაც მოყოლა დავამთავრე. — ისე, სტრესულმა მდგომარეობამ იცის ასეთი პესიმისტური აზრები...

ამ სიტყვების შემდეგ სურათების მთელი დასტა ამოვიღე და მაგიდაზე დადე.

— მაშინ, ძალიან გთხოვ, მითხარი, რას ნიშნავს ეს?..

მაიკლმა სურათების თვალიერება დაიწყო.

იმდენად ადრეველებული ვიყავი, რომ ტურნებიც ამიკანკალდა.

მაიკლი სახზე თანდათან წითლდებოდა. რაც უფრო მეტ სურათს ნახულობდა, მით უფრო დაბნეული ხდებოდა. თან ცდილობდა, რომ არ შემჩნეოდა დაბნეულობა.

— მაპატიე, არ ვიცოდი... — მითხრა, როდესაც სურათების დათვალიერება დავამთავრა. თვალი ვერ გამისწორა და თავი ხელებში ჩარგო. სახზე ეტყობოდა, რომ თანამიგრძნობდა, მაგრამ ამავე დროს საოცრად უსუსური იყო. იმ წუთას მე გამიჩნდა სიბრაულის გრძნობა მისდამი. საოცარია, არა?! მაგრამ არც ერთ სიტყვას არ ვაჭარბებ.

კარგა ხანს ვისხედით ასე უჩუმრად. ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით. მომეჩვენა, თითქოს იმ წუთას მაიკლი დარცხვენილი იყო. მაგრამ ისევ და ისევ ხმის ამოღება უჭირდა.

— მარინა, ვიცი, რომ ძალიან კარგი გოგო ხარ. — ამოღერდა როგორც იქნა ძალდატანებით, — ერთ რამეს გთხოვ, ნუ იქნები ძალიან მიაამიტი.

— რა გინდა ამით თქვა?

— არაფერი. უბრალოდ, ადამიანი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს. ეს ჰქვეყნა საესეა განსაცდელით. ვიცი, რომ შენ ჰკვიანი გოგო ხარ.

— რას ნიშნავს ეს? ვინმე მანიაკი დამდევს თუ ეს ექსტრავაგანტური სიყვარულის ფორმაა...

— არა მგონია, ჩვენს გვერდით ვინმე მანიაკი იყოს. არ ვიცი.

— ესე იგი, თქვენთან ასე უხსნიან ქალებს სიყვარულს?

მაიკლი თავჩაღუნული იჯდა მანამდე. მერე როგორც იქნა ასწია თავი და გაკვირვებით შემომხედა თვალებში.

— შენს ქვეყანაში სიყვარული არსებობს?

— რას გულისხმობ?

— რას და, იმას, რომ ფილმებში რასაც ენახულობთ, მთლად მართალი არ უნდა იყოს. ამ ქვეყანაში ხალხი ბიზნესს აკეთებს და ამით ხდება ჩვენი მომტავერება.

— მაიკლ, პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გინდა. ნუ მაწვალებ...

იმ წუთას ვერ შევძელი ნერვების მოთოკვა.

მაიკლს სახე გაუქვავდა.

— მაპატიე, მე არაფერი არ ვიცი. წარმოდგენა არა მაქვს, ვის შეეძლო ამის გაკეთება.

— რა ვქნა?

— არ ვიცი, შენ თვითონ უნდა მიიღო გადაწყვეტილება...

— პოლიციაში ხომ არ წავიდე?

— არა მგონია, ეს რამეს უშველიდეს. თუმცა შეგიძლია გააკეთო, რაც მოგეუსურება.

მაიკლი წამოდგა თავისი სკამიდან და გარეთ გამოიყვა. მანქანი წასვლაც შემომთავაზა. თვითონაც დაბნეული იყო. მგონი, მიხვდა, რომ არაფერი მეჩვენებოდა და რაღაც სერიოზული უნდა ყოფილიყო. არასოდეს დამავიწყდება მისი დაბნეული და ამავე დროს შეწუხებული სახე.

მას მერე ეს მსუქანი და სასაცილო ბიჭი აღარ მინახავს. ერთი კვირის შემდეგ მდივანმა მითხრა, სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოლო. თვითონ არც დაურეკავს და არც მოსულა. სახლის მისამართიც შეეცვალა.

ამის შემდეგ დაიწყო ჩემი კომპარები.

კოლუმბიის უნივერსიტეტში ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ბიჭი მუშაობდა.

იქვე ცხოვრობდა და ველოსიპედით დადიოდა ხოლმე ლექციებზე. დათო ერქვა.

დაურეკე და ვთხოვე, დამხმარებოდა. ვუთხარი, რომ ჩემთან ღამდამობით დარჩენილიყო. საცოდავმა უარი ვერ მითხრა.

ისე, ალბათ, საშინელებაა ქალთან ერთად ითახში ყოფნა მთელი ღამის განმავლობაში, როცა იცი, რომ ეს ქალი შენი არ გახდება, და თანაც მეორე დღისათვის სემინარი გაქვს ჩასაბარებელი ამერიკულ სკოლაში.

ღამდამობით არ გვეძინა. მე არ მეძინებოდა და იმასაც არ ვაძლევდი დამძინების უფლებას. ვლაპარაკობდით რაღაც სისულელეებზე. ჩემი აზრით რომ მოუყევი და საკუთარი შინი გაუუზიარე, თავიდან იმანაც სიგიჟედ მიიჩნია. მითხრა, ლამაზი ვოვო ხარ და, ალბათ, იმიტომ გეჩვენება ეს ყველაფერიო. მაგრამ მერე თვითონაც დაეჭვდა.

ერთი კვირის განმავლობაში არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ საცოდავ დათოს მარტო დილაობით ეძინა ხოლმე. ისიც ორი ან სამი საათის განმავლობაში. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ლექციების მოსმენას.

სიუზენი სხვა ბინაში გადავიდა და ხანდახან მირეკავდა ტელეფონის გადასახადების თაობაზე. ცოტა ზედმეტი მომივიდა თბილისში რეკვა. სიუზენმა ტვინი ამომიღო ამ ფულზე ლაპარაკით.

სურათების აღმოჩენიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ სტივმა დამირეკა. მისთვის არაფერი მითქვამს მანამდე.

გინდა ვითხრა გულწრფელად, რას ვფიქრობდი?

მეგონა, რომ მოვწონდი და ასეთი მეთოდით თავს მაწონებდა. როგორც ამბობენ — გრძნობას მიღიზიანებდა. ჩვენში ეს ხდება ხოლმე და, ალბათ, ყველგანაც. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით ამაში არაფერი არანორმალური არ არის.

სტივმა დილის შვიდ საათზე დარეკა. დათოს ეძინა და მე ავიღე ყურმილი.

— როგორ მიდის საქმეები? — მკითხა მშვიდი ხმით.

— არა უშავს...

მერე დამიწყო გამოკითხვა, როგორ მომწონს უნივერსიტეტი. ორი სიტყვა სამუშაოზეც მითხრა. ვერაფერი შევატყე იმისა, რომ იცოდა ჩემს თავს გადამხდარი ამბავი. როცა ლაპარაკს ვამთავრებდით, მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა:

- მარიანა, ნადირობა არ გიყვარს?
- არ ვიცი... — ვთქვი შეშინებულმა.
- მე კარგი მონადირე ვარ...
- მართლა?..
- სამ მიღში ვარტყამ მიზანს, რომ იცოდე.

უცებ ტანში გამაჟრიალა და სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა.

- რატომ მეუბნები ამას?
- ისე, უბრალოდ.

ამის მერე დამემშვიდობა და ყურმილი დაკიდა. შიშისაგან გათეთრებული ვიყავი. ერთი ხანობა საერთოდ ხმას ვერ ვიღებდი. ბოლოს თავს ძალა დავატანე და მთელი ხმით ვკიკვილე.

მგონი მთელმა კვირულმა გაიგო ჩემი კვილი. უბრალოდ, შეუღლა ის იყო, რომ დილის შვიდ საათზე თითქმის ყველა მომუშავე ამერიკელი ფეხზეა.

დათო შეშინებული და რეტდასხმული წამოხტა ლოჯინიდან. ერთი საათის განმავლობაში ცდილობდა დავემშვიდებინე, მაგრამ მგონი, თვითონაც დასამშვიდებელი იყო.

არ ვიცი, რა დამემართა იმ წუთას, მაგრამ პირველად ვიგრძენი თავი ყველასაგან მიტოვებულად. მანამდე ყოველთვის მეგონა, რომ ვილაც ჩემს გვერდით იქნებოდა... ეს ილუზია ბავშვობაში, ალბათ, ყველას აქვს. შეიძლება არც არის სერიოზული ამაზე ლაპარაკი. მაგრამ სტივის სიტყვებმა გამაგიჟა. — ეს არ იყო მუქარა. ნეტავი დამმუქრებოდა, ამას უფრო ავიტანდი. არა. ეს იყო გულგრილობა.

იმ წუთას ვიგრძენი, რომ სტივისათვის საკუთარ ტელევიზორზე ძვირფასი

არაფრით არ ვიყავი და მეპყრობოდა ისე, როგორც ნივთს; და თანაც ძალზე გულგრილად მაგრძნობინებდა ამას.

იმ დამეს თვალი არ მოგვიხუჭავს. საწყალი დათო ოთახიდანაც კი არ გასულა. საპირფარეოში რომ მიდიოდა, თან მივეყვებოდი. ერთი წამითაც არ შემძლო მარტო დარჩენა. მთელი დამის განმავლობაში ქუჩიდან სროლის ხმა ისმოდა. თითქოს ჩვენ სახლთან ისროდნენ. არ ვიცი, შეიძლება მეჩვენებოდა ან რაიმე დამთხვევა იყო, მაგრამ ის დღეები სულ კომპარებში ვიყავი.

მეორე დღით უნივერსიტეტში წავედი. დათომ თავისი ველოსიპედით ლექციებს მიაშურა. გამუდმებით ცუდი გრძნობა მქონდა. ორი საათი გაქავებულივით ვიჯექი. ლექტორი ნახევარსაათს ლექციას გვიტარებდა, მერე ვიდუომავინტოფონზე საინტერესო გადაცემებს და ფილმებს ვეანახებოდა სუბტიტრებით. და ბოლოს მთელი ჯგუფი, ასე, ოც კაცამდე, ვარჩევდით ნანახ ფილმს ინგლისურად. ჩემთან ერთად ჯგუფში სულ ჩინელები, იაპონელები და სამხრეთ ამერიკელები იყვნენ. საცოდავები იჭაჭებოდნენ, რომ როგორმე ამოეღათ ენა, მაგრამ არ გამოსდიოდით. მე კიდევ იმათთან ერთად ცოდვილობა აღარ მინდოდა, რადგანაც ელემენტარული რამეები უკვე ვიცოდი. რა უნდა მექნა — ვიჯექი და ვუსმენდი.

იმ დღეს კი ბოლომდე ვერ გაეძელი. ერთი საათის შემდეგ თავი გავითავისუფლე. ვიცოდი, ორზე დათო უნდა მოსულიყო. ცოტა ადრე მივედი. დავჯექი და წიგნის კითხვა დავიწყო.

ორს რაღაც წუთები აკლდა, როდესაც ოთახში ნაცემი და აქოშინებული დათო შემოვარდა. სახე მთლიანად დასისხლიანებული ჰქონდა.

— მცემეს... — თქვა ჩუმად შემოსვლისთანავე და ტანტზე დაჯდა.

— ვინ?

— არ ვიცი...

ძალიან შეშინებული იყო.



სახე მოვბანე. ზურგზე ჩალურჯებულ ადგილები ჰქონდა, თითქმის ვერ იმჩნევოდა, ისე სტკიოდა ყველაფერი. საცოდავი ცდილობდა, არ შეემჩნია ტკივილი.

უნივერსიტეტიდან რომ გამოდიოდა, ორი ბიჭი დახვდა კარებთან. შესთავაზეს კალათბურთის ბილეთები შედარებით იაფ ფასში. იქვე ახლოს მიიყვანეს, ვითომ იმ ბილეთის საყიდლად. იქიდან კი ორ ნაბიჯზე უკვე ჰპარლემია. სადღაც სარდაფში ჩაიყვანეს და უთხრეს, აქ დაგველოდე და ხუთ წუთში ბილეთებს მოგიტანთო. უკან რომ დაბრუნდნენ, კარი ჩაკეტეს და უმოწყალოდ დაუწვეს ცემა ვოხებით. სანამ მთლიანად არ დასისხლიანეს, არ მოეშვნენ. ბოლოს ჯიბიდან საფულე ამოაცალეს. საცოდავს იქ საუზმის ფული და თავისი საბუთები ეღო. გაქცევის წინ გააფრთხილეს, ახლა შენი მისამართიც ვიცით და თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, მოგკლავთო.

— რას ნიშნავს ეს მუქარა? — ვკითხე მე.

— არ ვიცი, მაგათსას ხომ ვერაფერს გაიგებ. ვითომ პოლიციაში არ განაცხადო. აბა, რას უნდა ნიშნავდეს?... — თქვა დათომ და სახეზე ტანჯვა აესახა.

— რა უნდა ვქნათ? —

— არ ვიცი, რა ვითხრა. ამ საქმეს შარის სუნი უდის. მე ძალიან მიყვარხარ და არავისიც არ მეშინია, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— მაგრამ ვხვდები, თუ აქ რაიმე სერიოზულია, მე ვერაფერს ვიშველი. მესმის, რომ თბილისში ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და სულ ვეხმარებით მეგობრებს. მაგრამ აქ ისე გაგვასაღებენ მეც და შენც, თვალს არ დაახამბამებენ, მერე მიდი და უმტკიცე, რომ მაგათი გაკეთებულია. თანაც...

— რა თანაც?..

— თანაც ჩემი სპონსორი მეუბნება, თუ სწავლა არ გინდა, სხვა ვინმეს ჩამოვიყვანო. მაგას ლამაზი თვალებისა-

თვის კი არ მოვწონვარ. მერე ხუთი წელი მაგ კომპანიისათვის უნდა ვიმუშაო და დახარჯული ფული ამოუქაჩო. თუ ლექციებზე დამავციანდა და ყოველდღე გამოუძინებელმა ვიარე, ყველაფერს დაეკარგავ. აზრი რომ ჰქონდეს, კიდეე პო...

— რას არა აქვს აზრი? — ვკითხე შეშინებულმა. ტანში ისევე ჟრუანტელმა დამიარა.

— სხვაგან, ალბათ, ექნებოდა აზრი და ამაზე უკან არც არავინ დაიხედა. აქ კიდეე, ვერ ხედავ?! ისე გადაგიღეს სურათები და ისე გააქრეს მეორე დღეს, რომ ვერაფერი გავიგეთ. არ ვიცი, ასეთ ცივილიზებულ კრიმინალებს რა უნდა ეუყოს შიშველი ხელებით. მე კი არა, ას ჩემნიარს ისე გააქრობენ ერთ წამში, რომ ნაკვალევსაც ვერ იპოვი.

იმ წუთას ჩემზე უბედური არავინ იყო. იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა ვიღაცების. არა. შიშით კი მეშინოდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ახლა უკვე მთელი სიმწარით ვიგრძენი, რომ მართლ ვიყავი დარჩენილი. სულ მარტო, კარგად დახეთილი მანქანის პირისპირ. ამ მანქანისათვის ყოველივე აღმნიშნური ემოცია უცხოა და მიუღებელი...

იმ წუთას მეჯავრებოდა ეს სიტყვა — ბიზნესი. და ვფიქრობდი, რომ ყველაფერში ვცდებოდი მანამდე. საცოდავ დათოს შემულილი სახით ეუყურებდი.

— რას ფიქრობ, რა უნდა ვქნათ?..

დათო ცოტა ხნით ჩაფიქრდა, თითქოს ეუხერხულელობდა რაღაცის თქმა და შესაფერის სიტყვებს ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერდა:

— ვფიქრობ რომ ლესლის უნდა სთხოვო და ფედერალურ გამოძიებას მიმართო...

— და რატომ პოლიციას არა?

— მე მგონი, ამ შემთხვევაში უფრო სერიოზული დამცველი გჭირდება, ვიდრე პოლიცია.

ლესლი მამჩემის მეგობარი ქალია. ვაშინგტონში ცხოვრობს. ერთ დროს ნიქსონის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

ძალიან კარგი კავშირები აქვს და თანაც ჭკვიანი ქალია. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც გამხსენებია, რომ მასთან დარეკვა შეიძლებოდა.

ამ იდეამ ცოტათი სიმხნევე მომმატა. ტელეფონების წიგნში ლესლის სამუშაო ნომერი მოვხაზეთ და ქუჩაში ჩავედით. სახლიდან არსად ვრეკავდი, უბრალოდ ვპასუხობდი. ისეთი პარანოია დამეწყო, რომ უკვე საკუთარი ლანდისაც მეშინოდა. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ჩემს სატელეფონო საუბრებს იწერდნენ, მეგონა, ვიღაც უკან დამყვებოდა. ის კი არა, ქუჩაში რეკლამას რომ დავინახავდი, სულ ჩემს თავს ვუკავშირებდი.

ლესლი ერთი საათის მერე დავიჭირეთ. ყველაფერს ისე არეულად ვუყვებოდი, თავიდან იფიქრა, სულ მთლად გაგიჟებულიაო. ვერაფრით მოვახერხე აზრის დაწყობა. ბოლოს დათმე გამომართვა ყურმილი და შედარებით დალაგებულად აუხსნა, რა ხდებოდა.

ლესლის კარგი კავშირები აქვს ფედერალურ სამსახურებში. ახლა რამდენიმე წელიწადია კერძო კომპანიისათვის მუშაობს. თავის დროზე ერთი დიდი პროფკავშირის თავმჯდომარეც იყო. კონგრესშიც იცნობს ხალხს. მოკლედ, გავლენიანი ქალია და თანაც პატიოსანი და კეთილსინდისიერი. ფანატურად უყვარს ქართულები, ჭირივით ეზიზღება კომუნისტები და მათი ტიპის ხალხი. მისი ქმარიც იტალიური წარმოშობის ამერიკელია.

მოკლედ, ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი გამოსავალი მასთან დარეკვა იყო.

ქუჩაში გვარიანად ციოდა. ლესლიმ ყურადღებით მოისმინა დათოს მონაყოლი და დაგვიპირდა, რომ ორი საათის შემდეგ შინ დავვირეკავდა.

ამის შემდეგ ცოტათი დავწყნარდი, ვიცოდი, რომ ლესლი ტყუილად არ ილაპარაკებდა. და თუკი საჭიროდ ჩათვლიდა დახმარებას, აუცილებლად ყველაფერს გააკეთებდა.

სახლში ავედით, ყავა მოვაღულეთ და სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობდით. ორივენი ნელ-ნელა ვაღწევდით თავს სტრესს, მაგრამ დათოს მაინც ვატყობდი სახეზე შიშს. ცდილობდა, როგორმე დამემალა ეს. ეუხერხულებოდა თავის ტოლგოგოსთან სისუსტის გამომფლავება. ეს ყველა ბიჭს აქვს მეტ-ნაკლებად. მაგრამ ამავე დროს ვხვდებოდი, რომ ეს შიში არ იყო დედლობა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ბიჭური პრობლემა. ჩვენს წინ იდგა გაურკვეველი სახის რობოტი, რომელიც შეიძლება ავტომატურად ამუშავებულიყო და ერთი კაცის ძალა ნამდვილად ვერ გააჩერებდა მას. ამას ვგრძნობდი და ამიტომაც გულში არ ვამტყუნებდი დათოს.

ლესლიმ თავისი სიტყვა შეასრულა და ორი საათის შემდეგ მართლაც დარეკა. ახლა უკვე მე ველაპარაკე.

— მარიანა, შენ რას ფიქრობ, რა შეიძლება იყოს ეს?

— არ ვიცი, ლესლი...

— მაინც?..

— შეიძლება ასეთი მეთოდებით მისხნის სიყვარულს, არ ვიცი...

ამაზე ლესლის გაეცინა.

— ბავუვი ნუ ხარ, მარიანა...

— აბა, სხვა რა შეიძლება იყოს... — გულანქარბულმა ვკითხე, თან თითქოს წინასწარ ვიცოდი მისი პასუხი.

— ეს ამბავი ძალიან ჰგავს „ესკორტ-სერვისს“.

„ესკორტ-სერვისის“ შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ არ მინდოდა წარმომედგინა, რომ ოდესმე მე შემემთხვეოდა. ვიცოდი, რომ ძვირად ღირებული ქალები საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდათ იმისათვის, რომ ფული დაზოგონ. უცხოელი ყოველთვის იაფი მუშახელია. იმწუთსვე გამახსენდა კალიფორნიის ამბები და სტივის სიტყვები, როცა მითხრა, „სელექციონერი“ ვარო. ერთი წამის განმავლობაში თავში ათასმა აზრმა გამიილევა.

— რა ვქნა, ლესლი?

— არ ინერვულო. მე ვეტყვი საჭი-



რო ხალხს ფედერალურ სამსახურში უბრალოდ, ეს ისეთი საქმეა, თუ არ დამტკიცე შენი სიმართლე, მაშინ ან გიჟი ხარ, ან ცილისმწამებელი. ამიტომ, სანამ ვინმეს რამეს დააბრალებ, უნდა გამოიძიო...

— მე რა ვქნა?

— არაფერი ისეთი, უბრალოდ, ახლავე გადადი სადმე... ტელეფონის ნომერი არავის უთხრა ჩემსა და დათოს გარდა. იყავი იქ, სანამ საჭიროა. ამასობაში ყველაფერს გავიგებ და ყველა შემთხვევაში წყნარად იქნები, ოღონდ... ზედმეტად ბევრ ხალხში არ ილაპარაკო ამის შესახებ, თორემ გიჟად გამოგაცხადებენ, კარგი?..

— კარგი.

მე და დათომ იმავე წუთას გადავწყვიტეთ, ავბარებუდიყავით. დათო თავის სახლში დაბრუნდა, საონსორთან. მე კი ჩემს მეგობრებთან, ორ ახალგაზრდა ქალთან გადავედი ორმოცდამეცხრამეტე ქუჩაზე. ერთ-ერთის მამა ცნობილი მილიონერია. დაახლოებით ერთი თვის ჩამოსულები იყვნენ.

დავურეკე და ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. მითხრეს, გადმოდი, ისედაც მოწყვნილები ვართო...

ჩემი ბარგით გადავედი იმათთან. ისინი დღის განმავლობაში მუშაობდნენ. ოღონდ შეება ის იყო, ერთ-ერთი ყოველთვის შინ რჩებოდა. დღევამოშვებით მუშაობდნენ ერთსა და იმავე ადგილას. თვითონაც ეხალისებოდათ ჩემთან ერთად ცხოვრება.

ერთ-ერთი მათგანი ექიმი. მეორე — ფსიქოლოგი.

დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მათთან ვიყავი. მეორე დღესვე ფედერალური სამსახურის აგენტებმა დალუქეს ბინა, სადაც ვცხოვრობდი. რამდენჯერმე გასაიდუმლოებულ დაკითხვაზეც წამიყვანეს. დაწერილებით მეკითხებოდნენ თითქმის ყველა დეტალის შესახებ. ორმოცდამეცხრამეტე ქუჩაზეც ერთი მანქანა გვდარაჯობდა.

უკვე იქამდე მივედი, რომ აღარც ვიცოდი, ვისი უნდა შემშინებოდა და ვისი არა. საოცრად დამალა ამდენმა სტრესმა და ნერვების შლამ. რაც დრო გადიოდა, სიკვდილის ფიზიკური შიში თანდათან მიქრებოდა და მის ადვილზე გამოდიოდა მარტოობის შიში. წარმოვიდგენდი, რომ ასანთის კოლოფში ვიყავი ჩაკეტილი და იქიდან ცხოვრების ბოლომდე ვერ გავაღწევდი. აი, ეს გრძნობა მაწვავლებდა ყველაზე მეტად.

ორი კვირის შემდეგ ლესლიმ დარეკა. მითხრა, რომ გამოძიება მუშაობდა ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში და ატლანტაში, სადაც სტივის კომპანიის მსხვილი ოფისებია. ფედერალურმა სამსახურებმა გამოიძიეს თითქმის ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, დაკითხეს უამრავი მოწმე, მაგრამ ვერავითარი საბუთი ვერ იპოვეს იმისა, რომ საქმე „ესკორტ-სერვისის“ ეხებოდა.

საოცარია, არა?!.. — ვერავითარი მტკიცება...

ლესლიმ ყველაფერი ეს წყნარად ამისხსა.

— ესე იგი, გამოდის, რომ მე ვტყუოდი... — ვთქვი იმედგადაწყვეტილმა.

— არა, მარიანა, უბრალოდ, შეიძლება მოგეჩვენა ან გადააჭარბე. ასეთი რამები ხდება ხოლმე...

— კი მაგრამ ახლა რომ მომკლან?.. ახლა ხომ იციან, რომ დახმარება გთხოვეთ!..

— ნუ გეშინია, — მითხრა ლესლიმ აუღილებულად. — შენი მოკვლა გამორიცხულია. გინდაც გამოძიება ცდებოდეს და საქმე ორგანიზებულ დანაშაულთან გვექონდეს. შენი საქმე უკვე ზედმეტად განმარტებულია. ყველა ვარიანტში ზედმეტი რისკია...

— ესე იგი, ისინი ისევე თავისუფლად ივლიან?.. — არ ვეშვებოდი მე.

— სანამ არ დაუმტკიცებ, ის უდანაშაულოა. მაგრამ ეგ ნუ გაღელვებს. მთავარია, შენ არ შეგეზონ.

— ლესლი, შემიძლია მშვიდად ვიყო?
 — მშვიდად იყავი.

ვხვდებოდი, რომ სულელურ შეკითხვებს ვიძლეოდი, მაგრამ თავს ვერ ვიკავებდი. მინდოდა, რაც შეიძლება მეტხანს მელაპარაკა ლესლისთან. მისა ხმის გაგონება შედარებით მაწყნარებდა. არ ვიცი, რატომ.

მოკლედ, ყველაფერი გაირკვა. გამოდიოდა, რომ ჩემი ლაპარაკი მოჩვენება იყო. ჩემმა მეგობრებმაც დამიწყეს ჩაგონება, ფსიქიატრს ეჩვენეო...

ერთი ხანობა საკუთარ ჯანმრთელობაში მეც ეჭვი შემეპარა. მედიკოსი ავენიუზე ცნობილ ფსიქიატრთან დავიწყე სიარული. მითხრა, გაძლიერებული ნერვული პარანოია გაქვს, რომელიც შიშმა გამოიწვიაო. ეს შიზოფრენია არ არის, მაგრამ შეიძლება ნელ-ნელა გადაიზარდოს, თუ არ მიხედვო, მე რე რაღაც წამლები დამინიშნა. დღეში ორჯერ ვსვამდი და მაბრუნებდა.

მაგრამ მთავარი ეს არ არის.

მე ხომ ვგრძნობდი, რომ ვიყი არ ვიყავი. ხომ ვიცოდი, რომ ჩემი ნატურა გიჟური არ ყოფილა. ისევე როგორც ყველას, მეც სიყვარული მინდოდა. ისეთი სიყვარული, სადაც ადამიანი ერთი წამით მაინც თავის თავს ივიწყებს და საყვარელ არსებაზე ფიქრობს. ნუთუ ეს სიგიჟეა?..

მე მეშინოდა გულგრილობის და არა სიკვდილის. არ ვიცი, შეიძლება მემშლება, მაგრამ გულგრილობაზე მეტად არაფერი მძულს. მე არ შემიძლია ვიგუო რობოტები ჩემს ირგვლივ და მინდა ისეთ ადამიანებთან ყოფნა, რომლებმაც იციან უბრალო სიხარული და მწუხარება და რომლებიც ხანდახან ცდებიან კიდევაც. შეიძლება ჩვენს დროში ეს სიგიჟეა. არ ვიცი... მე სიყვარულში მარტო სამუშაოს შემდეგ დაყვებულ ხუთწუთიან სექსს არ ვხედავდი, მინდოდა, ურთიერთობაც დამენახა ამ გრძნობაში და ამიტომაც გამომაცხადეს კიჟად.

მოკლედ, ამის შემდეგ სტივმა დარეკა. წარმოადგენა არა მაქვს, როგორ მომავნო. ისე მელაპარაკებოდა, თითქოს არაფერი იცოდა მომხდარი ამბების შესახებ. არ მახსოვს, მეონი საქართველოზე მკითხა რაღაც. ბოლოს თვითონ კუთხარი, რომ გადასვლას ვაპირებდი.

— სტივ, დიდი მადლობა ყველაფრისათვის, მე სხვაგან უნდა გადავიდე. „ასტორია ოულდორფის“ რესტორანში ვიწყებ მუშაობას მომავალი კვირიდან და სწავლის ფულსაც თვითონ შევაგროვებ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

— რა ამბობ, მარიანა, — მითხრა სტივმა, — მადლობა შენ, რომ ასეთი მოვალეობისგან გამათავისუფლე. სიმართლე გითხრა, ბოლო ხანებში ბიზნესი მოიკოჭლებს და მეც საგონებელში ვიყავი, როგორ მეშვნა ფული შენი სწავლისათვის...

ამ სიტყვების გაგონებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ვიყი არ ვიყავი. სტივი ყოველგვარი ემოციის გარეშე ლაპარაკობდა. სიმართლე თუ გინდა, მოველოდი, რომ რაიმე ქარავმას აუცილებლად ჩამირტყამდა ჩემი ეჭვების შესახებ. და ეს მართლაც ასე მოხდა.

— ექიმის ფული თუ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს...

— მე ავადმყოფი არა ვარ, — შევეცადე, რაც შეიძლება მკვახედ მეპასუხა.

— არავინ გეუბნება, რომ ავადმყოფი ხარ. ექიმთან მეც დავდივარ. უბრალოდ, ბავშვური აზრები გაწუნებს ხოლმე და Godfather-ს ზედმეტად სერიოზულად უყურებ.

— სტივ, იცოდე, რომ თქვენგან არაფერი მინდა. უბრალოდ, თავი დამანებეთ...

— დაწყნარდი, მარიანა, შენ არავინ არაფერს გერჩის.

— ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი ამდაგვარი არ არსებობს?.. — ამ სიტყვების გაგონებაზე სტივმა ხმამაღლა გაიცინა.

— მე არ ვიცი, სადმე თუ არსებობს; და გინდაც არსებობდეს, დღეს ღონკი-ხოტობა მოდაში არ არის...

ამით მორჩა ჩვენი საუბარი. ამის მე-რე სტივთან კონტაქტი აღარ მქონია.

„ასტორია უოლდორფში“ ვმუშაობ ოფიციალურად და ცხოვრებას სხვანაირად ვუყურებ. შინ დაბრუნება არ მინდა. მაინც ვფიქრობ, რომ ვიპოვი ჩემი იმედის კონცხს. ჯერ ზომ ოცდასამი წლისა ვარ. ჩემი ცხოვრება დამთავრებული არაა. ის კი ვიცი, რომ თუ სიყვარულის ძეხნა სიგიჟეა ამ

ცხოვრებაში, მაშინ ნორმალურად ყოფნას მირჩენია ვიჟი ვიყო...

მარიანამ თბრობა დაამთავრა.

სანთლის შუქზე მისი სახე საოცრად ლამაზი იყო. ორკესტრი უკრავდა მოცარტის ღამის სერენადას.

რატომლაც თავი ზღაპარში მეგონა...

კაცმა არ იცის, ჩვენს დროში რა არის სიგიჟე და რა არა... არ მინდა ამაზე ზედმეტად ვიფიქრო.

დრო ისე გადიოდა, ჩვენ არც ვფიქრობდით მასზე.

იმ ზამთარს ნიუ-იორკში გვარიანი სიცივე იყო...



შაბურა არაბული

ზამთარი

ვეყიფობთ ბიძა-ძმისწული —
მე და კვირია სოსოს ძე..
თოვს. ცივი, თეთრი ფიფქები

ცივი — დნებიან კოცონზე...
თავს დავზრი, ზე ავიხედავ —
მომწონს მიწა და მომწონს მზე.

ზაფხული, 1995

უყურებ ჯუთის ჭიუხებს,
მუდამ პირჯანღიანებს...
კლდეებს უყურებ კეტრიანს
და სახლებს ნაღვლიანებს.
დგას მიწურული ზაფხულის,

ციებ-ცხელემა თიბათვის,
აქ ზოგიერთებს, ეტყობა,
არ მოსწონთ ჩემი სიფათი.
ქალი არა ვარ თმიანი —
ქვეყნად ვიარო პირბადით.

არა ხმლისა და ხანჯლის —
მე მეშინია ხანძრის!
ხანა წვიმს კოკისპირულად,
ხან ჟინჟლავს, ხოლო ხან ცრის.

იყოს ზაფხული ცხელი,
იყოს ზამთარი მკაცრი..
არა ვისი და არც რის —
მე მეშინია ხანძრის!

წვიმს ხანდახან.
თიბათვე.
ხევსურეთი.

ხინკალი.
საით მივალთ, ნეტავი,
უკან მე და წინ ქალი?

„გოგომ ღიმილი მარუქა,
მატკინა გულის ფიცარი“.
კაცზე მაღალი იზრდება
სოფელ ჯუთაში ჭინჭარი...
თუ საჭიროა, ნათია,

საწამლავს დაველევ ფინჯანით.
ტყუილს კი მაინც არ დაუწერ,
თავზე დამესხას გინდ ჯარი.
მე კი რამდენი ვიკითხე
მახინჯთა ნამახინჯარი...

ძმაკაცებივით ვსხედვართ კაფეში
მე და ამირან ღუღუშაური,
წინ ღვინო გვიდგას უიაფესი,
ჯიბეში თითო გვიდევს შაური.

არ ვართ ვინმეზე ნაკლებნი, მეტნი,
უმდიდრესნიც და უღარიბესნიც.
მერე რა! მაინც გვიღიმის ბედი,
თითქოს ას-ასი გვედოს ჯიბეში.

წელს შავი ძაღლი მიდრენდა მთაში
 და ოქროს კბილებს აკრატუნებდა:
 ჯოხი არ მქონდა (რა მექნა?) საშიშ

ავი ნავაზის გასაჩუმებლად...
 მაგრამ სიზმრებშიც შემოალაჯეს
 მავ ბანჯველიანმა მავლაჯუნებმა.

უსიკოზი

ადამიანებს ვუყურებ,
 ვითარცა ტარაკანებს...
 ქუჩაში მოსიარულე
 ქალებს და არაქალებს...

მე იმის დედა ვატირე,
 ვინც თქვენ მოგნათლათ ხალხად:
 მერვე სართულის ფანჯრიდან
 ტარაკანებად ჩანხართ...

ძაღლის ბავი

პატრონს ველარ სცნობს ძაღლი,
 გულბოლმიანი ბოღრა...
 სძინავს ყვეფისგან დაღლილს,
 ძილშიც ბრაზობს და ოხრავს.

მისი სახლი და ციხე —
 კასრში შემძვრალა ტკბილად.
 და მიხარია, ცის ქვეშ
 ძაღლივით მეც მაქვს ბინა...

ჩანს მყინვარწვერი, სამება...
 ვსვამ არაყს, არ მეამება...

გრძელდება წუთისოფელი:
 წანწალი, წვიმა, წამება...



დავით აკრიანი

სახლის ზიცარი

განმარტოვდი და დააგუბე შენი ძალები,
დააგუბე და ააბორგე,
რათა ერთხელაც გადმოხეთქოს:
თუნდ არც იცოდე, რას ელოდები:
— ზღვამ თვითონ იცის, რას გამორიყავს,
ჩქერალი თვითონ გაიკვალავს გზას.

განმარტოვდი, რათა ყველაფერი თავიდან დაიწყო;
რათა მთელ შენ ძალა-უნართა მოკრებით
გაირღვეს მიწიერება-ბოროტების შავი რკალები
და გარდაწყდეს სამყაროს გამოცანა;
რათა ჩამოდგეს მაისი,
აყვავდეს ბალი
და აღარასდროს გაუდაბურდეს.

განმარტოვდი,
ოდეს გაფაციცებულ სმენას შენსას
მოსწვდება კაკუნი მიღმიერი,
— ყრუ და უძალუმესი, —
ღიადი ფერისცვალების,
მეორედ დაბადების,
მკვდრეთით აღდგომის მოახლების მაუწყებელი.

განმარტოვდი არა უდაბნოდ,
არა ცივ სენაკში,
არამედ ტევრთა, მდელითა, ჩქერ-ნაკადულთა სიახლოვეს:
ისინი მტლად დაედებიან შენს აბრიალებულ სულს
და მსწრაფლ მოგეგებებიან,
ოდეს არსების შენის მზარდი მიმოქცევა
სახეებს მოგთხოვს ხორცშესასხმელად.

განმარტოვდი, რათა აღკაზმო ულავი შენი,
თუ ფლოქვ-ნაღვერდლები მისი მოუთმენლად სცემენ შენს
გულისბაკანს
და ცეცხლოვანი ფაფრის ენები ლოკავენ ზეცას: —
აღკაზმო,

ღიადი ნახტომით შეჰკრა კამარა და
— უფსკრულის თავზე,
გულგამყინავი ქარიშხლების გაკვეთით,
სუნთქვაშემკვრელი სისწრაფით —
მიაშურო ვარსკვლავთა მიღმა მოლივლივე თეთრ სანაპიროს,

საიდანაც —

ოქროს მანტიით მხრებზე და მარადისობის აღმასით გულში —
 დაუბრუნდები დედამიწის პებლებ-ყვაეილებს.

— არა სიცოცხლე,
 არა სიკვდილი,
 არამედ: **აღმასი წარუვალი.**

— არა სიკეთე,
 არა ბოროტება,
 არამედ: **ცეცხლი იღუმალი.**

— არა „ლირიკა“,
 არა „რელიგია“,
 არა „ფილოსოფია“ თუ „ბუნებისმეტყველება“,
 არამედ:

— სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა ყრუ-უსინათლო ძალებთან;
 ღრმა მონანიება და მოკვეთა უღლეური წარსულის;
 საკუთარ ქვეშაგებში ჩაწეა-ჩაფერფვლა და —
 აღდგომა ახალი სიცოცხლით.

და რაკი ვარვარებაში მყოფი შიგანი ფეთქავს, ვით კრატერი,
 ლავა კი სხვადასხვა ძალის თანაზომიერ ტალღებად განიდვრება
 და მით იშუება წყობილრიტმულობის —
 ხელოვნების —
 რომელიმე სახე,
 მაშინ:

— არა „ხელოვნება ხალხისთვის“,
 არა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“,
 არამედ: — მის უმწვერვალეს გამოვლენაში —
ხელოვნება როგორც რე-ლიგია.

როგორც მთელი შენი ადამიანური არსების ერთ ბირთვად
 შეკვრა

და — გატყორცნა ცისკენ!..

ანუ:

დიდი კაეშნისა და ნოსტალგიის საგალობელთა აღვლენით —
 ბოდლერისა და გრანელის გავლით —
 რუმისკენ,
 მოცარტისკენ,
 ლეონარდოსკენ!

ანუ:

მზე-ქრისტესკენ!
 უსაზღვრო ბუდასკენ!

და ეს უღრმესი განცდა-აზრები
 დე, ქვა-გრანიტში გამოითალოს:

წინ — ახალი კლასიკისაკენ!
 მარად წინ — მარად ახალი კლასიკისაკენ!



ვეგენი აქუბარდია

აფხაზეთიდან ლტოლვილ ცნობილ მწერალს, ბატონ **ვეგენი აქუბარდიას** ვულოცავთ დაბადებიდან 70-ე წლისთავს და ვუსურვებთ სულ მალე მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას.

ზღვის ღომი

ქოჩორა ტალღები ნაპირის ჩაყოლებით კრიალოსანივით მარცვლავს ყვითელ, ცისფერ, ქარვისფერ კენჭებს, დიდი დელვის შემდეგ სულისმოთქმისას ზღვა თავს ირთობსო თითქოს სანაპიროს ქვიშიანი ზოლი — წყლისა და ხმელეთის მიჯნა — სამხრეთისკენ მოშვილდულა, მეთევზეთა დაბის ბოლოს, მდინარის შესართავთან იკარგება. ზღვა ჭრელ-ჭრულა კენჭებით საგულდაგულოდ ხეხავს შესართავის შემოგარენს, აქაფებული ქოჩორა ტალღებით მანამ რეცხავს ნაპირს, სანამ პირწმინდად არ გააკრიალებს საალერსო მიჯნას. საცალფეხო ბილიკი მეთევზეთა უბნისკენ უხვევს, კრიპტომერების ტყვერში უჩინარდება. ნარიჩოვანიდან მეთევზის სახლის მარჯვენა ფანჯარა ისე ჩანს, თითქოს სახლიკაცვით ერთი თვალი და ყური სულ ზღვისკენ უჭირავსო. ქვეყანამ იცის, იქ „ზღვის ღომი“ ცხოვრობს და მას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს. უთუოდ აჭარბებენ, მაგრამ იმასაც ამბობენ: ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ზღვა, შეუძლებელია ძველ მებაღურზეც არაფერი სმენოდესო...

●
ზღვა ისე ბობოქრობს, თითქოს წარღვნა ტრიალებს, ღამისაა ქვეყანა წალეკოს, შენი ქალიშვილი ნაპირზე ვერა და ვერ ამოდის, შევლა უნდა, დახმარება, ხელის გაწოდება. თორემ შესაძლოა, მტერს დაუღამდესო, მეზობლის ქერივმა თავზარი რომ დასცა, გიორგის არც უგრძენია, მისთვის ჩვეული გრძელი ნაბიჯის გადადგმისას თან როგორ გაჰყვა ასაკემსი ძაფის გორგალი. მეზღურის ზაკისფერი ხამი ტილოს ტანსაცმელი თევზის სუნით ყარს, ორგან ქერცილიც უბრწყინავს ვერცხლის დილივით; მის ფეხის ხმას აყოლილი კენჭები რომ ჩხრიალებენ, მოგეჩვენებათ, ნაპირსაც კბილები უკაწკაწებს შიშისაგან. ფოფინა წარბებქვეშ შემალული ზღვისფერი თვალებიც ამხელენ, უნებლიეთ დელვამ როგორ აიყოლია ზღვის ღომიც.

ოჯახს გვიან მოეკიდა გიორგი. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ფუნთუშა გოგონა მამის ანაბარად რომ დარჩა, ზღვამაც იგრძნო თითქოს: აკვანივით არწევდა მეთევზეთა კატარღას. დედის



ნანასავით ჩაესმოდა პატარას ტალღების ჩქარანი. რომ წამოიჩინა, სულ წყალში იჯდა იხვივით. ყოველ ცისმარე ზღვისკენ რომ მიფარფატებდა პეპელასავით, გრძნობდა, თან მიაცილებდა გახარებული მშობლის ალერსიანი მხერაც. მკლავის სიმსხო ნაწნავები მხრებზე რომ ეყარა, ჯეირანივით ყელმოღერებული, ერთ ნახვად ღირდა. მეტეხზეთა დაბას გულზე ეხატა: ვის შეუძლია თქვას, ზღვის ლომს მემკვიდრე არა ჰყავსო. ეს რომ ესმოდა, გოგონა ხვდებოდა, შეფარვით აგულიანებდნენ: მამის შვილი ხარო, რითაც, ცოტა არ იყოს. თავიც მოჰქონდა ტოლებში.

პროფესიის არჩევისას, სხვათა წაბძვით წამოცდა: მამაჩემის ნაკვალევს გვეყვებო. სულელო, მოქნევას მოზომვაც უნდაო, თანაკლასელებმა დასცინეს, კინაღამ ხელიც ააღებინეს არჩევანზე, მაგრამ მასწავლებელი დროზე წამოეშველა: რატომაც არა, მთავარია გატაცება, საქმის სიყვარული, შეუძლებელი არაფერიაო, რომ დაუმოწმა, მედეას ფრთები შეესხა თითქოს: ნინო კალანდაძე, იულია ფაილოძე, ვაიდე გვარიშვილი, შუშანა თუმანიშვილი — სახელგანთქმული მეზღვაურები ჩემთვის თავისებური ორიენტირიაო რომ თქვა, თანაკლასელების საყურადღებოდ დასძინა: ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებში ტაშიც დაუმსახურებიათ: როგორ თუ საბჭოთა ტანკერს ქალი მართავსო?! მას შემდეგ „მამის შვილი“ უწოდეს მეტსახელად: პროფილით, ზღვისფერი თვალებით მამის ალიკვალია, ბედნიერი იქნებო, შეფარვით აგულიანებდნენ კიდევ.

ზღვაც გრძნობდა თითქოს, ქალიშვილი თავის მომავალს როგორ უკავშირებდა მორევთან გამუდმებულ ჭიდილს. „ზღვის ასულს“ ხელისგულზე დაისვამდა, ეთამაშებოდა. ცხადია, თავისებურად წრთენიდა, მაგრამ იმ დღეს მეტისმეტი მოუვიდა ზღვას: როგორც კი იგრძნო თავისი აღზრდილის ტანის სითბო; აიტოტა, უბეში ჩაიხვია, ლამისაა თამაშ-

თამაშით კიდევ ჩაყლაბოს ქალიშვილი, შორიდან ზღვის ფერისავით რომ ჩანს; ნებიერა ტალღებს ისე აყვებ-დაყვება, თითქოს ჰამაკში წევს, გრილოში ისვენებსო. „საოცარია ზღვა — ვრცელი, უნაპირო, უძირო, გულუხვიც იმისთვის, ვინც მამაჩემივით შეიყვარებს მას. — რაკი პატარაობიდანვე სულ წყალში ზის, ვითომ მშობლის თბილ კალთაში წევს, ფიქრობს, ოცნებობს: — რამდენი თევზია ზღვებსა და ოკეანეებში, თვალ-მარგალიტი! რამდენი თბომავალი სერავს უნაპირო სივრცეს... უკ, ტალღამ როგორ ამკრა ცხვირ-პირში! მამიკოს როგორ უხარია, მეც ასე რომ მიტაცებს ზღვა... ჩანს, ღელვა მძღაერობს“, — ტალღა ტალღას ნაპირისკენ რომ მისდევს. ქალიშვილის თავზე გადაივლიან, იქონრებენა, ბურღაობენ. ზღვისა და ხმელეთის მიჯნაზე ერთი წვეტტაა. ორიმტრიალი. ცაში ასროლილი შადრევანივით იშლება მალღა ასროლილი ქარიანი ტალღების შხეფები, თითქოს ქალიშვილს ანიშნებს, ნაპირისკენ ნურც გაიხედავო. ამასობაში შორიდან შენიშნა თუ არა მეზობლის ქერივი ფინჩებით გაძეგილი ტომრით, მედეას მოეჩვენა, რომ მალღა ასროლილი შხეფებით დაბინდულ ნაპირზე იმედის-ცინცხალი ღივი აკაიფდა.

ღორმუცელა — ყლაპუცასავითაა ზღვა, ხმელეთის გულმკერდია მდინარის შესართავი, ძუძუს აწოვებს თითქოს. რამდენს ნთქავს დალოცვილი! არც მატულობს, არც იკლებს; წყალდიდობისას ტყის ნამუსრევსაც რომ ჩაყლაპავს. „მუცლისგვრემა“ ეწეება ბაყბაყდევის, მოსვენებას კარგავს, ასკეცი ფაშფაშა კალთებს ნაპირზე იფერთხავს, — მანამ არ დამშვიდდება, სანამ უკან არ გამოირიყავს ფინჩებს, ნაფოტებს, კონსერვის ქილებს, ათას ხარახურას, — ყოველივეს ამოსარჩევად რომ გამოაფენს, ფეხზე დგებიან ზღვისპირელებიც, ფინჩიც საქმეაო. კალთებაკვალთულ ქერივს ვინ

დაასწრებს: ზღვის ნამცეცებს ვჯალოს ტომარაში რომ ყრის, შორიდან გრძობს ძველი მებაღურის სითბოს; „ზღვის ასულმაც“ ასე მოაჩვენა, ვითომ შეველას ითხოვდეს, დახმარებას, თითქოს კიდევ ჩაქსმა: მამიკოს გადასძახე, რომ ჩემკენ მოიხედოსო: თვალს ვერ აშორებს, ქალიშვილი როგორ გაღამებულა ტალღებში, ნაპირზე ვერა და ვერ გამოდის. „ზღვამ ჩათრევა იცის, — ფიქრობს ქერივი, — უბეში ჩაგისვამს, გაბურსალებს. თუ ვერ იმარჯვე... დედაია, ისეთი წარღვნა ტრიალებს, შესაძლოა, თეთრი თოლიებიც გრძნობენ, რა განსაცდელშიც ჩავარდნილა ქალიშვილი, წივილ-კივილით ამიტომაც დაფარფატებენ თავზემით — ქერივს ეჩვენება, ქვეყანა მას შემოჰყურებს: ერთიც ვნახოთ, ამ განსაცდელისას რას იღონებ, როგორ იმარჯვებ, რომ ერთგულება დაუმტკიცო და თავი მოაწონო ძველ მებაღურსო. — წელან ფარდულში დავტოვე მამამისი, ბაღეს კემსავდა. გავიქცევი. გადავმახებ, რა დღეშიცაა მისი ქალიშვილი. „ზღვის ლომია“, რას გაუჭირვებს“, — როგორ სჯერა, თუ იმარჯვებს და დროზე მოახედებს მამას განსაცდელში ჩავარდნილი ქალიშვილისკენ, თავად მასაც მოხედავს უფალი მოწყალების თვლებით...

მეთევზეთა ფარდულში მებაღურები ბაღეს რომ კემსავენ, აფორიაქებული ქერივის საყურადღებოდ ერთ ამბავში არიან:

— ვიცით, აქეთკენ რა ქარმაც მოგაგლო.

— აბა, „ზღვის ასულის“ გასაჭირი ვინა თქვა...

მით უმეტეს, ზღვის ლომმაც ვერ დაფარა გაოცება: რა იყო, შე ქალო, ჩვენი ამბავი რაღა ქვეყანას მოვლეთო. თითქოს თავს იმართლებსო, ქერივმა არ დააყოვნა: ვერა ზედავ, უბედურო, როგორი წარღვნაც ტრიალებს, იჩქარეო.

ზღვის ყურში კატარღები მთვრალეებივით ირწყვიან; დამფრთხალი თოლიები უწყისრიგოდ დაფარფატებენ, ისე

ჭყვიან, თითქოს გრძნობენ მოახლოებულ განსაცდელს, „მამის შვილს“ რომ ემუქრება, თანაც მიანიშნებენ ფეხზე დამდგარ მშობელს: აგერაა თქვენი თვალის სინათლე, ერთიც ვნახოთ, ამ წარღვნისას რას იღონებ, შენებურად როგორ მიეშველებიო.

წინ ზღვაა ვრცელი, უნაპირო, აფორილი; აქოჩრილ ზვირთებში ძლივს ილანდება ქალიშვილი: ხან ჩაყვინთავს, მოგვიანებით ამოყვინთავს, თითქოს მამის საჩვენებლადაც ეთამაშება აბობოქრებულ მორევს. „ტივტივა რამ დამავიწყა, — მისი პირადობის მოწმობაა თითქოს. ცდილობს, არ აჰყვეს სტიქიას, აფორიაქება შეიკავოს, თითქოს გამოსავალიც იპოვაო, გულისჯიბიდან ჩიბუხი ამოაცურა, გააწყო, მოუკიდა, ვითომ სულის მოსათქმელად გამოსულიყოს ნაპირზე. აქ ისეთი არაფერიაო, განზე იყურება, კატარღებისკენ: „აფორიაქებული რომ მნახოს, შეეშინდება, შესაძლოა, მტერს დაულამდეს“...

„ზღვის ლომია“, — უშიშარი, გაჭირვების ტალკვესი, ერთიც ვნახოთ, როგორ იმარჯვებს ამ განსაცდელისას“, — ცხადია, ქერივს ეგონა, ძველი მებაღური ხელის ერთი დაკვრით ნაპირზე ამოიყვანდა ქალიშვილს. მოლოდინი რომ გაუცრუვდა, მეტისმეტი მოუვიდა: შეუტია, უბედურო, ვერა ზედავ, რა წარღვნაც ტრიალებს, მიშველება უნდა, დახმარებაო, მაგრამ ვითომ არც ესმის გიორგის. მისი თვალის სინათლე ყალფზე შემდგარ ზვირთებში გაუჩინარდება თუ არა, „მამა-შვილის გამოცდას“ გაძლება უნდა, სულიერ სიმხნევს — შენარჩუნება. თავი ისე უჭირავს, თითქოს შინაგანი ღელვის მიზეზი დოინჯშემოყრილი ქერივი იყოს, შორიახლოდან რომ შემოჰყურებს გაოცებული: ასეთ განსაცდელისას გულხელდაკრეფა გაგონილაო?!

— რამ დაგაბნია, შე უბედურო?! — ქერივის სატრისტოლა თვალები გაოცებას ვერ იტყვენ: — ვერა ზედავ, რა განსაცდელშია შენი ქალიშვილი, მიშველება უნდა, დახმარება, თორემ...

„ერთბაშად აღელდა ზღვა, — ფიქრობს ქალიშვილი. — ეტყობა, უამინდობის მოახლოება იგრძნო, სადაცაა გაწვიმდებოდა კიდევ“, — ბოლოს ინატრა: ნეტავ ასეთ ყოფაში მაამჩემს ვენახეო. როგორ უნდა, მშობელს დაუმტკიცოს, „მამის შვილია“ — უშიშარი, გამბედავი; თითქოს კვლავაც ჩაესმის მამიკო როგორ ამზადებდა ასეთი განსაცდელისათვის: მშიშარა მებღღური თევზს რას დაიჭერსო; მშიშარა მებრძოლს ბრმა ტყვიაც წამოეწევაო; მშიშარას ფინია ძაღლიც უკბენსო... ამასობაში ნატვრაც აუსრულდა, ნაპირზე მშობელი შენიშნა და მოეჩვენა, გა მოცდა ზეა, აქვე წყდება, მამის კვალს გაჰყვება თუ არა. „მამიკო, რაღა განზე გიჭირავს თვალი, ჩემკენ მოიხედე... იქნებ ფიქრობ, აქ ისეთი არაფერიაო, თავიც მოგაქვს: არავინ თქვას, ზღვის ღომს მემკვიდრე არა ჰყავსო“, — ერთბაშად გამხნვედა „ზღვის ასული“, — აქამდე ტალღებში ბადღს მოყოლილი თევზივით რომ ფართხალებდა, ლამისაა ფრთები შეისხას. ცხადია, იცის, როგორ დაელოდოს „ზღვის ჩასუნთქვას“, რომ მორიგი „ამოსუნთქვისას“ ნაპირისკენ გაჰყვეს აფოფრილ მორევს, ხმელეთის მისადგომთან ფეხს რომ მოიკიდებს, როგორ გაეკეცეს ავი ძაღლივით უკან აკიდებულ ტალღას. „მამჩემო, რაღა სულ განზე იყურები, ერთი ჩემკენაც მოიხედე, ნახე, როგორ გამოვეყვე მომდევნო ტალღას... უჰ, ზეირთმა როგორი ალიყური მაჭამა, ასე ადვილად რას შეგეშვებო... ჯავრი ნუ გაქვს, მეც „მამის შვილი ვარ“, კაპიტანი რომ გავხდები, შემოვივლი ქვეყნის ზღვებს“, — ნაპირისკენ დაძრულ უშველებელ მორევს რომ აეკიდა, ლამისაა მალლა აფრინდეს თოლიასავით...

„ყოველ მდინარეს თავისი ფონი აქვს, ყოველ განსაცდელს — თავისი გა-

მოსავალი, — ფიქრობს გიორგი. — უშველებელი ტალღებია, ვერსაიდან ვერ მიუღებ; ტყვილა ფართიფურთით, მოჩვენებითი თავგამოდებით, შესაძლოა, სულ დააფრთხო, შიშმა აიტანოს, დაიბნეს... ჩიბუხს ქანავ და განზე იყურებო?! ასე „დამშვიდებული“ რომ ვერვინები, იფიქრებს, აქ უჩვეულო არაფერია, ჩვეულებრივი ტალღებია, ხელს მოვუსვამ და ღმერთიც მიშველისო, გაჰხნვედება, გამოვა... გა...“ — ფიქრი გაუწყდა გიორგის, ზღვისფერი თვალები ლამის ამოუღამდა, ისეთი რამ დატრიალდა მის თვალწინ, გული ისე შეეკუმშა, არც უგრძენია, ძირს როგორ დაუვარდა ყავისფერი ჩიბუხი, ხელიდან როგორ გამოეცალა სიმშვიდეც, თავისი დღე და მოსწრება პირველად იგრძნო, თუ რაა შიში; მის ჯიბრზე ღრუბლის ჭრილიდან აღჰაცერად დაშვებულმა სხივებმაც ნიშანში ამოიღეს სტიქიისა და სიცოცხლის ჭიდილის სცენა. ბუნებრივია, მშობლის დაღარული სახის ნაკვეთბზეც აისახა წარღვნის ტრიალი: კოპები შეიკრა გიორგიმ, საფეთქელთან, ნაჭღვეს ზემოთ, ძარღვი დაებერა; ზღვისფერი თვალებიც ამხელენ, რამდენად დაძაბულია მშობელი, შინაგანად აფორიაქებულიც; წუთით ისე გაირინდა, თითქოს სისხლი გაეყინა, სუნთქვაც შეუგუბდაო; ამასობაში მზემაც გამოანათა. არც უგრძენია, დაქარულდამსკლარ ქვედა ტურზე როგორ უცაბედად იკბინა, რომ გაღიმება ნაადრევი არ გამოსვლოდა. თანაც ისე შეგბით აწოისუნთქა, კინაღამ შესძახა: აკი ვთქვი, მთავარია, არ შეეშინდეს-ჩეთქი, მაგრამ თავი შეიკავა, შორიანლოდან შემოჩერებულმა ქვრივმა ტრაბახად არ ჩამომართვასო. კინაღამ დაავიწყდა, წელან ჩიბუხი რომ გაუცურდა ხელიდან. აიღო, გააწყო, ასანთს გაჭკრა, მოუკიდა, ისე გააფუტა, თითქოს მისია უთვალავი ფერით ამალღებული დალოცვილი ქვეყანა...



აკაკი სურმანიძე

ლოცვა-ვედრება „ავე მარია“

მარად ქალწულო
ღვთისმშობელო,
მოწყალე სულთა,
როგორც უწყლობით გატანჯული ყარბი მგზავრი,
მოვდექი თხოვნით მოწყალეების შენგან მსურველი,
სხვა გზა არა მაქვს, გამიგონე, —
„ავე მარია“.

წრფელი ხარ შენ და
უცილოა განზრახვა შენი.
ერთხელ მოხედვაც სასოების საწინდარია.
მე შეგავედრებ განსაცდელში ჩავარდნილ მოყვასთ,
მომეცი ძალა, ვანუგეშო,
„ავე მარია“.

მოიღე შვება,
სამართალი მოიღე შენი,
რა ეშველება, ეს ცხოვრება რომ ამგვარია.
როდის იქნება, მოიბრუნონ სული მაშურალთა,
მოიღე ღედის მზრუნველობა —
„ავე მარია“.

წახდება, დედავ,
მიწა-წყალი წილხვედრი შენი,
ეს უღმერთობა მეტისმეტი და საკმარია,
მომადლე ნიჭი, ერთი გზით რომ ვიდოდეს ერი,
სიტყვა და საქმე ერთი გვინდა,
„ავე მარია“.

ასეთ სიცოცხლეს
სულის გვემა და
ჯვარცმა ჰქვია,
ჯვარცმულისათვის ზორცი რაღა მოსახმარია.
ბრალთა, დედავ, ეს სამწყემსო, წილხვედრი შენი,
თავისუფლება ტანჯულთ იხსნის —
„ავე მარია“.

ღიდება შენდა,
სანეტარო,
რჩეულო ზეცით,
სახება შენი, მშვიდია და ისევ წყნარია.

რას იტყვის, ნეტავ, თვალთა შენთა დიდსულოვნება,
 ჩვენს მოთმინებას თუ არა ჰგავს —

„ავე მარია“.

მარად ქალწულო,

მოწყალო გულით ჯავრულთა.

ლოცვა-ვედრებით თავი ჩემი მომიგვარია.

იქნება ერთხელ ვიზეიმოთ სულის მშვიდობა,

ოღა გიმღეროთ,

ამინ,

ამენ,

„ავე მარია“.

მზას მიგზავული

მთვრალი რომც არ ვიყო, მემღერება,
 ყელი გალობისთვის მღერება.

ზეცა მიყურადებს მტრედისფერი,

გოგო თვალს მაპარებს გედისფერი.

სისხლი მაჭარბივით ამრევია,

სისხლში ღვინის მადლი გამრევია.

გული დოლაბივით დაგრუხუნებს,

სულში ბედაური დაფრუტუნებს,

შივე წვერ-ულვაში მიღერდება,

ლამაზ ქალზე ფიქრში მითენდება.

ჟინში შევარდენსაც ჩამოვუდექ,

განში ხობისფრთიანს გამოვუდექ.

ალბათ, ღვინის მადლი თუ მერევა,

რიტმში ბუქნაობა თუ მერევა.

გულზე ჩანჩქერები დამიშვია,

სულში ბედაური ამიშვია.

მაგრე, ჩამიხვიეთ ხანდახანა

ქარს დატყუებული განდაგანა.

ოპოი, სიყვარულში დაპირება,

ქერქში ჭიბონივით დაყივლება,
 ღმერთო, ამ ჯირითს რომ შემაჩვიე.

ბარემ სამუდამოდ შემარჩინე,

აზრი დამიგნე და მომიტოვე,

წამი წუთად ისე მომიდოვე,

ჭკუას ნურასოდეს დამიბერწებ,

მკლავი ვენახივით დამიღერწე,

წამხდარს ძმად ნურასდროს დამიყენებ,

გზაზე მას ნურასდროს გამიყენებ,

ვინაც ყორნის ჩხავილს მიამგვანა,

ღედის დალოცვილი იავნანა;

მკლავს რომ ცოდვა-მადლით

დავიღერწებ,

ხორცი თიხასავით დამიძერწე.

სისხლი მზის შუქზე რომ გაიმაჭრებს,

იგი სიყვარულში არ ივაჭრებს.

ასე წვერ-ულვას თუ შევიღერებ,

მაშინ ნეფობასაც შევიფერებ.





მურმან ჯგუბურია

„გალაკტიონი არ იყო აქ...“

პირობი ლონიას

მიყვარს შენი ბუნხუნი,
შენი ღალი ბუნება,
როგორც ჭექა-ქუხილი,
როგორც მებნის გრუხუნი
და მტრის განადგურება.

ისმის გრძელი „ურმული“,
ღამე არის ყურუმი,
შენ კითხულობ „ცხოვრებას“,
თავზე დაგათენდება
და ნაფლეთ-ნაფლეთებად

ყრია ირგვლივ პოემა.
მზე რომ ამოგორდება,
სასწორი გასწორდება
და ყრუ განმარტოებას
თავს წაართმევ, გამოხვალ,
ვიცი მე, რის გამოც ხარ
ასე დაღონებული:

ავაპმე, საქართველო,
სავენახე, სართველო,
შუბლზე ნისლი გებურვის...

1985

აკაკი ბაწერელიას

მე მიყვარს შენი მახვილი ენა,
ამორჩეული გულდაგულ თემა, —
შამილი მიყვარს;

მე მიყვარს შენი ღუნბი მტკიცე
და მაღალი გაქვს, როცა წერ, სიტყვ, —
ცანცახებს სიტყვა.

მე მიყვარს შენი ცხოვრების წესი
და „კლასიკური ქართული ლექსი“, —
გვიანი შუქი.

შენ უმეტესად ღომი ხარ, ოღონდ
გალიზიანებს ხანდახან კოლოც,
არ მიწყენ თუკი.

ღმერთმა გიმრავლოს შენ წვრილი
მწერი,
არ დაგილიოს არასდროს მტერი,
ოღონდაც ქართველს

მსგავსი მოსდგამდეს სიმზნევე ჭყონის
და ერთი-ორი სხვაც შენი ღონის
მაესტრო ჭყავდეს...

1985

ნოზაღი ბართაიას

— ძმაკაცი ვნახე, — ის იტყვის
და ისე იტყვის ამას,
რომ გავიწყდება ყოველი

ქვეყნად სტუმრობის გარდა.
ძალიან რომ დააკვირდე.
ასე არ არის მართლა?

1985

ოთარ რამიშვილს

ვერ გაკეთდა ამინდი, ველარ გამოიდარა,
 კვლავ ტირის მიამიტი რამიშვილის გიტარა.
 არის ჭირი, ღრეობა, ღარიბი და მდიდარი,
 მაინც იხდის დღეობას რამიშვილის გიტარა.

ხეზე ჩიტი სველდება, ჩიტი ცით და შზით არი,
 ოთახში არ ჩერდება რამიშვილის გიტარა.
 სოფელშია, ქალაქში, სად ხალხია, იქ არი,
 არის ძმობის დარაჯი რამიშვილის გიტარა.

ვა, რა ბევრი დავლიეთ, რა ქარმა ავეიტანა,
 ყველა შენი ბრალია, რამიშვილის გიტარა...

1985

ერთი ოთახის ბალადა

ოთარ ჟილიძეს, ვიწრობი ბაჰანიძეს, შუპო ჯიქიას

1.

ფიროსმანის ქუჩასთან ოთარს ბინა ჰქონდა,
 გრძნობა ჰქონდა ბლუჯად და ფული არა ჰქონდა.
 ცას პირი არ უჩანდა. უხმოდ სცემდა ბოლთას,
 დარდი სტრიქონს უჭამდა, კამათობდა დროსთან.
 ფიროსმანის ქუჩასთან ოთარს ბინა ჰქონდა.

2.

იმ ბინაში გიორგი იდგა, ბაქანიძე,
 ტან-ფეხშემოძარცული და ულამპრო სიძე.

ჩაის სვამდა გიორგი ღვინოსავით, ტკბილად.
 მალაკნების ბაზართან იდგა მაწუნის დილა.

ჰკივის შემადგენლობა და გადაღის ხიდზე.
 მოთხრობას წერს ოთახში მწუხარების სიძე.

რა გაუძლებს, მითხარი, ორმოც დღეს და ღამეს,
 ამ იობის წამებას და ბორბლების ბღაველს.

ღამის ოთხს თუ ხუთს შუა სიწყნარება სანდო,
სადღაც ერთი ჩაიელის ფანჯარასთან ავტო.

დროა შემოქმედების, მაგიდასთან ჯდომის,
დიდი ომის ხსენების და შეჭმული ცომის.

3.

შუკო ცხოვრობს, ჯიქია, იმ ბინაში, ახლა
(ვეფხის ტყავი გიგია და სიზმრების ძმა ხარ),

აი, ვაჟა-ფშაველას და ბოდლერის ფოტო,
აი, გალაკტიონი, ვისით თავი მოგვწონს.

უწყლო სამზარეულო, ცარიელი „შკაფი“,
მაგრამ სუნი ტრიალებს სადღაც სველი დაფნის.

შენ სხვა უნდა დახატო, შენ სხვა უნდა მოჰყვე
შენ, ძელქვების კუთხიდან ჩამოსული მოყმევე.

4.

ახლა ოთახს იღებენ, განახლების დროა,
ის ოთახი ინგრევა, დროს თავისი მოაქვს.

ხომ გასამდა მე ვამბობ, შემოქმედთა სიას
კარი უნდა ვახალო, — დროს თავისი მიაქვს.

ყველაფერი ასეა, რაა წარუვალი
და კვლავ მიცვლის ხასიათს იმ ოთახის თვალი.

1986

ზურაბ ვერთიელს

შენ გაქვს რაღაცა საერთო „ვეფხისტყაოსნის“ ფარგალთან,
შემოიარე ქვეყანა ნახელსაქმართ შენით,
იყო სტალინიც და ერთ დროს დავითი მომხდურს ჩაგრავედა,
არ იკარგება, ცხადია, დიდი ქართული გენი.

შენ გაქვს რაღაცა საერთო „ვეფხისტყაოსნის“ ფარგალთან,
ზოსიმე ამბობს, მასშტაბი სხვაა ქართული ენის.
იყო სტალინიც და ერთ დროს დავითი მომხდურს ჩაგრავედა,
დიდია ქვეყნის წინაშე დანიშნულება ჩვენი.

1986

ნოდარ პარალიკის

ვტკიცეთ შოლტები უბელო ცხენებს
 და შეუყვებით თორსას სანახებს,
 ლელიანს, შქერებს, ჯაგებს, ფშიარებს,
 ბარდებს, ჭაობებს. ჩირგვებს, ნოყოებს.
 მითამაშებდნენ ჩვენი ცხენები,
 ტანმორჩილი, წაბლა ცხენები.
 ლაფშა ცხენები, კობტა ცხენები,
 ოდიშური ფიცხი ცხენები.

ხელმარცხნივ დაგვრჩა ხორგა-ყულევი,
 ხელმარჯვნივ დღვაბა და ანაკლია.
 ტყით გამოვედით, მივაღექით პონტის ნაპირებს,
 ვიწრო მინდორზე ვიარეთ დიდხანს,
 ვჩერდებოდით, ზღვას გავცქეროდით
 და გარეშე თვალისთვის, ალბათ,
 ისე მოჩანდა ყოველი შორით,
 თითქოს ზღვა უნდა გადაგველახა...
 ზღვაში – ხომალდი,
 ცაში – ჩიტი,
 მიწაზე – ცხენი...

შევაქციეთ პონტოს ზურგები,
 ვტკიცეთ შოლტები უბელო ცხენებს
 და შეუყვებით თორსას სანახებს...
 ახლა ხელმარჯვნივ დაგვრჩა ხორგა,
 დაგვრჩა ყულევი,

ხელმარცხნივ დღვაბა და ანაკლია,
 ტყით გამოვედით. გავიარეთ ლურჯი მინდორი
 და ეზოს ჭიშკარს რომ მივაღექით,
 ჩამოვქვეითდით,

შევიყვანეთ კარში ცხენები
 და კონინდარზე რომ ჩამოვჯექით.
 მაშინ თქვა გლეხმა, რაც უნდა ეთქვა:
 „ამ თორსაში რას არ იპოვი,
 ტყვა, წყალია და ფრინველია,
 საძოვარი და საქონელია,
 სიმინდი და კორკიმელია,
 აქ კაცი კაცის მეზობელია,
 კობახია და ბაგათელია,
 კიდევ ბევრია, რაც სათქმელია,
 ამ თორსაში ყველაფერია...“

**ასალგაზრდა კოეტიის ბეთქილ
შაჰურიაინის სსოვნას**

როცა შევალე ოთახის კარი, —
დრო იყო წყნარა,
საწოლზე იწვა სპეტაკი სხივი —
მოსული შორით.

და როს გამეფდა საღამო ყოვლით, —
აკრიფა სხივი, —
მზემ წაიყვანა თავისი შვილი.

1986

მურაან გვგუფიკას

გურამი... — ნიშნავს გულიანს...
მეგრული სასწაულია;
და არის ეს სახელი

ზედგამოჭრილი შენზე.
უფალი იყოს მაღალი
მარად ჟამს შენი შემწე.

1986

ორი ლექსი ციკლიდან: „ლექსები თბილის“

1. ფიროსმანი

შენ ფიროსმანი გიფორმებს ღუქანს,
ჩააქვს სარდაფში ფერი და შუქი,

ლუკმაპურზე ცვლის დიდებულ ტილოს
და, მოგატყუოს როგორმე, ცდილობს.

და მოგასაღოს ნახატი თვისი,
მისი ნახატის თუმცა არ ხარ ღირსი

და ევაჭრები, დაგიკლოს ფასი
და ჭიქა ღვინოს უგულოდ ასმევ...

1986

2. კონსტანტინე გამსახურდია

შენ კონსტანტინეს ცხენი გახსოვს, ჩოხა და ხმალი,
ბუხრის ქუდი და აზიდული თამამად წარბი.
გახსოვს ქვეითად მოსეირნე და ოდნავ მთვრალი,
ხელკავით ქალი რომ მიჰყავდა (დრო როგორ გარბის)...

აწ კონსტანტინეს შენს წიაღში დაუდევს ბინა,
გამოეთხოვნენ ქაშუეთის ზარები მწერალს,
კოლხური კოშკის ქონგურებზე გრიგალი გმინავს
და გულზე იხვევს გორგასლიანთ ნაბომებ პერანგს.

ველარ გავძეხი, — ამბობს ლანდი მაღალი კაცის,
სწყურია ომი: ხან ხმალს ითხოვს, ხან წათლილ ფანქარს.
დაჰყურებს მთვარე მთაწმინდიდან სამყაროს ნაწილს
და ებჯინება შემოდგომა კარს მომდგარ ზამთარს,

ცვივა ფოთოლი... მყუდრო ღამით, ხმელი და მჩატე,
 ამ დროს ბუნებაც ემგვანება თანდათან შეშლილს.
 არეულია ერთმანეთში ცოდვა და მადლი
 და მწუხარე ლანდს ხმლის ნატეხი უპყრია ხელში.

1987

ღაკით წერქდიანს

მე ჩამოვიდე პატარა ქილა —
 თაფლი რომ მედგა იმ ზაფხულს კარგი
 და ჩამოვდევი ვიიონის წიგნზე
 და ავიკიდე ათასი ბარკი.

თაფლი რად უნდა ცხონებულს აწი?
 უნდა გაეიღო, ცხადია, ხარკი:

და ისევე შევდგი თაროზე ქილა —
 თაფლი რომ მედგა იმ ზაფხულს კარგი.

მე მოვიქეცი, მგონია, სწორად,
 ხან ასე ვუფიქრობ, ძმობილო, ხან კი
 დაძმანაშავედ ვთვლი ქაფათის გორაკს —
 თაფლი რომ მედგა იმ ზაფხულს კარგი.

1987

ანა კალანდაკის

რა თქმა უნდა, რომ გეკუთვნით ნობელი,
 ნუ მიიღებთ ამ განაცხადს ირიბად,

ნუ იქნებით თანაც გულჩათხრობილი —
 ერთი ბეწო საქართველოს შვილი ხართ.

1988

მურმან ქუზანიძეს

შენ დიდი ხანი თვალე
 მწარე დღეების რივი —
 ოთხი კედელი გარეთ,
 ოთხი კედელი შიგნით.

არ იკარებდი წამლებს
 და ძილთან გქონდა ჯიბრი —

ოთხი კედელი გარეთ,
 ოთხი კედელი შიგნით.

და ჰა, ნოემბრის დამლევს
 კელავ რუსთაველზე მიჰქრი —
 ოთხი კედელი გარეთ,
 ოთხი კედელი შიგნით.

1988

თამაზ ბაკალუას ხსოვნას

კუბოშიც ისე ჭკვიანი ხარ და გონიერი,
 რომ მიაყურო, ჩაგესმება ხმა ზეციერის.

შენ ჩვენზე მეტი იგრძენ რაღაც, გაწვევს სხვა წილი,
 და თითქოს იცი, საით მიგყავს ცოლი და შვილი.

და გიკვირს, გიკვირს, რა მოთქმა დგას და რა გოდება,
 ჩვენ კი, რა ვიცით, უმეტრებმა, რა გველოდება.

1989

თენგიზ არჩვაქის

არჩვაქების გვარში ხარ მსახიობი ერთი,
ცივი გაცვია პლაში, წვიმის გეცემა წვეთი,
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

ღვინოს არა სვამ, ფხიზლობ, უსმელ-უჭმელი დახვალ,
გზაზე ვილაცამ გიცნო და ვერ იხსენებ ახლა,
არის ცხოვრება ვიწრო, სარკმლით რომ მოჩანს ახლა,
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

დათას სჯობია მუშნი, მუშნის სჯობია დათა,
რომ ჩაიხედო გულში, ველარ იპოვი მართალს.
ერთს სამსახური უშლის, ცვითავს მთაურობის ფართალს,
ხოლო აბრაგი ურჩი ძალ-ღონეს ფუჭად ფანტავს.
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

როლი როლია, მაგრამ როლია ერთა შორის,
მრავალი როლი გაქრა და ჩაჰკარგა მორევს.
ბევრგზის გამრუდდა საქმე ჩვენი მთისა და გორის,
„ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე“, — კითხულობ სხვათა შორის,
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

თან გეშინია ხოლმე, მეფე არ გახდე მართლა,
ჩანს, მირიადი კომლი, როცა იხსნება ფარდა.
ჩვენი სხვა არის ხომლი, მრავალი რამის გარდა,
არსად ასეთი თოვლი, არსად ასეთი დარდა.
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

გახსოვს პაუნდი, ეზრა, ღუქანს ნატრობდა ვინაც,
კარგია მცირე ეზო ან საკუთარი კინო,
შენსას უკვიდე მეხერს, შენი მრევლისთვის სწირო,
შეუნარჩუნო ლექსებს ძველი ხალხური კილო.
მაღე „ჭას“ გავთხრით წმინდას, არ დაგველევა წყალი,
შრომის სიკეთე წინდავს მარადიული მაღლით.
ეს სხვამ იკითხოს (ვინ და), შენ კარგად იცი, რაიც,
იმ სიკეთისთვის გვინდა, რასაც ვეძახით მაისს.

შენ არწივს ჰგავხარ: ოღნავ წინწაწეული მკერდი;
ვითომ საქმე რამ გქონდა, ქალაქს ფანჯრიდან ჭვრეტლი.
მძიმეა ჩვენი მოდგმა, ვერ გაფრინდები ვერსით,
ღამემ შეჭამა ოდა და სამასამდე ვერსი,
თან მღვრიე ფიქრებს არკვევ, თან გინდა, იყო გლეხი
ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

ღამით ოცნება ქრება, ძილი კარგია, ჯიმა,
 ღამით ოცნება კვდება, ღამით ოცნებებს სძინავთ,
 ძილია ჩვენი შვება, ნეტა არ შეწყდეს წვიმა,
 ისეთი აქ რა ხდება, რაც არ ყოფილა წინათ.
 მოდი, ძილს უუთხრათ ქება და ამოუშვათ ფშვინვა,
 რა მღვრიე ფიქრებს არკვევ, რად გინდა, იყო გლეხი
 ან შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

უფრო ის არი მყარი, რაც ალბათობით ითქმის,
 მგონი, რომ არი, არი, კი, ეს ასეა თითქმის.
 ალბათ, ატყდება ქარი ან კვლავ იწვიმებს, ვინ თქვას,
 არცა ცხოვრება წყნარი, არც თავის მოკვლა გინდა,
 არც მღვრიე ფიქრებს არკვევ, არც გინდა, იყო გლეხი,
 არც შენთვის გქონდეს ცალკე, სადმე პატარა „ცეხი“.

1989

თამაზ ჩხენკელს

როცა გიჭრიდა კარგად თვალი, თარგმნიდი ჩინელს,
 ამჯერად უფრო სიბრძნეს სწავლობ, ვით კერძო ვინმე,
 თუმცა კვლავაც ხარ შენ ჩხენკელი. თამაზი, ვინაც
 ბო ძიუს ლექსებს გვითარგმნიდა დიდი ხნის წინათ.
 მერე თარგმნიდი შენ „გიტანჯალს“, „ბალახის ფოთლებს“,
 „ბაკავატიტას“, ლორკას „სხვის ცოლს“ და ფროსტის
 „ლობეს“,

საკუთარ ლექსებს წერდი ხოლმე ხანდახან შენთვის
 და სანთლის შუქზე ჩანდი, როგორც ჭაბუკი ღმერთი.
 მერე ესეებს მიჰყავ ხელი და სიბრძნის ჩხრეკას
 და სხვათა თვალში არა ჰგავდი შენ თამაზ ჩხენკელს,
 თუმცა იყავი შენ ჩხენკელი, თამაზი, ვინაც
 ბო ძიუს ლექსებს გვითარგმნიდა დიდი ხნის წინათ.
 სხვა საფიქრალი გახლავს ახლა: ასო და რიცხვი
 და გეჩვენება, თითქოს სულ სხვა ცხოვრებას იწყებ,
 გრძნობ დროის ტრიალს, ვარსკვლავების განრიგს და ცვენას
 და უღრმავდები იოანე ზოსიმეს ენას.
 და თითქოს არ ხარ შენ ჩხენკელი, თამაზი, ვინაც
 ბო ძიუს ლექსებს გვითარგმნიდა დიდი ხნის წინათ.
 გამოიარე გრილი დილა, შუადღე ცხელი,
 და ხედავ სარკმლით, ვით ხშირდება საღამო ბნელი,
 თითქოს პირველად დამდებოდეს მიწაზე ახლა,
 ისე განიცდი შენ ყველაფერს და ისე სახავ,
 რომ დღე-ღამეში ჩაეტევა არსება ყოვლის,
 მხოლოდ ხანდახან. კუნაპეტშიც რომ ბრწყინავს თოვლი,
 ამგვარად გულში წმინდა აზრი გაგირბენს უცებ,
 კითხულობ ოთხთავს, ავგუსტინეს კომენტარს უსმენ,
 თუმცა კვლავაც ხარ შენ ჩხენკელი, თამაზი, ვინაც
 ბო ძიუს ლექსებს გვითარგმნიდა დიდი ხნის წინათ.

1989

შუკო ჯიქიას

ახლა შუკო ტრიალებს აფხაზეთის წიად,
არის ჟამი ტიალი, ტყვიას მისდევს ტყვია.

ფიქრობს იგი, შეკრიბოს უთოფოთა რაზმი,
ასეთია შეგნება და ქართული აზრი.

აფხაზი რუსს ენდობა, არ ენდობა ქართველს,
მაინც ვუთხრათ შენდობა მოტყუებულ სანთელს.

იარაღი სხვისია და ხელები მისი,
მძიმე გასაძლისია უჯიშოთა ჯიში.

აფხაზობა ტყეშია, ქართველობა — მზეში,
შუკო როგორ დღეშია, მტერი ისეთ დღეში.

ისმის ხმა კანტიკუნტი, შუალამე მიდის,
როგორ გინდა მოკუნტდე, რომ არ ჩანდე დიდი.

რომ არ ჩანდე მართალი და ფიჭვივით სწორი,
ვერ გაცვიტოს ფართალი, ვინც ატეხა ომი.

ახლა შუკო ტრიალებს აფხაზეთის წიად,
არის ჟამი ტიალი, ტყვიას მისდევს ტყვია.

ცდილობს იგი, შეკრიბოს უთოფოთა რაზმი,
ასეთია შეგნება და ქართული აზრი.

1989

თედო სასოკიას

კორტოხზე დგანან ცაცხვები,
ისმის ზუზუნნი მძაფრი...
მიწას თოხნიან კაცები,
ხოლო მას მოაქვს თაფლი.

მას უყვარს ჩვენი მთა-ბარი,
ჩვენი ქართული ფერი,
მოაქვს ყვავილთან ამბავი,
მოაქვს ყვავილის მტკერი.

ასე ფუსფუსებს ნიადაგ,
ასე აგროვებს ნექტარს;

აწ — კელაპტარი ჰქვია და
ჩემს მაგიდაზე წვეთავს.

მკარნახობს სიტყვას საჭიროს,
აუცილებელს, წმინდას,
ხატოვანებით — საჩინოს,
სულიერებით — მდიდარს.

ეს სასოკია თედო,
სხვა ვინ იქნება მეტი,
თუმც კარგა ხანი მეგონა,
რომ ლექსს ფუტკარზე ვწერდი.

ელზა მებრეველს

ახლა ოთხშაბათია და შუადღის ხანი,
 „ცისკრის“ რედაქციაში ზის ქართველი ქალი.

არის იგი სტილისტი და კითხულობს დედანს,
 ჩოხოსანი მხედრები ულაყებზე სხედან.

ხან ტირეს სვამს, ხან დეფისს, ხან მძიმეს, ხან წერტილს,
 ხან საჭირო სიტყვისთვის ჩაფიქრდება ლელი.

იყო სხვა დრო, როდესაც ის ჰკერავდა დროშებს,
 ოღეს მტერი უღრენდა ქართულ ციხე-კოშკებს.

აწ სხვა დროა, სხვა წყობა და მეოცის კიდე
 იგი ქართულს ერთგულობს, როგორც ერის ლიდერს.

იოანე ზოსიმეს საფარსაგო ენას, —
 რომელს გამოცხადების აქვს ურყევი რწმენა.

წერს ავტორი: „ღღეის ღღეს ხარკს თუმცაღა ვუხდი,
 რჩება მეორ-მოსვლამდე ყურმას ერთი მუხლი“.

1990

ნიკო კაცხოველის მოპონება

ერთხელ წიწამურს კეცხოველი ესტუმრა, ნიკო.
 და, რა თქმა უნდა, სტულენტობა მის გვერდით იყო.
 და ობელისკთან მდგარან უხმოდ ყველანი დიდხანს
 და უთქვამს ოსტატს, ფიქრში წასულს, ასეთი სიტყვა:
 „დაიმახსოვრეთ, მეგობრებო, ის ადგილია,
 სადაც ვერ მოჰკლეს დიდი ილია,

იარეთ ფეხით და ეწვიეთ წიწამურს ხშირად
 და ნუ მოითხოვთ ამისათვის თქვენ ფეხის ქირას —
 იარეთ ნელა, ულოზუნგოდ, უდროშიოდ, უხმოდ,
 აქ გმართებთ რადგან ჩაფიქრება უფრო და უფრო.
 ო. ეს ადგილი, მეგობრებო, ის ადგილია,
 სადაც ვერ მოჰკლეს დიდი ილია.

დიდი დილომი გაიარეთ, პომპეის ხიდი
 და ღვთივეკურთხეულ სვეტიცხოველს გზად მზერა ჰკიდეთ,
 თან გამოგყვებათ ჯურის მონასტრის ბებერი ლანდი,
 წიწამურამდე ცოტა რჩება აწ, როგორც ცამდე.
 ო, წიწამური, მეგობრებო, ის ადგილია,
 სადაც ვერ მოჰკლეს ილია“.

1990

მირზა გვლოვანს

ომი დამთავრდა, როს დაეცა ჭაბუკი მირზა,
ომი დამთავრდა მისთვის, ცხადია,
კვლავ გრუხუნებენ ქვემეხები ისევ და ისევ
და მშვიდობაზე ფიქრი აღრუა.

ასე ცალ-ცალკე ყველამ უნდა მოვივით ომი,
რომ დაიმღერონ ჩვენზე ბალადა.
მძიმეა ჩვენი კართაგენი, მძიმეა რომი,
უფრო მძიმეა ჩვენს მარაბდა.

1991

მერაბ კოსტავას მოსაგონარი

1.

ახლა, როდესაც ის არ არის, ჩვენ მას ვგრძნობთ უფრო,
უფრო განვიცდით, ვინ დაგკარგეთ, ვინ გვყავდა თურმე.
და იქნებ სწორედ ამიტომაც დაგვტოვა აღრე
(აქ დარჩენილთა ჰქონდა დიდი რამეთუ ხათრი)
და შეგვაერთა დულაბივით ყველანი კიდევ,
და უფრო მეტად გვიცაუს ახლა, გვიცავდა ვიდრე.

1989

2.

შაბათ საღამოს მიგვატოვა ხატებამ მისმა,
ვინაც შესწირა თავი თვისი სანუკვარ მიზანს
და იმარტვილა ამა სოფლად იმაზე მეტი.
ვიდრე კონკრეტულ პიროვნებას ერგება ბედით
(და, მით უმეტეს, ასე თახსირ დროებას შინა),
აწ მისი ხელით დანთებული სანთელი ბრწყინავს,
აქრობენ, მაგრამ აღარ ქრება სანთელი მაინც
და გამუდმებით გვაახლოებს სანატრელ მაისს
და ტირის, ტირის, სიხარულის ცრემლები სცვივა,
ჩვენ ვგტკივა გული, ხოლო ნეტარს მამული სტკივა.

1989

3.

და ჩადიოდა ხალხი ჩაღმა თავჩაქინდრული,
წვიმდა იმ შაბათს და სანახი გადაბინდული
სიზმრისას ჰგავდა, არაქაურს, თვითონ ბუნებას

გაფუჭებული ჰქონდა იმ დღეს თითქოს გუნება,
 მხოლოდ მცირე ხნით, ნაშუადღევს ცამ გაიკარა
 თითქოსდა ტილო გაეფინოს საწყალ ნიკალას,
 ღმერთო, გვიხსენი, ვერ-შემძლებნი თავის გაწირვის
 და მიიბარე წამებული ქვეყნის ნაწილი,
 და დაგვაფარე კალთა შენი, ყოვლადძლიერო,
 და არ მოგვაგო მონებს შენსას სამაგიერო.

1989

4.

სარწმუნოებით ქრისტიანი, ქართველი — გულით,
 არ შეუხედავს არავისთვის ამქვეყნად მღურვით,
 ციხეში ჩასვებს, არ გატეხა მან ციხის კარი,
 საჭმელს პირი არ დააკარა, მარტოდენ წყალი
 იგემა მხოლოდ, ვით უხორცომ, ფრინველმა ვითა,
 გამოიარა ჯოჯოხეთი დაგვით და წვითა,
 არ დაუკარგავს ჭეშმარიტი აროდეს რწმენა
 და საქმეს მეტად აფასებდა, ვინემდის ენას,
 და ყოფა მისი დაემგვანა თანდათან ივავს,
 რადგან აქ რაც ვართ, ის ვიქნებით მარადის იქაც,
 სადაც მიგვიყვანს ფეხი ჩვენი განგების ნებით,
 მაგრამ წმინდანთან განსხვავებით ჩვენ მარად ვკვდებით.

1990

5.

სულთათანა, განუსვენე, მაცხოვარ,
 მერაბს, მონას შენსას.
 ნუგეშინი უთხარ წყნარი, აცხოვნე,
 განუბრწყინე ზეცა.

მას შენსავით ჯვალე ეცვა ნიადგ,
 უპოვარს და ღარიბს,
 სასუფეველს იგი ნეტარს მიაღვა,
 განუღვეი კარი.

შეიწყნარე მისი ლოცვა-ვედრება,
 და ნაგვემი ტანი —
 დაკაწრული ციმბირული ეკლებით, —
 განუღვეი კარი.

და აღსდგები ძლევიტ ოდეს, ძლიერო,
 ვით აღმდგარხარ წინათ,
 მოიყოლე მონა შენი, ციერო,
 ივერიას შინა.

1991

პეტე კალანდიას

ეს ბევრს ეხება, ცხადია, წესით,
მაგრამ შენ უფრო უნდა გამიგო, —

არ დაიწერა ისეთი ლექსი,
რათა ეს ომი არ ამტყდარიყო.

1993

სოსო პაიჭაძის სსოვნას

ბათუმს დაეღუპა სოსო პაიჭაძე —
მართალი მესიტყვე მისი,
იცხოვრა რომელმაც კაცურ ყაიდაზე
და გახდა ცხოვნების ღირსი.

ცხოვრობდა ის ჩუმი და დაუნახველი
და სული არც ედგა თითქოს,
ალარ იზიდავდა ჩინი და სახელი,
იყო და აღარც იყო.

თბილისში ის ფრინველს მოჰგავდა
გასაკვირს —
ჩაფრენილს, საცა არ სურდა,
უფრო აფიქრებდა ბოლო ჟამს ასაკი
და კითხვის პასუხად ღუმდა.

თან ჰგავდა იმ ალაგს, საცა დაიბადა,
ექაზნენ წინაპრის ძეგლები.

სულ წუხდა, ვალი რომ ვერ გადაიხადა
ზღვად გადასახული მთების.

წავიდა კიდევაც თავისიანებთან,
შეერწყა სამოთხის ნათელს,
ბილწს აღარ შეეკრა, სიკვდილს კი
დანებდა
ისე, ვით სწვევია ქართველს.

თან ვიცი, ვერასდროს ველარ მოვინელებ,
რომ ამ ფარატიან თავით
ვერ მივხვდი, მეგობარს ასე საშინელი
თუ დაუდგებოდა ჟამი.

ბათუმს დაეღუპა სოსო პაიჭაძე,
მართალი მესიტყვე მისი,
იცხოვრა რომელმაც კაცურ ყაიდაზე
და გახდა ცხოვნების ღირსი.

1994

ზურაბ გორგილაძე

გორგილაძე სოფელშია წასული —
სით მიუწეეს მარად გული და სული,

ძველებური ახლავს შნო და მხნეობა
და ბებერი ლომი ებრძვის ხეობას.

ჩეხავს შემას, ცეცხლს აჩალებს
ბუხრისას,
სვამს ცისკარზე სადიდებელს უფლისას.

უყვარს მწუხრზე ლაპარაკი
გლეხებთან, —

პოეტს ქვეყნის საკითხავი ეხება.
უმზერს ზამთარს, სოფელს რომ
ეგრავენბა
და, რას ფიქრობს, ჭირს აქედან გაგება.

მაგრამ მჯერა და წყალი არ გაუვა,
ის ზამთარსაც რომ აუწყობს საუბარს.

ეჰ, ბებრებო, იბუზღუნეთ, იდავეთ,
რა დრო შეგრჩათ, რარიგ საიბეავე!

1994

აჭარელი მწერლებისადმი

ჩემი სალამი მეგობარ მწერლებს,
რომლებიც წერდნენ, რომლებიც წერენ,
რომლებიც აწი დაწერენ ლექსებს,
ჩემი სალამი ქართულის მწყემსებს.

სალამი ჩემი ფრიდონს და ზურაბს,
ალექს და შოთას, ლადოს და... ყმაწვილს,
შეშით შეპყურებს რომელიც კულას,
არ დაუცლია ჯერ ვისაც ვანწი,

ჯერ რომ არ უთქვამს საქვეყნო სიტყვა,
მაგრამ დრო მოვა და, ვიცი, იტყვის,
სალამი ლექსებს, რომლებიც ითქვა,
სალამი ლექსებს, რომლებიც ითქმის;

ჩემი სალამი საერო კაცებს,
ქედზე რომ ადგათ უღელი მძიმე,
დედა-სამშობლოს ვალი რომ აწვეთ
და გვიღვივებენ მომაულის იმედს...

1994

რეზო ავაშუკელს

ამ სიტყვას ვატან მე მანანა დუმბაძეს ჩვენსას,
რეზოს საღამოს დაესწრება რომელიც მალე, —
უკლის რომელიც საქართველოს ღობეს და მესერს
და ლოცვას ამბობს, სადღეგრძელოს ვინემდის დაღვეს.

ებუზღუნება ხოლმე პოეტს მევანთა დასი,
მაგრამ როდესაც საჭიროა მეგობრის ხელი,
ურვეულოა ქვეყანაზე პოეტის ფანსი
და გაბუტული კაცი საშველს მისაგან ელის.

რა უბრალოა ხელის წაკერა და მხარში დგომა,
რა უბრალოა, ქრისტიანი იყო ნამდვილი,
რა უბრალოა, რომ არ იყო ურწმუნო თომა,
იყო პოეტი და გამოთქვა გულის წადილი.

1996

ნოდარ დუმბაძეს, ოთარ მაგპორიას, პასტანაჰ კიკაბიძეს

დუმბაძის სითბო, ბუბას ღიმილი
და მამფორიას ხუმრობა სხარტი,
წაიღო ჩვენი დიდი ტკივილი,
ახლა ნოდარი სხვა ქვეყნად დადის.

მამფე კვლავ ხუმრობს, მაგრამ არა სვამს
და უკვე ხშირად უჩივის წელკაკუს;
დრო-ჟამს არ ესმის მისი ქარაგმა,
ვით არ ესმოდა ოდესღაც ცეკას.

ბუბა გაშორდა ქალაქს საყვარელს,
კარგა ხანია თბილისში არ ჩანს;
ერთხელ სამივეს გადავყვარე
და მახსოვრობას ამრიგად ჩარჩა.

ხმაშეწყობილი ერთურთს სიმივით
სამი ძმაკაცი და სამი ხატი,
დუმბაძის სითბო, ბუბას ღიმილი
და მამფორიას ხუმრობა სხარტი.

1996



გაბრიელ გარსია მარკესი

გენერალი თავის ლაბირინთში

იმ საღამოს მონტილიამ ქალაქის საზოგადოების ნაღები შეკრიბა თავის დიდებულ სასახლეში, სადაც თავის დროზე მარკიზ დე ვალდეიოსმა გააძაღლა ცხოვრება და სადაც მისი მეუღლე გამდიდრდა ფქვილის კონტრაბანდითა და ზანგებით ვაჭრობით. ახლომახლო სახლები გააჩახჩახეს, მაგრამ გენერალს თავი არ მოუტყუებია, რადგან იცოდა, რომ კარიბზე ნებისმიერ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენას, თვით გამორჩეულ დაკრძალვასაც კი სახალხო ზეიმად აქცევდნენ ხოლმე. მართლაც ყალბი დღესასწაული გამოდგა. რამდენიმე დღის წინათ ქალაქში უხამსი პროკლამაციები იყო გაკრული და მოწინააღმდეგე პარტიის მიერ წაქეზებულმა მოსახლეობამ ჯერ ფანჯრები ჩაამსხვრია ქვებით, შემდეგ კი კეტებით შეება პოლიციელებს.

„კიდევ კარგი, ჩასამტერვეი შუშა აღარ დარჩა“, ჩვეულებისამებრ იხუმრა მონტილიამ. მას ღრმად სწამდა, რომ ხალხის ბრაზი სტუმარზე მეტად მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ დაცვა საიმედოდ გააძლიერა, უბანს ალყა შემოარტყა და აკრძალა სტუმრისთვის გაემხილათ, რა ხდებოდა ქუჩებში.

იმ საღამოს გრაფმა რეჟექტორტმა

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“,

მოახსენა, რომ ინგლისური თბომავალი უკვე ჩანდა ბოკა ჩიკას სიმარგრებიდან, მაგრამ თვითონ წასვლას არ აპირებდა. ბევრმა იფიქრა, რომ გრაფს, უბრალოდ, არ სურდა ქალებით საფეხ ერთადერთი კაიუტით გადაეღაზა ოკეანე. სინამდვილეში კი, მიუხედავად ტურბაკოში მაღიანად სადილობისა, მამლების ბრძოლაზე დასწრებისა და გენერლის შესაშური მონდომებისა — დაეჯახნა ავადმყოფობა. გრაფი მშვენივრად ხვდებოდა, რომ ბოლივარი მოგზაურობას ვერ გადაიტანდა. იქნებ მის სულს გაეძლო კიდევ, მაგრამ სხეული ნამდვილად უმტყუნებდა. სწორედ ამიტომ არ სურდა, ხელი შეეწყო მისი აღსასრულის დაჩქარებისთვის. მაგრამ ვერც ამ და ვერც სხვა მიზეზებმა გენერალს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. მონტილიას ფარ-ხმალი არ დაუყრია. სტუმრები ადრინადა გაისტუმრა იმ მოტივით, რომ ავადმყოფისთვის დასვენების საშუალება მიეცა, მაგრამ გენერალი პატიოში გამავალ აივანზე დახვდა და არსად გაუშვია, სანამ ერთმა გამხდარმა და მუსლინის გამჭვირვალე ტუნიკაში გამოწყობილმა გოგონამ არფაზე სასიყვარულო რომანსების დაკვრა დაამთავრა. მშვენიერი რომანსები ისეთი სინაზით იყო შესრულებული, რომ სამხედროებმა ხმა ვერ ამოიღეს. სანამ ზღვიდან მონაბერმა ნიავეა მუსი-

კის ბოლო ჰანგებს გაფანტავდა. არფის ტალღებს მინდობილი გენერალი თვალემბილულული დარჩა სარწევლა სავარძელში და უცებ გულიდან ამოხეთქილი, ბოლო სიმღერის ტექსტი ხმადაბლა, მაგრამ სწორი კილოთი წამღერა. შემდეგ არფაზე დამკვრელს მიუბრუნდა გულწრფელი სამადლობელი სიტყვების ბუტბუტით, მაგრამ აივანზე მხოლოდ დამტკნარი დაფნის ფოთლებით მორთული არფა დახვდა. მაშინ გაახსენდა:

„ონდაში ერთი კაცი იხდის სასჯელს სამართლიანი მკვლელობისთვის“, თქვა. მონტილიამ გაიცინა.

რა ფერის რქები ადგას? იკითხა.

გენერალმა რეპლიკას ყურადღება არ მიაქცია და დაწვრილებით აუხსნა საქმის არსი, მხოლოდ იმაზე არ დაუტრავს სიტყვა, რომ მირანდა ლინდსეის ჯერ კიდევ იამაიკიდან იცნობდა. მონტილიამ მარტივად გადაწყვიტა საქმე.

„აქ გადმოყვანა მოითხოვოს ჯანმრთელობის გაუარესების მომიზნებით“, თქვა, „ჩვენამდე მოაღწევს თუ არა, შევიწყალებთ“.

„კი მაგრამ, შეიძლება?! იკითხა გენერალმა.

„არ შეიძლება“, უპასუხა მონტილიამ, „მაგრამ კეთდება“.

გენერალმა თვალები დახუჭა. ყურადღება არ მიუქცევია ქუნაში ამტყვარი ძაღლების გნიაისათვის. მონტილიამ იფიქრა, ჩაეძინაო. ბევრი ფიქრის შემდეგ გენერალმა თვალი გაახილა და დაასკვნა:

„თანხმა ვარ“, თქვა, „მაგრამ მე არ აფერი ვიცი“.

მხოლოდ ამის შემდეგ მიუგდო ყური ყფას, ტალღებავით რომ ასკდებოდა ქალაქის კედლებს და ჭაობთა სიღრმეში იკარგებოდა. ძაღლების ასეთი აჟიოტაჟი იმიტომ იყო გასაოცარი, რომ აქაურ ძაღლებს ზეციალურად აჩვევდნენ — არ დაეყფათ, რათა პატრონები არ შეიწუხებინათ. როგორც მონტილიამ აუხსნა, ცოფის გავრცელების სა-

შიშროების თავიდან ასაცილებლად, მაწანწალა ძაღლებს წამლავენენ. მათ ძაღლის დაკბენილი მხოლოდ ორი ბავშვის დაჭერა მოახერხეს მონათა უბანში. დანარჩენებს, როგორც ყოველთვის, მშობლები მალავდნენ, რათა თავიანთი ღმერთების მფარველობის ქვეშ ამოდოდათ სული, ან მარიალაბახას ჭაობებში მიჰყავდათ ექიმბაშების იმედად. გენერალს არასოდეს აუკრძალავს მსგავსი ფატალური რიტუალები, მაგრამ ძაღლების მოწამვლა უღირს საქციელად მიიჩნია. ძაღლები ცხენებივითა და ყვავილებივით უყვარდა. პირველად რომ გაემგზავრა ევროპაში, თან ორი წვეილი ლეკვი წაიყვანა. ანდების გადალახვისას, როცა ვენესუელას დაბლობიდან ოთხასი ფეხშიშველა გლეხი წაიყვანა ახალი გრანადის გასანთავისუფლებლად, რასაც კოლუმბიის რესპუბლიკის დაასება მოჰყვა, ათი ძაღლი ახლდა. ომში უიმითოდ არ მიდიოდა. ყველაზე სახელგანთქმული, ნევალო, პირველივე ბრძოლებში ახლდა თან, ერთხელ კი მარტომ აჯობა ესპანელთა ჯარის ოც დაგვილ ძაღლს. შემდეგ იგი კარაბობოს ომში ხიმშტზე წამოაგეს ლიმაში. მანუელა საენსს იმაზე მეტი ძაღლი ჰყავდა, ვიდრე მოვლა შეეძლო. ისინი დანარჩენ ცხოველებთან ერთად ცხოვრობდნენ ლა მაგდალენას სახლში. ერთხელ ვილკამ უთხრა გენერალს, რომ ძაღლი სიკვდილისთანავე უნდა შეესტვალა იმავე ჯიშისა და სახელის მქონე ლეკვით, რათა პატრონს დანაკარგი არ ეგრძნო. მაგრამ გენერალი არ დაუთანხმდა. მას ყოველთვის სხვადასხვა ჯიშის ძაღლები ჰყავდა, რათა ყოველი მათგანი თავის დამსახურებისამებრ მოეგონებინა თვალბში ჩამდგარი სიყვარულისა და მოუთმენლობისგან გაზშირებული სუნთქვის წყალობით და თითოეული მათგანის სიკვდილზე ცალკე დასწევტოდა გული. 25 სექტემბრის იმ ავადსახსენებელი ღამის თავდასხმის დროს დაღუპულთა სიას ორი მეძებარი ძაღლიც მიუმატა, რომლებსაც შეთქმულებმა წააგდებინეს თავი.

ახლაც, ბოლო მოგზაურობაში ორი დარჩენილი ოთხფეხა მეგობარი მიჰყავდათან, მდინარეზე აყვანილ მამაც ძაღლთან ერთად. მონტილიას მიერ მოწოდებულია ცნობა, რომ შარტო პირველ დამეს ორმოცდაათი ძაღლი მოწამლეს, გენერალს არფით მიღებული სიამოვნება საბოლოოდ გაუქარწყლა.

მონტილიამ გულწრფელი სინანული გამოთქვა და შეჰპირდა, რომ ქუჩებში ძაღლებს აღარ დახოცავდნენ. პირობამ გენერალი დაამშვიდა. მართალია, მისი შესრულების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ თავისი გენერლების კეთილი ზრახვები სიამოვნებას ჰკვირიდა. ნათელი დამე ჩამოწვა... განათებული პატიოდან უახინის სურნელი მოდიოდა. ცაზე უთვალავი ვარსკვლავი ენთო და ჰაერი ბრილიანტისას ჰგავდა. „როგორც ანდალუსიაში იცის, აბრილში“, აღნიშნა ერთხელ გენერალმა კოლუმბზე საუბრისას. ზურგის ქარმა ხმაური და სურნელი გააყოლია და ჰაერში მხოლოდ კედლებს მიხლილი ტალღების დგაფუნის დარჩა.

„გენერალი“, შეევედრა მონტილია, „არ წახვიდეთ“.

„გემი უკვე ნავსადგურშია“, თქვა ბოლივარმა.

„სხვა გემებიც მოვლენ“, არ შეეპუა მონტილია.

„სულ ერთია“, უპასუხა გენერალმა, „ყველა უკანასკნელი იქნება“.

იოტისოდენაც არ დაუთმია. უამრავი წყალში ჩაყრილი ვედრების შემდეგ, მონტილიას ისღა დარჩენოდა, გენერლისთვის საიდუმლო გაემხილა, რომლის შენახვაც პატიოსანი სიტყვით ითავა: გენერალი რაფაელ ურდანეტა ბოლივარისტ ოფიცრებთან ერთად სანტაფეში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებდა სექტემბრის პირველ რიცხვებში. მონტილიას მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გენერალი არ გამოცებულა.

„არ ვიცოდი“, თქვა, „მაგრამ იოლი წარმოსადგენი კი იყო“.

მაშინ მონტილიამ სამხედრო კონსპირაციის წერილმანებიც გაუშვილა. ვენესუელელი ოფიცრების მტკიცებით, ქვეყნის ყველა გარნიზონში ჰყავდათ ერთგული ხალხი. გენერალი დაფიქრდა. „ახრი არა აქვს“, თქვა. „თუკი ურდანეტას მართლა სურს ქვეყნის შეკოწიწება, პაესს შეუერთდეს და ბოლო ოხუთმეტი წლის ისტორია გაიმეოროს, კარაკასიდან ლიმამდე, იქიდან პატაგონიამდე გასეირნებასავით გამოუწვა“. ამის მიუხედავად, დასაძინებლად წასულმა კარი გამოღებული დატოვა.

„სუკრემ იცის რამე?“ იკითხა.

„წინააღმდეგია“, უპასუხა მონტილიამ.

„ცხადია, ურდანეტასთან უთანხმოების გამო“, აღნიშნა გენერალმა.

„არა“, აუხსნა მონტილიამ, „უბრალოდ, ყველაფერს ეწინააღმდეგება, რაც კატოში წასვლაში ხელს უშლის“.

„ასე თუ ისე, მხოლოდ მასთან დირს ლაპარაკი“, თქვა გენერალმა, „ჩემთან ტყუილად კარგავთ დროს“.

ჩანდა, ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილება იყო. მეორე დღეს, დილაადრიან, ხოსე პალასიოსს უბრძანა, სანამ გემი ყურეში იდგა, ბარგი გადაეწვიდა და კაპიტანთან გაგზავნა თხოვნით — საღამოს გემი სანტა დომინგოს ციხე-სიმაგრესთან მიეცურებინა, რათა მისი ნახვა შეძლებოდა. ისეთი ზუსტი მითითებები გაცა, რომ, რახან არ უხსენებია, ვის წყევანას აპირებდა, ოფიცრებმა დაასკვნეს: არც ერთი არ მივეყვართო. მხოლოდ უილსონი მოქმედებდა იანვრის შეთანხმებისამებრ და სხვებთან შეუათბირებლად გადაზიდა თავისი ბარგი.

გენერალთან გამოსამშვიდობებლად ყველაზე ურწმუნოებიც კი მივიდნენ, როცა ქუჩაში ყურისკენ მიმავალი ბარგით დატვირთული ექვსი საზიდარი იხილეს. გრაფ რეჟეკურტს ამჯერად კამილა ახლდა და სუფრასთან საპატიო სტუმრის ადგილი ეკავა, ქალი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თვალეზიცი ნაკლები სისასტიკე ელგა,



თმა კი ზონარით ჰქონდა შეკრული. მწვანე ტუნიკა და იმავე ფერის უბრალე ფეხსაცმელი ეცვა. გენერალს არ გამოუმყლავნებია მისი დანახვით გამოწვეული უსიამოვნო გრძობა.

„ქალი თავის სილამაზეში ზედმეტად დარწმუნებული უნდა იყოს, მწვანე რომ მოიხდინოს“, თქვა ესპანურად.

გრაფმა მაშინვე გადათარგმნა. თავისუფალი ქალის კისკისი ძირტკბილას სურნელად მოედო იქაურობას. „თავიდან ნუ დაიფიცებთ, დონ სიმონ“, თქვა. ორივე როგორღაც შეცვლილიყო, რადგან ვერც ერთმა გაბედა პირველი შეხვედრის რიტორიკული სავარჯიშოების გაგრძელება, რათა მეორისათვის გული არ ეტკინა. კამილამ გენერალი დაივიწყა და სიამოვნებით გაითქვიფა ნაღებ საზოგადოებაში, სადაც ფრანგულად საუბრის საშუალება მიეცა. გენერალი ფრია სებასტიან დე სიგუენსას ელაპარაკებოდა, წმინდა კაცს, რომელმაც სამართლიანად გაითქვა სახელი მას შემდეგ, რაც ჰუმბოლდტი ყვავილისგან განსურნა. თვითონ ბერი ამ ამბავს არაფრად ავდებდა, „უფალმა თავად ინება, რომ ერთნი შეეწირონ ყვავილს, მეორენი გადარჩნენ. ბარონი მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა“, თქვა. გენერალს ჯერ კიდევ წინა მოგზაურობის დროს სურდა მისი გაცნობა, როცა შეიტყო, რომ ალოეს საშუალებით სამას სხვადასხვა დაავადებას ჰკურნავდა.

მონტილიამ გამოსამშვიდობებელი სამხედრო აღლუმის მოწყობა ბრძანა, როცა ხოსე პალასიოსმა პორტიდან ამბავი მოიტანა: ორთქლმავალი ნასადილევს ციხე-სიმაგრის პირდაპირ ჩაუშვებს ლუხასო. იენისის მზისგან თავდასაცავად ხოსე პალასიოსმა ბრძანა: კაპიტნის კატერზე, რითაც გენერალი გამამდე უნდა მისულიყო, ტილოს საჩრდილობელი მოეწყით. თერთმეტ საათზე სახლი სავსე იყო დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი სტუმრებით. ის იყო, სიცხემ აუტანლად დააჭირა, რომ ყველანი ადგილობრივი სამზარეულოს ნიმუშებით საგულდაგულოდ გაეცობილ

სუფრასთან მიიწვიეს. კამილამ ვერაფრით ახსნა, რამ გამოიწვია დარბაზის შექვიფება, სანამ ყურთან არ მოესმა „Après vous Madame“. გენერალმა თვითონ აურჩია კერძები, აუხსნა მათი სახელები, მოზადების წესები და წარმოშობა, თვითონაც გაივსო თეფში ნუგბარით, რამაც მისი მზარეულის გაოცება გამოიწვია, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ უფრო გემრიელ კერძებზე უთხრა უარი. შემდეგ გზა გაიკვლია დასაჯდომი ადგილების მძებნელ ხალხში, კამილა პატიოში გამავალ, კვატორული ყვავილებით დამშვენებულ აივანზე გაიყვანა და შესავლის გარეშე შეუტია.

„ძალიან კარგი იქნებოდა, კინგსტონში გვენახა ერთმანეთი“, უთხრა.

„თავს ბედნიერად ჩავთვლიდი“, გაუოცებლად უპასუხა ქალმა, „ვეიჟდები ცისფერ მთებზე“.

„მართო იქნებოდა?“

„ვისთანაც უნდა ვიყო, მუდამ მართო ვარ“, თქვა კამილამ და ეშმაკურად დაამატა: „ბრწყინვალეა“.

გენერალმა გაიცინა.

„პისლოპის მეშვეობით შოგებნით“, თქვა.

სულ ეს იყო. შემდეგ ქალი თავის სკამამდე მიაცილა, რევერანსით გამოეთხოვა, ხელუხლებელი თეფში ფანჯრის რაფაზე დატოვა და თავის ადგილას დაბრუნდა. არაფერი იცის, როდის ან რატომ გადაწყვიტა დარჩენა. ყელში რომ ამოუვიდა პოლიტიკოსები და მათი ლაყბობა ადგილობრივ პრობლემებზე, რეჟეკურტს მიუბრუნდა და ყველას გასავონად განუცხადა:

„მართალი ხართ, ბატონო გრაფო. რა უნდა ვაკეთო იმდენ ქალებში ასეთ საცოდავ მდგომარეობაში მყოფმა“.

„მართლაც, გენერალო“. ამიოიხრა გრაფმა და სასწრაფოდ დაამატა: „სამაგიეროდ, მომავალ კვირას ინგლისური ფრეგატა „შენონი“ ჩამოდგება. იქ კი საუკეთესო კაიუტების გარდა, ბრწყინვალე ექიმიც მოიძებნება“.

„ეგ ას ქალზე უარესია“, თქვა გენერალმა.

ქალებს ტყუილად იმიზეზებდა, რადგან გემის ერთ-ერთ ოფიცერს განზრახული ჰქონდა იამაიკამდე საკუთარი კაიუტა დაეთმო მისთვის. მხოლოდ ხოსე პალასიოსმა მოუძებნა შესაფერისი ახსნა გენერლის გადაწყვეტილებას: „ის, რასაც ჩემი ბატონი ფიქრობს, მხოლოდ ჩემმა ბატონმა იცის“.

გამგზავრებას კი მაინც ვერ შეძლებდა, რადგან სანტა დომინგოს ციხესამაგროსკენ მიმავალი თბომავალი მეჩენზე შეჯდა და სერიოზულად დაზიანდა.

მოკლედ, გენერალი დარჩა და ერთადერთი პირობა წამოაყენა: მონტილიას სახლში აღარ გაჩერებულ იყვნენ. გენერალს იგი მთელ ქალაქში საუკეთესოდ მიაჩნდა, მაგრამ მისი ძელებისთვის ზღვის ნესტი არცთუ სახარბიელო იყო, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ყოველ დღით ოფლში გაღვრილი იღვიძებდა. მის ჯანმრთელობას ნაკლები ჰერალდიკური ჰაუა მოუხდებოდა. მონტილიამ ჩათვალა, რომ გენერალი დიდი ხნით რჩებოდა და სცადა ესაიმოვნებინა მისთვის.

ქალაქგარეთ, ლა პოპას ქედზე, კარგი დასასვენებელი ადგილი ეგულებოდა, რომელიც თვით კარტახენელებმა გადაწვეს 1815 წელს, რათა ქალაქის დასაპყრობად გამოგზავნილი მეფის ჯარები იქ არ დაბანაკებულიყვნენ. მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, რადგან ესპანელებმა გამაგრებული ქალაქი ასთექს-მეტდლიანი ალყის შემდეგ აიღეს. ამ ხნის მანძილზე ქალაქის მოსახლეობამ ფესხამდლის ლანჩებიც კი შეკაშა. ექვსი ათასზე მეტი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. თხუთმეტი წლის წინათ გადაშლილიყო შუადღის 2 საათის მზის ქვეშ. რამდენიმე აღდგენილი სახლიდან ერთ-ერთი ინგლისელ ვაჭარს — იულა კინგსლერს ეკუთვნოდა, რომელიც იმ დღეებში სამოგზაუროდ იმყოფებოდა. ამ სახლმა გენერლის ყურადღება ტურ-

ბაკოდან ჩამოსვლისთანავე მიიპყრო, რადგან მსხმოიარე ხეხილში ჩაფლულს პალმის ტოტების სახურავი და მზიარულ ფერებად შეღებილი კედლები ჰქონდა. მონტილიას ძვირფასი მდგმურის შესაფერისი სულ რამდენიმე სახლი ეგულებოდა, მაგრამ თვით გენერალმა დაარწმუნა, სულ ერთია სად დავიძინებ, ჰერცოგის ცოლის საწოლში თუ საღორის იატაკზეო. ასე რომ, გადაწყვიტეს ვაჭრის სახლი დაევირავებინათ განუსაზღვრელი დროით, თავისი საწოლით, პირსაბანიოთ, ტყავის ექვსი სკამითა და არყის გამოსახდელი ქვაბით, რომლითაც ბატონი კინგსლერი თავისთვის ხდიდა სასმელს. ამის გარდა, მონტილიამ მთავრობის სახლიდან ხავერდგადაკრული სავარძელი მოიტანა და გრენადერებისთვის ბარაკის აშენება ბრძანა. ყველაზე მცხუნვარე დღეებშიც კი სახლში გრილოდა და მარკიზ ლე ვალდეიოისის სასახლეზე ნაკლები ნესტი იდგა. ოთხი საწოლი ოთახი, რომელშიც იგუანები დასეირნობდნენ, ყოველი მხრიდან ნიაღვრებოდა. აქ განთიადის უძილობაც ნაკლებ შემაწუხებელი ჩანდა, რადგან ბალიდან მწიფე გუანაბანების სკდომისა და მიწაზე დაცემის ტყაპანი ისმოდა. საღამოობით, განსაკუთრებით — დიდი წვიმიანობის დროს, გზაზე მიმავალი დარბები ჩანდნენ, რომლებიც დამხრჩვალეებს ეკლესიაში მიასვენებდნენ.

რაც ლა პოპაზე დასახლდა, გენერალი სულ სამჯერ ჩაივია ქალაქში, ისიც იმიტომ, რომ კარტახენაში გავლით მყოფ იტალიელ მხატვარ ანტონიო მეუჩისთან, რომელიც მის პორტრეტს ხატავდა, საჭირო პოზაში დამჯდარიყო. ისე სუსტად გრძნობდა თავს, რომ, თუმცა სეანსების დროს მარკიზის ველური ყვავილებით მორთულ აივანზე იჯდა, ერთ საათზე მეტხანს მაინც ვერ სძლებდა გაუნძრევლად. პორტრეტი მოეწონა, თუმცა აშკარა იყო, რომ ხელოვანმა საგრძნობლად დაინდო.

სექტემბრის შეთქმულებამდე ცოტა ხნით ადრე ბოლივარი გრანადელმა



მზატარმა ხოსე მარია ესპინოსამ და-
ხატა. გენერალს ის პორტრეტი საკუთა-
რი თავისგან ისე განსხვავებული მოეჩ-
ვენა, რომ მაშინდელ მდივანს გენე-
რალ სანტანას შესჩივლა:

„იცით, ვის ვგავარ ამ სურათზე?“
ჰკითხა. „ბებერ ოლაიას, ლა მესაში
რომ ცხოვრობს“.

ამის გამონე მანუელა საენსი აღ-
შვოთდა, რადგან კარგად იცნობდა ლა
მესელ მოხუცს.

„სულ არ გიგვართ თქვენი თავი“,
უთხრა ქალმა, „უკანასკნელად რომ
ენახეთ, ოლაია ოთხმოცი წლის იყო
და ფეხზე ძლივს იდგა“.

გენერლის ყველაზე ძველი პორტრე-
ტი მადრიდში უცნობი მზატურის მი-
ერ შესრულებული თექვსმეტი წლის
ბოლივარის მინიატურა იყო. ოცდა-
თორმეტი წლისა კი ჰაიტიზე დახატეს.
ორივე პორტრეტი ნათლად მეტყველებ-
და მის ასაკსა და კარიბულ წარმოშო-
ბზე. მის ძარღვებში აფრიკული სის-
ხლიც ჩქეფდა მამამისის დიდი ბაბუის
წყალობით, რომელსაც მონა ქალთან
ჰყავდა შვილი და ეს ისე ეტყობოდა სა-
ხის ნაკეთებზე, რომ ლიმელი არისტო-
კრატები მულატს ეძახდნენ. მაგრამ
რაც უფრო ემატებოდა დიდება, მზატ-
ურები მის გარეგნობას აღივლებდნენ.
სისხლს უწმენდნენ, მითიური შარა-
ვანდვით მოსავდნენ და იმდენი ჰქნეს,
რომ ხალხის მახსოვრობაში მისი ქან-
დაკების რომელი პროფილით დატ-
ოვეს. სამაგიეროდ, ესპანოსას მიერ
შესრულებული პორტრეტი ჰგავდა ნა-
ტურას. ორმოცდახუთი წლისა უკვე
დაუძლურებულიყო აუადმყოფობისგან,
რომლის შესახებ სიკვდილის წინაც კი
არ უტყვებოდა საკუთარ თავს.

ერთ წვიმიან საღამოს, ლა პოპაზე
მცირე ხნით ჩათვლემილს რომ გაეღვი-
ძა, ოთახის კუთხეში ჩამომჯდარი, უხ-
ეში ტილოს არამონაზვნურ კაბაში გა-
მოწყობილი, მანათობელი ავაკებით მო-
რთული გვირგვინით დამშვენებული

ბიბლიური ქმნილება იხილა. კოლონი-
ურ ეპოქაში ევროპელი მოგზაურები
გაოცებით აღწერდნენ, თუ როგორ ინა-
თებდნენ გზას ინდიელები ავაკებით
სავსე ჭურჭლით. მოგვიანებით ამან
რესპუბლიკურ მოღაშეც შეაღწია. ქა-
ლები ავაკებს ხან თმაში იწნავდნენ, ხან
დიადემასავით იმაგრებდნენ შუბლზე,
ხანაც გულსაბნევად იყენებდნენ. იმ ლა-
მის გოგოს ავაკები თავზე წაკრულ
ბაფთაში ჩაეკერებინა, რის გამოც სა-
ხე მოჩვენებასავით გაცისკროვნებოდა.
გამხდარსა და იღუძალს, ოცი წლის
ასაკის მიუხედავად, ჭაღარაშერეული
თმა ჰქონდა და გენერალმა მაშინვე შე-
ამჩნია ის თვისება, რის გამოც განსა-
კუთრებით აფასებდა ქალს: გაუხედნა-
ვი ჰქუა. გოგო გრენადერებთან მისულა
და თავისი სამსახური შეუთავაზებია,
ზორივე ოფიცერს კი ისე უცნაურად
მოჩვენებია ახალმოსული, რომ ხოსე
პალასიოსისთვის გაუგზავნია, იქნებ
გენერალი დაინტერესოსო. ბოლივარმა
გოგო გვერდით მოიწვინა, რადგან ზისი
ხელში ატაცებისა და ჰამაკთან მიყვან-
ის ძალა არ ჰქონდა. გოგომ ბაფთა
მოიხსნა, ავაკები თან წამოდებულ გა-
მორღუტნულ შაქრის ლერწაში დამა-
ლა და გენერალს მიუწვა. არეულ-ღარე-
ული საუბრის შემდეგ გენერალმა გაბე-
და და ჰკითხა, რას ფიქრობდნენ მასზე
კარტახენაში.

„ამბობენ, რომ თქვენი ბრწყინვალეობა
კარგად არის, მაგრამ ხალხის თანაგრძ-
ნობის გამოსაწვევად თავს იავადმყო-
ფებს“, თქვა გოგომ.

მაშინ გენერალმა ღამის პერანგი
გაიხადა და გოგოს სთხოვა, სანათურის
შუქზე დაეთვალიერებინა. ქალის თვალ-
წინ წარმოუდგენლად დაჩაჩანაკებული
სხეული გადაიშალა. ჩავარდნილ მუც-
ელს, გაძვალტყავებულ ხელ-ფეხსა და
გამოჩრილ ძელებს უბაღნო, მკვდრის-
ფერი ტყავი გადაჰკროდა და გაქუცული
თავი ადგა.

„ერთადერთი, რაც დამრჩენია, სიკვდილია“, თქვა.

გოგომ გააპროტესტა.

„ხალხი ამბობს, რომ სულ ასეთი იყავით“, თქვა, „მაგრამ მხოლოდ ახლა მოინდომეთ ყველას გაეგო“.

გენერალი არ დანებდა და დაწვრილებით აღწერა თავისი სწეულებანი. გოგომ ჩათვლიმა, მაგრამ მძინარეც კი აზრიანად განაგრძობდა საუბარს. მთელი ღამის განმავლობაში გენერალს თითიც არ დაუკარებია სტუმრისათვის და მხოლოდ მისი ახალგაზრდული სურნელი ტკბებოდა. უცებ, ზედ ფანჯარასთან, კაპიტან იტურბიდეს სიმღერა მოესმა: „თუკი ქარიშხალი განანღლებს და ჭექა-ქუხილი გაძლიერდება, ყელზე მომეხვიე და მივეწვდეთ ზღვას“. ძველი სიმღერა იყო. იმდროინდელი, როცა კუჭი ჯერ კიდევ ინელებდა მწიფე გუაიაბასა და სიბნელეში ქალის დაუნდობლობას. გენერალმა და მისმა სტუმარმა ერთად მოისმინეს სიმღერა. მაგრამ გოგოს მომდევნო სიმღერის შუაში ჩაეძინა, გენერალი კი უწვევით მარაზმში გადაეშვა. მუსიკის შემდეგ ისეთი ყოვლისმომცველი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ძაღლებმა ერთი ამბავი ატეხეს, როცა გოგო გამოსამშვიდობებლად, ფეხის წვერებზე ადგა. გენერალს ესმოდა, როგორ ეძებდა გოგო სიბნელებაში საკეტს.

„ხელუხლებლად მიდიხარ“, უთხრა.

„არავინაა ხელუხლებელი თქვენს ბრწყინვალეობასთან გატარებული ღამის შემდეგ“, საზეიმოდ უპასუხა გოგომ.

წავიდა როგორც მიდიოდნენ სხვები. გენერლის ცხოვრებაში მოხვედრილი უამრავი ქალიდან, რომელთა უმეტესობა სულ რამდენიმე საათით ყოვნდებოდა, არც ერთ მათგანთან დარჩენის მცირე სურვილიც არ გასჩენია. როცა სიყვარული სწყუროდა, მზად იყო ქვყანა შეეძრა მის მოსაძებნად, სურვილის დაკმაყოფილების შემდეგ კი თავს იმით იმშვიდებდა, რომ ყველა მათგანი ემახსოვრებოდა. მათ უაზრო წერილებს

ებს სწერდა, მოსახერხებელ საჩუქრებს უგზავნიდა, დავიწყებისთვის რომ ეძლია, მაგრამ ცხოვრებას არ იმძიმებდა გრძნობით, რომელიც სიყვარულზე მეტად ამაოებას ჰკავდა.

როგორც კი მარტო დარჩა, გენერალი ადგა და იტურბიდეს შეუერთდა, რომელიც კოცონთან დანარჩენ ოფიცრებს ესაუბრებოდა. გათენებამდე აძლერა პოლკოვნიკ ხოსე დე ლა კრუს პარედისის გიტარის აკომპანიმენტით და იმ სიმღერების მიხედვით, რომელთა შესრულებაც მოითხოვა. ყველა მიხვდა, რა უქმურ ხასიათზეც იყო.

ევროპაში მეორე მოგზაურობიდან დაბრუნებული, აღტაცებით მღეროდა მოდურ კულტურებს მთელი ხმით და გრაციოზულად ცეკვავდა კარაკასელი მანტუანელების ქორწილში. ომებმა გემოვნება შეუცვალა. ხალხური რომანტიკული სიმღერები, რომლებიც მუდამ თან ახლდა პირველი სიყვარულების მორევში, დიდებულმა ვალსებმა და ტრიუმფალურმა მარშებმა შეცვალა. იმ ღამეს, კარტახენაში, კვლავ თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სიმღერები მოითხოვა, რომელთაგან ზოგი ისე ძველი იყო, რომ თავიდან მოუხდა იტურბიდესათვის მათი სწავლება, რადგან ის საკმაოდ ახალგაზრდა იყო, და არ შეეძლო ხსოვნებოდა. სანამ გენერალი საკუთარ გულს ასკდებოდა, მსმენლები ნელ-ნელა შეთხელდნენ და ჩანაწულ ცეცხლთან მხოლოდ იტურბიდე დარჩა.

უცნაური ღამე იყო. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა, ხოლო ზღვიდან ობოლთა ტირილითა და სიდამპლის სუნით გაჟღენთილი ნიაკი უბერავდა. იტურბიდე უხმო კაცი იყო და შეეძლო თვალდაუხამხამებლად გაეტარებინა ღამე გაცივებულ ნაცართან ან მთელი ღამე შეუსვენებლად ემღერა. გენერალმა ცეცხლს ჯოხით შეუჩინა და იტურბიდეს იდილია დაურღვია.

„რას ამბობენ მექსიკაში?“

„იქ აღარავინ მყავს“, თქვა იტურბიდემ, „ლტოლვილად ვიქეცი“.

„ყველანი ლტოლვილები ვართ“, უპასუხა გენერალმა, „რაც ეს არეულობა დაიწყო, მხოლოდ ექვსი წელი ვიცხოვრე ვენესუელაში, დანარჩენი დრო კი ნახევარ მსოფლიოში წაწვალს მოვანდომე. რას არ მივცემდი ამ წუთში, სან მატეოს ხორციან წენიანს რომ ვკამდე“.

ალბათ ბავშვობის მოგონებებში ჩაიძირა, რადგან კარგა ხნით დადუმდა მჭეუტავ ალს მიშტერებული. ლაპარაკი რომ განაგრძო, რეალობას დაბრუნებოდა. „უბედურება ისაა, რომ ესპანელობა უარფავით, შემდეგ აქეთ-იქით დავეხეტებოდი ქვეყნებში, რომლებიც ყოველდღე იცვლიდნენ სახელსა და მთავრობებს. ახლა ისიც არ ვიცი, სად ჯანდაბიდან ვართ წარმოშობით“, თქვა, ნაცარს დააშტერდა და კარგა ხნის შემდეგ შეცვლილი ხმით იკითხა:

„ამდენი ქვეყნიდან რაღა აქაურობა აირჩიეთ ჩამოსასუელად?“.

იტურბიდემ შორიდან მოუარა. „სამხედრო კოლეჯში ქალაღღზე გვასწავლიდნენ ომს“, თქვა, „თაბაშირის რუკებზე ვომობდით კალის ჯარისკაცობით. კვირაობით მეზობელ სამოვრებზე მივყავით, სადაც ძროხები და მესადან დაბრუნებული ქალები სეირნობდნენ და პოლოკონიკი ზარბაზნის ისროდა, რათა აფეთქებისას შიში არ გვევრძო და ღენთის სუნს შეეჩვეოდით. წარმოიდგინეთ, მასწავლებლებში ყველაზე ღირსეული ინგლისელი ინვალიდი იყო, რომელიც სიკვდილის შემდეგ ცხენიდან ჩამოვარდნას გვასწავლიდა“.

„და თქვენ ნამდვილი ომის ნახვა მოეინდათ“, გააწყვეტინა გენერალმა.

„თქვენი ომისა, გენერალო“, უპასუხა იტურბიდემ, „ორი წელია, რაც მიმიღეს და ჯერ არ ვიცი, რას ნიშნავს ხელჩართული ბრძოლა“.

გენერალს არც ახლა შეუხედავს მისთვის თვალბში. „მისამართი შეგეშალათ, უთხრა, „აქ ერთმანეთის მეტს აღარავის შეებრძოლებიან, ეს კი იგივეა, საკუთარი დედა რომ მოკლა“.

სახლიდან ხოსე პალასიოსმა შეახსენა,

რომ სადაც იყო ინათებდა. გენერალმა ნაცარი ჯოხით მოჩხრიკა, იტურბიდეს მკლაფზე დაეყრდნო და ადგა.

„მე თქვენს ადგილას სირბილით გავშორდებოდი აქაურობას, სანამ პატეის აგვირან“, თქვა.

ხოსე პალასიოსი სიცოცხლის ბოლომდე ამტკიცებდა, ლა პოპას სახლში ავი სულელები ბონადრობდნენო. ის იყო მოეწყვენენ, რომ ვენესუელიდან ლეიტენანტი, ხოსე ტომას მაჩადო ჩამოვიდა და ამბავი ჩამოიტანა, ბევრი სამხედრო ნაწილი არ სცნობს სეპარატისტულ მთავრობას, გენერლის მომხრეთა პარტია კი დღითი დღე ძლიერდებაო. გენერალმა სტუმარი ცალკე ოთახში მიიღო და ყურადღებით მოუსმინა, თუმცა ძალიან არ აღფრთოვანებულა.

„კარგი ამბებია, მაგრამ ნაგვიანევი“, თქვა, „რაც შემეხება მე, რას გახდება ერთი საწყალი ინვალიდი მთელი სამყაროს წინააღმდეგ?“

შემდეგ ბრძანა, ემისარი პატივით მოესვენებინათ, მაგრამ პასუხს არ შეჰპირებია.

„სამშობლოს კეთილდღეობას არ ველოდები“ თქვა.

მაგრამ მაინც, მაჩადო გაისტუმრა თუ არა, გენერალ კარენიოს მიუბრუნდა: „დაადგინეთ სუკრეს ასავალ-დასავალი?“ ჰკითხა. რა თქმა უნდა, დაედგინათ: იგი მაისის შუა რიცხვებში ნაჩქარევად გამგზავრებულ იყო სანტა ფეში, რათა თავის მფარველი წმინდანის დღეს ცოლ-შვილთან ყოფილიყო.

„დროზე წავიდა“, დასკვნა კარენიომ, „პოპაიანის გზაზე პრეზიდენტ მოსკერას შეხვდა“.

„როგორ“, გაოცდა გენერალი, „ხმელეთით წავიდა?“

„ღიახ, ჩემო გენერალო“.

„ღმერთო ჩემო!“ თქვა გენერალმა.

ეს წინათგრძნობა იყო. იმავე დამესძეიტყო, რომ 4 ივნისს ბერუეკოსის ბნელ მიდამოებში სუკრეს თავს დაესხნენ და ზურგში გასროლით მოკლეს. ძონტილიამ ეს ამბავი რომ მოიტანა, გენერალი ღამის აბაზანას იღებდა და

კინლამ გადაირია. არაადამიანურად გაცოფებულმა შუბლზე ხელი იტყიცა და მპივიდიდან სუფრა დაითრია, რომელზეც ჯერ კიდევ ეწყო ვახშმის ნარჩენები.

„ჯანდაბა!“ დაიდრიალა.

ექვსი ჯერ კიდევ გუგუნებდა სახლში, როცა თავს მოერია, სავარძელში ჩაეშვა და დაიდრინა: „ობანდო იყო“, მეტი დამაჯერებლობისთვის რამდენჯერმე გაიმეორა: „ობანდო იყო, ესპანელების დაქირავებული მკვლელები“. გენერალ ხოსე მარია ობანდოს გულისხმობდა, ახალ გრანადასთან მოსაზღვრე პასტოს თავკაცს, რომელმაც ამგვარად მოიშორა თავიდან გენერლის ერთადერთი შესაძლო მემკვიდრე და თავისთვის გაინაღდა დაქუცმაცებული სამშობლოს პრეზიდენტის სავარძელი, რათა შემდეგ ნებით დაეთმო სანტანდერისთვის. მოგვიანებით ერთ-ერთი შეთქმული ივინებდა, რომ სანტა ფეში, პლასა მაიორზე მდებარე სახლიდან გამოსულს, სადაც სუკრეს მკვლელობა გადაწყდა, გული შეუქანდა ტაძრის ეზოში მოსეირნე, ღარიბულ ქედსა და ჩვეულ მოსახლამში გამოწყობილი, ჯიბეებში ხელეზნაწყობილი მარშლის დანახვაზე.

იმ დამეს, სუკრეს მკვლელობა რომ შეატყობინეს, გენერალმა სისხლი აღეშინა. ხოსე პალასიოსმა ეს ამბავი დაძალა. ასევე მოიქცა ონდამი, სადაც გენერალს სააბაზანო ოთახში მიუსწრო, როცა იგი ღრუბლით ხეხავდა გასისხლიანებულ იატაკს. გენერალს არც უთხოვია, ისე შეუნახა საიდუმლო, რადგან იფიქრა, არ ღირს ამდენ უბედურებას კიდევ ერთი დაუემატო.

ერთ ასეთივე დამეს გუაიაკაში გენერალმა აღმოაჩინა, რომ ნადრევად შეპარვოდა სიბერე. მაშინ ჯერ კიდევ გრძელ, მხრებამდე დაშვებულ თმას ატარებდა და ზონრით იკრავდა, რათა უფრო მოხერხებულად ეგრძნო თავი ომში თუ სასიყვარულო ბრძოლებში. ერთ დღეს შეამჩნია, რომ თმა გათეთრებოდა, სახე კი დაჭკნობოდა და დანადგლიანებოდა. „რომ მხახოთ, ვერ მი-

ცნობთ,“ ღისწერა მაშინ ერთ მეგობარს, „რომოდცაერთი წლის ვარ, მაგრამ სამოცი წლის მოხუცს ვგავარ“. იმ დამეს თმა შეიჭრა, ცოტა ხნის შემდეგ, პოტოსიში, თითებშია ქვიშასავით გაპარული ახალგაზრდობის შეჩერება სცადა და ულვაში და ბაკენბარლები გაიპარსა...

სუკრეს მკვლელობის შემდეგ სიბერის დაფარვა არც უცდია. ლა პოპაზე გლოვამ დაისადგურა. ოფიცრები აღარ თამაშობდნენ და დამეები პატიოში, კოლოების დასაფრთხობად დანთებულ კონცონთან საუბარში გაჰყავდათ ან საერთო საძინებელში ეძინათ სხვადასხვა სიმაღლეზე ჩამოკიდებულ ჰამაკებში.

გენერალი წვეთ-წვეთად ანთხევდა ბოდმას. ალალებზე ირჩევდა ორ-სამ ოფიცერს და მთელი დამე უზიარებდა მათ გულში ნამარხულ წყენას. წუწუნებდა, რომ მისი არმია დაშლის პირზე მიიყვანა სანტანდერის წუწურაქობამ, როცა იგი კოლუმბიის დროებითი პრეზიდენტი იყო. სწორედ მაშინ არ გაუზავნა ფული და ჯარი პერუს განთავისუფლების დასამთავრებლად.

„ბუნებით ყოველთვის ხარბი და მუნწი იყო“, ამბობდა, „თვალსაწიერი კი იმდენად შეზღუდული ჰქონდა, რომ კოლონიურ საზღვრებს მიღმა ვერაფერს ხედავდა“.

მეთათსედ იმეორებდა, რომ გაერთიანების იდეას მაშინ ჩაეცა ლახვარი, როცა სანტანდერმა საკუთარი პასუხისმგებლობით მოიწვია ამერიკის შეერთებული შტატები პანამის კონგრესზე. თუმცა მხოლოდ ამერიკის გაერთიანების გამოცხადება იყო საჭირო.

„ეს იგივეა, კატა რომ დაასწრო თავების ყრილობას“, თქვა, „მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბრალს ვვდებდა: კონტინენტის სახელმწიფოთა ერთ ლიგად გადაქცევა გსურთ წმინდა ალიანსის წინააღმდეგო“.

ჰყვებოდა, როგორ ეშინოდა სანტანდერის ცივი სისხლის, როცა იგი თავისი გადაწყვეტილების განხორციელებ-



ბას ცდილობდა. „მკედარი თევზია“, ამბობდა. მეათასედ გააკრიტიკა სახელმწიფო სესხი, რომელიც სანტანდერმა ლონდონიდან მიიღო და რითაც თავისი მეგობრების კორუფციული ჩანაფიქრები დააფინანსა. ყოველთვის, როცა ამ ამბავს იხსენებდა მარტო თუ ხალხში, კიდევ ერთ წვეთ შხამს უმატებდა ისედაც უკიდურესობამდე დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, მაგრამ თავის შეკავებას ვერ ახერხებდა.

„იქიდან დატრიალდა უკულმა ჩვენი საქმეები“, თქვა.

თვითონ ისე მკაცრად ანაწილებდა საერთო ფულს, რომ ამ თემაზე აუღელვებლად ვერ ლაპარაკობდა. თავისი პრეზიდენტობის დროს სიკვდილით დასჯა ელოდა ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც ათ პესოს მოიპარავდა ან გაფლანგავდა. სამაგიეროდ, საკუთარ ქონებას ექცეოდა ისე დაუდევრად, რომ რამდენიმე წელიწადში, დაწესდებლობისათვის ომებში მემკვიდრეობის დიდი ნაწილი გაფლანგა. თავის ხელფასს ქვრივებსა და ინვალიდებს უნაწილებდა. ძმისწულებს მემკვიდრეობით მიღებული შაქრის ქარხნები აჩუქა, დებს – კარაკასის სახლი, საკუთარი მიწების დიდი ნაწილი კი მრავალრიცხოვან მონებს დაუნაწილა, რომლებიც ჯერ კიდევ მონათმფლობელობის გაუქმებამდე გაათავისუფლა. უარი თქვა მილიონ პესოზე, რომელიც ლიმას კონგრესმა შესთავაზა დამოუკიდებლობის ეაფორიაში. მოსწერატის სახლი, რომელიც მთავრობამ დაუთმო, რათა დირსეული საცხოვრებელი ადგილი ჰქონოდა, გაჭირვებაში ჩავარდნილ ერთ მეგობარს გადაულოცა. აპურეში ჰამაკიდან აღვა, ჰამაკი სიცხათ გათანგულ გამცილებელს აჩუქა, თვითონ კი მიწაზე განაგრძო ძილი საველე მოსასხამში გახვეულმა. ის ოცი ათასი პესო, განმანათლებელ ხოსე ლანკასტერისთვის რომ უნდა გადაეცა, მისი კი არა, სახელმწიფოს ვალი იყო.

ცენებს, რომლებიც უსაზღვროდ უყვარდა, გზად შემხვედრ მეგობრებს ურიგებდა. თვით ყველაზე სახელგანთქმულმა პალიმომ ბლანკომაც კი ბოლივიაში, მარშალ სანტა კრუსის საჯინობოში დაიდო ბინა. ამიტომ, გასაკვირიც არ იყო, რომ გაფლანგულ სახელმწიფო სესხებზე ლაპარაკს მოაზინებდნენ გამოჰყავდა.

„კასანდრო, თავისი ჯადოქრული მანიპულაციების წყალობით, ისევე სუფთად გამოძვრა ამ საქმიდან, როგორც 25 სექტემბრის შეთქმულებიდან“, ეუბნებოდა ყველას, ვისაც მოსმენა არ ეზარებოდა, „მისმა მეგობრებმა ინგლისელთა მიერ ქვეყნისთვის ნაჩუქარი თანხა გაასესხეს და მევახშეობით მოიძულებს ხელი“.

რამდენიმე დამის განმავლობაში სულის ყველაზე ბნელ კუნჭულში ახედებდა მოსაუბრეებს. მეოთხე გამოთენისას, როცა კრიზისი გაუსაძლისი შეიქმნა, იმავე ტანსაცმელთ გამოვიდა პატიოში, რაც სუკრეს მკვლელობის ამბის მოტანისას ეცვა, გენერალი ბრისენიო მენდესი გამოიძახა და მამლის პირველ ყვილამდე ესაუბრა. გენერალი კოლომბისაგან თავდასაცავად ბადენამოფარებულ ჰამაკში იწვა, ბრისენიო მენდესი კი მის გვერდით, ხოსე პალასიოსის მიერ დაკიდებულ ჰამაკში ირწოდა. ღამეულ საუბრებს ორივე გადასჩვეოდა და ძალაუნებურად დაუბრუნდნენ წარსულს, ბრძოლის წინ მშფოთვარე ღამეებში დაბანაკებულთ რომ გაჰყავდათ დრო. იმ საუბრებთან გენერლისთვის ცხადი გახდა, რომ კარენიოს მიერ ტურბაკოში გამოთქმულ სურვილს ვენესუელელ ოფიცერთა უმრავლესობა იზიარებდა. ისინი გრანადელთა გამოხტომების შემდეგ თავს წინააღმდეგ მტად გრძობდნენ ვენესუელელებად, მაგრამ მზად იყვნენ ერთიანობის იღვას შეკვლიოდნენ. გენერალს რომ ვენესუელაში საბრძოლველად წასვლის ბრძანება გაეცა, ყველანი სირბილით გაეშურებოდნენ, ბრისენიო კი სხვებზე ადრე.

ცუდი დღეები იყო. სტუმართაგან გენერალმა მხოლოდ ფრიდლენდის ბრძოლის გმირი, ლაიფციგის ტრაგედიიდან ბეწვზე გადარჩენილი პოლონელი პოლკოვნიკი მიქნესლავ ნაპიერსკი მიიღო, რომელიც იმ დღეებში გენერალ პონიატოვსკის რეკომენდაციით ჩამოსულიყო კოლუმბიის არმიასი ჩასაწერად. „დაიგვიანეთ“, უთხრა გენერალმა, „აქ აღარაფერი დარჩა“.

სუკრეს სიკვდილის შემდეგ ის აღარაფერიც გამქრალიყო. ასე აგრძნობინა ნაპიერსკის და ასევე ჩაწერა ამ უკანასკნელმა თავის საველე დღიურში, რომელიც ასორმოცდაათი წლის შემდეგ გამოქვეა ერთმა გრანადელმა პოეტმა. ნაპიერსკი „შენობით“ ჩამოსულიყო. გემის კაპიტანმა პოლონელი გენერლის სახლამდე მიაცილა. გენერალმა კაპიტანს უთხრა, რომ ევროპაში გამგზავრებას აპირებდა, თუცა ვერც ერთმა სტუმარმა მასპინძელს ამის დიდი სურვილი ვერ შეატყო. კინგსტონში გამგზავრებამდე გემი ლა გუაირაში უნდა წასულიყო და კარტახენაში დაბრუნებულიყო. გენერალმა კაპიტანს წერილი გაატანა თავის რწმუნებულთან არიას საბადოების საქმეში, იმ იმედით, რომ რაღაც თანხას მაინც მიიღებდა. მაგრამ გემი უპასუხოდ დაბრუნდა და გენერალს ისე მოეშხამა გუნება, რომ ვერაფერს გაუბედა ეკითხა, მიემგზავრებოდა თუ არა.

იმ დღეებში ერთი სასიამოვნო ამბავი არ მოსულა. ხოსე პალასიოსი შეძლებისდაგვარად აჭიანურებდა გენერლისთვის სადარდებლის დამატებას და გულმოდგინედ მალავდა ახალ ამბებს. ოფიცრებს კი თავიანთი სატკივარი ჰქონდათ. საქმე ის იყო, რომ ჰუსარები და გრენადერები გონორით იტანჯებოდნენ, რომელიც ონდაში გადასდოთ ორმა ქალმა. იქიდან მოყოლებული, ჯარისკაცები გზადაგზა თვითონ ავრცელებდნენ ამ საშინელ დაავადებას. იმხანად, ტრადიციული მედიცინისა თუ ექიმბაშთა მცდელობის მიუხედავად,

ერთ ჯანმრთელ მეომარს ვერ ნახავდით მთელ გარნიზონში.

ხოსე პალასიოსი ამაოდ ცდილობდა პატრონის დაცვას უსიამოვნებისგან. ერთ სიღამოს უბეჭდო კონვენტმა ხელიდან ხელში გაიარა და კაცმა არ იცის, როგორ მიაღწია გენერალმდე. ბოლივარმა წერილი შორს დაიჭირა და უსათვალოდ წაიკითხა, შემდეგ კი სანთლის აღზე ბოლომდე დაფერჯულა.

ხოსეფა საგარაიო წერდა, ორშაბათს ჩამოსულიყო ქმარ-შვილთან ერთად მომპოქსში მიმავალი და შეშფოთებულს შეეცყო, რომ გენერალი გადამდგარიყო და ქვეყნის დატოვებას აპირებდა. გენერალს არავისთვის გაუშხეია წერილის შინაარსი, მაგრამ მთელი დამე ბორგავდა, გამთენიისას კი ქალს შერიფების წინადადება გაუგზავნა. ხოსეფა საგარაიომ მისი ხვეწნა უპასუხოდ დატოვა, წუთიერი სისუსტე არ გამოუმჟღავნებია და დაგვეძილი მოგზაურობა განაგრძო. ერთადერთ მიზეზად, როგორც გენერალმა აუხსნა ხოსე პალასიოსს, იმას ასახელებდა, რომ აზრი არ ჰქონდა შერიგებას კაცთან, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ქვეყნისა აღარ იყო.

იმ კვირას შეიტყვევს, რომ მანუელა საენსს გაემძაფრებინა ბრძოლა გენერლის დასაბრუნებლად. ქალის ცხოვრება აუტანელი რომ გაეხადა, შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა, გენერლის არქივი მისთვის გადაეცა. მანუელამ უარით გაისტუმრა და მთავრობის მოთმინებიდან გამოსაყვანად პროვოკაციებს მიმართა: ტეხდა აურზაურს, ავრცელებდა გენერლის სადიდებელ პროკლამაციებს, ორი მეომარი მონის დახმარებით კედლებიდან შლიდა ნახშირით წარწერილ გენერლის საღანძღავ სიტყვებს. ყველამ იცოდა, რომ პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი დადიოდა ყაზარმებში და მუდმივად მონაწილეობდა ჯარისკაცების ხეიმსა თუ ოფიცერთა კონსპირაციაში. ამბობდნენ, თითქოს ურდანეტას ზურგსუკან შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა გენე-



რლის აბსოლუტური მმართველობის აღსადგენად.

მწელი დასაჯერებელი იყო, რომ გენერალი ამდენს შეძლებდა. ყოველ საღამოს პუნქტუალურად უწევდა სიცხე და ხველება შიგნეულს უფლეთდა. ერთ დღით ხოსე პალასიოსს მისი ყვირილი მოესმა: „ბოზი სამშობლო!“ შემფოთებული შევარდა საწოლ ოთახში, რადგან მშვენიერად იცოდა, რომ გენერალი თავის ოფიცრებს საყვედურობდა ასეთი სიტყვებისათვის, და ლოყაგასის-ხლიანებული პატრონი იხილა. ლოყა პარსვის დროს გაეჭრა, მაგრამ ჭრილობა ისე არ აწუხებდა, როგორც საკუთარი მოუქნელობა. პოლკოვნიკ უილსონის მიერ სასწრაფოდ მოყვანილ აფთიაქარს გენერალი ისე იმედაკარგული დახვდა, რომ ბელადონას ნაყნით სცადა მისი დამშვიდება, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობას წააწყდა.

„დამტოვეთ, როგორც ვარ“, უთხრა გენერალმა, „უიმედობა დაკარგულთა ჯანმრთელობაა“.

მისმა დამ, მარია ანტონიამ კარაკასიდან მისწერა: „ყველა ჩივის, რომ არ მოისურვე ჩამოსვლა და ამ არეულობის მოწესრიგება“. სოფლის სამღვდელეობა მის მხარეს იყო. ჯარში გასშირდა დეზერტირობის შემთხვევები. მთებში შეიარაღებული კაცები იმალებოდნენ, რომლებსაც მის მეტი არავინ უნდოდა.

„გიჟების ფანდანგოს ჰგავს, რომლებსაც თვითონ არ ესმით, რომ რევოლუცია მოახდინეს“, სწერდა და. თუმცა, სანამ ერთნი გენერალს ითხოვდნენ ქვეყნის სათავეში, მთელ ქვეყანაში კედლებს მისი საღანმდავი წარწერები ამშვენებდა. ხალხში გავრცელებულ პასკვილებში კი ამტკიცებდნენ, რომ გენერლის მთელი გვარი უნდა გაეწვიოთ მებრუნე თაობის ჩათვლით.

ეს ყველაფერი ვალენსიაში ჩატარებულმა ვენესუელის კონგრესმა დააგვირგვინა, რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა ქვეყნის გამოყოფა და განაცხადა, რომ ვერც ახალ გრანადასთან და

ვერც ეკვატორთან უთანხმოება ვერ მოგვარდებოდა, სანამ გენერალი კოლუმბიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. თვით ამ ფაქტის გარდა, გენერალს იმანაც ატკინა გული, რომ ოფიციალური შეტყობინება 25 სექტემბრის შეთქმულების ერთერთი მონაწილისგან მიიღო. მისი მოსისხლე მეტერი პრეზიდენტ მოსკერას დაებრუნებინა გადასახლებიდან და შინაგან საქმეთა მინისტრად დაენიშნა. „უნდა ვაღიარო, რომ ასე არაფერი მწყენია ცხოვრებაში“, თქვა გენერალმა. დამე თეთრად გაათენა და რამდენიმე გადამწერს საპასუხო წერილის სხვადასხვა ვერსია უკარნახა, მაგრამ, ისე გაცოფებული იყო, რომ შუა წერაში ჩაეძინა. გამთენიისას გამოფხიზლებულმა ხოსე პალასიოსს უთხრა: „მე რომ მოგვეძვები, კანაკასში ზარების რეკვა ატყდება“.

ეს კიდევ არაფერი. მისი გარდაცვალება რომ გაიგო, მარაკაიბოს გუბერნატორმა დაწერა: „მობარული ვარ, გაცნობოთ უდიდესი მოვლენა, რომელიც, ეჭვი არაა, უამრავ სასიკეთო ძვრას მოახდენს თავისუფლებისა და ქვეყნის ბედნიერების საქმეში. ბოროტების გენია, ანარქიის ჩირადღანი და სამშობლოს დამთრგუნველი ცოცხლებში აღარაა“. კარაკასის მთავრობისთვის გაგზავნილი ეს წერილი მალე ოფიციალურ სახალხო განცხადებად იქცა.

იმ უბედურ დღეებში კი ხოსე პალასიოსმა დილის ხუთ საათზე სიმღერით შეახსენა გენერალს მისი დაბადების დღე: „24 ივლისია, ქალწულისა და მოწამის, წმინდა ქრისტინას დღე“. გენერალმა თვალი გაახილა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ უბედურების რჩეული იყო.

საერთოდ, დაბადების დღის ნაცვლად, თავისი მფარველი წმინდანის დღეს აღნიშნავდა ხოლმე. კათოლიკური ეკლესიის წმინდანთა სიაში თერთმეტი წმინდა სიმონი ერია. გენერალს ის სიმონი უფრო ესიმპათიურებოდა, ქრისტეს რომ მიეხმარა ჯვრის ზიდვაში, მაგრამ მისი წმიდანი ეგვიპტესა და

ეთიოპიაში მოღვაწე, მოციქული და წინასწარმეტყველი სიმონი იყო, რომლის დღეს 28 ოქტომბერს აღნიშნავენ. ერთ-ერთ დღეობაზე, სანტა ფეში, გენერალს დაფნის გვირგვინი დაადგეს. გამზიარულებულმა ბოლივარმა გვირგვინი მოიხსნა და მწარე ირონიით გადასცა სანტანდერს, რომელმაც წარბშეუხრელად მიიღო წყალობა. ასე იყო თუ ისე, გენერალს 47 წელი შეუსრულდა. ამ რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რადგან გასული წლის 24 ივლისს გუაიაკაში, როცა ყოველი მხრიდან უბედურების მაუწყებელი ამბები მოდიოდა, თვითონ კი სიცხისგან აბოდებდა, წინათგრძნობა ეწვია, თუმცა იქამდე წინათგრძნობისა არაფერი სწამდა. შთაიგონა, რომ თუ მომდევნო დაბადების დღემდე ცოცხალი მიატანდა, შემდეგ სიკვდილი ვერაფერს დააკლებდა. სწორედ ამ იდუმალი წინასწარმეტყველების ძალამ გააძლებინა გენერალს ყოველგვარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ.

„47 წლის გავხდი“, ჩაიბურტყუხა, „და ცოცხალი ვარ!“

ძალა მოიკრიბა, ჰამაკში წამოიწია და იმ შეგრძნებით გულაჩქროლებულმა, სრომ ყოველგვარ უბედურებას სძლია, ბრისენიო მენდესს გამოუძახა, ვენესუელაში წასვლის მსურველთა თავკაცს, რომლებიც კოლუმბიის ერთიანობისთვის ბრძოლას აპირებდნენ, და მადლობა დააბარა ოფიცრებთან მისი დაბადების დღის გახსენებისთვის.

„ლეიტენანტებიდან დაწყებული, ყველა უფრო მაღალი ჩინის მეომარი, ვისაც ვენესუელაში წასვლა სურს, სიაში ჩაეწეროს“, თქვა.

მსურველთაგან პირველი ბრისენიო მენდესი იყო. ექსპედიციაში კარტახენას გარნიზონის კიდევ ორი გენერალი, ოთხი პოლკოვნიკი და რვა კაპიტანი ჩაეწერა. მაგრამ როცა გენერალმა კარენიომ ბოლივარს ძველი დანაპირები შეახსენა, მან უპასუხა, თქვენ უფრო ღიღა საქმეები გელითო.

გამგზავრებადღე ორი საათით ჯდრე გადაწყვიტა, ხოსე ლაურენსიო სილვაც გაეგზავნა, რადგან მოეჩვენა, რომ მას ყოველდღიური მშვიდი ცხოვრებისგან უახვი მოედო. მაგრამ სილვამ შეთავაზებული პატივი უარყო.

„ეს უსაქმურობაც ომია, გენერალო, და სხვებზე სასტიკიც კი“ თქვა, „ასე რომ, აქ ვრჩები, თუკი ჩემი გენერალი სხვა რამეს არ მიბრძანებს“.

სამაგიეროდ, იტურბიდე, ფერნანდო და ანდრეს იბარა ვერ მოხვდნენ სიაში. „თუკი თქვენი წასვლა აუცილებელია, სხვა მიმართულებით წახვალთ“, უთხრა გენერალმა იტურბიდეს; ანდრესს აუხსნა, რომ გენერალი დიეგო იბარა უკვე იბრძოდა, ორი ძმა კი ერთ ომში მეტისმეტად ბევრი იქნებოდა. ფერნანდოს თავიც არ შეუთავაზებია, რადგან დარწმუნებული იყო, ჩვეულ პასუხს მიიღებდა: „ადამიანი მთლიანად მიდის ომში, მაგრამ დაუშვებელია, რომ მისი ორი თვალი და მხოლოდ მარჯვენა ხელი წავიდნენ საბრძოლველად“. თავს იმით იმშვიდებდა, რომ ეს პასუხიც სამხედრო პატივი იყო.

მონტილიამ ყველაფერზე იბრუნა, რათა ჯგუფი დაუბრკოლებლად გამგზავრებულიყო და გამოთხოვების უბრალო ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც გენერალი ყოველ მათგანს გადაეხვია და თითო ფრაზით დაემშვიდობა. ცალ-ცალკე და სხვადასხვა მხარეს გაემგზავრნენ. ზოგმა იამაიკისკენ აიღო გეზი, ზოგი კურასოს გზით წავიდა, ზოგიც გუახირას გავლით. სამოქალაქო ტანსაცმლით და უიარაოდ მიდიოდნენ, რათა გზაში არავის ეცნო. ასე იქცეოდნენ ხოლმე ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლისას. გამთენიისას ლა პოპას სახლი დაცარიელებულ ყაზარმას დაემგვანა. გენერალი კი დარჩა იმ იმედით, რომ ახალი ომი გარდასულ დღეთა დამკვიანარი დაფნის გვირგვინის ფოთლებს გამოაცოცხლებდა.



გენერალმა რაფაელ ურდანეტამ 5 სექტემბერს აიღო ხელში ძალაუფლება. დამფუძნებელმა კონგრესმა დაამტკიცა მისი მანდატი, რითაც სამხედრო გადატრიალება აღიარა. ქალაქის საბჭოს სხდომაზე ურდანეტას ძალაუფლება დაუკანონა გენერლის ჩამოსვლამდე. ასე დასრულდა ახალ გრანადში დაბანაკებულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა აჯანყება, რომელმაც მთავრობის ჯარები სავანელ მცირე მეწარმეთა და სოფლის სამღვდელთების დახმარებით დაამარცხა. ეს კოლუმბიის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი სამხედრო გადატრიალება და პირველი სამოქალაქო ომი იყო, რასაც საუკუნის მანძილზე კიდევ 49 ომი მოჰყვა. ეულად დარჩენილმა პრეზიდენტმა ხოაკინ მოსკერამ და ვიცე პრეზიდენტმა კაისედომ თანამდებობა დატოვეს. ურდანეტამ უპატრონოდ მიტოვებული ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, სასწრაფოდ გაუგზავნა გენერალს ოფიციალური დელეგაცია და რესპუბლიკის პრეზიდენტობა შესთავაზა.

კარგა ხანი იყო, ხოსე პალასიოსს ასე მოცოცხლებული პატრონი არ ენახა. მას შემდეგ, რაც სამხედრო გადატრიალების ამბავი შეიტყო, არც თავი ასტივინია და აღარც სიცხეს აუწევია, მაგრამ არც ასეთი აფორიაქებული მონახვით როდესმე. ამით შეწუხებულმა პრეზიდენტმა ფრანკ სებასტიან დე სინგუელა დაითანხმა, გენერლისთვის ფარული დახმარება აღმოეჩინა. ბერს უარი არ უთქვამს და მიზანსაც მიაღწია იმით, რომ ცხელ სადამოებში ძალით მარცხდებოდა ხოლმე ჭადრაკში გენერალთან, სანამ ეს უკანასკნელი ურდანეტას ხალხს უცდიდა.

ბოლივარმა ჭადრაკის ფიგურების სვლები ევროპაში მეორედ მოგზაურობისას ისწავლა, თვით თამაშში კი პერუს მრავალრიცხოვან ბრძოლებს შორის ო' ლირთან დამეული პარტიების დროს გაიწაფა. მაგრამ ამაზე

შორს აღარ წასულა. „ჭადრაკი თამაშში არა, გატაცებაა“, ამბობდა, „მე კი სხვა, უფრო საზოგადოებრივი გატაცებები მირჩევნია“. და მაინც, სახალხო განათლების ახალი სისტემის შემუშავებისას სასკოლო პროგრამაში ჭადრაკიც ჩართო, როგორც ღირსეული და გონებისთვის სასარგებლო თამაში. თვითონ კი იბეჭდებდა მიახლოებას თავი, რომ სისი ნერვები ასეთ ფრთხილ თამაშს ვერ უძლებდა, ხოლო გონების მობოლიზება, რაც აგრერივად აუცილებელია ჭადრაკისთვის, სხვა, უფრო სერიოზული საქმისთვის სჭირდებოდა.

ფრანკ სებასტიანს ჰამაკში მონანაკე ხვდებოდა, რომელიც ქუჩაში გამავალ კართან დააკიდებინა, საიდანაც ურდანეტას ხალხი უნდა გამოჩენილიყო. „თქვენ ისევ არ ცხრებით, პადრე“, ეუბნებოდა ახალმოსულს, შემდეგ სათამაშოდ სხდებოდნენ, მაგრამ სანამ ბერი მორიგ სვლაზე ფიქრობდა, გენერალი დგებოდა და ბოლთას სცემდა.

„ნუ მახნევთ, თქვენი ბრწყინვალე ბავ“, ბრაზობდა სანგუესა.

დროდადრო ო' ლირი მოდიოდა ხოლმე მაგიდასთან და დაფას აკვირდებოდა, რათა გენერლისთვის თავისი იდეა შეეთავაზებინა, რასაც ბოლივარი უკმაყოფილო ბუზღუნით უარყოფდა. სამაგიეროდ, ყოველი მოკვების შემდეგ პატიოში გადიოდა, სადაც მისი ოფიცრები ბანქოს თამაშობდნენ, და თავისი გამარჯვების ქმეხებზე ამცნობდა მათ.

ერთხელ, შუა თამაშში, ფრანკ სებასტიანმა ჰკითხა, მემუარების დაწერას ხომ არ აპირებთ.

„არასოდეს“, უპასუხა გენერალმა, „მე მკვდრების აბღაუბლაა“.

იმხანად მთელი მისი გულისყური ფოსტისკენ იყო მიპყრობილი. იტანჯებოდა, როცა სანტა ფედან ფოსტის შიკრიკი იგვიანებდა. სამაგიეროდ, არაოფიციალური ფოსტა შეუფერხებლად მუშაობდა. ამის წყალობით, გენერალი ოფიციალურ შეტყობინებაზე აღრე ივებდა ახალ ამბებს და საკმაოდ

დროც რჩებოდა გადაწყვეტილების მი-
საღებად.

როცა გაიგო, ემისრები ახლოს არი-
ანო, 17 სექტემბერს კარენით და ო'
ლირი გაგზავნა მათ დასახვედრად ტუ-
რბაკოს გზაზე.

ჩამოვიდნენ პოლკოვნიკი ფისენტუ პი-
ნიარესი და ხულიან სანტა მარია,
რომლებსაც ყველაზე მეტად მშვენიერ
ფორმაში მყოფი გენერლის ნახვა გა-
უკვირდათ, რადგან სანტა ფეში მის
ჯანმრთელობაზე ათას ჭორს ჰყვებო-
დნენ. სახლში რამდენიმე სამოქალაქო
და სამხედრო პირი შეიკრიბა. მათ შე-
საფერისი სიტყვები წარმოთქვეს და
სამშობლოს სადღევრძელო შესვეს.
ბოლოს გენერალი მარტო დარჩა ემი-
სრებთან და მათაც სიმართლე გაუმხი-
ლეს. თავის პათეტურობით განთქმულ-
მა პოლკოვნიკმა სანტა მარიამ განაც-
ხადა, რომ თუ ბოლივარი ძალაუფლე-
ბას არ აიღებდა ხელში, ქვეყანაში ან-
არქია გამეფდებოდა. გენერალმა შორს
დაიჭირა. „როცა ჰორიზონტი გაიწმი-
ნდება, მხოლოდ მაშინ შევიტყობთ,
გვაქვს სამშობლო თუ არა“, თქვა.

პოლკოვნიკმა სანტა მარიამ ვერ გა-
იგო.

„იმის თქმა მინდა, რომ ახლა ია-
რალის ძალით უნდა შევკაოწიწოთ
სამშობლო“, აუხსნა გენერალმა,
„მაგრამ ძაღლის თავი აქ კი არა, ვე-
ნესუელაშია დამარხული.“

იმ დღიდან მოყოლებული აეკვია-
ტა იღუპა: ყველაფერი თავიდან და-
ეწყოთ, იმ შეგნებით, რომ ამჯერად
შინაურ მტრებს ებრძოდნენ და არა
გარეშეს. ყოველი ქვეყნის ოლიგარ-
ქიებმა, რომლებიც ახალ გრანადაში
სანტანდერისტების სახით იყვნენ წა-
რმოდგენილნი, სამკვდრო-სასიცოცხ-
ლო ბრძოლა გამოუცხადეს ერთიან-
ობის იდეას, რადგან ეს ადგილობრივ
დიდკაროვანთა პრივილეგიებს შეზ-
ღულდავა.

„ესაა ჭეშმარიტი და ერთადერთი
მიზეზი იმ გაფანტული ომებისა, ნელ-
ნელა რომ გვიღებს ბოლოს,“ თქვა

გენერალმა. „ყველაზე სამწუხარო
ისაა, რომ ჰკონიათ, სამყაროს ასხვა-
ფერებენ, სინამდვილეში კი ესპანელ-
თა უძველეს იდეებს ახორციელებენ“.

შემდეგ სულმოუთქმელად მიაყარა:
„ვიცი, რომ წერილში ურთიერთგა-
მომრიცხავი აზრები ჩაეწერე: კიდეც
დავეთანხმე მონარქიის იდეას, კიდეც
უარყვია“. ამის გარდა, მას ბრალად
სდებდნენ, რომ თავის ნებაზე სჯიდა
ადამიანებს და მარტო ცდილობდა ის-
ტორიის ჩარხის შემობრუნებას; რომ
ფერანდო მეშვიდეს ებრძოდა, მაშინ,
როცა მორილიას ეხვეოდა; რომ ეს-
პანელთა წინააღმდეგ სამკვდრო-სა-
სიცოცხლო ომებს აწარმოებდა, მაშინ
როცა თვითონ იყო ესპანური სულის
მატარებელი, რომ ჰაიტი ჯერ თავი-
სი მიზნებისთვის გამოიყენა, შემდეგ
კი უცხო ქვეყნად გამოაცხადა, რათა
პანამის კონგრესზე არ მოეწვია; რომ
მასონი იყო და მესამე ვოლტერს კი-
თხულობდა, თუმცა, ამავე დროს, ეკ-
ლესიის ინტერესებს იცავდა; რომ
ინგლისელებს ელაქუცებოდა, მაგ-
რამ ფრანგ პრინცესაზე დაქორწინე-
ბას აპირებდა; რომ ფარისეველი და
ორგული იყო, რადგან მეგობრებს
პირში ეფერებოდა, ზურგსუკან კი
კვანტს უღებდა. „ყველაფერი მარ-
თალია, მაგრამ მაშინ სხვა გზა არ
მქონდა“ თქვა, „რადგან ჩემს მოქმედ-
ებას ერთადერთი მიზანი განსაზღე-
რავდა — ეს კონტინენტი ერთ მთლი-
ან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ
მექცია“, და წმინდა კარიბული დია-
ლექტიით დაასრულა: „სხვა ყველაფე-
რი მონაწილასა“.

ორი დღის შემდეგ გენერალ ბრისე-
ნიო მენდესს მისწერა: „არ მივიღე
შემოთავაზებული თანამდებობა, რად-
გან არ მსურს აჯანყებულთა ხელმ-
ძღვანელად და გამარჯვებულთა მიერ
ძალით აღზევებულად ჩამთვალონ“.
მომდევნო ორ წერილში კი, რომლებ-
იც იმავე დამეს უკარნახა ფერნანდოს
გენერალ რაფაელ ურდანეტასთვის,



ასეთი რადიკალური აზრები არ გამოუთქვამს.

პირველ წერილს ფორმალური პასუხის ელფერი დაჰკრავდა და შესაფერისად იწყებოდა კიდევ: „უბრწყინვალესო სენიორ“. მასში ამართლებდა სამხედრო გადატრიალებას, როგორც ერთადერთ საშუალებას წინა მთავრობის გადადგომის შემდეგ ქვეყანაში გამყვებული ანარქიისა და უწყესრიგობის წინააღმდეგ. „ასეთ დროს ხალხი არ ცდება“, ამბობდა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდა შემოთავაზებულ პრეზიდენტის თანამდებობას. იმის პირობას კი იძლეოდა, რომ სანტა ფეში დაბრუნდებოდა და უბრალო ჯარისკაცად ემსახურებოდა ახალ მთავრობას.

მეორე, პირადი წერილი კი ასე იწყებოდა „ჩემო საყვარელო გენერალო“. ვრცელ და სიტყვაუხვ ბარათში გენერალი ეკვობდა, რომ თუკი დონ ხოაკინ მოსკერა უარს არ იტყოდა თანამდებობებზე, ხვალ შეიძლებოდა თავი კანონიერ პრეზიდენტად გამოეცხადებინა და ბოლივარი უზურპატორად მონათლა. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდა, სანამ კანონიერი სტრუქტურის მიერ გაცემული მანდატი არ ექნებოდა ხელთ, არავითარ შენთხვევაში არ დასთანხმდებოდა ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღებას.

ორივე წერილი ერთი და იმავე ფოსტით გაგზავნა მიმართვასთან ერთად, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდებდა — დაეოციებინა პირადი ინტერესები და ახალ მთავრობას ამოსდგომოდა მხარში. თუმცა თვითონ თავს იზღვევდა: „მე არაფერს ვთავაზობთ, თუმცა ერთი შეხედვით შეიძლება პირიქით მოგეჩვენოთ“. მოგვიანებით აღიარა, რომ ზოგიერთი ფრაზა სპირო ადამიანებისათვის თავის მოსაქონად დაწერა.

მეორე წერილში ბრძანებითი კილო ჭარბობდა. ითხოვდა, დაეწინაურებინათ პოლკოვნიკი ფლორენსიო ხიმენესი და დასაუღლები გაგზავნათ ჯა-

რითა და ტყვია-წამლით, რათა წინ აღსდგომოდა ომს, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აწარმოებდნენ გენერლები ხოსე მარია ობანდო და ხოსე ილარიო ლოპესი, „სუკრეს მკვლელები“, როგორც თვითონ ამტკიცებდა. რამდენიმე სხვა ოფიცრისთვისაც ითხოვდა ჩინის მომატებას. „დანარჩენს ჩემს თავზე ვიღებ. მაგდალენადან ვენესუელამდე, ბოიაკას ჩათვლით“, უმტკიცებდა ურდანეტას. თვითონ სანტა ფეში გამგზავრებას აპირებდა ორი ათასი კაციით და ამგვარად ფიქრობდა მოსახლეობაში წესრიგის დამყარებას და ახალი მთავრობისთვის სოლიდარობის გამოცხადებას. ორმოცდაორი დღის მანძილზე ურდანეტასგან პასუხი არ მიუღია, მაგრამ თვითონ დაუღალავად წერდა წერილებს და სამხედრო ბრძანებებს იძლეოდა. გემები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ ევროპაში გამგზავრებაზე, რომელსაც დროდადრო პილიტიკურ პატიმრობას აღარებდა, სიტყვა არ დაუძრავს. ლა პოპას სახლი ქვეყნის გენერალურ ყაზარმად იქცა. იმ თვეებში ძირითადი სამხედრო გადაწყვეტილებები ჰამაკში იქნა მიღებული. ნელ-ნელა, თავისდაუნებურად, სამოქალაქო საქმეებშიც ჩაერია, ყველაზე უმნიშვნელო სფეროსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ: მაგალითად, ცდილობდა თავის კარგი მეგობრისთვის, სენიორ ტატისისთვის ფოსტაში ემოვნა სამსახური და აქტიური მოღვაწეობაში ჩაება გენერალი ხოსე უკროსი, რომელიც მშვიდ ოჯახურ ატმოსფეროს ვეღარ იტანდა.

იმ დღეებში განახლებული აღმაფრენით იმეორებდა ძველ ფრაზას: „ბებერი ვარ, ავადმყოფი, დაღლილი, იმედგაცრუებული, გაღაბული, ცილნაწამები და უქონელი“. თუმცა, ვინც კი იმხანად გენერალი იხილა, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეიტანა. სანამ ახალი მთავრობის ზურგის გასამაგრებლად გაფუფქული კატის სიფრთხილით მოქმედებდა, ნაწილ-ნაწი-

ილ, რულუნებთა და საქმის ცოდნით აკოწიწებდა სამხედრო მანქანას, რომლის საშუალებითაც ვენესუელა უნდა დაებრუნებინა და თავიდან დაეწყო მსოფლიოში უდიდესი ერების აღიანისის შექმნა.

ამაზე ხელსაყრელ დროს ვერც იპოვიდა. ახალი გრანადა საიმედოდ ეყვრა ხელთ ურდანეტას. ლიბერალური პარტია დამარცხებული იყო, სანტანდერი კი — პარიზში დაბმული. ეკვადორს ვენესუელელი მხედართმთავარი, ცუდმედიდი და შფოთისთავი ფლორესი განაგებდა, რომელმაც თავის დროზე კოლუმბიას კიტო და გუაიაკალი ჩამოაცილა ახალი რესპუბლიკის შესაქმნელად. მაგრამ გენერალს სურკეს მკვლევების დასჯის შემდეგ მათი დაბრუნების იმედი ჰქონდა. ბოლივიას მტკიცედ მართავდა მისი მეგობარი, მარშალი დე სანტა კრუსი, რომელმაც ის იყო რომის პაპთან დიპლომატიური წარმომადგენლობის გაგზავნა შესთავაზა. მოკლედ, მთავარი ამოცანა იყო ერთხელ და სამუდამოდ წაერთმიათ ვენესუელა გენერალ პაუსისთვის. გენერლის სამხედრო გეგმის მიხედვით, სანამ პაუსი მარაკიბოს იცავდა, მათ კუკუტადან უნდა დაეწყოთ შეტევა. მაგრამ პირველ სექტემბერს რიოჩას პროვინციამ სამხედრო კომენდანტი გადააყენა, კარტახენას მთავრობას არ დემორჩილა და თავი ვენესუელას კუთვნილებად გამოაცხადა. მარაკიბოს დასახმარებლად რიოჩელეებმა 25 სექტემბერის შეთქმულების თავკაცი, გენერალი პედრო კარუხო გაგზავნეს, რომელიც თავის დროზე ვენესუელას მთავრობამ იხსნა სასჯელისაგან.

მონტილიამ სასწრაფოდ აცნობა ეს ამბავი გენერალს, მაგრამ მას უკვე გავიდა ზეიმობდა კიდეც, რადგან რიოჩასს ჯანყი ხელ-ფეხს უხსნიდა მარაკიბოს წინააღმდეგ სამოქმედოდ.

„ამას გარდა“, თქვა, „კარუხო გამოჭერილი გვეყვს“.

იმპეე დამეს თავის ოფიცრებთან ჩა-

იკეტა და ზუსტი სტრატეგიის შემუშავებას შეუდგა. გულმოდგინედ გეგმავდა შეტევებს და ჭადრაკის ფიგურებივით აადგილებდა ჯარებს, თან მტრის ყველაზე ვერაგული ჩანაფიქრის ამოცნობას ცდილობდა. ყველა მის ოფიცერს ესპანეთის სამხედრო სკოლებში მიღებული მასზე უკეთესი აკადემიური განათლება ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ გენერალს შეეძლო ნებისმიერი სიტუაციის დეტალურად განჭვრეტა. და თუმცა ბრძოლის ხელოვნების დიდოსტატად ვერ ჩათვლიდი, მისებრ სულისკვეთებას ვერავინ დაიკვებინდა.

გამთენიისას დეტალურმა და ემპირიკურმა გეგმამ დასრულებული სახე მიიღო. მარაკიბოზე შეტევა ნოემბრის ბოლოსთვის ან, უკიდურეს შემთხვევაში, დეკემბრის პირველი დეკადისთვის დაგეგმეს. წვიმიან სამშაბოს, დილის რვა საათზე, როცა უკანასკნელად გადახედეს ნახაზს, მონტილიამ აღნიშნა, რომ ბრძოლაში არც ერთი გრანადელი გენერალი არ გაეთვალისწინებინათ.

„ახალ გრანადაში ვარგისი გენერალი არ შეგულება“, თქვა ბოლივარმა, „ზოგი უნიჭოა, ზოგი უსაქმური“.

მონტილიამ საუბრის თემა შეცვალა.

„თქვენ საით აპირებთ, გენერალო?“

„ამ წუთში სულ ერთია, კუკუტაში წავალ თუ რიოჩაში“, თქვა მან.

ოთახიდან გასვლას რომ აპირებდა, გენერალმა კარენიომ ფესტით შეანსენა მრავალჯერ გადაღებული პირობა. ბოლივარს უნდოდა, რაღაც უნდა დასჯლოდა გვერდით მყოლოდა კარენიო, მაგრამ მისი შეჩერება აღარავის ძალუძდა. ამიტომ, ჩვეულებისამებრ მოუთათუნა მხარზე ხელი და უთხრა:

„სიტყვა შევასრულე, კარენიო, თქვენც მიდიხართ“.

ორიათასკაციანი ექსპედიცია კარტახენადან თითქმის სიმბოლურად შერჩეულ დღეს — 25 სექტემბერს გავიდა სამი გენერლის — მარიანო მონტილიას, ხოსე ფელიქს ბლანკოსა და



ხოვ მარია კარენიოს მეთაურობით. სამივეს ცალ-ცალკე ჰქონდა დაუღლებული სანტა მარტაში გენერლისთვის შესაფერისი სახლის მოძებნა, რათა მას ახლოდან ედევნებინა თვალი ბროლეებისთვის, სანამ საბოლოოდ გამოჯანმრთელდებოდა. იმ დღეებში გენერალმა ერთ მეგობარს მისწერა: „ორ დღეში სანტა მარტაში მივემგზავრები გასაჯარჯილებლად, თორემ აქ ლამისაა მომკლას მოწყენილობამ და უმოქმედობამ“. თქმა და ქმნა ერთი იყო: პირველ ოქტომბერს გზას დაადგინენ. ორში გზიდან გენერალმა ხუსტი ბრისენიოს გულახდილად მისწერა: „სანტა მარტაში მივდივარ, რათა ჩემი წვლილი შევიტანო მარაკაიბოს წინააღმდეგ ლაშქრობაში“. იმევე დღეს ურდანეტას აცნობა: „სანტა მარტაში მივემგზავრები, რათა მოვიინახულო ქვეყანა, სადაც არასოდეს ვყოფილვარ და იმედი გავუცრუო ჩემს მტრებს, ხალხის აზროვნებაზე რომ ახდენენ ზემოქმედებას“. მხოლოდ მაშინ გაამხილა მოგზაურობის ჭეშმარიტი მიზანი: „ახლოდან ენახავ რიოანას წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციას და მიუუახლოვდები მარაკაიბოსა და ჯარებს; იქნებ რომელიმე მნიშვნელოვან ოპერაციაში გამოვდე“. უცხოთა თვალში იგი ქვეყნიდან გაძევებული პენსიონერი კი არა, ნამდვილი, მებრძოლი გენერალი იყო.

კარტახენა ნაჩქარევად დატოვეს ოფიციალური გამოძევების დრო არ იყო და მხოლოდ რამდენიმე მეგობარს შეატყობინეს ამბავი. გენერლის მითითების თანახმად, ფერნანდომ და ხოსე პალასიოსმა ნახევარი ბარგი მეგობრებთან და სავაჭრო სახლებში დატოვეს, რათა ომში ზედმეტი ტვირთი არ ეთრიათ. ადგილობრივ ვაჭარს დონ ხუან პავაჟოს ათი სკვირი გენერლის პირადი ქაღალდები მიაბარეს, რაც პარიზში უნდა გაეგზავნა მოვვიანებით მიღებულ მისამართზე. ხელწერილში ნათქვამი იყო, რომ თუკი მფლობელი თავის ქონებას არ გა-

მოითხოვდა, ქაღალდები უნდა დაეწვათ.

ფერნანდომ ბუშისა და კომპანიის ბანკში გაურკვეველი წარმომავლობის ორასი უნცია ოქრო დატოვა, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინა ბიძამისის საწერ მოწყობილობათა ყუთში. ხუან დე ფრანკისკო მარტინს ასევე ხელწერილით ჩააბარეს მედლებით სავსე 35 კოლოფი. მასვე მიაბარეს ორი ხავერდის ქისა. ერთში ინახებოდა ვერცხლის 294 დიდი, 67 პატარა და 96 საშუალო მედალი, მეორეში კი გენერლის პროფილიანი ოქროსა და ვერცხლის 40 სამახსოვრო მედალიონი. მასვე დაუტოვა ოქროს დანა-ჩანგალი, რომელიც მომპოქსიდან მოპქონდა ღვინის ძველი ყუთით, რამდენიმე ხელი ძალზე ნახმარი თეთრეული, ორი ყუთი წიგნები, ბრილიანტით მოოჭვილი ხმალი და უსარგებლო თოფი. გარდასულ დღეთა წვრილმან ნაშთებში რამდენიმე წყვილი გამოუსადეგარი სათვალეც ერია. მას შემდეგ, რაც ოცდაცხრამეტი წლის გენერალმა წვერის პარსეის დროს შეამჩნია, რომ თვალი დააკლდა, ხშირ-ხშირად ცვლიდა და ადიდებდა სათვალის შუშებს.

ხოვ პალასიოსმა, თავის მხრივ, დონ ხუან დე დიოს ამაღორს ერთი კოლოფი მიაბარა, რომელიც წლების მანძილზე თან დაჰქონდა და რომლის შიგთავსის შესახებ წესიერად არავინ არაფერი იცოდა. იგი გენერლის საკუთრებად ითვლებოდა, რომელიც თავის დროზე ვერ შეელია შიგ შენახულ უსარგებლო ნივთებს, ისევე, როგორც ვერ ელეოდა ხოლმე უსარგებლო ადამიანებს, და უკვე რამდენი ხანი იყო, ვვლდან დაათრევდნენ, რადგან არ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან. ყუთმა 1826 წელს ღიმიდან სანტა ფეში იმოგზაურა და 25 სექტემბრის შეთქმულების შემდეგ სამხრეთში გაჰყვა გენერალს უკანასკნელ ომში. „ვერსად დაეტოვებთ, სანამ ზუსტად დავადგენთ, ჩვენია თუ არა“, ამ-

ბობდა ხოლმე გენერალი. სანტა ფეში რომ დაბრუნდა უკანასკნელად, რათა დამფუძნებელი კონგრესისათვის თავისი გადაწყვეტილება მოეხსენებინა გადადგომის შესახებ, ყუთი მის საგრძნობლად შემცირებულ ბარგში ერია. ბოლოს, კარტახენაში, გენერლის ქონების აღწერისას, როგორც იქნა, გადაწყვიტეს მისი გახსნა და ისეთი ნივთები აღმოაჩინეს, კარგა ხნის დაკარგულად რომ თვლიდნენ: 415 უნცია კოლუმბიური ოქრო, გენერალჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტი და თმის კულუი, ინგლისის მეფის ნაჩუქარი ოქროს საბურნუთე, მედალიონის შესანახი ოქროს ბუდე ბრილიანტის გასაღებით და ბრილიანტებით მოოჭვილი ბოლივიის დიდი ვარსკვლავი. ხოსე პალასიოსმა ეს ყველაფერი აღწერა, შეაფასა და ხელწერილით ჩააბარა ფრანსისკო მარტინს. ბარგი უკვე საგრძნობლად შემსუბუქებულიყო, თუმცა კიდევ რჩებოდა ნახშირი თეთრეულის სამი თუ ოთხი ჩემოდანი, ტილოსა და ბამბის გადასაფარებლებით სავსე ათი სკიერი, ერთი კოლოფი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ყაიდის დანა-ჩანგალი, რომელიც გენერალმა არც გაყიდა და არც ვინმეს დაუტოვა, იმ იმედით, რომ კიდევ დასჭირდებოდა საპატიო სტუმრებისთვის. ხოლო, როცა ვინმე ამ ნივთების გაყიდვას ურჩევდა, გენერალი უარზე იდგა — სახელმწიფო. საკუთრებააო.

შემსუბუქებული და შეთხლებული კორტეჟი ტურბაკოსკენ გაემართა. მეორე დღეს კარგი ამინდი დაიჭირა, მაგრამ ნაშუაღამევს გაწვიმა და ჭაობებიდან მონაბერ ქარს ხეებქვეშ შეაფარეს თავი. იქვე გაატარეს მთელი დამე. გენერალი ხელისა და ღვიძლის ტკივილს უჩიოდა. ხოსე პალასიოსმა ფრანგული სახელმძღვანელოს მიხედვით მოუმზადა ნაყენი, მაგრამ გენერალს სიცხემ აუწია და ტკივილმა უმატა. გამთენიისას ისე გასაავთბულიყო, რომ უგრძნობლად მიიყვანეს სოლელადამდე, ძველი მეგობრის, დონ

პედრო ხუან ვისბალის სახლში. იქ დაჰყო მთელი თვე ოქტომბრის გადაულელებელი წვიმების გამო გამძაფრებული ტკივილებით გატანჯულმა.

სოლელადს¹ სწორედ შესაფერისი სახელი ერქვა. ღარიბთა დასახლებაში მხოლოდ ოთხი დამტყვერილი და უკაცრიელი ქუნა გადიოდა, თუმცა სოფელი სულ რაღაც ორ ლიეზე მდებარეობდა სან ნიკოლასიდან, რომელიც რამდენიმე წელიწადში ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ და სტუმართმოყვარე ქალაქად იქცა. გენერალი უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა გამოსაჯანმრთლებლად. სახლს ექვსი ანდალუსიური ღია აივანი და მყუდრო პატიო ამშვენებდა, რომლის ასწლოვანი სეიბას ქვეშ ფიქრს არაფერი სჯობდა. საწოლი ოთახის ფანჯრიდან უკაცრიელი მოედნის ჩამონგრეული ეკლესია და პალმის ფოთლებით გადახურული ღარიბთა სახლები მოჩანდა ლიანისფრად შეღებილი კედლებით.

მაგრამ მშვიდმა შინაურმა გარემომ ვერაფერი უშველა. პირველ დამესუსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო, თუმცა ახალ ავადმყოფობად არ ჩაუთვლდა. ფრანგული სახელმძღვანელო ამ ნიშნებით გამწვავებულ შავ მელანქოლიას ახასიათებდა, რასაც გაცივება და უამინდობით გამოწვეული რემპატიზმი დაერთო. ამდენმა ავადმყოფობამ გენერალს კიდევ უფრო გაუძლიერა წამლების ზიზღი. ამტკიცებდა, წამალი ერთ სნეულებას რომ შველის მეორეს ვნებსო. მაგრამ იმასაც აღიარებდა, რომ დაუღევლად ვერც წამლის აკარგეიანობას გამოცდიდა, და ყოველდღე წუწუნებდა, კარგი ექიმი არ მყავსო, თუმცა თავად ამბობდა უარს მათ მიღებაზე.

იმ დღეებში პოლკოვნიკმა უილსონმა მამამისს მისწერა, რომ გენერალი ნებისმიერ წუთს შეიძლება გამოსცლოდათ ხელიდან, რადგან სიძულვილის გამო კი არ გაურბოდა ექიმებს,

¹ სოლელად (ესპ.) — მარტოობა.



არამედ იმიტომ, რომ იცოდა, მაინც ვერაფერს უშველიდნენ. სინამდვილეში, ამტიციებდა უილსონი, ავადმყოფობა ერთადერთი მტერია, ვისიც ვენერალს ეშინია და დამარცხების შიშით უარს ამბობს მასთან შერკინებაზეო. „ავადმყოფობისთვის ყურადღების მიქცევა იმას ნიშნავს, გემზე წახვიდე იუნგად“, უთხრა ერთხელ გენერალმა. ოთხი წლის წინ ღიმაში, ბოლივიის კონსტიტუციაზე მუშაობისას, ო' ლირმა დაჟინებით მოსთხოვა, ექიმს ჩვენებოდა, რაზეც მტიციე პასუხი მიიღო:

„ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭვრ“.

დარწმუნებული ჩანდა, რომ ავადმყოფობის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება მუდმივი მოძრაობა და საკუთარი თავის რწმენა იყო. ფერნანდა ბარბა წინსაფარს ააფარებდა და კოვზით აჭმევდა ხოლმე. გენერალი მშვიდად ღეჭავდა და პირსაც კი აღებდა, ლუკმას რომ გადაყლაპავდა. მაგრამ იმ დღეებში მზარეულს თევზსა და კოვზს ართმევდა და უწინსაფროდ, საკუთარი ხელით ჭამდა, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, რომ არავისი დახმარება არ სჭირდებოდა. ხოსე პალასიოსს გული უკვებებოდა, როცა გენერალს ისეთ საქმეზე წაასწრებდა, რასაც მუდამ მოსამსახურეები, ადიუტანტები და გადამწერები ასრულებდნენ და კინაღამ ცრემლები წამოუვიდა, როცა გენერალმა მთელი შუშა მელანი გადაიპირქვა ტანსაცმელზე, იმის ნაცვლად, რომ სამელნეში ჩაესხა. უცნაური ის იყო, რომ ყველა ამჩნევდა: რაგინდ ცუდად ყოფილიყო, ხელეები აღარ უკანკალებდა. ის კი არა, კვირაში ერთხელ ფრჩხილებსაც თვითონ იჭრიდა და იქლიბავდა და ყოველდღე საკუთარი ხელით იპარსავდა წვერს.

ერთხელ ღიმას სამოთხეში ბედნიერი დამე გაატარა გოგოსთან, რომელსაც ბედუინის კანი თავიდან ფეხებამდე მსუბუქი ღინღლით ჰქონდა და-

ფარული. სანამ იპარსავდა, დაკმაყოფილებული ქალის სიზმრებში მონანავე შიშველი სხეულის ცქერით ტკებოდა. ბოლოს ცღუნებას ვერ გაუძლო და საკრამენტული აქტით თავის დლი დაასვა სტუმარს: მთელი ტანი საპნის ქაფით დაუფარა და სიყვარულნარევი სიამოვნებით გაპარსა. ხან მარჯვენა ხელით მუშაობდა, ხან მარცხენათი. სახეზე წარბებიც არ დაუტოვებია და გოგოც თითქოს ორმაგად გაშიშვლდა, როცა ახალშობილის სათუთი კანით წარსდგა მის წინაშე. გულაკანკალებული შეეკითხა: მართლა გიყვარვარ თუ არაო და გენერალმაც ჩვეული ფრაზით უპასუხა, რომლის მეშვეობითაც ასობით ქალის გულში ჩაუსახავს იმედი:

„ისე, როგორც არავინ და არასდროს“.

სოლედადში, პარსვისას, იმავე სულისკვეთებით ჩაატარა მსგავსი რიტუალი. ჯერ აქა-იქ გამოჩრილი შთახელებული თეთრი თმა მოიჭრა, შემდეგ შავზეც გადავიდა და ბოლოს ბეწვის ნასახიც არ დაიტოვა. თან ხმამაღლა კითხულობდა საყვარელ სტრიქონებს „არაკუნადან“.

ხოსე პალასიოსი საწოლ ოთახში შევიდა, რომ ენახა — ვის ელაპარაკებოდა გენერალი და თავგაქაფული პატრონის დანახვაზე ყბა ჩამოუვარდა.

გენერალს კი ვერც ამან მოჰკვარა შვევა. დილაობით აბრეშუმის ქუდს ატარებდა, საღამოობით ჭრელ, ნაქსოვ ჩანს იხურავდა ხოლმე, მაგრამ უიმედობის შეტევებს ვერაფერს უხერხებდა. შუალამისას დგებოდა და მთვარის შუქით განათებულ უზარმაზარ სახლში ეულად დაბორიანებდა. ოღონდ ძველებურად შიშველი ვეღარ ბედავდა სიარულს და მოსასხამში ეხვეოდა, რათა ცხელ ღამეებში სიცივით არ აკანკალებულიყო. მერე და მერე მოსასხამიც ვეღარ ათბობდა და აბრეშუმის ქუდზე ნაქსოვ ჩანსაც იხურავდა.

სამხედროთა წვრილმანი ინტრიგები და პოლიტიკოსთა უაზრო გამოხდომე-

ბი ისე აღიზიანებდა, რომ ერთ საღამოს განრიხსებულმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და გამოაცხადა, ვერც ერთს ვეღარ ვიტანო: „გამოაცხადეთ, რომ ჭლექიანი ვარ და აქ აღარავინ შემოუშვათ“, იყვირა. ისე იყო გამწარებული, რომ სახლში სამხედრო ფორმა და სამხედრო რიტუალები აკრძალა. მაგრამ მათ გარეშე მაინც ვერ გაძლო და სულ მალე, მისივე ბრძანების საწინააღმდეგოდ, ისევე განახლდა დამამშვიდებელი აუდიენციები და საიდუმლო შეკრებები. იმხანად ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ ექიმის მოყვანასაც კი დასთანხმდა, ოღონდ ერთი პირობით: ექიმს არ უნდა გაეხინჯა, ტკივილების შესახებ შეკითხვები არ უნდა დაესვა და წამლები არ უნდა მიეცა.

„მხოლოდ მესაუბროს“, გამოაცხადა. მართლაც, ჰერკულეს გასტელბონდოზე უკეთეს ექიმს ვერც ინატრებდა. ეს ბედნიერი, აღნაგი და აუღელვებელი მოხუცი მარტო თავისი მოლაპლაპე მელოტი თავითა და დამხრჩვალის სიმშვიდით სალბუნივით მოქმედებდა პაციენტთა ტკივილებზე. მთელს სანაპიროზე ცნობილი იყო მეცნიერებისადმი მისი უნდობლობა. ნაღვლის ბუშტის ანთებას შოკოლადის კრემითა და გამდნარი ყველით მკურნალობდა, საჭმლის ვადამუშავებისა და კუჭის მოქმედების გასაუმჯობესებლად პაციენტებს სექსს უნიშნავდა და შეუსვენებლად ეწეოდა მეეტლის თუთუნს, რომელსაც საკუთარი ხელით ახვევდა უხეშ ქაღალდში. თუთუნითვე მკურნალობდა ბევრ დაავადებას. თვითონ პაციენტები აღიარებდნენ, რომ მის ხელში, მართალია, ბოლომდე ვერ იკურნებოდნენ, მაგრამ კეთილი სიტყვით შეებას გრძნობდნენ. პლებეურად ხარხარებდა ხოლმე.

„სხვა ექიმებს იძღვნივე ავადმყოფი უკვებათ, რამდენიც შე“, ამბობდა, „მაგრამ ჩემები უფრო კმაყოფილები კვებიან“.

გენერალთან სენიორ ბარტოლომე მოლინარესის ეტლით მივიდა, რომელსაც დღეში რამდენჯერმე მოჰყავდა

მნახველები, სანამ გენერალმა დაუპატიჟებელი სტუმრების მიღება არ აკრძალა. დაჭმუჭნილი ტილოს თეთრი კოსტიუმი ეცვა, ჯიბეები ათასგვარი ნუგბართი ჰქონდა გამოტენილი, წვიმისგან კი ისეთი დაცხავეული ქოლგით იცავდა თავს, რომ ალბათ უმისოდ ნაკლებად დასველდებოდა. ფორმალური მისალმების შემდეგ ექიმმა ბოდიში მიიხადა ნახევრად მოწეული სივარის სუნისთვის. გენერალმა, რომელიც ვერასოდეს იტანდა თამბაქოს ბოლს, იოლად მიუტევა.

„უკვე შევეჩვიე“, უთხრა, „მანუელა ამაზე მყრალ თუთუნს ეწევა, საწოლშიც კი და, რა თქმა უნდა, თქვენზე ახლოდან მახოლებს“.

ექიმმა გასტელბონდომ ხელიდან არ გაუშვა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შანსი.

„ჰო, მართლა“, თქვა, „როგორ არის?“

„ვინ?“

„ღონია მანუელა“.

„კარგად“ მშვიდად მოუჭრა გენერალმა და ისე აშკარად შეცვალა საუბრის თემა, რომ ექიმმა შეცბუნების დასაფარავად ხმაძალა გადაიხარხარა. გენერალმა, ცხადია, იცოდა, რომ არც ერთი მისი სასიყვარულო თავგადასავალი საზოგადოებისთვის დაფარული არ ყოფილა. ამ სფეროში თავისი მიღწევებით არასოდეს უტრიაბახია, მაგრამ იმდენ გახმაურებულ ისტორიაში იყო გარეული, რომ მისი საწოლის საიდუმლოებებზე მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა. ჩვეულებრივი წერილი ღიმიდან კარაკასამდე სამი თვით იგვიანებდა ხოლმე, მაგრამ მისი სკანდალური თავგადასავლები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და ჩრდილივით თან სდევდა. მისი საყვარლები კი თითქოს ფერფლის ჯვრით იყვნენ დანიშნულნი, თუმცა თვითონ საიდუმლოდ იცავდა ქალების ეინაობას. მათი ნდობა ბოროტად არასოდეს გამოუყენებია და გულს მხოლოდ ხოსე პალასიოსს უხსნიდა ხოლმე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ექიმ გასტელბონდოს უბრალო ცნობისმოყვარეობაც



კი არ დააკმაყოფილა ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის შესახებ, როგორც მანუელა იყო და რომელზეც ყველამ ყველაფერი იცოდა.

ამ პატარა ინციდენტს თუ არ ჩავთვლით, ექიმმა ვასტელბონდომ სწორედ რომ სულზე მოუსწრო. თავისი ვიჟური იდეებით ამხნევებდა, მასთან ერთად მიერთმევედა ჯობით მოტანილ ტკბილეულს, ნაღების ნამცხვარსა და სხვა ნუგბარს, რომელსაც გენერალი ზრდილობის გამო ჭამდა. ერთ დღეს დაიჩვილა, რომ ტკბილეული მხოლოდ შიმშილის გრძნობას უკლავდა, მაგრამ არ ასუქებდა. „ნუ ღელავთ, თქვენი ბრწყინვალე ბავ, უთხრა ექიმმა, „ყველაფერი, რაც პირიდან შედის, ასუქებს, და რაც იქიდან გამოდის, ახდუნებს“. გენერალს ისე მოეწონა არგუმენტი, რომ ექიმთან ერთად სიამოვნებით დალია ერთი ჭიქა ძეირფასი ღვინო და ერთი თასი საგო.

და მაინც, გუნება, რომელსაც ასე გულმოდგინედ უხალისებდა ექიმი, ცუდი ამბების გამო თავიდან ეწამლებოდა. ვიღაცამ უამბო, რომ იმ სახლის პატრონმა, სადაც კარტახენაში ცხოვრობდა, სნეულების გადაღების შიშით თეთრეულიანად დაწვა საწოლი, რომელშიც გენერალს ეძინა. ბოლივარმა უბრძანა ღონ ხუან დე დიოს ამადორს, მიბარებული ფულიდან გადაეხადა განადგურებული ნივთების საფასური და სახლის ქირა, მაგრამ ვერც ამით დამშვიდდა.

უარესი დავმართა, როცა გაიგო, რომ ამერიკის შვერთებულ შტატებში მიმავალი ღონ ხოაკინ მოსკერა მისი სახლიდან სულ ორ ნაბიჯზე გაჩერებულა და გენერალი არ მოუნახულებია. დაუფარავი უკმაყოფილებით შეაგროვა ცნობები და შეიტყო, რომ მოსკერას მთელი კვირა დაუყვია სანაპიროზე გემის მოლოდინში, ბევრი საერთო მეგობარი თუ მტერი უნახავს და ყველასთვის უამბნია, რა ნაწყენი ყოფილა გენერლის, როგორც თვითონ აღუნიშნავს, უმადურობის გამო, პატარა ნავით გემისკენ მიმავალმა კი გამოსამშვიდობებ-

ლად მოსულ მეგობრებს მოკლედ გაუხილა გულისნაღები: „კარგად დიმახსოვრეთ“, თქვა „ამ კაცს არავინ უყვარს“.

ხოვ პალასისომა იცოდა, როგორ განცილდა გენერალი მსგავს ბრალდებებს. ყველაზე მეტად ის აწუხებდა და ტკიოდა, როცა ვინმეს მის გრძნობებში შეჰქონდა ეჭვი. ასეთ დროს მზად იყო ზღვები დაეშრო და მთები დაეწვრია, ოღონდ კი მოწინააღმდეგისთვის საპირისპირო აზრი შთაეგონებინა. ერთხელ, დიდების მწვერულზე მყოფს, მისი თავქარიანობით აღმფრთხილებლამ ლამაზმა ანგოსტურელმა დელფინა გუარდიოლამ ცხვირწინ მიუჯახუნა სახლის კარი. „თქვენ ყველაზე სახელგანთქმული ადამიანი ხართ, გენერალო“, უთხრა, „მაგრამ სიყვარულისთვის არ გამოდგებით“. მაშინ გენერალი სამზარეულოს ფანჯრიდან გადაძვრა და სამი დღე სახლიდან არ გამოსულა. მართალია, კინაღამ სიცოცხლეს გამოეხალმა, მაგრამ საბოლოოდ დელფინას ნღობა მოიპოვა.

მოსკერამდე ხელი აღარ მიუწვდებოდა, მაგრამ ყველას გაუმხილა გულისტკივილი: დვარძლიანად კითხულობდა, რა უფლებით ლაპარაკობდა სიყვარულზე კაცი, რომელმაც ოფიციალური ქაღალდით აცნობა, რომ ვენესუელიდან განდევნილი იყო. „მადლობა მითხრას, რომ არ ვუპასუხე და ისტორიული სასჯელისგან ვიხსენი“, იყვირა. ყველაფერი გაიხსენა, რაც კი მისთვის გაუკეთებია. გაიხსენა, თუ რა მოთმინებით იტანდა მის სოფლურ ნარცისიზმს და თქვა, რომ მისი წყალობით გახდა მოსკერა ის, ვინც იყო. ბოლოს ერთ საერთო მეგობარს გრძელი და გულისშემძვრელი წერილი გაუგზავნა, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მოსკერას სამყაროს ნებისმიერ წერტილში მისწვდებოდა ხმა მისი უკმაყოფილების შესახებ.

სამაგიეროდ ამბები, რომლებიც მის ყურამდე ვერ აღწევდა, უხილავი ნისლივით ეხვია გარს. ურდანეტა კვლავ უპასუხოდ ტოვებდა მის წერილებს.

ვენესუელაში გაგზავნილმა ბრისენიო მენდესმა გენერლის საყვარელი და მონატრებული ხილი გამოაგზავნა იამაიკიდან, მაგრამ შიკრაკი ზღვაში დაიხრჩო. ხუსტო მენდესს, მის ნდობით აღჭურვილ კაცს აღმოსავლეთის საზღვრებთან, სიზანტით მოთმინებიდან გამოჰყვავდა. ურდანეტას დემილმა ქვეყანა დაავიქრა, გენერლის ლონდონელი კორესპონდენტის, ფერნანდეს მადრიდის სიკვდილმა კი მსოფლიო.

გენერალი ვერ ხედებოდა, რომ სანამ თვითონ არაფერი იცოდა ურდანეტას შესახებ, ურდანეტა აქტიურ მიმოიწერას აწარმოებდა ამაღლის ოფიცრებთან და ცდილობდა მათგან მეტი უტყუარი პასუხი მიეღო. „ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდე, დათანხმდება თუ არა გენერალი პრეზიდენტობას, თუ მთელი ცხოვრება მოუხელთებელ აჩრდილს უნდა ვსდიო“, მისწრა ო' ლირს. ო' ლირთან ერთად დანარჩენი ოფიცრებიც ცდილობდნენ გენერალთან ამ თემაზე ჩამოეგდოთ საუბარი, რათა ურდანეტასთვის ვარკვეული პასუხი მიეცათ, მაგრამ გენერლისგან კონკრეტულ პასუხს ვერ ეღივრნენ.

როცა, ბოლოს და ბოლოს, რიოჩანდან უტყუარი ინფორმაცია მოვიდა, იქ საქმე უკვე წამხდარი იყო. გენერალმა მანუელ ვალდესმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგობის გარეშე აიღო ქალაქი 20 ოქტომბერს, მაგრამ მომდევნო კვირას კარენიომ ორი შეტევით დაამარცხა მისი ჯარი, ვალდესმა მონტილიას წარუდგინა, მისი აზრით, ღირსეული თხოვნა გადადგომის შესახებ, რამაც გენერალი მოთმინებიდან გამოიყვანა. „ის ვირიშვილი შიშით კედება“, თქვა. მარაკაიბოზე დაგეგმილი შეტევის დაწყებამდე თხუთმეტი დღედა რჩებოდა, მაგრამ რიოჩანს აღებაც კი აუხდენელ ოცნებად ქცეულიყო.

„ჯანდაბა!“ იყვირა გენერალმა, „ჩემი ნარჩევი გენერლები ყაზარმის ამბოხსაც ვერ ახშობენ“.

მაგრამ ყველაზე მეტად იმ ცნობამ ააფორიაქა, რომ მოსახლეობა მთავრობის

ბის ჯარს გაურბოდა, რადგან მის სახელთან აიგივებდა. გენერალი კი აღმირალ პადილიას მკვლელად მიანდათ, რომელსაც აღმერთებდნენ მშობლიურ ქალაქ რიოჩანში. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებშიც ცუდად იყო საქმე. ყველგან ანარქია და ქაოსი გამეფებულიყო, რასაც ურდანეტას მთავრობა ვერაფერს უხერხებდა.

ერთ დღეს ექიმი გასტელბონდოც შეესწრო გენერლის ისტორიულ რისხვას და გაიცდა, როგორ გამოცოცხლებულიყო ავადმყოფი. გენერალმა ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხა თავს სანტა ფედა უკანასკნელი ცნობებით ჩამოსულ ემისარს. „ეს უვარგისი მთავრობა, იმის მაგივრად, რომ ხალხსა და მნიშვნელოვან ფიგურებს თავის სასარგებლოდ იყენებდეს, მთლად ადამბლაგებს მათ“, ყვიროდა.

ექიმმა ვერაფრით შეძლო მისი დაწყნარება. მთავრობის ლანძღვას რომ მოეჩა, შტაბის ოფიცრებზე გადავიდა. სამი დღე ბრძოლის გმირს, პოლკოვნიკ ხოაკინ ბარიგას მკვლელი უწოდა, ჰედრო მარკვეტიოზე, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ სუკრეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა, თქვა, უვარგისი მხედართმთავარიყო. კაუკას ყველაზე მამაც გენერალს, გონსალესს მშიშრობა დასწამა და აქოშინებული ჩაეშვა სავარძელში სულის მოსათქმელად, რაც ოცი წელი იყო, სჭირდებოდა. მხოლოდ მაშინ შეამჩნია კარში გაჩხერილი გაოცებული ექიმი გასტელბონდო.

„ბოლოს და ბოლოს“, ხმას აუწია გენერალმა, „რას უნდა ველოდეთ კაცისგან, რომელმაც კამათელში სახლი წააგო?“

ექიმი გაოგნდა.

„ვისზე ვლაპარაკობთ?“ იკითხა.

„ურდანეტაზე“, უპასუხა გენერალმა, „მარაკაიბოში წააგო ერთ საზღვაო ოფიცერთან, მაგრამ საბუთები ისე გააფორმა, თითქოს გაყიდა“.

ძალ-ღონე მოიკრიბა და განაგრძო: „თუმცა ყველა ფრთაშესხმული ანგე-



ლოზია ყალთაბანდ სანტანდერთან შედარებით. მისმა მეგობრებმა ინგლისელთა სესხიდან მოიპარეს ფული, სახელმწიფო ქაღალდები მეათედ ფასში შეისყიდეს და მთავრობამ ხმა არ ამოიღო“.

მე თვითონო, თქვა, იმიტომ კი არ ვეწინაღმდეგებოდი სესხის აღებას, რომ კორუფციის მეშინოდა, არაქედ ვერძნობდი, რა საფრთხეს შევეუქმნდი სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობასო.

„ვალები ესპანელებზე მეტად მძულს“, გამოაცხადა, „ამიტომ გავაფრთხილე სანტანდერი, რომ ინგლისელთა სესხი ერს სიკეთეს არ მოუტანდა, რადგან საუბუნების მანძილზე მოგვიწვედა პროცენტების ხდა. ახლა ყველაფერი ნათელია: სწორედ ვალი მოგვიღებს ბოლოს“.

თავიდან ახლად გამომცხვარი მთავრობა სიხარულით დაეთანხმა ურდანეტას გადაწყვეტილებას — დაენდით დამარცხებულთა სიცოცხლე. ის კი არა, ომის ახალი ეთიკაც შეიმუშავეს: „ღმერთმა ნუ ჰქნას, ჩვენმა დღევანდელმა მტრებმა ის გვიქნან, რაც ჩვენ ვუყავით ესპანელებს“. მაგრამ სოლედადის ბნელ დამეგობრობა დაწერილ მრისხანე წერილში გენერალმა ურდანეტას შეახსენა, რომ სამოქალაქო ომებში გამარჯვება სასტიკთა მხარეზე იყო.

„დამიჯერეთ, ექიმო“, უმტკიცებდა გასტელბონდოს, „ჩვენს ხელისუფლებასა და ჩვენს სიცოცხლეს მხოლოდ მოწინააღმდეგეთა სისხლის ფასად თუ შევინარჩუნებთ“.

მაგრამ მოულოდნელად ბრაზი ისევე შკვალოდ გაუქრა, როგორც გაუჩნდა და ცოტა ხნის წინათ გალანძული ოფიცრების გამართლებას შეუღდა. „ასეა თუ ისე, მოტყუებული მე ღაერნი“, თქვა, „მათ კონკრეტული მიზანი ჰქონდათ, რაც შეიძლება სწრაფად მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა და აი, რას მიაღწიეს!“ შემდეგ ექიმს გაძვალტყავებული ხელით დაეყრდნო, ადგა და ოხრით დაასკვნა: „სამაგიეროდ, მე ვათავი არარსებულზე ოცნებაში“.

იმ დღეებში იტურბიდეს ბედიც გა-

დაწყვიტა. ოქტომბრის ბოლოს იტურბიდემ დედამისის მიერ ჯორჯთაუნიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო, რომელშიც ქალი შემფოთებით ატყობინებდა, რომ მექსიკაში ლიბერალები იკრებდნენ ძალებს, რის გამოც რეპატრაციის იმედი ნელ-ნელა უქრებოდა. ეჭვი, რომელიც აკენიდან ღრღინდა იტურბიდეს, გაძლიერდა და გუნება მოუშხამა. ბედად, ერთ საღამოს მის მკლავზე დაყრდნობილმა, დერეფანში მოსივრნე გენერალმა საუბარი წამოიწყო.

„მექსიკიდან ერთადერთი უსიამოვნო მოგონება გამომევა“, თქვა, „ბერაკრუსში, პორტის კაპიტნის მწვერებმა ორი ლეკვი დამიგლიჯეს, რომლებიც ესპანეთში უნდა წამეყვანა“.

მაგრამ, თქვა, იქ მივიღე ცხოვრებისგან პირველი მკაცრი გაკვეთილი, რაც დღემდე არ დამეიწყებიაო. ბერაკრუსში რამდენიმე დღით უნდა გაჩერებულიყო ევროპაში პირველად გამგზავრების წინ, 1799 წლის თებერვალში, მაგრამ თითქმის ორი თვე დაჰყო, რადგან ჰაფანას, სადაც გემს უნდა შეეველო, ინგლისელებმა მოუწყვეს ბლოკადა. სამაგიეროდ საშუალება მიეცა საზიადართ ჩასულიყო მეზიკოში და ფეხით შემოეველო ზღვის დონიდან სამი ათას მეტრზე გაყინული ეულკანები და უკაცრიელი უდაბნოები, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდათ არაგუას ველების პასტორალურ განთიადებთან, სადაც იქამდე ცხოვრობდა. „თავი მთავარზე მეგონა“, თქვა. მეზიკოში ჰაერის სიწმინდემ და სუფთა, უხვმა ბაზრებმა გააოცა. იქ საჭმელად ჰყიდდნენ აგავას ფერად მუხლუხოებს, მდინარის ჭიკაყვლებს, მოსკიტების კვერცხებს, კალიებს, თავკომბალებს, მთის კატებს, თაფლიან წყალში დამბალ ტარაკნებს, სიმინდის კრაზანებს, შებოლილ იგუანებს, ჩხრიალა გველებს, ყოველგვარ ჩიტს, ჯუჯა ძაღლებს და ერთგვარ ლობოს, თავისით რომ ხტოდა ქვაბში. „ყველაფერს ჭამენ, რაც მოძრაობს“, თქვა. გენერალი გააოცა მრავალრიცხოვანი არსების გამჭვირვალე წყლებმა, მთელ ქალაქს რომ კვეთდნენ,

საკვირაო, ჭყეტელა ფერებად შედები-
 ღმა ნაეებმა და უამრავმა, ნაირფერმა
 ყვაილმა. სამაგიეროდ დამორგუნველად
 იმოქმედა თებერვლის მოკლე დღეებმა,
 მოხეტიალე ინდიელებმა და გადაუღე-
 ბელმა წვიმებმა, ანუ ყველაფერმა იმან,
 რაც მოგვიანებით გულს უწვრილებდა
 სანტა ფეში, ლიმაში, ლა პასში და ან-
 დებში. ეპისკოპოსმა, რომელსაც სარე-
 კომენდაციო წერილით მიაღდა, ერთხელ
 მეფისნაცვალთან წაიყვანა მიღებაზე,
 რომელიც ბოლივარს ეპისკოპოსზე თავ-
 გადაკულს სასულიერო პირად მოეჩვენ-
 ა. მეფისნაცვალმა ძლივს მიაქცია ყუ-
 რადღება კნაჭა, შავგერემან ბიჭს, რო-
 მელმაც თავი საფრანგეთის რევოლუ-
 ციის თაყვანისმცემლად გამოაცხადა.
 „კინალამ სიცოცხლეს გამოძასალმეს“;
 ჭყებოდა გამხიარებული გენერალი,
 „ალბათ ვიფიქრე, რომ მეფისნაცვალ-
 თან აუცილებლად პოლიტიკაზე უნდა
 მესაუბრა. მე ხომ მეტი არაფერი ვიცო-
 დი თექვსმეტი წლის ასაკში“. სანამ
 მოგზაურობას განაახლებდა, წერილი
 მისწერა თავის ბიძას, დონ პედრო პა-
 ლასიოს ისოხოს. ეს ბარათი პირველია
 მისი შემორჩენილი წერილებიდან. „ისე
 ცუდად ვწერდი, რომ თვითონ არაფერი
 მესმოდა“, თქვა სიცილით, „მაგრამ მო-
 ვახერხე ამეხსნა ბიძაჩემისთვის, რომ
 ეს დაღლილობის ბრალი იყო“. გვერდ-
 ნახევარში ორმოცი ორთოგრაფიული
 შეცდომა დაუშვა, ორი მათგანი ერთ სი-
 ტყვაში — „yjo“¹

იტურბიდეს არაფერი უპასუხნია,
 რადგან ასეთი შორეული მოვლენებები
 არ გააჩნდა. მექსიკიდან მხოლოდ უბე-
 დურება ახსოვდა, რამაც კიდევ უფრო
 გაულრმაჟა თანდაყოლილი მელანქო-
 ლია. გენერალს კარგად ესმოდა მისი.

„არ დარჩე ურდანეტასთან“. უთხრა,
 „არც ოჯახთან ერთად წახვიდე უძლე-
 ველ და საშინელ ამერიკაში, რომელიც
 დამოუკიდებლობაზე შეთხზული დიტი-
 რამებებით ყველას გაჭირვების ჭაობში
 ჩაეკვირავს“.

ამ სიტყვებით კიდევ უფრო დაამძიმა
 გაურკვევლობის ბურუსი.

„ნუ მაშინებთ, გენერალი!“ წამოიძახა
 იტურბიდემ.

„ნუ გეშინიათ“, მშვიდად უპასუხა გე-
 ნერალმა, „წადით მექსიკაში, თუნდაც
 იქ მოგვლან, ან თქვენით მოკვდეთ. ახ-
 ლავე წადით, სანამ ჯერ კიდევ ახალგა-
 ზრდა ხართ, რადგან ერთ დღეს ძალიან
 გვიანი იქნება და იქაურადაც ვერ იგ-
 რძნობთ თავს. ყველგან უცხო იქნებით,
 ეს კი სიკვდილზე უარესია“, თქვა, შემ-
 დევ თვალებში შეხედა, გამოიღი ხე-
 ლისფერი მხარზე დაადო და დაასკვნა:
 „ჩემსავით“.

ასე რომ, იტურბიდე დეკემბრის და-
 საწყისში გაემგზავრა ურდანეტასთვის
 გადასაცემი ორი წერილით. ერთ წერი-
 ლში ეწერა, რომ იტურბიდე, უილსონი
 და ფერნანდო გენერლის ყველაზე სანდო
 პირები იყვნენ. მომდევნო წლის აპრი-
 ლამდე, სანამ ურდანეტა სანტანდერის-
 ტებმა გადააყენეს, იტურბიდე სანტა ფე-
 ში უქმად იყო. დედამისმა დაჟინებული
 მოთხოვნით მიაღწია, რომ შვილი ვა-
 შინგტონში, მექსიკის დიპლომატიური
 მისიის მდივნად დაენიშნათ. ყველასგან
 დაეიწყებულმა ცხოვრების დარჩენილი
 ნაწილი კანცელარიაში გაატარა. მათი
 გვარი მხოლოდ ოცდათორმეტი წლის
 შემდეგ გახმაურდა, როცა მაქსიმილიან
 პაბსბურგმა, რომელიც ფრანგული ია-
 რალის წყალობით მექსიკის იმპერატო-
 რი გახდა, იტურბიდეთა მესამე თაობის
 ორი ვაჟი იშვილა და თავისი ქიმურუ-
 ლი ტახტის მემკვიდრეებად გამოაცხა-
 და.

მეორე წერილში გენერალი სთხოვდა
 ურდანეტას, გაენადგურებინა იქამდე
 მიწერილი თუ მომავალში მიღებული
 მისი ყველა ბარათი, რადგან ისინი რი-
 სხვის საათებში იყო დაწერილი. ურდა-
 ნეტამ თხოვნა არ შეუსრულა. ხუთი
 წლის წინათ გენერალმა იმავე თხოვნით
 მიმართა სანტანდერს: „არ გამოაქვეყ-
 ნოთ ჩემი წერილები არც ჩემს სიცო-
 ცხლეში, არც სიკვდილის შემდეგ, რად-
 გან არეულად და თავისუფალი სტილი-

¹ yjo — უფრო მართებულია hijo (ესპ.) — შვილი.



თა დაწერილი“. სანტანდერიც ურდანეტასავით მოიქცა. სამაგიეროდ სანტანდერი უგზავნიდა გააზრებულ და ჩამოყალიბებულ წერილებს, რომლებსაც თვალის ერთი გადავლებითაც ეტყობოდა, რომ მათი საბოლოო ადრესატი ისტორია იყო.

ბერაკრუსიდან გამოგზავნილი პირველი წერილიდან, გარდაცვალებამდე ექვსი დღით ადრე დაწერილი ბარათის ჩათვლით, გენერლის ათი ათასამდე წერილი შემორჩა. ზოგიერთი საკუთარი ხელით დაწერა, ზოგიც გადამწერებს უკარნახა, ზოგი კი მისი მითითებების მიხედვით დაწერეს გადამწერებმა. შემორჩა აგრეთვე მისი ხელმოწერილი სამი ათასი წერილი და რვა ათასი საბუთი. ხან ქანცს აცლდა ზოლმე გადამწერებს, ხანაც — პირიქით. ერთხელ, თავისივე ნაკარნახევი წერილი რომ გადაიკითხა, აღარ მოეწონა და თავიდან გადაწერის ნაცვლად საკუთარი ხელით მიაწერა: „აღბათ მიხედვით, რომ მარტელი დღეს ჩვეულებრივზე აუტანელია“. ანგოსტურიდან კონტინენტის საბოლოოდ გასათავისუფლებლად წამოსვლის წინ, 1817 წლის ერთ საღამოს თითხმეტი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტი უკარნახა. აღბათ, სწორედ იმ დღიდან წარმოიშვა ლეგენდა, თითქოსდა რამდენიმე გადამწერს ერთდროულად კარნახობდა სხვადასხვა წერილებს. ოქტომბერში წვიმის ხმაურზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გენერალი თაახიდან არ გამოდიოდა და ექიმ გასტელბონდოს მთელი თავისი ეშმაკობის გამოყენება დასჭირდა მისი ნახვისა და კვების უფლების მისაღებად. ხოსე პალასიოსს ეჩვენებოდა, რომ სანამ სიესტის დროს ჰამაკში ჩაწოლილი გენერალი უკაცრიელ მოედანსა და წვიმის ფარდას უყურებდა, გონებაში განვლილი ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელო დეტალებს იხსენებდა.

„ღმერთო დიდებულო“, ამოიოხრა ერთ საღამოს, „ნეტა მანუელა როგორაა?“

„რადღან მის შესახებ არაფერი ვიცით,

ესე იგი კარგადაა“, თქვა ხოსე პალასიოსმა.

ხელისუფლებაში ურდანეტას მისვლის შემდეგ მანუელასგან არაფერი სმენოდათ. გენერალს მისთვის აღარ მიუწერია, მაგრამ ფერნანდოს დაავალა მოგზაჯრობის ამბები ეცნობებინა ქალისთვის. მანუელას უკანასკნელი წერილი ავვისტოს ბოლოს მიიღეს. იგი სახსე იყო სამხედრო გადატრიალების მოსამზადებელი სამუშაოების აღწერით, მაგრამ ცენზურის თვალის ასახვევად ინფორმაცია და თარიღები ისე იყო დამახინჯებული, რომ სიმართლის ამოკითხვა ჭირდა.

მანუელამ დაივიწყა გენერლის კეთილი რჩევა, ქვეყნის პირველ ბოლივარისტად იქცა და მარტომ გააჩაღა წერილობითი ომი მთავრობასთან. პრეზიდენტმა მოსკვრამ ვერ გაბედა მის წინააღმდეგ მოქმედება, მაგრამ ეს საქმე მინისტრებს დაავალა. ოფიციალური პრესის აგრესიულ გამოხდომებს მანუელა დაბეჭდილი ჰამფლეტებით პასუხობდა, რომლებსაც მონების დახმარებით მთავარ ქუჩაზე აკრავდა. ქვეით მოკირწყლულ ქუჩაზე ხიშტით დასდევდა ყველას, ვინც გენერლის წინააღმდეგ მმართველ პროკლამაციებს ავრცელებდა და კვლავზე მიკრულ გენერლის გინებას ზემოდან უხამს სიტყვებს აწერდა.

მთავრობის მიერ გამოცხადებულმა ომმა ვერ შეაშინა. ოფიციალურ წრეებში თავისი ხალხი ჰყავდა, რომლებმაც აცნობეს, რომ ერთ-ერთი ეროვნული დღესასწაულის დროს პლასა მაიორზე კოცონს ააგიზგიზებდნენ, რათა მასხარის ტანსაცმელში გამოწყობილი გენერლის ფიგურა დაეწვათ. მანუელამ თავის მონებთანად გაარღვია ჯარისკაცთა კორდონი და ცხენის ფლოკეებით გათელა იქაურობა. იმ დღეს თვით ალკალდმა დააპირა მისი დაპატიმრება და ჯარისკაცთა პიკეტი გაუგზავნა სახლში, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებული მანუელა ჯარისკაცებს ორი დატენილი დამბაჩით შეეგება. მამინ ორივე მხარის

მეგობრები ჩაერივნენ საქმეში და თავიდან აიცილეს უბედური შემთხვევა.

მანუელა მხოლოდ ურდანეტას გამარჯვების შემდეგ დამშვიდდა. იგი ნამდვილ მეგობრად მიაჩნდა და ამიტომ მის ყველაზე ერთგულ თანამოაზრედ იქცა. თავის დროზე, როცა გენერალი პერუში იბრძოდა, სანტა ფეში მარტო დარჩენილ მანუელას უსაფრთხოებაზე სწორედ ურდანეტა ზრუნავდა. როცა გენერალმა კონგრესს თავისი ავადსახსენებელი განცხადება წარუდგინა, სწორედ მანუელამ მიაწვრინა ურდანეტასთვის: „სულითა და გულით მსურს შერიგება და ჩვენი ძველი მეგობრობის აღდგენა“. ურდანეტამ მიიღო ნაბოძები წყალობა. სამხედრო გადატრიალების შემდეგ მანუელამ სიკეთეზე სიკეთით უპასუხა. პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა და ისე უგზო-უკვლოდ გაქრა, რომ ოქტომბრის დასაწყისში ჭორიც კი გაერცელდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრაო, რაც ყველამ დაიჯერა. ასე რომ, ხოსე პალასიოსი არ მოტყუებულა, როცა თქვა, მანუელა კარგად იქნებაო, რადგან მის შესახებ არაფერი იცოდნენ.

წვიმითა და მოგონებებით გატანჯულმა გენერალმა, რომელმაც უკვე თვითონ არ იცოდა, ვის, რას ან რისთვის უცდიდა, ერთ ღამეს იტირა. სლუკუნის ხმა რომ მოესმა, ხოსე პალასიოსს მდინარეზე აყვანილი მაწანწალა ძაღლი ეგონა, მაგრამ მისი ბატონი აღმოჩნდა. ხოსე პალასიოსი დაიბნა, რადგან მრავალწლიანი, ერთგული სამსახურის მანძილზე ერთადერთხელ ნახა მტირალი გენერალი, ისიც ტანჯვის კი არა, სიბრაზის გამო. კაპიტან იბარას დაუძახა, რომელიც დერეფანში მორიგეობდა და ერთად მიაყურადეს გენერლის სლუკუნს.

„ეს უშველის“, თქვა იბარამ.

„ყველას გვიშველის“, უპასუხა ხოსე პალასიოსმა.

გენერალს ჩვეულებრივზე დიდხანს ეძინა. დილით ვერც მეზობელი ბაღის ჩიტებმა გაადვიძეს, ვერც ეკლესიის ზა-

რების ხმამ, ხოსე პალასიოსმა რამდენჯერმე შეამოწმა, სუნთქავს თუ არაო, თვალი რომ გაახილა, რვა საათზე მეტი იყო და მცხუნვარე დღე ძალებს იკრებდა. „შაბათია, 16 ოქტომბერი, წმინდა მარგარიტა მარია ალაკოკეს დღე“, მოახსენა ხოსე პალასიოსმა.

გენერალი წამოდგა და ფანჯრიდან გახედა დამტვერილ, უკაცრიელ მოედანს, კედლებგამოხრულ ეკლესიას და ძაღლის ლეშზე მოტრიალე სვავეებს. მზის პირველი სხივები ცხელ დღეს მოასწავებდნენ.

„წავიდეთ, გაფრინდეთ აქედან“, თქვა გენერალმა, „არ მინდა დახვერტისას სროლის ხმა გავიგო“.

ხოსე პალასიოსი შეკრთა. ეს წამები სხვა ადვილსა და სხვა დროს ეკუთვნოდა. გენერალი მაშინდელივით გამოიყურებოდა, ფეხშიშველი იდგა აკურის უხემ იატაკზე გრძელი ნიფხვისა და ღამის ჩაჩის ამარა. ეს ყველაფერი რეალობაში განმეორებული ძველი სიზმარი იყო.

„ვერ გაიგებთ“, თქვა ხოსე პალასიოსმა და განზრახ სიზუსტით დააყოლა: „გენერალი ჰიარი ანგოსტურაში დახვერტეს დღევანდელი დღის 5 საათზე კი არა, ცამეტი წლის წინათ“.

გენერალი მანუელ ჰიარი კურასაოელი, 35 წლის უხეში მულატი იყო, ყველაზე სახელმძოვებელი პარტიოტული მილიციის წევრთაგან. სწორედ მან უგულუბელყო გენერლის ავტორიტეტი, როცა განმათავისუფლებელ არმიას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ძალების გაერთიანება მორილიოს შემართების აღსაკვეთად. ჰიარი ზანგებსა და მულატებს, ქვეყნის სხვა უფარვის მოსახლეობასთან ერთად, კარაკასის თეთრი არისტოკრატების წინააღმდეგ განაწყობდა, რომელსაც გენერალი წარმოადგენდა. მისი პოპულარობა და მესიანული შარავანდელი მხოლოდ ხოსე ანტონიო პაესის ან ბოლივარისას თუ შეედრებოდა. რეალისტი ვახლდათ და განმანათავისუფლებელი არმიის რამდენიმე თეთრკანიანი ოფიცერიც კი გადაიბირა. გენე-



რალმა ჯერ სიტყვით სცადა პიარის გადარწმუნება, მაგრამ ამაოდ. მაშინ მისი ბრძანებით დაპატიმრებული პიარი ანვოსტურაში გადაიყვანეს, სადაც გენერალს ყველაზე ერთგული ოფიცრები ეგულებოდა. რამდენიმე მათგანი მდინარე მაგდალენაზე უკანასკნელ მოგზაურობაშიც ახლდა თან. პიარის მეგობრებისგან შედგენილმა სამხედრო საბჭომ დამნაშავეე გაასამართლა. ხოსე მარია კარენიო ბრალმდებელი იყო. მის სიტყვებში სიტყვის ნატამალიც არ ერია, როცა პიარი ესპანელთა წინააღმდეგ ყველაზე სახელმოხვეჭილ მებრძოლთა შორის მოიხსენია. ამის მიუხედავად, გენერალ პიარს ბრალი დასდეს ღებერთირობაში, ღალატსა და აჯანყების მცდელობაში და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სამხედრო ტიტულების ჩამორთმევით. მისი დამსახურების გათვალისწინებით, არავის ეგონა, რომ გენერალი განაჩენზე ხელს მოაწერდა, განსაკუთრებით — იმ მძიმე დღეებში, როცა მორილიომ რამდენიმე პროვინცია დაიბრუნა, პატრიოტთა მორალი კი ისე დაეცა, რომ მასობრივი ღებერთირობა იყო მოსალოდნელი. გენერალმა ყველა ზეწოლას გაუძლო, მთომინებით მოიხმინა თავისი საუკეთესო მეგობრების უამღვომლობა, რომელთა შორის ბრისენიო მენდესიც ერია, მაგრამ განაჩენი არ შეუცვლია. თუმცა გადაწყვეტა პიარისთვის სამხედრო ტიტულები შეენარჩუნებინა, დახვეტა კი სახალხო სანახობად უნდა ქცეულიყო. იმ დაუსრულებლად გაჭიმულ დამეს ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. 16 ოქტომბერს, დღის ხუთ საათზე, ანვოსტურაში, რომელიც ექვსი თვის წინათ თვით პიარმა გამოვლიჯა ესპანელებს, პლასა მაიორზე განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. ოფიცრმა, რომელიც დასჯას ხელმძღვანელობდა, ჯერ სვაებისგან დაგლეჯილი ძაღლის ლეშის ნარჩენების აკრეფა ბრძანა, შემდეგ მოედნის მისაღვომები ჩაკეტა, რათა უპატრონო ცხოველებს არ შეერყვნათ დასჯის დიდებული ცერემონიალი. უარი უთხრა

პიარს უკანასკნელ თხოვნაზე: თვითონ გაეცა სროლის ბრძანება, ძალით აუხვია თვალები, მაგრამ ვერ შეძლო ხელის შეშლა, როცა სიკვდილიმისჯილი პირველის წერითა და ჰაეროვანი კოცნით გამოეთხოვა ქვეყნიერებასა და დროშას.

გენერალი დასჯას არ დასწრებია. იმ წუთებში მასთან სახლში მხოლოდ ხოსე პალასიოსი იმყოფებოდა და ხედავდა, როგორ იკავებდა ცრემლებს მისი პატრონი სროლის გაგონების შემდეგ. მთორე დღეს კი ასე მიმართა ჯარისკაცებს: „გუშინ დიდი გულისტკივილი განვიცადა“. მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე იმეორებდა, რომ ეს აქცია პოლიტიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომელმაც ქვეყანა გადაარჩინა, მეამბოხეები დააშოშმინა და სამოქალაქო ომის საფრთხე მოსპო. ყოველ შემთხვევაში, ეს მის მიერ გადადგმული ყველაზე სასტიკი, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე დროული ნაბიჯი იყო, რომლის წყალობითაც ავტორიტეტი განიმტკიცა, მმართველობის სადავეები მტკიცედ აიღო ხელში და დიდებისაკენ მიმავალი გზა გაიკაფა.

ცამეტი წლის შემდეგ, სოლედადში ვერც კი მიხვდა, რომ დრო აერია. მოედნისთვის თვალი არ მოუცილებია, სანამ ძონძებში გახვეულმა წყლის გამყიდველმა ქალმა ჩაიარა ქოქოსის კაკლებით დატვირთული ჯორით და სვაეები დააფრთხო. მაშინ შვებით ამოისუნთქა, ჰამაკთან დაბრუნდა და ისე, რომ არავის უკითხავს, პასუხი ვაცა ხოსე პალასიოსს შეკითხვაზე, რომელიც მსახურს ანვოსტურის ტრაგიკული დამის შემდეგ აწუხებდა:

„ახლაც ასე ვიზამდი“, თქვა.

ყველაზე მეტად სიარული უჭირდა, წაქცევის შიშით კი არა, უბრალოდ — აშკარად ეტყობოდა, რად უჯდებოდა ყოველი ნაბიჯი. კიბეზე ასვლა-ჩამოსვლის დროს ბუნებრივი იყო, ვინმე მი-

ხმარებოდა, მაშინაც კი, როცა ამას არ საჭიროებდა, მაგრამ როცა ნამდვილად დასჭირდა დახმარების ხელი, უარი თქვა. „გმადლობთ“, განაცხადა, „მაგრამ ჯერ კიდევ შემძლია“.

ერთ დღეს ველარ შეძლო და მარტო რომ ჩამოდიოდა კიბეზე, გონება დაკარგა. „ჩემივე ფეხებიდან ჩამოვვარდი ნახევრად მკვდარი, წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ“, უყვებოდა მოგვიანებით მეგობრებს. სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. გული კიბის თავში წაუვიდა და მხოლოდ სხეულის სიმსუბუქის გამო არ ჩაგორდა საფეხურებზე.

ექიმმა გასტელობილმა გენერალი სასწრაფოდ გადაიყვანა სან ნიკოლასში დონ ბარტულომეო მოლინარესის ეტლით, რომელიც მის სახლში იდგა წინა მოგზაურობის შემდეგ. გენერალი მისივე სახლში მოათავსეს უკვე ნაცნობ, ფართო და კარგად განათავსებულ საწოლთან. გზაში მარცხენა თვალიდან ბლანტი სითხე წამოუვიდა და შეაწუხა. გათიშულივით მგზავრობდა, ზოგჯერ ეკონათ, ლოცულობსო, სინამდვილეში კი ციტატებს დუდუნებდა საყვარელი პოემებიდან. ექიმი საკუთარი ცხვირსახოცით უწმენდა თვალს და უკვირდა, ასეთ ყურადღებას რომ აქცევს თავის სისუფთავეს, რატომ თვითონაც არ მეხმარებო. გენერალი მხოლოდ ქალაქის შესასვლელთან გამოერკვა, როცა უპატრონოდ გაშვებული ძროხები ეტლს წამოედვნენ და გადააბრუნეს. გენერალმა ყირა გაჭიმა და მაშინვე წამოხტა თავიდან ფეხებამდე ქვიშაში ამოვანგლული და ხელეგასისხლიანებული. სტრესმა რომ გაუარა, გრენადერებმა ძლივს გაიკვლიეს გზა უსაქმურ ბროხა და ცნობისმოყვარე, ტიტლიკანა ბავშვებში, რომლებიც სეირის საყურებლად შექუჩნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, ვინ იყო ჩაბნელებულ ეტლში მჯდარი, მკვდარივით გაფითრებული მგზავრი.

ექიმმა გენერალს მღვდელი წარუდგინა. აღმოჩნდა, რომ ის ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან სასულიერო

პირთა შორის, რომლებიც გენერალს ემხრობოდნენ მაშინაც კი, როცა ეპისკოპოსებმა მის წინააღმდეგ გაილაშქრეს და ეკლესიისგან მოკვეთეს, როგორც აღვირახსნილი მასონი.

გენერალს თითქოს არც ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, მღვდლის ანაფორაზე სისხლის ლაქები რომ შენიშნა. მღვდელმა სთხოვა, თავისი ავტორიტეტი გამოეყენებინა და აეკრძალა ძროხების სეირნობა ქალაქში, რადგანაც მათ გამო ტრანსპორტის მოძრაობა ჭირდა.

„სიცოცხლეს ნუ გაიმწარებთ, თქვენი კეთილშობილება“, მისთვის არც შეუხედავს გენერალს, „მთელი ქვეყანა ასეთ დღეშია“.

თერთმეტი საათის მზე უძრავად დაყურებდა ფართო, ქვიშარა და უკაცრიელ ქუჩებს. მთელი ქალაქი სიცხით სუნთქავდა. გენერალს გაუზარდა, რომ აქ მხოლოდ გამოკეთებამდე უნდა დარჩენილიყო და ერთ დღეს, ცულ ამინდში უნდა გასულიყო ზღვაში, რადგან, ფრანგული სახელმძღვანელოს თანახმად, ღელვით გამოწვეული გულისრევა კუჭს ასუფთავებდა და ნაღვლის ბუშტს რგებდა.

დაუძლურებული სხეულის გადაკიდვ, გენერალს პოლიტიკური და სოციალური აქტიურობის თავი აღარ ჰქონდა და მხოლოდ ათასში ერთხელ იღებდა ქალაქში მასთან გამოსამშვიდობებლად ჩასულ ახლო მეგობრებს. ხალვათი და ნოემბრის პირობაზე საკმაოდ გრილი სახლი! მისმა პატრონებმა გენერლის ხათრით ოჯახურ ღაზარეთად აქციეს. დონ ბარტოლომეო მოლინარესი სხვებივით გაკოტრდა ომის დროს და ბოლო ათი წლის მანძილზე უხელფასოდ მუშაობდა ფოსტის ადმინისტრატორად. ისეთი ღირსეული ადამიანი იყო, რომ გენერალი წინა მოგზაურობის შემდეგ პაპს ეძახდა. მისი მეუღლე, წარმოსადევგი, მატრიარქატული ბუნების ქალი მაქმანებს ქსოვდა და ევროპულ გემებზე

1 იქ, სადაც ბოლივარი იმყოფებოდა, ნოემბერში აუტანლად ცხელა.



ჰყიდა, მაგრამ გენერლის ჩამოსვლის შემდეგ მთელი დრო მას დაუთმო. ის კი არა, კამათიც კი მოუვიდა ფერნანდა ბარიგასთან, რადგან ლობიოს ზეთუნის ზეთი დაამატა, დარწმუნებულმა, მკერდში ტკივილებს მოუხსნისო. კერძი გენერალმა ზრდილობის გამო ძლივს შეჭამა.

იმ დღეებში ბოლივარს ყველაზე მეტად გაღიზიანებული საცრემლე ჯირკვალი აწუხებდა და გუნებაშემამული დადიოდა, სანამ ვაშლის ნაყენის წვეთებით დაიცხრო თვალი. ამის შემდეგ ბანქოს თამაშში ჩაება, რითაც ოფიცრების საღამოს ეფემერულ საათებს კლავდნენ და კოლოებს აფრთხობდნენ. ერთხელ, ნახევრად ზუმრობით, სახლის პატრონთან კამათში სინანულის გრძობა დაეფულა და განაცხადა, რომ ათას მოგებულ ომს ერთი კარგი შეთანხმება სჯობდა.

„პოლიტიკაშიც?“ ჰკითხა სენიორ მოლინარესმა.

„განსაკუთრებით პოლიტიკაში“, უბასუხა გენერალმა, „სანტანდერთან საერთო ენა რომ ვერ გამოვნახეთ, იმიტომ ვართ ასეთ დღეში“.

„სანამ არსებობენ მეგობრები, იმედიც არსებობს“, თქვა მოლინარესმა.

„პირიკით“, არ შეეპუა გენერალი, „ჩემი დიდება მტრების ღალატით კი არა, მეგობრების მონდომებით დაკარგე. სწორედ მათ მაიმულეს ოკანაის ხელშეკრულების დადება, მათ შთამბგონეს მონარქიის იდეა, მათ დამამყარებინეს ურთიერთობები, რაზეც შემდეგ თვითონ მათქმევინეს უარი, ახლა კი გამომამწყვდიეს ქვეყანაში, სადაც აღარაფერი დამრჩენია“.

გადაუღებელმა წვიმამ და ნესტმა მოგონებებიც გადაბანა. ისეთი ჩახუთული დამეები იდგა, რომ გენერალი რამდენჯერმე იცვლიდა გაოფლიანებულ პერანგს. თავი ვახურებულ აბანოში მგონიაო, ჩიოდა. ერთ საღამოს სამი საათი იჯდა აივანზე და უყურებდა, როგორ მოჰქონდა ნიაღვარს ღარიბთა უბნებიდან წამოხვეტილი ნაგავი, ჭურჭლის

ნამსხვრევები და დამხრჩვალნი ცხოველები. წყალდიდობა სახლებსაც წალეკვით ემუქრებოდა.

შუა წვიმაში ქალაქის პრეფექტი, კომენდანტი ზუან გლენი მოვიდა და განაცხადა, სენიორ ვისბალის მოსამსახურე ქალი დაეაპატიმროდ, რომელიც წმინდარელიკივებდა ჰყიდა სოფელადმი გენერლის შეჭრილ თმას. ბოლივარმა კიდევ ერთხელ აღნიშნა გულისტკივილით, რომ სულ ძალე დროებითი სარფიანი ვაჭრობის საგნად იქცეოდა.

„უკვე მკვდარსავით მექცევიან“, თქვა. სენიორა მოლინარესმა სარწეველა საერძელი მაგიდასთან მიაჩინა, რომ სიტყვა არ გამოჩნენოდა.

„წმინდანივით გექცევიან, რაც სინამდვილეში ხართ კიდევ“, უთხრა.

გენერალს აღარაფერი წაუკითხავს. აუცილებელი წერილების წერას ფერნანდოს ავალებდა და ხელმოწერის წინაც არ კითხულობდა. დილაობით აიგნიდან აკვირდებოდა უკაცრიელ, ქვიშნარ ქუჩებს, წყლის საპალნეაკიდებულ ჯორებს, მზეზე გამომშრალი თევზის გამყიდველ ბედნიერ და თავზედ ზანგქალს, დაკემილ ანაფორიან მღვდელს, სიცხით გათანგული, შუადღის პირველ საათზე, სანამ დანარჩენებს სიესტაზე ეძინათ ეკლესიის კარიდან რომ ქადაგებდა. გენერალი დამყავებული წყლით სავსე არხებს მიუყვებოდა და თავისი ჩრდილით აფრთხობდა ბაზრის თავზე გუნდ-გუნდად მორიალე სეავეებს. აქაიქ გამვლელებს ესალმებოდა, რომლებიც ძლივს სცნობდნენ სასამოქალაქო ტანსცემელში გამოწყობილ, მომაკვდავ კაცს. სამდინარო ნავსადგურთან ქოხებში მოთავსებულ ყაზარმაში ჩერდებოდა და უსაქმურობით დაოსებული არმიის მორალის ამადლებას ცდილობდა. თვითონაც გრძნობდა, რა უწესრიგობა და სიმყრალე გამეფებულიყო ყაზარმაში, მაგრამ ერთ დღეს სიცხით გამოთავყვანებულმა რომელიდაც სერჟანტმა, რომელსაც ალბათ თვითონ არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა, სიმართლე მიახალა: „მორალი არაფერ შუაშია, თქვენო

ბრწყინვალეაუ“, უთხრა, „გონერეამ მოგვილო ბოლო“.

გენერალმა მხოლოდ მაშინ გაიგო სინართლე. ადგილობრივ ექიმებს ამაოდ უცდიათ ავადმყოფებზე პერმანგანატის გამოირეცხვითა და შაქრიანი რძით მკურნალობა და პრობლემა სამხედრო ხელმძღვანელობისთვის გადაუბარებიათ. ისინი კი ერთმანეთშიც ვერ შეთანხმებულან, რა უნდა ექნათ. საფრთხის შესახებ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა და სახელოვან რესპუბლიკურ არმიას ჭირიანივით გაუბრძოდნენ. მოსალოდნელზე ნაკლებად შემოფოთებულმა გენერალმა მკაცრი კარანტინის შემოღება ბრძანა.

როცა არც ცუდი, არც კარგი ცნობები მოდიოდა, გენერალს უიმედობა ეუფლებოდა. ერთ დღეს, სანტა მარტაიან ჩამოსულმა ცხენოსანმა გენერალს ბუნდოვანი შინაარსის ბარათი მიუტანა: „კაცი უკვე ჩვეინა და საქმეს კარგი პირი უჩანს“. გენერალმა ვერაფერი გაიგო და ეს შეტყობინება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ ჩათვალა. შეიძლება რიოჩანს ბრძოლებსაც დაუკავშირა, რომელსაც, ყველას გასაოცრად, ისტორიულ პრიორიტეტს ანიჭებდა.

იმხანად, უსაფრთხოების მიზნით, ჩვეულებრივ ამაოდ ითვლებოდა სამხედრო მიმოწერის განზრახ გაბუნდოვნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაზარმაცებულმა მთავრობამ დასიფრულო წერილები აკრძალა, ასე რომ გამოადგათ ესპანელთა წინააღმდეგ კონსპირაციულ ბრძოლაში. გენერალი კარგა ხანი იყო ეჭვობდა, რომ სამხედროები ატყუებდნენ, ამ აზრს მონტილიაც იზიარებდა, ამიტომაც უფრო გაუმძაფრდა წერილის შინაარსის ვაგების სურვილი. მაშინ ხოსე პალასიოსი ვაგზავნა სანტა მარტაში, ვითომდა ახალი ხილის, ბოსტნეულის, მშრალი ხერეისა და თეთრი ღუდის საშოვნელად, რაც ადგილობრივ ბაზარში არ იყიდებოდა, სინამდვილეში კი საიდუმლოს ამოხსნა დაავალა. ყველაფერი მეტად მარტივი აღმოჩნდა: მონტილიას იმის თქმა სურ-

და, რომ ლინდა ლინდესის ქმარი, ონდას ციხიდან კარტახენაში გადაეყვანათ და რამდენიმე დღეში შეიწყალბდნენ კიდევ. გენერალი ისე გააცოფა გაუფასურებულმა საიდუმლომ, რომ არც კი ვახარებია, იამაიკელ მხსნელს სამაგიერო რომ გადაუხადა.

ნოემბრის დასაწყისში სანტა მარტას ეპისკოპოსმა საკუთარი ხელით მიწერილი ბარათით აცნობა, რომ სწორედ მისმა ჩარევამ დაამოშშინა მეზობელი დასახლება სიენაგას მცხოვრებლები, რომლებიც გასულ კვირას აჯანყებას აპირებდნენ რიოჩანს მხარდასაჭერად. გენერალმა საკუთარი ხელითვე მიწერილი წერილით გადაუხადა მადლობა და მონტილიასაც იგივეს გაკეთება სთხოვა, თუმცა ძალიან არ მოეწონა ტონი, რითაც ეპისკოპოსი ვალის მოხდის შესახებ ამცნობდა.

მონსენიორ ესტევესთან თბილი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მონსეტერს შეფარებულ სასულიერო პირში თავადაკლული, თუმცა არცთუ გამჭრიახი პოლიტიკოსი იმალებოდა, რომელიც გულის სიდრმეში ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკას, კონტინენტის ინტეგრაციას და გენერლის სხვა პოლიტიკურ ოცნებებს. კონგრესზე გენერალი მიხვდა, რომ ეპისკოპოსი ცდილობდა რაღაც უნდა დაჯდომოდა, ხელი შეეშალა ქვეყნის სათავეში სუკრეს მოსვლისთვის, რის გამოც აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მათი ურთიერთობა არც მაშინ გაუმჯობესებულა, როცა ერთდ ცდილობდნენ ვენსუელასთან კონფლიქტის მოგვარებას. ცოლ-ქმარი მოლინარესები, რომლებმაც ყველაფერი იცოდნენ ამ განხეთქილების შესახებ, არ გაოცებულან, როცა სამხარზე გენერალმა თავის მორიგი წინასწარმეტყველური ფრაზა წარმოთქვა:

„რა ეშველება ჩვენს შვილებს ქვეყანაში, სადაც რევოლუციები ეპისკოპოსის ჩარევით მთავრდება?“

სენიორა მოლინარესი საყვედურნარევი ტონით შევასუხა:

„ამის გაგონებაც არ მსურს, თუნდაც

თქვენი ბრწყინვალეობა მართალი იყო, რადგან უძველესი კათოლიკეები ვართ“.

გენერალმა გამოხატა სიკვდილი:

„ეჭვი არ მეპარება, რომ ეპისკოპოსზე მეტი კათოლიკეები ხართ, რადგან მან ღმერთის სიყვარულის გამო კი არ დაამარა მშვიდობა სიენაგაში, არამედ იმით, რომ მრევლი არ დაეკარგა კარტახენასთან ბრძოლაში“.

„ჩვენც კარტახენას ტირანიის წინააღმდეგი ვართ“, აღნიშნა სენიორ მოლინარესმა.

„ვიცი“, უპასუხა გენერალმა, „ყოველი კოლუმბიელი დამოუკიდებელი, მტრული სახელმწიფოა“.

ჯერ კიდევ სოლელადიდან გენერალმა სთხოვა მონტილიას, მეზობელ პორტ საბანილიაში მსუბუქი გემი გაეგზავნა, რათა დელეგატი გასულიყო ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ. მონტილიამ კარგა ხანს ვერ შეუსრულა თხოვნა, რადგან კომანდორ ელბესის პარტინიორი რესპუბლიკელი ესპანელი დონ ზოაკინ დე მიერი ორთქლის გემის გაგზავნას შეჰპირდა, რომელიც მდინარე მაგდალენაზე შეკვეთით დატურავდა. რადგან ეს არ მოხერხდა, მონტილიამ ნოემბრის შუა რიცხვებში გენერალს ინგლისური სავაჭრო გემი გაუგზავნა, რომელიც გაუფრთხილებლად შევიდა სანტა მარტაში. ეს რომ გაიგო, გენერალმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და ქვეყანას დატოვებდა. უცებ, შემფოთებულმა წარმოიღვინა, როგორ იჯდა კამილა ყვავილებით მორთულ აივანზე ზღვის პირას აშენებულ სახლში და პორიზონტს მისჩერებოდა.

„იამაიკაში ვუყვარვართ“, ამოიხრა.

ხოცე პალასიოსს ბარგის ჩალაგება დაავალა, თვითონ კი გვიან ღამემდე ცდილობდა აუცილებლად წასაღები ქაღალდების შეგროვებას. ამ საქმიანობამ ისე დაღალა, რომ სამი საათი ეძინა. გამთენიისას, თვალები რომ გაახილა, მხოლოდ ხოსე პალასიოსის მისაღმების შემდეგ მიხვდა, სად იმყოფებოდა.

„ღამესიზმრა, თითქოს სანტა მარტაში ვიყავი“, თქვა, „ძალიან სუფთა ქა-

ლაქი იყო. თეთრი, ერთნაირი სახლები იდგა, მაგრამ ზღვას მთა ეფარებოდა“.

„მაშინ სანტა მარტა კი არა, კარაკასი ყოფილა“, შეეპასუხა ხოსე პალასიოსი, რომელმაც თავისებურად ახსნა სიზმარი. ესე იგი, იამაიკაში წასვლა არ ეწერათ.

ფერნანდო დილიდან პორტში გაგზავნეს გამგზავრების წვრილმანების მოსაგვარებლად. შინ დაბრუნებულმა ნახა, როგორ კარნახობდა ბიძამისი უილსონს ურდანეტასთან გასაგზავნად წერილს, სადაც გენერალი ახალ პასპორტს ითხოვდა გასამგზავრებლად, იმ მოტივით, რომ გადაყენებული მთავრობის მიერ გაცემულ საბუთს ძალა ჰქონდა დაკარგული. ამიტომ გადადო გამგზავრება.

მაგრამ ყველამ დაასკვნა, რომ ნამდვილი მიზეზი რიოჩანდან იმ დილით მიღებული, წინანდელზე უარესი ცნობები იყო. სამშობლო თვალსა და ხელს შუა ქუცმაცდებოდა ორ ოკეანეს შორის, მის ნანგრევებზე კი სამოქალაქო ომის აჩრდილი წვებოდა. „ნებისმიერი მსხვერპლი უნდა გავიღოთ რიოჩანს გადასარჩენად“, ამბობდა გენერალი. პაციენტის უკურნებელ სენზე მეტად მისი მშფოთვარებით შეწუხებული ექიმი გასტელბონდო ერთადერთი კაცი იყო, რომელიც ისე ახერხებდა სიმართლის თქმას, რომ გენერლისათვის გული არ ეტკინა.

„ქვეყანა თავზე გვეწვრება და თქვენ რიოჩანზე ფიქრობთ“, უთხრა, „ასეთ პატივზე არც გვიოცნებია“.

„ქვეყნის ბედი სწორედ რიოჩანზეა დამოკიდებული“, არ დააყოვნა პასუხმა.

მართლა ასე სწამდა და მოუთმენლობას ვერ მალავდა, რადგან მარაკაიბოს ალების დღე კარს მოსდგომოდათ, გამარჯვება კი ისე შორის იყო, როგორც არასდროს. ტოპაზისფერ სადამოებოიანი დეკემბრის მოახლოებასთან ერთად მართო რიოჩანს კი არა, მთელი სანაპიროს დაკარგვის საშიშროება წარმოიშვა. შეიძლებოდა ვენესუელაც აჯანყებულიყო და მაშინ საბოლოოდ დასამარდებოდა გენერლის ოცნება.

ერთი კვირის წინ ამინდი შეიცვალა. გადაუღებელი წვიმები შეწყდა და მო-

სარკალებული ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. გენერალი ყურადღებას არ აქცევდა ბუნების სასწაულს, ჰამაკში თუ არ იწყოდა, ბანქოს თამაშობდა და თავის ბედზე ნაკლებად წუხდა. ერთხელ, მისაღებ ოთახში რომ თამაშობდნენ, ზღვიდან წამოქროლილმა ქარმა ბანქოს ქაღალდი ააფრიალა და ფანჯრის საკეტები დახსნა. სენიორა მოლინარესმა სასწაულმოქმედი სეზონის დადგომა იგრძნო და წამოიყვირა: „დეკემბერი მოვიდა!“

უილსონმა და ხოსე ლაურენსიო სილვამ ფანჯრები ჩაკეტეს, რათა ქარს მთელი სახლი არ წაეღო. გენერალი კი ისევ თავისას ფიქრობდა. „უკვე დეკემბერია, ჩვენ კი ისევ აქ ვართ“, თქვა. „მართალს ამბობენ: ცუდი სერჟანტების ყოლა სჯობს გამოუსადეგარ გენერლებს“.

თამაში გააგრძელა, მაგრამ შუა პარტიაში ქაღალდი გვერდზე გადადო და ხოსე ლაურენსიო სილვას უბრძანა, გასამგზავრებლად მომზადებულიყო. პოლკონიკი უილსონი, რომელმაც წინა დღეს მეორედ ჩამოზიდა გემიდან ბარგი, გაოგნდა.

„გემი წავიდა“, თქვა.

გენერალმა იცოდა.

„ის ცუდი გემი იყო“, აღნიშნა, რიოანაში უნდა წავიდეთ და ვნახოთ, იქნებ ჩვენმა სახელოვანმა გენერლებმა ბოლოს და ბოლოს ინებონ გამარჯვება“.

მაგიდიდან ადგომამდე ჩათვალა, რომ სახლის პატრონთა წინაშე უნდა ეპართლებინა თავი.

„ეს უკვე ომის საჭიროება კი არა, ღირსების საკითხია“, თქვა.

ამგვარად, პირველ დეკემბერს, დილის 8 საათზე, ბრიგ „მანუელზე“ ავიდა, რომელიც სენიორ ხოაკინ დე მიერმა გამოუგზავნა, რათა ნებისმიერ საქმეში გამოეყენებინა — ნაღვლის ბუშტის საკმურნალოდ თუ სან პედრო ალესანდრინოს შაქრის პლანტაციებში გასამგზავრებლად, სადაც შეეძლო მრავალრიცხოვანი სნეულეზიანი მოეშუშებინა, ან რიოანას მისდგომოდა და კიდევ

ერთხელ ეცადა მისი განთავისუფლება. გენერალმა მარიანო მონტილიამ, რომელიც გენერალ ხოსე მარია კარენისთან ერთად ჩამოვიდა ბრიგით, იმასაც მიაღწია, რომ „მანუელს“ აშშ-ს ფრეგატა „გრამპური“ გაჰყოლოდა, რომლის ქიზზე კარგი შეიარაღების გარდა შესანიშნავი ქირურგი, ექიმი ნათი იმყოფებოდა. მაგრამ როცა მონტილიამ გენერლის სავალალო მდგომარეობა იხილა, ნათის გამოცდილებას არ დასჯერდა და ადგილობრივ ექიმსაც მიმართა.

„ჩემი აზრით, მოგზაურობას ვერ გადაიტანს“, თქვა ექიმმა გასტეგბონდომ, „მაგრამ უნდა წავიდეს. ასე ცხოვრებას ყველაფერი სჯობს“.

სიენავა გრანდეს მღორე და ცხელი წყალი ისე ყარდა, რომ პირდაპირ ღია ზღვაში გავიდნენ ჩრდილოეთის ქარით წაქეზებულები, რომელმაც იმ წელიწადს მოსალოდნელზე ადრე დაუბერა. კუბოკრულიაღქნებიანი ბრიგე კარგად იყო მოვლილი. გენერლისთვის უკვე გაემზადებინათ სუფრა და მყუდრო კაიუტა, რაც მგზავრობას უფრო გაუიოლებდა.

გენერალი კარგ ხასიათზე დადგა და გემბანზე დარჩენა მოინდომა მდინარე მაგდალენას შესართავის სანახავად, რომლის შლამი ზღვის წყალსაც ფერფლი-სფერს აძლევდა რამდენიმე ლიეზეც კი. გენერალს ველეეტის ძველი შარვალი, ანდალუსიური ქუდი და ფრეგატის კაპიტნის ნაჩუქარი, ინგლისური არმადის ოფიცრის მუნდირი ემოსა და მშვენიერად გამოიყურებოდა მზის სხივებსა და ანც ნიაჭში. მის პატივსაცემად ეკიბაჟის წევრებმა გიგანტური ვეშაპი დაიჭირეს, რომლის მუცელში, სხვა წვრილმანებთან ერთად, მხედრის დეზები იპოვეს. გენერალი ტურისტის აღტაცებით უყურებდა ყველაფერს, სანამ მის სხეულსა და სულში დაღლილობამ დაისადგურა. მაშინ ხოსე პალასიოსი მოიხშო და ყურში ჩასჩურჩულა:

„ახლა ალბათ ჰაბი მოლინარესი ჩემს ქვეშავეს წვაკს და ჭურჭელს მიწაში მარხავს“.

შუადღისას სიენაგა გრანდეს ჩაუარეს, რომლის მღვრიე წყალში ყველა ჯურის ფრინველი ეცილებოდა ერთმანეთს ოქროსფერ თევზებს. ჭაობსა და ზღვას შორის ცხელი, გვარჯილანარევი უდაბნო გადაჭიმულიყო. პაერი სუფთა და გამჭვირვალე იყო, მეთევზეთა სოფლებში, პატიოებში ბადეები გაეფინათ გასაშრობად, სიღრმეში კი იდუმალი დასახლება — ლა სიენაგა გადაშლილიყო, რომლის დღის მოჩვენებებმა ჰუმბოლდტის მოსწავლეებს მეცნიერებისადმი რწმენა შეუყვითეს. სიენაგა გრანდეს გაღმა სიერა ნევადას მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები ჩანდა.

აგრებგაშლილი, მხიარული ბრივი ფრენა-ფრენით მიიწვედა წინ. ისეთი მსუბუქი და საიმედო იყო, რომ გენერალს ნანატრი გულისრევის გრძნობა არ გასჩენია. მაგრამ ღია ზღვაში მთებიდან მონაბერი პირქარი წამოეწიათ და ტალღები წამოქოჩრა. გენერალი ამინდის ცვლილებას იმედით შეხვდა და მალე სამყარო იმ სისხლისმსმელი ფრინველებით დატრიალდა, მის თავზე რომ ხაზავდნენ წრებს. ცივმა ოფლმა პერანგი დაუსველა და თვალები ცრემლით აევსო. მონტილია და უილსონი მხრებში ამოუდგნენ. ისეთი მსუბუქი იყო, შეემინდათ, ტალღამ არ გადარეცხოს ზღვაში. საღამოს, სანტა მარტაში რომ შევიდნენ, გენერალს შიგნული ამობრუნებული ჰქონდა ღებინებით, და, ასრულებული ოცნებებით კმაყოფილი, მომაკვდავივით გაშოტილიყო კაპიტნის საწოლზე. გენერალი მონტილია ისე შეაშფოთა მისმა მდგომარეობამ, რომ მიწაზე გადასვლამდე ეჭიმ ნათის გაასინჯა, რომელმაც ბრძანა ხელში ატაცებული ჩაეყვანათ გემიდან.

გენერალს ყელში ჰქონდა ამოსული ოფიციალური ცერემონიალები. მაგრამ მხოლოდ ამით არ აიხსნებოდა მის დასახვედრად მოსული ხალხის სიმცირე. სანტა მარტა ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მოსათაფლი ქალაქი აღმოჩნდა ახალშეკოწიწებული რესპუბლიკის ფა-

რგლებში. ბოიაკას ბრძოლით მოპოვებულ დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის შემდეგ მეფისნაცვალმა სამართომ სწორედ აქაურობას შეაფარა თავი ესპანეთიდან დამხმარე ძალების მოლოდინში. ქალაქის განთავისუფლება რამდენჯერმე თავად გენერალმა სცადა, თუმცა ამ მიზანს მხოლოდ მონტილიამ მიაღწია რესპუბლიკის დაარსების შემდეგ. როიალისტების ბრახს აქაურთა ზიზლიც ემატებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ გათამამებული კარტახენას მიმართ. გენერალი კი, კარტახენელებისადმი დაუფარავად გამოხატული სიყვარულით, თავისდაუნებურად აღვივებდა ამ სიძულვილს. მაგრამ ყველაზე დიდი მიზეზი ადმირალ ხოსე პრუდენსიო პადილიას სიკვდილით დასჯა იყო, რომელიც, პიარის მსგავსად, მულატი გახლდათ, სანტამარტელთა ბრახი კიდევ უფრო გამძივრდა ურდუნეტას გამარჯვების შემდეგ, რადგან სწორედ ის ხელმძღვანელობდა სამხედრო საბჭოს, რომელმაც ადმირალს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ამიტომ არ რეკავდნენ ეკლესიის ზარები, თუმცა ამის მიზეზი ვერავინ ახსნა. არც მოროს ციხე-სიმაგრეიდან მიუციათ საპატიო ზაღბი, რადგან საწყობში ვიღაცამ ღენთი დაასველა. ხოლო ჯარისკაცებმა ძლივს მოასწრეს გენერლის ჩამოსვლამდე წაეშალათ ტაძრის კედელზე მიწერილი: „გაუმარჯოს ხოსე პრუდენსიოს“. მისი ჩამოსვლის გამოცხადებას თითქმის არანაირი რეაქცია არ გამოუწვევია. პორტში შეკრებილ მცირერიცხოვან დამხვედურთა შორის ყველაზე თვალშისაცემი ეპისკოპოს ესტრევის არყოფნა იყო.

ღონ ხოაკინ დე მიერს თავისი ზანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება ჩახუთულ ღამეში ზელით ჩამოყვანილი, შალის საბანში გახვეული და წარბეზამდე ორ ქუდნამოფხატული თოჯინა, ოდნავ რომ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი. ყველაზე მეტად მისი ცხელი ხელი და მხურვალე სუნთქვა დაამახსოვრდა, როცა გენერალმა თავი-

სი ფეხით გაიარა, რათა ადიუტანტების დახმარებით დამხვედურებს მისალმებოდა. ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი და სრული სახელითა და წოდებით მიმართა. შემდეგ ადიუტანტებმა ეტლში აიყვანეს. ის ძალაგამოცლილი მიესვენა საზურგეს და ანთებული თვალებით ფანჯრიდან გახედა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ეპიზოდებს.

კორტეჟმა პროსპექტი გადაკვეთა და გენერლის მოსასვენებლად გამზადებულ საბაჟოს ძველ შენობას მიაღწა. ოთხშაბათი იყო და რვა საათი ხდებოდა, მაგრამ ყურედან მონაბერი დეკემბრის ნიავის წყალობით შაბათი გვეგონებოდა. ფართო და ჭუჭყიან ქუჩებში მთელს ქვეყანაში ყველაზე კარგად შემონახული, ქვისკედლებიანი სახლები იდგა დაკიდული აივნებით. ხალხს სახლების წინ გამოეტანა სკამები ჩამოსახდომად, ზოგიერთი კი სტუმრებსაც შუა ქუჩაში იღებდა. ხეებს შორის გუნდ-გუნდად მოციაგე აციანათელები ლამპიონებში უკეთ ანათებდნენ ზღვისპირა პროსპექტს.

ძველი საბაჟო 299 წლის წინათ აშენებული და ახლად აღდგენილი უძველესი შენობა იყო. გენერალს მეორე სართულზე მოუშადეს საწოლი ოთახი ყურეზე გამავალი ფანჯრებით. მაგრამ იგი დროის უმეტეს ნაწილს დარბაზში ატარებდა ერთადერთ ოთახში, სადაც ჰამაკის ჩამოსაკიდებელი რგოლები იყო შემორჩენილი. იქვე იდგა დამუშავებული კაობას მაგიდა, რომელზეც თექვსმეტი დღის შემდეგ ჩახუთულ ოთახში გენერლის დაბალზამებულ ცხედარს დაასვენებდნენ, მისი ღირსების შესაფერის ცისფერ მუნდირში გამოწყობილს. მუნდირის რვა ოქროს ღილს ვიდაცა ააგლევჯდა არეულობაში.

მხოლოდ მას არ სჯეროდა დასასრულის მოახლოება. სამაგიეროდ, მონტილიას მიერ სასწრაფოდ გამოძახებულ ფრანგ ექიმს ალექსანდრ პროსპერ რევერენდს მაჯის გასინჯვაც არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, რომ პაციენტს წლების წინათ დაეწყო კვლეობა. ღაგ-

რძელბული კისერი, ჩავარდნილი გულმკერდი და გაყვითლებული სახე დასნეულებულ ფილტვებზე მიუთითებდა. მომდევნო დღეებში ჩატარებულმა გამოკვლევამ პირველი დიაგნოზი დაადასტურა. ავადმყოფთან პირისპირ დარჩენილმა ექიმმა რამდენიმე კითხვა დაუსვა ფრანგულ-ესპანურად და აღმოაჩინა, რომ გენერალი ოსტატურად ნიღბავდა ავადმყოფობის სიმპტომებსა და მტკივნეულ შეტევებს და დარჩენილი ძალების დაძაბვით იმდენი მოახერხა, რომ კონსულტაციის დროს არც დაუხველებია, არც ნახველი ამოუღია. პირველადი დიაგნოზი საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგაც დადასტურდა. იმავე ღამეს გაკეთებულ პირველ ჩანაწერში, რომელიც დანარჩენ ოცდაცამეტ ჩანაწერთან ერთად გამოაქვეყნა თხუთმეტი დღის შემდეგ, ექიმმა აღნიშნა, რომ გენერალს სხეულთან ერთად სულიც დაძაბუნებოდა.

ექიმი რევერენდი საკუთარ თავში დარწმუნებული, განათლებული და გემოვნებით ჩაცმული 34 წლის ახალგაზრდა იყო. ამერიკაში ექვსი წლის წინათ ჩამოვიდა საფრანგეთის ტანტრე ბურბონთა დაბრუნებით იმედგაცრუებული. ესპანურად უშეცდომოდ წერდა და ლაპარაკობდა, მაგრამ გენერალმა კარგი ფრანგულით თავმოწონების საშუალება ხელიდან არ გაუშვა. ექიმმა შეაქო.

„თქვენს ბრწყინვალეობას პარიზული აქცენტი აქვს“, თქვა.

„რუე ვივიენის“, დააკონკრეტა გენერალმა, „როგორ მიხვდით?“

„აქცენტის მიხედვით შემოიძლია პარიზის ის უბნებიც კი დავასახელო, სადაც მოსაუბრე გაიზარდა“, თქვა ექიმმა, „თუმცა თავად ნორმანდიის ერთ პატარა სოფელში დავიბადე და გაიზარდე“.

„იქ კარგი ყველი და ცუდი ღვინო იცის“, აღნიშნა გენერალმა.

„იქნებ ესაა ჩვენი რკინისებრი ჯანმრთელობის საიდუმლო“, უპასუხა ექიმმა.

რევერენდმა გენერლის გული პირვე-



ლიდ მაშინ მოიგო, როცა უმტკივნეულოდ გასინჯა და ახალი წამლების ნაცვლად თავისი ხელით დააღვინა ხველების ჩასაწყნარებლად ექიმ გასტელბონდოს მიერ მომზადებული სირთფი და დამამშვიდებელი აბი, რომელიც გენერალმა გაუპროტესტებლად დალია, რადგან სულითა და გულით სურდა დაძინება. სანამ ძილის წამალმა იმოქმედა, ცოტ-ცოტა ყველაფერზე ისაუბრეს, შემდეგ ექიმი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. გენერალმა მონტილიამ ის სახლამდე მიაცილა და საკმაოდ შეშფოთდა, როცა ექიმმა უთხრა, რომ გაუხდელად დაწვებოდა და მზად იქნებოდა ღამით მოულოდნელი გამოძახებისთვის.

რეკერენდი და ნაითი მომდევნო კვირას რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთავარ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. რეკერენდი დარწმუნებული იყო, რომ გენერალს ცუდად ნამკურნალები კატარის გამო ფილტვები ჰქონდა დაზიანებული. ექიმი ნაითი კი ავადმყოფის კანის ფერისა და საღამოობით აწეული სიცხის მიხედვით ამტკიცებდა, ქრონიკული მალარია სჭირსო. სამაგიეროდ, ორივე აღიარებდა პაციენტის უძძიმეს მდგომარეობას. საბოლოო დიაგნოზის დასასმელად სხვა ექიმებიც მოიწვიეს, მაგრამ სანტა მარტაში მცხოვრებმა სამმა და პროვინციის ორმა ექიმმა მიზეზის აუხსენლად უარი თქვეს მისვლაზე. ამიტომ ექიმი რეკერენდი და ნაითი ხველების საწინააღმდეგო ბალზამსა და მალარიის საწინააღმდეგო ქინაქინებზე შეთანხმდნენ.

ავადმყოფის მდგომარეობა კვირის ბოლოსთვის საგრძნობლად გაუარესდა. ამის მიზეზად დაუკითხავად და მალულად დაღეული ვირის რძე იქცა. ბოლივარის დედა ხველების დროს თაფლნარეუ რძეს სვამდა და ბავშვებსაც ასმევდა ხოლმე, მაგრამ ყველაზე ძველი მოგონებებით გაჯერებულმა ბალზამისებურმა ვემომ ნაღვლის ბუშტი გაუღიზიანა, გული აურია და ისე დაასუსტა, რომ ნაითი სასწრაფოდ გაემგზავრა იამაიკაზე, ცნობილი სპეციალისტის

ჩამოსაყვანად. იმ პერიოდისთვის შესწური ოპერატულობით გამოგზავნა კიდეც ორი სთანადოდ აღჭურვილი ექიმი, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

სამაგიეროდ გენერლის სულის სიმხნევე სულაც არ ეხამებოდა სხეულის სიძაბუნეს. ისე იქცეოდა, თითქოს უნიშვნელო ავადმყოფობა სჭირდა და მეტი არაფერი, დამდამობით ჰამაკში ფეხიზლობდა და მოროს ციხე-სიმაგრის მოძრავ შუქურას ადევნებდა თვალს. გარშემომყოფები წუწუნით რომ არ შეეწუხებინა, ტკივილებს იკავებდა და თვალს არ აცილებდა მისი აზრით მოფლიოში ულამაზეს ყურეს.

„თვალები მტკივა მისი ამდენი ცქერით“, ამბობდა.

ღლის განმავლობაში თავს აიძულებდა, ძველებურად საქმიანი ყოფილიყო. ეძახდა იბარას, უილსონს ან ფერნანდოს, რომელსაც ახლოს მოიხელთებდა და მითითებებს აძლევდა წერილების შესახებ, რადგან თვითონ მათ საკარნახოდ მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ხოსე პალასიოსი თავს არ იტყუებდა და ხვდებოდა, რომ ეს გენერლის უკანასკნელი აქტიურობა იყო. გენერალი თავის ახლობელთა ბედს აგვარებდა, რომელთა ნაწილი სანტა მარტაში არც იმყოფებოდა. დაივიწყა უთანხმოება თავის ყოფილ მდივან ხოსე სანტანასთან და საგარეო საქმეთა კომისიაში უშოვა ადგილი, რათა ახლდაქორწინებულ მდივანს კარგი ცხოვრება ენახა. გენერალი ხოსე მარია კარენიო, რომლის კეთილ გულს სამართლიანად აქებდა ხოლმე, იმ გზაზე დააყენა, რომელმაც საბოლოოდ ვენესუელას პრეზიდენტობამდე მიიყვანა. ურდანეტას სარგომენდაციო ბარათები სთხოვა ანდრეს იბარასა და ხოსე ლაურენსიო სილვასთვის, რათა მომავალში მუდმივი ხელფასი მანც ჰქონოდათ გარანტირებული. სილვა თავისი ქვეყნის ომისა და საზღვაო საქმეთა მდივანი და მთავარსარდალი გახდა და 82 წლისა გარდაიცვალა კატარაქტით დაბრმავებული, რისიც მთელი ცხოვრება ემინოდა. უკანასკნელ

წლებში დიდი ბრძოლით მოპოვებული ინვალიდის პენსიით ცხოვრობდა, თუმცა მრავალრიცხოვან ჭრადობათა წყალობით ძლივს დაამტკიცა თავისი დამსახურებანი ომში.

გენერალმა პედრო ბრისენიო მენდესსაც ურჩია ახალ გრანადაში დაბრუნებულიყო და ომის სამინისტროში დაეწყო მუშაობა, მაგრამ ისტორიამ არ დააცალა. თავისი ძმისშვილი, ფერნანდო ანდერძის აღმსრულებლად დანიშნა, რათა მომავალში ადმინისტრაციულ სამუშაოზე გამწესებულიყო. თავის პირველ აღიუტანტს, დონ დიეგო იბარას, ერთერთს იმ მცირერიცხოვან პირთაგან, რომლებსაც შენობით ელაპარაკებოდა შინ და გარეთაც, ურჩია ვენესუელაზე უკეთეს ადგილას წასულიყო. სასიკვდილო სარეცელზე თვით გენერალ ხუსტო ბრისენიოზეც კი იზრუნა, რომელთანაც იმ დღეებში უთანხმოება მოუვიდა.

მისი ოფიცრები ალბათ ვერც ხვებოდნენ, როგორ აკავშირებდა მათ შემდგომ ბედს გენერლის ანდერძი. ყველა მათგანი, აუად თუ კარგად, ერთად გაატარებდა ცხოვრების დარჩენილ ნაწილს და ბედის ირონიის წყალობით, ხუთი წლის შემდეგ ვენესუელაში მოიყრდნენ თავს პედრო კარუხოს მხარდამხარ ინტეგრაციის ბოლივარისეული იდეისათვის საბრძოლველად.

ის უცნაური განცხადებაც, უილსონს რომ უკარნახა ურდანეტასთვის გასაგზავნად წერილში ჩასაწერად, პოლიტიკურ მანევრზე მეტად მის ობლებზე ზრუნვას ჰკავდა: „რიოჩა დაკარგულია“, დაწერა და იმავე საღამოს მიიღო ბარათი ეპისკოპოს ესტრევესისგან, რომელიც მთავრობასთან შუამდგომლობას სთხოვდა, რათა რიოჩა და სანტა მარტა დეპარტამენტებად გამოეცხადებინათ და ამგვარად მოეღოთ ბოლო კარტახენასთან ისტორიული შუღლისთვის. როცა ხოსე ლაურენსიო სილვამ ბოლომდე ჩაუკითხა წერილი, გენერალმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი. „კოლუმბიელებს გამოყოფის იდეის მეტი არაფერი მოსდით თავში“, თქვა. მოგვიანებით, ფერნანდოსთან

ერთად დაგვიანებულ კორესპონდენციებს რომ ახარისხებდა, მწარედ ამოიოხრა: „არც უპასუხო“, ბრძანა, „დიაცადონ, სანამ მიწას დამაყრიან და მერე რაც უნდათ, ის ჰქნან“.

იმ დღეებში ამინდის შეცვლის სულელური იდეა აეკვიტა. ნესტის დროს სიმშრალე უნდოდა, სიცივის დროს — სიცხე, მთის ნიაგის ქროლვისას ზღვაურს ითხოვდა. დაკეტილ ფანჯრებს აღებდა ჰაერის შემოსაშვებად, გაღებულს — კეტავდა, საგარძელს ხან ზურგით დაგამდა სინათლესთან, ხან — პირიქით და შეეხას მხოლოდ ჰამაკში რწყევით აღწევდა.

სანტა მარტაში ისეთი მოქუფრული დღეები ჩამოწვა, რომ, როცა გენერალმა თავი უკეთ იგრძნო და სენიორ დე მიერის აგარაკზე გამგზავრება გადაწყვიტა, პირველად სწორედ ექიმმა რევერენდმა წააქეზა, თუმცა დარწმუნებული იყო, ეს გენერლის უკანასკნელი თხოვნა იქნებოდა. გამგზავრების წინა დღეს გენერალმა მეგობარს მისწერა: „ყველაზე გვიან, რამდენიმე თვეში მოკვდები“. ყველას გაუკვირდა, რადგან სიკვდილის შესახებ ძალზე იშვიათად ლაპარაკობდა.

სან პედრო ალესანდრინოში გაშენებული აგარაკი ლა ფლორიდა სანტა მარტადან ერთ ლიეზე მდებარეობდა სიერა ნევადას განშტოებაზე. სახლს ირგვლივ შაქრის პლანტაცია ერტყა. სენიორ დე მიერის ეტლში გენერალმა იგივე გზა გაიარა, რაც ათი დღის შემდეგ, ზარებშემებულ ურემზე დაღებულმა, მოსახსნამში გახვეულმა მისმა უსულოსხეულმა საწინააღმდეგო მიმართულებით. ჯერ კიდევ სახლის დანახავზე იგრძნო ბადაგის თბილი სურნელი და მართლობის მახეში გაება.

„სან მატეოს სუნია“, ამოიოხრა.

კარაკსიდან 24 ლიეზე მდებარე სან მატეო ყველაზე მეტად ენატრებოდა. იქ მოუკვდა მამა სამი წლისას, დედა — ცხრა წლისას, ხოლო ოცი წლის ასაკში დაქვრივდა: ესპანეთში იქორწინა თავისივე ნათესავზე, ლამაზ კრეოლ არისტოკრატ ქალიშვილზე. იმხანად მისი



ერთადერთი ოცნება მეუღლესთან ერთად ბედნიერი ცხოვრება იყო სან მატეოსი, შაქრის პლანტაციებსა და საკუთარ მონებში. დანამდვილებით ვერავინ დაადგინა, ქორწინებიდან რვა თვის შემდეგ დაღუპული მეუღლე ავთვისებიანმა ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა თუ ბრმა შემთხვევამ, ყოველ შემთხვევაში თვითონ მხოლოდ ამის შემდეგ იშვა ისტორიულად, რადგან იქამდე კოლონიური ეპოქის ტიპური სენატორი იყო, როქელსაც ყველაფერი აინტერესებდა პოლიტიკის გარდა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ კი ლეგენდარულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მკვდარი მეუღლე არასოდეს უხსენებია და არც შეცვლა უცდია. თითქმის ყოველ დამე ესიზმრებოდა სან მატეოს სახლი და მშობლები, მაგრამ ცოლი არასოდეს დასიზმრებია. მას დავიწყების ტბის ფსკერზე დაუღო ბინა, რათა უმისოდ სიცოცხლის გაგრძელება შეძლებოდა. მიძინებული მოგონებები მხოლოდ სან პედრო ალეხანდრინოს ბაღავის სუნმა და შაქრის ქარხნებში მომუშავე მონებმა გაუცოცხლეს, რომლებსაც სამადლოდაც არ შეუვლიათ თვალი გენერლისთვის. მის პატივსაცემად შეთეთრებულმა სახლმა და ვეება ხეებმა, სადაც ბედისწერას სასიკვდილოდ მიჰყავდა, მშობლიური კერა მოაგონა.

„მარია ტერესა როდრიგეს დელ ტორო ი ალაისა ერქვა“, თქვა მოულოდნელად.

ზენიორ დე მიერი ვერ მიხვდა.

„ვის?“ იკითხა.

„ჩემს მეუღლეს“, უპასუხა გენერალმა და სასწრაფოდ დაამატა: „მაგრამ დაივიწყეთ, გეთაყვა, ყმაწვილკაცობის თავგადასავალი იყო“ მეტი არაფერი უთქვამს.

მისთვის გამოყოფილმა საწოლმა ოთახმა კვლავ წამოუშალა მოგონებები. ყველაფერი ისეთი გულსაყურით დაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა. ვარდებიანი საწოლის გარდა ოთახში კაობას კომოდი, მარმარილოს ზედაპირიანი კაობისივე ღამის მაგიდა და წი-

თელზავერდგააკრული სავარძელი იქნა. ფანჯრის გასწვრივ, კედელზე ორის შვიდ წუთზე გაჩერებული, რომაულციფრებიანი, რვაკუთხა საათი ეკიდა.

„აქ ადრეც ვყოფილვარ“, თქვა გენერალმა.

მოგვიანებით, როცა ხოსე პალასიოსმა საათი მომართა და გაასწორა, გენერალი თვალის მოსატყუებლად ჰამაკში ჩაწვა და მხოლოდ მაშინ დაინახა ფანჯრიდან ცისფერი და გამჭვირვალე სიერა ნევადა, რომელიც კედელზე დაკიდებულ სურათს უფრო ჰგავდა. მაშინ ისევ აერია მეხსიერებაში ცხოვრებაში ნახა ხი უამრავი სურათი.

„თავი არასოდეს მიგრძენია ჩემს სახლთან ასე ახლოს“, თქვა.

პირველ დამეს კარგად ეძინა. მეორედ ღელს თითქოს სძლია ტკივილს. ის კი არა, შაქრის ქარხნაც მოინახულა, ჯიშაინი ხარები შეაქო, თაფლი გასინჯა და ყველა გააოცა შაქრის დამუშავების ტექნოლოგიის ზედმიწევნითი ცოდნით. ასეთი ცვლილებებით გაოცებულმა გენერალმა მონტილიამ ექიმ რევერენდს სთხოვა სიმართლე გაეზილა და მანაც აუხსნა, რომ მონკვენებითი სიჯანსაღე სწრაფ აღსასრულს მოასწავებდა. სიკვდილამდე დღეები, იქნებ სულაც საათებიც დარჩენილიყო. ამ ცნობით შეძრწუნებულმა მონტილიამ კედელს მუშტი მიარტყა და კანი გადაიხეთქა. მთელი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მოუტყუებია გენერალი პოლიტიკური აუცილებლობით გამოწვეული კეთილი ზრახვებით. იმ დღიდან კი სამოწყალოდ იტყუებოდა და გარშემო მყოფთაც ივივეს აიძულებდა.

იმ კვირას სანტა მარტაში მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისთვის ვენესუელადან განდევნილი რვა მაღალი ჩინის ოფიცერი ჩამოვიდა. რამდენიმე მათგანი განმათავისუფლებელი არმიის ოფიცერთა საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ნიკოლას სილვა, ტრინიდად პორტოკარერო და ხულიან ინფანტე. მონტილიამ მათ მარტო ცუდი ამბების დამალვა კი არა, სიმართლის შელამაზე-

ბაც სთხოვა, რათა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ავადმყოფის მძიმე ყოფა. ისინი უფრო შორს წავიდნენ და ისე დახატეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, რომ გენერალს თვალებში გარდასულ დღეთა ნაპერწკლები აუკიაფდა, ერთი კვირის წინათ აკრძალულ რიონანას თემას დაუბრუნდა და ვენესუელაზე ალაპარაკდა.

„არასოდეს გვკონია ამაზე უკეთესი შესაძლებლობა, რომ სწორი გზით გვევლო“, თქვა და დარწმუნებით დაასკვნა: „იმ დღეს, როცა არაგუას მიწაზე დაკვდამ ფეხს, მთელი ვენესუელელი ხალხი ჩემს შესახებდრად აღსდგება“.

ერთ საღამოს სტუმრებს ახალი სამხედრო გეგმა დაუხაზა. ოფიცრებმა მოჩვენებითი ერთუზიანებით აუბეს მხარი და იძულებულნი გახდნენ მთელი დამეკსმინათ წინასწარმეტყველური დარიგებები, თუ როგორ უნდა აღეღიანთ, ამჯერად საბოლოოდ, მათი ოცნების თვალუწვდენელი იმპერია. როცა ოთახიდან გამოსულმა ოფიცრებმა გენერლის სიტყვები გიჟურ ბოდვად მოიხსენიეს, მათ მხოლოდ მონტილია შეეკაპათა.

„ფრთხილად“, თქვა, „კასაკოიმაშიც იგივე იფიქრეს“.

ყველას კარგად ახსოვდა 1817 წლის 4. ივლისი, როცა გენერალმა მთელი დამეკასაკოიმათა ტბაში დამალულმა გაატარა მცირერიცხოვან ოფიცრებთან, რომელთა შორის ბრისენიო მენდესიცერია, რათა თავი დაედწიათ მღევარი ესპანელი ოფიცრებისგან, რომლებმაც კინაღამ მიაგნეს მოშიშვლებულ ველზე. ნახევრად შიშველმა და სიცხანამა უცებ ყვირილით დაიწყო მომავალში გასაკეთებელი საქმეების დაწვრილებით ჩამოთვლა: ანგოსტურას დაპყრობა, ანდების გადალახვა, ჯერ ახალი გრანადის, შემდეგ ვენესუელას გასანთავისუფლებლად — კოლუმბიის დაარსება და, ბოლოს, სამხრეთის ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა, პერუმდე. „მაშინ ავალთ ჩიმბორასოზე და დათოვლილ მწვერვალებზე დიადი და სამუდამოდ თავისუფა-

ლი ამერიკის სანდერ დროშას ავაფრივალეთ“, დაასკვნა. მხლებლებმა მაშინაც იფიქრეს, ჭკუიდან შეიშალაო, თუმცა მისი წინასწარმეტყველება სიტყვასიტყვით ახდა მომდევნო ხუთი წლის მანძილზე.

საუბედუროდ, სან პედრო ალეხანდრინოში წარმოთქმული დაპირებები მხოლოდ მომავალთვის ჰალუცინაციები იყო. პირველ დღეს შეკავებულმა ტყვიელებმა მომდევნო კვირას შეახსენათავი. იმ დროისთვის გენერალი ისე დაჩიავდა, რომ ველვეტის ძველი შარვალი ერთი დღით დაუმოკლეს და პერანგის სახელოებით ჩვეულებრივზე მეტად აუკეცეს. დამეში სამ საათზე მეტი არ ეძინა. დანარჩენ დროს ახველებდა ან ბოდავდა. ხანდახან სლოკინის შეტევა სტანჯავდა, რომელიც სანტა მარტაში დაეწყო და დღითიდღე უმწკვავდებოდა. საღამოს, სანამ დანარჩენები თვლემდნენ, ტკივილს სიერა ნეკადის დათოვლილი მწვერვალების ცქერით იშუშებდა.

გენერალმა ოთხჯერ გადალახა ატლანტის ოკეანე, ცხენით შემოიარა განთავისუფლებული ტერიტორიები, რასაც ველარაგინ გაიმეორებდა, ანდერძი კი არასოდეს დაუწერია, რაც იმ დროისთვის მეტად უცნაური საქციელი იყო. „არავისთვის არაფერი მაქვს დასატოვებელი“, ამბობდა. გენერალმა პედრო ალკანტარა ერნანმა სანტა ფეში სთხოვა ანდერძის დაწერა, როცა ბოლივარი სამოგზაუროდ ემზადებოდა, იმ მოტივით, რომ მის ადვილზე ნებისმიერი მოგზაური ასე მოიქცეოდა, მაგრამ გენერალმა სერიოზულად უპასუხა, რომ სიკვდილი მის უახლოეს გვეგებში არ შედიოდა. სან პედრო ალეხანდრინოში კი თვითონ მოითხოვა უკანასკნელი სურვილისა და უკანასკნელი მიმართვის დაწერა. არავინ იცის, შეგნებულად გააკეთა ეს თუ ავადმყოფი გულის მოსაწყვეტად.

ფერნანდო ავად იყო, ამიტომ ხოსე ლაურენსიო სილვას უკანახა, ცოტა არ იყოს, დაულაგებელი მითითებანი,

რომლებიც მის სურვილზე მეტად იმედგაცრუებას შეიცავდნენ: ამერიკა უმართავია; ის, ვინც რევოლუციას ემსახურება, ზღვას ხნავს, ქვეყანა სულ მალე თავაწყვეტილ ბრბოს ჩაუვარდება ხელში, შემდეგ კი შეუქმნევლად გადავა ყველა ფერისა და ჯურის ტირანთა მმართველობაში. შემდეგ მეგობრებისთვის მიწრილ პარათებში გამოთქმული სხვა პირქუში აზრები გაიმეორა.

ტრანსში ჩავარდნილი ნათელმხილველივით კარნახობდა რამდენიმე საათის განმავლობაში და ხეულების შეტევაც კი არ მოსვლია. ხოსე ლაურენსიო სილვამ გენერლის ტემპს ვერ გაუძლო და იგი ანდრეს იბარამ შეცვალა, რომელიც კარგა ხანს წერდა მარცხენა ხელით. როცა ყველა ადიუტანტი დაიქანცა, ფეხზე მხოლოდ ცხენოსანი არმიის ლეიტენანტი ნიკოლას მარიანო დე პასი დარჩა. მან ლამაზად გადაათოთრა ნაწერი, სანამ ქალაქი ეყო, საწერი მასალა მოითხოვა, მაგრამ მოტანა ისე დაუვიანეს, რომ კედელზე გააგრძელა წერა და თითქმის სულ შეავსო. გენერალი ისეთი მადლობელი დაურჩა, რომ ლორენსიო კარკამოს ნაწუქარი, სიყვარულის ნიადგზე შემდგარი ღუეღის მონაწილე ორი დამბაჩა აჩუქა.

მისი უკანასკნელი სურვილი იყო ცხედარი ვენესუელაში წაესვენებინათ, ნაპოლეონის კუთვნილი ორი წიგნი კარაკასის უნივერსიტეტისთვის ეწუქებიანთ, ხოსე პალასიოსისთვის რვა ათასი პესო გადაეცათ ერთგული სამსახურისთვის; კარტახენაში, სენიორ პაუეუსთვის დატოვებული ქალაქები დაწვით, თავის ადგილას დაებრუნებინათ ბოლივიის კონგრესის მიერ გადაცემული მედალი; მარშალ სუკრეს ქვერვისთვის ძვირფასი თელებით მოჭვდილი ოქროს ხმალი გადაეცათ, რომელიც თავის დროზე მარშალმა გენერალს აჩუქა. მისი ქონების დანარჩენი ნაწილი, არიას საბადოების ჩათვლით, მისი ორი დისა და ძმისშვილებისთვის უნდა გაეყოთ. მეტი არაფერი გააჩნდა, ის კი არა, თავისივე ქონებიდან უნდა გადაეხადა დიდი და პა-

ტარა ვალები, მათ შორის — პროფესორ ლანკასტერის კუთვნილი, ყბადაღებული ოცი ათასი პესო.

აუცილებლად შესასრულებელ პირობათა შორის დაასახელა მადლობის გადახდა სერ რობერტ უილსონისთვის, მისი შვილის სამაგალითო საქციელისა და ერთგულების გამო. ამაში უცნაური არაფერი იყო, მაგრამ, წესით, იგივე უნდა ეთქვა გენერალ ო'ლირისთვის, რომელმაც ცოცხალს ვერ ჩამოუსწრო კარტახენადან, სადაც მისივე დავალებით იმყოფებოდა პრეზიდენტ ურდანეტას სანახავად.

ეს ორივე სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა გენერლისას. მოგვიანებით უილსონი დიდი ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენელი გახდა ჯერ ლიმაში, შემდეგ კარაკასში და მუდამ ორივე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წინა ხაზზე იმყოფებოდა. ო'ლირი ჯერ კინგსტონში დაფუძნდა, მოგვიანებით — სანტა ფეში, სადაც კარგა ხანს თავისი ქვეყნის კონსულად მუშაობდა. იქვე გარდაიცვალა 51 წლისა, თუმცა მანამდე მოასწრო 34 ტომში აღწერა ამერიკაში გენერალთან ერთად განვილი ცხოვრება. თავისი ნაყოფიერი ცხოვრება ო'ლირმა ასე დაახასიათა: „გარდაიცვალა ლიბერტადორი და მასთან ერთად დაინგრა მისი დიდებული ქმნილება. მე იამაიკაში გავემგზავრე, სადაც მისი ქალაქები მოვაწესრიგე და მიმუარები დაწერე“.

ანდერძის შედგენის შემდეგ ექიმმა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება დაახარჯა პაციენტს: ფეხებზე მღოგვის საფენები დაადო, ხერხემალი დაუზილა, მთელ ტანზე ტკივილგამაყუწებელი სალბუნები გაუკეთა, მუდმივი შეკრულობის თავიდან ასაცილებლად ოყნები არ დაიშურა; ტვინში სისხლი რომ არ ჩაქცეოდა, კეფასა და ფეხებზე წურბელები დაასხა. საუკუნენახევრის შემდეგ ექიმთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი დაასკვნის, რომ გარდაცვალების მიზეზი სწორედ ის სალბუნები იყო, რომლებმაც ჯერ უნებური შარდვა გამოიწვიეს,



შემდეგ — შარდის ბუშტის ტკივილი და ბოლოს — სისხლის დენა. ვაკეუთის შემდეგ ექიმმა რევერენდმა შარდის ბუშტი მენჯზე მიკრული იპოვა.

გენერალს ისე გაუფაქიზდა ყნოსვა, რომ ექიმსა და აფთიაქარს აუგუსტო ტომასინს ახლოს არ იკარებდა, რადგან მათ დამარბილებელი საცხის სუნი უდიოდათ. ოთახი ღამის მორწყვა ოდეკოლონით, აბაზანას აბაზანაზე იღებდა, საკუთარი ხელით იპარსავდა, გააფთრებით იხეხავდა კბილებს და გამწარებით ცდილობდა სიკვდილის ჭუჭყისგან თავის დაცვას.

დეკემბრის მეორე კვირას სანტა მარტაში ნაპოლეონის ჯარის ახალგაზრდა ვეტერანი, პოლკოვნიკი ლუი პერუ დე ლაკრუა ჩამოვიდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გენერლის ადიუტანტი იყო. ვიზიტის შემდეგ ლაკრუამ სიმართლე მისწერა მანუელა საენსს. მანუელა წერილის მიღებისთანავე სანტა მარტასკენ გაემგზავრა, მაგრამ გუადუასში აცნობეს, რომ დაეგვიანა. ამის შემდეგ მანუელა საზოგადოების თვალთახედვიდან გაქრა. საკუთარ ჩრდილებში ჩაიძირა და გენერლის ქაღალდებით სავსე ორი სკივრი საიმედოდ გადამალა სანტა ფეში, სანამ დანიელ ოლირმა მოძებნა რამდენიმე წლის შემდეგ მისივე მითითებით. ქვეყნის სათავეში მოსულმა გენერალმა სანტანდერმა მანუელა საზღვარგარეთ გადაასახლა. ქალმა ღირსეულად გადაიტანა ბედის სიმუხთლე ჯერ იამაიკაში, შემდეგ აქეთ-იქით ხეტიალში, სანამ პაიტაში დაფუძნდა, წყნარ ოკეანის მიყრუებულ ნავსადგურში, სადაც ზვიგენებზე მონადირე გემები იყრიდნენ ხოლმე თავს. იქ გაჰყავდა დრო ქარგვაში, მეეტლის თამბაქოს წვეასა და ცხოველების ფორმის ტკბილეულის ცხობაში, რომლებსაც გემებზე ჰყიდდა, სანამ ართრიტის გამო მუშაობა შეწყვიტა. მისი მეუღლე, ექიმი თორნი გაძარცვის მიზნით დანით მოკლეს ღამაში. ანდერძით მანუელას თავისი მზითვის ოდენა მექვიდრეობა დაუტოვა, რომელიც ქალმა ვერასოდეს მიიღო. ყვე-

ლასგან მიტოვებულს სამი დიდებული სტუმარი ეწვია: მაესტრო სიმონ როდრიგესი, ვისთანაც დაფრფულილი დიდება გაინაწილა, არგენტინაში დიქტატორ როხას წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ დაბრუნებული იტალიელი პატრიოტი ჯუზეპე გარიბალდი და მწერალი ჰერმან მელვილი, რომელიც იმხანად ოკეანეებზე მოგზაურობდა და მასალებს აგროვებდა „მოში დიკისთვის“. მოგვიანებით, უკვე ხანშიშესული და თემოს მოტეხილობის გამო ხეობრად ქცეული მანუელა ჰამაკადან აძლევდა რჩევებს შეყვარებულებს და ბანქოზე მკითხაობდა. 55 წლისა შავმა ჭირმა იმსხვერპლა და მისი ქოხი სანიტარულმა პოლიციამ გენერლის ქაღალდებთან ერთად დაწვა, რომელთა შორის სამიჯნურო ბარათებიც ერაი. მანუელამ ლაკრუას გაუმხილა, რომ გენერლისგან სამახსოვროდ მხოლოდ ცალი ხელთათმანი და თმის კულული დარჩენიდა.

სან პედრო ალესანდრინოში ჩასულ პერუ ლაკრუას დიდი არეულობა დახვდა. სახლში უწესრიგობა სუფევდა. ოფიცრებს სადაც მოუხერხებოდათ, იქ ეძინათ და ისე გაღიზიანებულები დადიოდნენ, რომ ყველაზე თავშეკავებულმა ხოსე ლაურენსიო სილვამაც კი ხმალი იმშვილა, როცა ექიმმა რევერენდმა სინუე მითხროვა. ფერნანდა ბარიგას ქანცი გაუწყვდა ოფიცერთა მიერ ყოვლად შეუფერებელ დროს მოთხოვნილი კერძების მზადებით. ყველაზე დემორალიზებულები დღე და ღამე ბანქოს თამაშობდნენ და არ ადარდებდათ, რომ მათი ყვირილი გვერდით ოთახში მწოლარე მომპკვავს ესმოდა. ერთ საღამოს, სანამ სიცხით გათანგული გენერალი საწოლში ბორგავდა, ტერასაზე ვიღაც მთელი ხმით ითხოვდა თორმეტ ჰესოსა და 23 სენტავოს ექვსიოდე ფიცარში, 225 ლურსმანში, ექვსას ჩვეულებრივ და ორმოცდაათ მოოქროვილ შპალერის სამაგრში, ათ ვარა¹ მიტკალში, ათ გორ-

¹ ვარა — სიგრძის საზომი, უღრის 83, 5 სანტიმეტრს.



გალ მანილას მაქმანსა და ექვს ვორგალ შავ ლენტში. ამ ხმაურის ჩახშობას სხვებიც ყვირილით ცდილობდნენ, რამაც მთელი სახლი მოიცვა. ექიმის რეკრენდი საწოლ ოთახში ნატკენ ხელზე სახვევს უცვლიდა გენერალ მონტილიას და ორივე მიხვდა, რომ ავადმყოფს ძილღვიძილში ყველაფერი ესმოდა. მაშინ მონტილიამ ფანჯრიდან გადაიხედა და მთელი ხმით დაიყვირა:

„დაწინარდით, თქვენა...“

გენერალს თვალც არ გაუხელია.

„თავი დაანებეთ“, თქვა, „ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ანგარიშის მოსვენება შემიძლია“.

მხოლოდ ხოსე პალასიოსმა იცოდა, რომ გენერალი მაშინვე მიხვდა, რა ფულზე იყო ლაპარაკი. მართლაც, მოთხოვნილი თანხა იმ 253 პესოში, 7 რეალსა და 36 კუარტილიონში შედიოდა, ხალხში რომ შეაგროვეს დაკრძალვისთვის. ეს საქმე მუნიციპალიტეტმა ითავა. ფული კერძო პირებს, საყასბობებსა და ციხეებს გამოართვეს. მოტანილი ნივთები კი მისი კუბოს გასაკეთებლად და მოსართავად იყო განკუთვნილი. მონტილიამ უბრძანა ხოსე პალასიოსს, არაფერი შეეშვა ოთახში სტუმრის ტიტულისა თუ ღირსების მიუხედავად და თვითონ შეიმუშავა ავადმყოფის დაცვის მკაცრი რეჟიმი, რომელიც ბევრად არც განსხვავდებოდა სიკვდილისაგან.

„ჩემთვის თავიდანვე რომ მოეცათ ასეთი უფლება, ეს კაცი კიდევ ას წელიწადს იცოცხლებდა“, თქვა ხოსე პალასიოსმა.

ფერნანდა ბარიგამ მაინც დააპირა ოთახში შესვლა.

„ამ საწყალ ობოლს ისე უყვარდა ქალები, რომ ცოლგა ერთი მათგანი მაინც არ ეჯდეს სასთუმალთან, თუნდაც ჩემსავით მახინჯი და გამოუსადეგარი“, თქვა. მაგრამ არც ის შეუშვეს. მაშინ ფანჯარასთან ჩამოჯდა და მომაკვდავის ბოლვას მიცვალებულზე ლოცვები ააყოლა. იქვე დარჩა სიცოცხლის ბოლომდე ძაძებმოსილი და ას ერთ წლამდე მოწყალეობით ირჩენდა თავს.

სწორედ მან მოფინა ბილიკი ყვაილებით და სიმღერას ულოტბარა, როცა მეზობელი სოფლის, მამტაკოს მღვდელი მომაკვდავის სანაირებლად მოვიდა. იქამდე ავადმყოფს ფეხშიშველი, ჯვარლოს კაბებთან ინდიელი ქალები ეწვივნენ. მათ ყვაილების გვირგვინი მოჰქონდათ, გზას ზეთის სანათურებით ინათებდნენ და თავიანთ ენაზე მღეროდნენ სიმღერებს მიცვალებულზე. მათაც ყვაილებს ფურცლებით დაფარული ბილიკი გაიარეს. ისეთი სულისშემძვრელი სანახაობა იყო, რომ მათი შტეგრება ვერაფერს შეძლო. გენერალი საწოლში წამოიწია და როცა ინდიელებმა მის ოთახში დააპირეს შესვლა, თვალზე ხელი აიფარა, სანათურის შუქს რომ არ შეეწუხებინა, და ყვირილით გაყარა მომღერლები.

„მომაშორეთ ეს აჩრდილები“, დაიყვირა.

სახლში გამეფებულ სამგლოვიარო განწყობილებას ვადაზე ადრე რომ არ მოეკლა ავადმყოფი, ფერნანდომ მამატაკოდან დაქირავებულ მუსიკოსთა ჯგუფი ჩამოიყვანა, რომლებიც მთელი დღე შეუსვენებლად უკრავდნენ პატარის ხეებქვეშ. გენერალზე კარგად იმოქმედა დამამშვიდებელმა მუსიკამ. რამდენჯერმე გაამეორებინა „ლა ტრინიტარია“, თავისი საყვარელი ცეკვა, რომლის პარტიტურის ასლებს თავის დროზე თვითონ ავრცელებდა, სადაც ხელი მიუწვდებოდა. მონებმა შაქრის პლანტაციებში მუშაობა შეწყვიტეს და დიდხანს მისჩერებოდნენ ფანჯარაში გადმოშვარ გენერალს. თერთ საბანში გახვეული უფრო გასაცოდავებული ჩანდა, ვიდრე სიკვდილის შემდეგ იქნებოდა. მუსიკის ტაქტს ახლად ამოწვერილი თმით დაფარულ თავს აყოლებდა და ყოველი ნაწარმოების შემდეგ პარიზში ნასწავლი მანერით უკრავდა ტაშს.

შუადღისას, მუსიკით გამხნეებულმა, ერთი ფინჯანი ბულიონი დალია, მოხარშული ქათმის ხორცი და საგუს ნამცხვარი შეჭამა. შემდეგ პატარა სარკე

მოითხოვა ჰამაკში, ჩაიხედა და თქვა: „ამ თვალებით არ მოკვებები“.

ყველას გაუცოცხლდა დაკარგული იმედი, რომ ექიმმა რევერენდი სასწაულს მოახდინდა. მაგრამ მოკეთებული რომ ეგონათ, ავადმყოფმა გენერალი სარდა ერთ ესპანელ ოფიცერში აურიბა, რომელიც სხვა ოცდაჩვიდმეტ ტყვესთან ერთად სასამართლოს გარეშე დაახვედრინა სანტანდერმა ბოიაკას ბრძოლის შემდეგ. მოგვიანებით მისი მდგომარეობა გაუარესდა და მას შემდეგ აღარც მოუხედავს. ხმამაღლა ყვიროდა, მომავალ შორეთ მუსიკოსები და სიმშვიდეში მაცადეთ ავონიაო. ცოტა ხნის შემდეგ უილსონს უბრძანა, წერილი მიეწერა ხუსტო ბრისენიოსთვის, რომელსაც ანდერძით უბარებდა — შეირგებოდა გენერალ ურდანეტას, რათა ანარქიის საშინელებისგან ეხსნათ ქვეყანა. თავისი პირით მხოლოდ პირველი სიტყვები უკარნახა: „ჩემი ცხოვრების დასასრულს გწერთ ამ ბრათს“.

გვიან ღამემდე ესაუბრა ფერნანდოს და პირველად მისცა რჩევა მომავლის შესახებ. მეშუალების ერთად დაწერის იდეა ძალაში რჩებოდა, მაგრამ ძმისშვილმა საკმაოდ დიდხანს იცხოვრა მის გვერდით და გრძნობათა გარეშე წერას ვერ შეძლებდა, რათა მის შვილებს ობიექტური აზრი შექმნოდათ აღზევებისა და დაცემის იმ ეპოქაზე. „ო“ ლირი დაწერს რამეს, თუკი სურვილი არ გაუქრა“, თქვა გენერალმა, „მაგრამ ის სხვა იქნება“, ფერნანდო მაშინ ოცდაექვსი წლის იყო. მან ოთხმოცდარვა წლამდე იცოცხლა და რამდენიმე უმნიშვნელო ფურცელს თუ არ ჩაეთვლით, არაფერი დაუწერია, რადგან ბედმა დიდი მოწყალება გაიღო და მეხსიერება წაართვა.

ანდერძის კარნახისას ხოსე პალასიოსი საწოლ ოთახში იმყოფებოდა. მაშინ, იმ საკრამენტული აქტის დროს, ხმა არავის ამოუღია, მაგრამ იმავე ღამეს, გენერალს რომ აბანავებდა, შეევედრა — გადაწყვეტილება შეეცვალა.

„ყოველთვის ღარიბები ვიყავით და არაფერი ვაკლდა“, თქვა. „პირიქით“,

შეეპასუხა გენერალი, „ყოველთვის მდიდრები ვიყავით და ზედმეტი არაფერი გვქონია“.

თავისებურად ორივე მართალი იყო. ხოსე პალასიოსი ძალიან ახალგაზრდა ჩადგა გენერლის სამსახურში, თავის უშუალო პატრონის, ბოლივარის დედის განკარგულებით. ფორმალური აღზრდა არასოდეს მიუღია. მუდამ გენერალს ახლდა თან, თუმცა არც განსაზღვრული ხელფასი ჰქონია ოდესმე, არც სოციალური მდგომარეობა. მისი პირადი ინტერესები გენერლისას ემთხვეოდა, მასავით იცვამდა და ჭამდა. გენერალს არ სურდა ბედის ანაბარა, სამხედრო წოდებისა და ინვალიდობის პენსიის გარეშე დაეტოვებინა ერთგული მსახური იმ ასაკში, როცა უკვე გვიანია ცხოვრების თავიდან დაწყება. მოკლედ, სხვა გზა არ იყო. ხოსე პალასიოსს უღაპარაკოდ უნდა აედო შეთავაზებული რვა ათასი პესო.

„ეს საპართლიანი საქციელია“, დაასკვნა გენერალმა.

„სამართლიანი იქნებოდა, ერთად რომ მოემკვდარიყავით“, შეეპასუხა ხოსე პალასიოსი.

ალბათ მართლაც ასე იყო, რადგან გენერალივით დაუდევრად მოექცა ანდერძით მიღებულ თანხას და სულ მალე უგროშოდ დარჩა. თავს მოწყალებით ირჩენდა, მოკონებებთან საბრძოლველად ალკოჰოლს მიეძალა და მის ტყვეობაში მოექცა. 71 წლისა გარდაიცვალა, ალკოჰოლით გონებაარეული და ტალახში ამოსვრილი, განმათავისუფლებელი არმიის ვეტერანთა დარბულ თავშესაფარში.

გენერალმა ისე ცუდად გაიღვიძა ათ დეკემბერს, რომ სასწრაფოდ უზმეს ეპისკოპოსს ესტევესს, იქნებ ავადმყოფს აღსარება ეთქვა. ეპისკოპოსი დაუგვიანებლად გამოცხადდა. ეტყობა, ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ აქტს, რომ პაპივით გამოწყობილიყო. გენერლის განკარგულების თანახმად, დახურულ კარს მიღმა დარჩნენ მოწმეთა გარეშე. ვიზიტმა მხოლოდ 14 წუთს გასტანა და ვერა-



სოდეს ვერაინ გაიგო, რა თქვა იმ ხნის განმავლობაში. დაღვრემილმა ეპისკოპოსმა სწრაფი ნაბიჯით დატოვა ოთახი, დაუმშვიდობებლად ავიდა ეტლში და მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, არც პანაშვიდი გადაუხდია, არც დაკრძალვას დასწრებია. გენერალი ისეთ შავ დღეში იყო, რომ ჰამაკიდან წამოდგომაც ვერ შეძლო. მაშინ ექიმმა ახალშობილივით ხელში აიყვანა და საწოლზე დასვა ზურგით ბალიშს მიყრდნობილი, ხველებისგან რომ არ დამზრჩვალყო. როცა, ბოლოს და ბოლოს, სული მოითქვა, ყველა გაისტუმრა და ექიმთან მარტო დარჩა.

„ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რთული პროცესი იქნებოდა“, თქვა, „ვერაფრით დამიჯერებია, რომ სიკვდილის შემდეგ სხვა ცხოვრება არსებობს“.

„საქმე ეს არაა“, უპასუხა რევერენდმა, „უბრალოდ, დამტკიცებულია, რომ სულიერი საქმის მოგვარებით დამშვიდებული ავადმყოფი თავისდაუნებურად უიოლებს საქმეს ექიმს“.

გენერალს ყურადღება არ მიუქცევია ოსტატური პასუხისთვის, რადგან უცებ აღმოაჩინა, რომ მისი ოცნებებისა და უბედურების გზა დასასრულს უახლოვდებოდა. წინ უკუნეთი გამეფებულიყო.

„ჯანდაბა“, ამოიხრა, „როგორ დავაღწევ თავს ამ ლაბირინთს!“

მომაკვლავმა თვალი მოავლო იქაურობას და პირველად დაინახა სიმართლე. ნათხოვარი საწოლი, წყლისგან შეჭმული ძველი პირსახანი, დაბინდული სარკე, რომლის მომთმენი ზედაპირი ველარასოდეს აირეკლავდა მის გამოსახულებას, სხვისი პირსახოცი და საბონი. რვაკუთხა, უსულგულო საათი ჩვეული რიტმით მიემართებოდა 17 ოქტომბრის შუადღის ორის შვიდი წუთისკენ. მაშინ გულზე ხელები დაიკრიფა და შაქრის პლანტაციებიდან მომავალ მონათა ნამღერ დილის ექვსი საათის ლოცვას მიუგდო ყური. ცაზე მისთვის სამუდამოდ ჰქრებოდა ენერა, ფანჯრი-

დან სიერა ნევადას მარადიული თოვლა და პატიოში ახლად აყვავებული ზვართქლა ჩანდა, რომლის ყვითელი ზანზალაკების გაშლას ვეღარ მოესწრებოდა გლოვის გამო ჩაკეტილ სახლში. ეს იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი გაკვეთება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღარასოდეს განმეორდებოდა.

სიმონ ბოლივარის ცხოვრების მოკლე ქრონოლოგია

(დამუშავებული ვინისიო რომერო მარტინესის მიერ)

- 1783 24 ივლისი. სიმონ ბოლივარის დაბადება.
- 1786 19 იანვარი. სიმონის მამის, ხუან ვისენტე ბოლივარის გარდაცვალება.
- 1792 6 ივლისი. ბოლივარის დედის, დონია მარია დე ლა კონსეპსიონ პალასიოს ი ბლანკოს გარდაცვალება.
- 1795 23 ივლისი. ბოლივარი ტოვებს თავისი ბიძის სახლს. იწყება გრძელი სასამართლო პროცესი. მას გზავნიან თავისი მასწავლებლის, სიმონ როდრიგესის სახლში. ოქტომბერში ბრუნდება ბიძასთან.
1797. გუალისა და ესპანეთის კონსპირაცია ვენესუელაში. ბოლივარი ეწერება მილიციაში, კადეტად, ვალეის დე არაგუაში.
1798. ანდრეს ბელიო უტარებს გრამატიკისა და გეოგრაფიის გაკვეთილებს. იგივე პერიოდში სწავლობს ფიზიკას და მათემატიკას საკუთარ სახლში, პადრე ფრანსისკო დე ანდონარის მიერ დაარსებულ აკადემიაში.
- 1799 19 იანვარი. მიემგზავრება ესპანეთში. ჩერდება მექსიკასა და კუბაში. ბერაკრუსში წერს პირველ წერილს.

1800. მადრიდში უკავშირდება სწავლულ მარკიზ დე უსტარისს, მის ნამდვილ ინტელექტუალურ მამას.
1801. მარტიდან დეკემბრამდე სწავლობს ფრანგულს ბილბაოში.
- 1802 12 თებერვალი. ამიენსში (საფრანგეთი) ეთაყვანება ნაპოლეონ ბონაპარტეს, უყვარს პარიზი.
26 მაისი. ესპანეთში, მადრიდში ცოლად მოჰყავს მარია ტერესა როდრიგეს დელ ტორო.
12 ივლისი. მეუღლესთან ერთად ჩადის ვენესუელაში. გააღწევებითი აქვს მიხედოს მამულებს.
- 1803 22 იანვარი. მარია ტერესა გარდაიცვალა კარაკასში.
23 ოქტომბერი. ბოლივარი კვლავ ესპანეთშია.
- 1804 2 დეკემბერი. პარიზში ესწრება ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევას.
- 1805 15 აგვისტო. ფიცის დადება მონტე საკროში (რომი, იტალია).
27 დეკემბერი. პარიზში ებმის მასონთა ცხოვრებაში. 1806 წლის იანვარში იღებს მანეტროს წოდებას.
- 1807 1 იანვარი. გადადის ჩარლსტონში. იანვარში ბრუნდება კარაკასში.
- 1816 18 აპრილი. უელის მამულს არაგუაში. ამიტომ არ მონაწილეობს 19 აპრილის მოვლენებში, ანუ ვენესუელის რევოლუციაში.
9 ივნისი. დიპლომატიური მისიით მიემგზავრება ლონდონში. იქ ეცნობა ფრანსისკო დე მირანდას.
5 დეკემბერი. ბრუნდება ლონდონიდან. 5 დღის შემდეგ კარაკასში ჩადის მირანდა და ბინადრება ბოლივარის სახლში.
- 1811 2 მარტი. იკრიბება ვენესუელას პირველი კონგრესი.
4 ივლისი. ბოლივარი სიტყვას წარმოთქვამს პატრიოტულ საზოგადოებაში.
5 ივლისი. ვენესუელა აცხადებს დამოუკიდებლობას.
23 ივლისი. ბოლივარი იბრძვის ვალენსიაში მირანდას მეთაურობით. ეს მისი საბრძოლო ნათლობაა.
- 1812 26 მარტი. მიწისძვრა კარაკასში.
6 ივლისი. მოლაღატეთა წყალობით ეცემა პუერტო კაბელიოს ციხე-სიმაგრე, რომელსაც პოლკოვნიკი სიმონ ბოლივარი იცავდა.
30 ივლისი. სხვა ოფიცრებთან ერთად აპატიმრებს მირანდას, რომელსაც გამოიდევლად თვლიან, რადგან კაპიტულაციას მოაწერა ხელი. მანუელ მარია კასასი ხელიდან აცლის სახელგანთქმულ პატიმარს და ესპანელებს გადასცემს მის თავს.
1 სექტემბერი. პირველი გადასახლება. მიემგზავრება კურასაოში.
15 დეკემბერი. ახალ გრანადაში სცემს კარტახენას მანიფესტს.
24 დეკემბერი. იკავებს ტენერიფეს და იწყებს მდინარე მაგდალენას სანაპირო ზოლის განთავისუფლებას, რომლის დროსაც ანადგურებს რეგიონის როიალისტ ესპანელებს.
- 1813 28 თებერვალი. უკუტას ბრძოლა.
1 მარტი. იკავებს სან ანტონიო დელ ტაჩირას.
12 მარტი. ახალ გრანადაშია ბრიგადის გენერლის ჩინით.
14 მარტი. კუკუტაში იწყებს ახალ ბრძოლას.
23 მაისი. აცხადებენ მერიდას განმათავისუფლებლად.
15 ივნისი. ტრუხილიოში იწყებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს.
6 აგვისტო. კარაკასში ტრიუმფალური შესვლა. დიდი ომის დასასრული.
14 ოქტომბერი. კარაკასის საბჭო. სახალხო ასამბლეაზე ბოლივარს

- ანიჭებენ გენერლის ჩინსა და ლიბერტადორის წოდებას.
- 5 დეკემბერი. არაურეს ბრძოლა.
- 1814 8 თებერვალი. მისი ბრძანებით ხოცავენ ტყვეებს ლა გუაირაში.
- 12 თებერვალი. ლა ვიქტორიას ბრძოლა.
- 28 თებერვალი. კარაბობოს პირველი ბრძოლა.
- 7 ივლისი. 20 ათასი კარაკასელი, ლიბერტადორის მეთაურობით, აღმოსავლეთის გასანთავისუფლებლად მიეშურება.
- 4 სექტემბერი. რიბასი და პიარი, რომლებმაც ბოლივარი და მარინიო გადასახლეს, მათი დაპატიმრების ბრძანებას სცემენ კარუპანოში.
- 7 სექტემბერი. ბოლივარი აქვეყნებს თავის მანიფესტს კარუპანოში და მეორე დღეს კარტახენაში მიემგზავრება. ბრძანების შესახებ არაფერი იცის.
- 27 ნოემბერი. ახალი გრანადის მთავრობა ბოლივარს ავალებს კუნდანიის დაპყრობას. გენერალი იწყებს ომს, რომელიც ბოვოტას კაპიტულაციით მთავრდება.
- 12 დეკემბერი. ბოვოტაში იქმნება მთავრობა.
- 1815 10 მაისი. ვენესუელის განთავისუფლებას რომ ცდილობს, კარაკასის მხრიდან აწყდება ამ ქალაქის მთავრობის ოპოზიციას და გადაწყვეტს ნებაყოფლობით გადასახლებაში გაემგზავროს იამაიკაში.
- 1 სექტემბერი. აქვეყნებს ცნობილ წერილს იამაიკიდან.
- 24 დეკემბერი. მიემგზავრება ჰაიტიში, ლოს კაიოსში, სადაც ხდება თავის მეგობარს, კურასაოელ მეზღვაურ ლუის ბრიონს. ჰაიტიზე ხდება პრეზიდენტ პეტრიონს, რომელიც გამოუსადეგარ თანამშრომლობას ჰპირდება.
- 1816 31 მარტი. ჰაიტიდან მიემგზავრება ე. წ. კაიოს ექსპედიცია ლუის ბრიონის მონაწილეობით.
- 2 ივნისი. კარუპანოში დეკრეტით ათავისუფლებენ მონებს.
- 1817 9 თებერვალი. ბოლივარი და ბერმუდესი შერიგდნენ და მდინარე ნევერიზე გადებულ ხიდზე ერთმანეთს გადაეხვივნენ.
- 11 აპრილი. სან ფელიქსის ომი. მიღწეულია ანგოსტურას. განთავისუფლება, მდინარე ორინოკოს სანაპიროს დაპყრობა და რესპუბლიკის საბოლოო შექმნა (III რესპუბლიკა).
- 8 მაისი. კარიაკოში იკრიბება კონგრესი მღვდელ ზოსე კორტეს მადრიაგას ხელმძღვანელობით. კარიაკოს კონგრესმა კრაზი ვანიცადა, თუმცა ძალაში დარჩა ორი დეკრეტი: ეროვნულ დროშაზე შეიღი ვარსკვლავი და სახელწოდება ახალი სპარტის სახელმწიფო — კუნძულ მარგარიტასთვის.
- 12 მაისი. ბოლივარი პიარს ნიშნავს ბრიგადის გენერლად.
- 19 ივნისი. პიარს სწერს შემრიგებლურ ბარათს: „გენერალო, ესპანელებთან ბრძოლა მიჩვენია პატრიოტებს შორის უთანხმოებას“.
- 4 ივლისი. კარაკოიმას ტბაში ყელამდე წყალში რომ ემალებოდა მღვდარს: ესპანელ როიალისტებს, გაოგნებული ოფიცრების წინაშე იწინასწარმეტყველა ყველაფერი, რასაც მომავალში ვააკეთებდა: ანგოსტურას დაპყრობიდან დაწყებული. პერუს განთავისუფლებით დამთავრებული.
- 16 ოქტომბერი. გენერალ პიარის სიკვდილით დასჯა ანგოსტურაში. სამხედრო საბჭოს ლუის ბრიონი მეთაურობდა.
- 1818 30 იანვარი. აპურეში, კანიფისტულას მეცხვარეთა სადგომში პირველად ხდება პაესი.

- 12 თებერვალი. ბოლივარი ამარცხებს მორილიოს კალაბოსოში.
- 27 ივნისი. ანგოსტურაში აარსებს ორინოკოს ფოსტას.
- 1819 15 თებერვალი. ანგოსტურაში იხსნება კონგრესი. ბოლივარი წარმოთქვამს ცნობილ სიტყვას. მას ირჩევენ ვენესუელის პრეზიდენტად. მაშინვე იწყებს ახალი გრანადის განთავისუფლებისთვის ბრძოლას.
- 7 აგვისტო. აგოიკას ომი.
- 17 დეკემბერი. ბოლივარი აარსებს კოლუმბიის რესპუბლიკას, რომელიც სამ დეპარტამენტადაა გაყოფილი: ვენესუელა, კუნდანია და კიტო. კონგრესი მასვე ირჩევს კოლუმბიის პრეზიდენტად.
- 1820 11 იანვარი. აპურეშია, სან ხუან დე პაიარაში.
- 5 მარტი. ბოგოტაშია.
- 19 აპრილი. სან კრისტობალში აღნიშნავს რევოლუციის დაწყების მეათე წლისთავს.
- 27 ნოემბერი. ტრუხილიოში, სანტა ანაში ხდება პაბლო მორილიოს წინა დღეს ხელი მოაწერა შერიგებისა და ომის დასრულების პაქტს.
- 1821 5 იანვარი. ბოგოტაშია. გეგმავს სამხრეთის ომს, რომლის მეთაურობას სუკრეს აბარებს.
- 14 თებერვალი. ულოცავს რაფაელ ურდანეტას მარაკაიბოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თუმცა შიშობს, რომ ესპანეთი ამ ნაბიჯს შერიგების პაქტის დარღვევად ჩათვლის.
- 17 აპრილი. პროკლამაციით ამცნობს ხალხს ზავის დარღვევას და იწყებს „წმინდა ომს“. „ჩვენ განვითარდებით მოწინააღმდეგეებს, მაგრამ არ გავანადგურებთ მას“.
- 28 აპრილი. კვლავ ბრძოლა.
- 27 ივნისი. კარაბობოში ბოლივარი ამარცხებს ლა ტორესს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლა არ ყოფილა, კარაბობო ვენესუელის დამოუკიდებლობას განამტკიცებს.
- 1822 7 აპრილი. ბომბონას ბრძოლა.
- 24 მაისი. პიჩინჩას ბრძოლა.
- 16 ივნისი. კიტოში იცნობს მანუელა საენსს, როცა სუკრესთან ერთად ტრიუმფალურად შედის ქალაქში.
- 11 ივლისი. გუაიაკალში ჩადის. ორი დღის შემდეგ მასაც კოლუმბიას უერთებს.
- 26-27 ივლისი. ბოლივარისა და სან მარტინის შეხვედრა გუაიაკალში.
- 13 ოქტომბერი. წერს „ჩემი ბოღვა ჩიმბორასოზე“, ლოხაში, კუნკას მახლობლად, ეკუადორში.
- 1823 1 მარტი. პერუს პრეზიდენტი რივა აგუერო ლიბერტადორს ოთხი ათას ჯარისკაცს და კოლუმბიის დახმარებას სთხოვს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 17 მარტს ბოლივარი სამი ათას ჯარისკაცს უგზავნის.
- 12 აპრილს — კიდევ სამი ათასს.
- 14 მაისი. პერუს კონგრესი აქვეყნებს დეკრეტს, რომლითაც უხმობს ლიბერტადორს და სთხოვს მას სამოქალაქო ომის დამთავრებაში დახმარებას.
- 1 სექტემბერი. ბოლივარი ლიმაში ჩადის. კონგრესი ნებას რთავს დაიმორჩილოს ესპანელთა საპატივცემულოდ აღზევებული რივა აგუერო.
- 1824 1 იანვარი. ავადმყოფი ჩადის პატივილაქში.
- 12 იანვარი. გამოსცემს კანონს, რომლის მიხედვით სიკვდილით დასჯა ემუქრება ყველას, ვინც სახელმწიფო ქონებიდან ათ პესოზე მეტს მოიპარავს.
- 19 იანვარი. სწერს მშვენიერ წერილს თავის მასწავლებელს — სიმონ როდრიგესს: „თქვენ შთამა-

გონეთ მებრძოლა თავისუფლები-სათვის, სამართლიანობისთვის, ყველაზე დიდი, ყველაზე ნათელი მიზნისათვის“.

10 თებერვალი. პერუს კონგრესი დიქტატორად ნიშნავს ბოლივარს, დანგრეული ქვეყნის გადასარჩენად.

6 აგვისტო. ხუნინის ბრძოლა.

5 დეკემბერი. ბოლივარი ათავისუფლებს ლიმას.

7 დეკემბერი. იწვევს პანამის კონგრესს.

9 დეკემბერი. სუკრეს გამარჯვება აიაკუჩოში. თავისუფლდება მთელი ესპანური ამერიკა.

1825. ინგლისი ცნობს ამერიკის ახალ სახელმწიფოებს.

12 თებერვალი. პერუს მაღლიერი კონგრესი ლიბერტადორს გადასცემს მედალს, ცხენის ქანდაკებას, მილიონ პესოს პირადად მას და მილიონ პესოს — განმათავისუფლებელ არმიას. ბოლივარმა არ აიღო მისთვის კუთვნილი ფული. არმიისა კი ჯარისკაცებს დაურიგა.

18 თებერვალი. პერუს კონგრესი არ ღებულობს თხოვნას მისი პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ.

6 აგვისტო. მაღალმთიან პერუში, ჩუკისაკაში შეკრებილმა კონგრესმა გადაწყვიტა ბოლივიის რესპუბლიკის დაარსება.

26 ოქტომბერი. ბოლივარი პოტოსიშია.

25 დეკემბერი. ბრძანებს ჩუკისაკაში მილიონი ხის დარგვას. „იქ ყველაზე მეტად სჭირდებათ ეს“.

1826 25 მაისი. ლიმადან აცნობებს სუკრეს, რომ პერუმ აღიარა ბოლივიის რესპუბლიკა. მასვე უგზავნის ბოლივიის კონსტიტუციის პროექტს.

22 ივნისი. იკრიბება პანამის კონგრესი.

16 დეკემბერი. ჩადის მარაკაიბოში, საიდანაც სთავაზობს ვენესუელელებს დიდი შეთანხმების დადებას.

31 დეკემბერი. ჩადის ჰუერტო კაბელიოში პაესის საქებნელად.

1827 1 იანვარი. აქვეყნებს დეკრეტს კოსიატას პასუხისმგებელ პირთა გასანთავისუფლებლად. პაესს ვენესუელას მმართველად ნიშნავს.

1 იანვარი. ჰუერტო კაბელიოიდან პაესს სწერს: „მე არ შემძლიარეს პუბლიკის გაყოფა; მაგრამ ვენესუელის საკეთილდღეოდ ამაზეც წავალ, თუკი ვენესუელას ასე სურს, ამ საკითხს გენერალურ ასამბლეაზე გადავწყვიტო“.

4 იანვარი. ვალენსიის მაზლობლად, ნაგუანაგუაში ხდება პაესს და დახმარებას სთავაზობს. ადრე უთხრა, რომ უფლება ჰქონდა უსამართლობისთვის სამართლიანობა დაეპირისპირებინა, ძალის გამოვლენისთვის კი დაუმორჩილებლობა. ეს აწუხებს სანტანდერს, რომელსაც უთანხმოება აქვს ლიბერტადორთან.

12 იანვარი. პაესთან ერთად ჩადის კარაკასში, ხალხი აპლოდისმენტებით ხვდება.

5 თებერვალი. კარაკასიდან უგზავნის ბოვოტას კონგრესს ახალ თხოვნას გადადგომის შესახებ, დრამატულად აღწერს მოტივებს და ასკვნის: „სულითა და გულით მეათასედ ვთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ...“

16 მარტი. საბოლოო განხეთქილება სანტანდერთან. „მეტი არაფერი მომწეროთ, რადგან არც პასუხის გაცემა მსურს და აღარც თქვენ მოვიხსენიებთ მეგობრად“.

6 ივნისი. კოლუმბიის კონგრესი არ აკმაყოფილებს ბოლივარის მოთხოვნას გადადგომის შესახებ და მოითხოვს მის ბოგოტაში ჩასვლას ფიცის დასადავად.

5 ივლისი. კარაკასიდან ბოგოტაში მიემგზავრება. მშობლიურ ქალაქში აღარასოდეს დაბრუნდება.

10 სექტემბერი. ჩადის ბოგოტაში და დებს პრეზიდენტის ფიცს. სასტიკად უპირისპირდება პოლიტიკური ოპოზიციას.

11 სექტემბერი. წერილი ტომას დე ერასს: „გუშინ შემოვედი დედაქალაქში და დღეს უკვე პრეზიდენტის პოსტზე ვარ. ეს საჭირო იყო: ბევრ სირთულეს ავიცილებთ თავიდან“.

1828 10 აპრილი. ოკანიას კონვენციის დადების დროს ბუკარამანგაში იმყოფება. საბოლოოდ უპირისპირდება იან ერთმანეთს ბოლივარისტული და სანტანდერისტული პარტიები. ბოლივარი კონვენციის წინააღმდეგია.

9 ივნისი. ბუკარამანგაიდან ვენესუელაში მიემგზავრება. სურს მარკიზ დელ ტოროს ანაუკოს სახლში დაფუძნდეს.

12 ივნისი. აუქმებს ოკანიას კონვენციას.

24 ივნისი. გეგმას ცვლის და ბოგოტაში ბრუნდება, სადაც სიზარულით ხვდება იან.

15 ივლისი. ვალენსიაში გადაცემულ მოწოდებაში პაესი ბოლივარს მეცხრამეტე საუკუნის განუმეორებელ გენიოსს უწოდებს, რომელმაც „თვრამეტი წლის ასაკიდან რაგინდარა მსხვერპლი არ გაიღო ჩვენი ბედნიერებისთვის. უამრავჯერ განაცხადა უარი მთავრობის მეთაურის პოსტზე, თუმცა რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ვაღიარებულა შეასრულოს ეს მძიმე მოვალეობა“.

27 აგვისტო. დეკრეტი დიქტატურის შესახებ, ოკანიას კონვენციის გარშემო ატეხილი უთანხმოების მოსაგვარებლად. ბოლივარი აუქმებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას, რის შემდეგაც სანტანდერი უფუნქციოდ რჩება. ლიბერტადორი მას სთავაზობს აშშ-ში კოლუმბიის ელჩის თანამდებობას. სანტანდერი თანახმაა, მაგრამ გამგზავრებას აგვიანებს. შესაძლოა სწორედ სანტანდერის თანამდებობიდან ვადაყენებამ გამოიწვია შეთქმულება ბოლივარის წინააღმდეგ.

21 სექტემბერი. პაესი აღიარებს ბოლივარს უმაღლეს მთავარსარდლად და ფიცს დებს არქიების კოპოს რამონ იგნასიო მენდესისა და კარაკასის პლასა მაიორზე შეკრებილი ხალხის წინაშე: „უფიცავ, დავემორჩილო და შევასრულო მის მიერ გამოცემული დეკრეტები, როგორც რესპუბლიკის კანონები. ზეცაა მოწმე ჩემი ერთგულებისა და ისევე დამაჯილდოებს პირობის შესრულებისთვის“.

25 სექტემბერი. ბოგოტაში ბოლივარის მოკვლას ცდილობენ. მას მანუელა საენსი შველის. სანტანდერი შეთქმულთა შორისაა. ურდანეტას, შეთქმულების მონაწილეთა მსაჯულს, მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს. ბოლივარი დახვრეტას გადასახლებით უცვლის.

1829 1 იანვარი. ბოლივარი პურიფიკაციისთვის. მისი ყოფნა ეკვადორში აუცილებელია პერუსთან არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელმაც გუაიაკილი დაიკავა.

21 ივლისი. კოლუმბია იბრუნებს გუაიაკილს. ხალხი ტრიუმფალურად ეგებება ლიბერტადორს.



13 სექტემბერი. ო'ლირს სწერს: „ყველამ ვიცით, რომ ვენესუელასა და ახალი გრანადის შეერთება მხოლოდ ჩემი წყალობით მოხდა“.

13 სექტემბერი. წერილი პაესს: ვბრძანე ყველა მოქალაქისთვის დაერიგებინათ ცირკულარები, რათა გულახდილად გამოეთქვათ თავიანთი აზრები. ახლა შეგიძლიათ ლეგალურად და დაბეჯითებით მოითხოვოთ ხალხის აზრი. მოვიდა დრო, უშიშრად გაგვიმხილონ გულისნადები, მაშინ რეფორმებსაც ბრწყინვალედ ჩავატარებთ და ხალხის ოცნებაც ახდება.

20 ოქტომბერი. ბრუნდება კიტოში.

29 ოქტომბერი. მიემგზავრება ბოგოტაში.

5 დეკემბერი. პოპაიადან სწერს ხუნ ხოსე ფლორესს: „შეიძლება გენერალი სუკრე იყოს ჩემი შემცვლელი, შესაძლებელია აგრეთვე ერთმანეთში გავიწაწილოთ პასუხისმგებლობა, მე, ჩემის მხრივ, სულსა და გულს არ დავიშურებ“.

15 დეკემბერი. პაესს აცნობებს, რომ არ დათანხმდება რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევას, და თუკი კონგრესი პაესს აირჩევს კოლუმბიის პრეზიდენტად, პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ სიამოვნებით ჩადგება მის სამსახურში.

18 დეკემბერი. კატეგორიულად უარყოფს მონარქიის იდეას კოლუმბიისთვის.

1830 15 იანვარი. ისევ ბოგოტაშია.

20 იანვარი. იკრიბება კოლუმბიის კონგრესი.

ბოლივარის წერილი. ესწრება თავის ვადადგომას.

27 იანვარი. კონგრესს სთხოვს ვენესუელაში გამგზავრების უფლებას. კონგრესი უარზეა.

1 მარტი. თანამდებობას ვადადგომის დომინგო კაისედოს, მთავრობის საბჭოს პრეზიდენტს და ფუნაში მიემგზავრება.

27 აპრილი. კონგრესი აკმაყოფილებს მის მოთხოვნას ვადადგომის შესახებ.

4 მაისი. ხოაკინ მოსკერას კოლუმბიის პრეზიდენტად ირჩევენ.

8 მაისი. ბოლივარი საბოლოოდ მიემგზავრება ბოგოტადან.

4 ივნისი. ბერუეკოსში კლავენ სუკრეს. ბოლივარი ამის შესახებ ლა პოპაში იგებს 1 ივლისს და შეძრწუნებას ვერ მაღავს.

5 სექტემბერი. ურდანეტა კოლუმბიის მთავრობის სათავეში ექცევა. ბოგოტაში, კარტახენაში და ახალი გრანადის სხვა ქალაქებში ეწყობა მანიფესტაციები და გამოსვლები ლიბერტადორის დაბრუნების მოთხოვნით. ურდანეტა მას ელოდება.

18 სექტემბერი. გენერალი ურდანეტას სთავაზობს თავის სამსახურს, როგორც მოქალაქე და ჯარისკაცი, რესპუბლიკის ერთიანობის დასაცავად და აცხადებს, რომ სათავეში ჩაუდგება ბოგოტადან გასულ ორი ღამის კაცს, ახალი მთავრობის დასაცავად. უარს ამბობს შეთავაზებულ თანამდებობაზე, რათა უზურპატორად არ ჩათვალოს, მაგრამ მომდევნო არჩევნების იმედს იტოვებს: „...კანონიერების ჩრდილი დამიფარავს და ახალი პრეზიდენტიც გამოჩნდება...“ ბოლოს სთხოვს თანამემამულეებს გაერთიანდნენ ურდანეტას ირგვლივ.

2 ოქტომბერი. ტურბაკოშია.

15 ოქტომბერი. სილვადამში.

8 ნოემბერი. ბარანკილიაში.

1 დეკემბერი. დაუძღვრებული ჩაღის სანტა მარტაში.

6 დეკემბერი. მიემგზავრება სან პედრო ალესანდრინოში, ესპანელი დონ ხოაკინ ლე მიერის მამულში.

10 დეკემბერი. კარნახობს ანდერძს და უკანასკნელ მიმართვას. ექიმის დაჟინებულ მოთხოვნაზე აღსარების თქმის შესახებ კითხულობს: „ეს რა არის? ნუთუ ისე ცუდად ვარ, რომ ანდერძსა და აღსარებაზე მელაპარაკებით!.. როგორ დავაღწევ თავს ამ ლაბირინთს?!“

17 დეკემბერი. კვდება სან პედრო ალესანდრინოში, მცირერიცხოვანი მეგობრებით გარშემორტყმული.

სამადლობელო

მრავალი წლის მანძილზე მესმოდა, რომ ალვარო მუტისი სიმონ ბოლივარის მდინარე მაგდალენაზე ბოლო მოგზაურობის შესახებ აპირებდა დაწერას. როცა „უკანასკნელი სახე“ წავიკითხე, რომელიც შემდგომ წიგნში უნდა შესულიყო, ისეთ მშვენიერ მოთხრობად მომეჩვენა, ისე მომეწონა მისი სტილი და ტონი, რომ ვიფიქრე, სულ მალე წიგნსაც წავიკითხავ-მეთქი. მაგრამ ორი წლის ლოდინის შემდეგ მიეზვიდი, რომ პირობა დავიწყებოდა, როგორც საერთოდ ვჩვენვია ხოლმე მწერლებს ჩვენს ყველაზე ნალოლიავე ოცნებებთან მიმართებაში. ასეც მომხდარიყო. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მას ვუხედი მაღლობას.

პერსონაჟზე მეტად იმხანად მე მდინარე მაგდალენა მაინტერესებდა, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი. სწორედ ამ მდინარეზე ვმოგზაურობდი კარიბის სანაპიროდან, სადაც, ჩემდა საბედნიეროდ, დავიბადე, შორეულ და პირქუშ ქალაქ ბოგოტამდე, სადაც პირველივე დღიდან ისე უცხოვ ვგრძნობ-

დი თავს, როგორც არსად და არასდროს. სწავლის პერიოდში თერთმეტჯერ ვიმოგზაურე მდინარე მაგდალენაზე მისისიპის გემთსაშენში აგებული ორთქლის ნოსტალგიური გემებით, რომელთა მითიურ ხიბლს და ცდუნებას ვერც ერთი მწერალი ვერ გაუძლებს.

ცოტა არ იყოს, მაშფოთებდა ისტორიული წყაროების სიმცირე, რადგან მდინარე მაგდალენაზე უკანასკნელი მოგზაურობა ბოლივარის ცხოვრების ყველაზე ნაკლებად შესწავლილი პერიოდი. იმ დღეებში ბოლივარმა, რომელიც საერთოდ ათი ათასზე მეტი წერილის ავტორია, სულ სამი თუ ოთხი წერილი დაწერა. არც მის თანხმლებთ დაუტოვებიათ წერილობითი საბუთები იმ აუდასახსენებელი თოთხმეტი დღის შესახებ. წერის დაწყების დღიდან იძულებული გავხდი კონსულტაციები მიმელო მისი ცხოვრების წესის შესახებ. ერთ კონსულტაციას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და ასე, დაუსრულებლივ. ორი უგრძესი წლის მანძილზე აუარებელი დოკუმენტის ზღვაში ვფართხალებდი. ზოგიერთი მათგანი მცდარი იყო, ზოგიც – ურთიერთგამომრიცხავი. შევისწავლე ყველაფერი, დანიელ ფლორენსიო ო'ლირის 34 ტომიდან დაწყებული, ყველაზე მივიწყებული გაზეთების ამონაჭრებით დამთავრებული. მუშაობას ისიც მირთულებდა, რომ ისტორიული კვლევის გამოცდილება არ გამაჩნდა.

ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა იმ ადამიანების დაუხმარებლად, რომლებმაც ჩემამდე დაამუშავეს ეს ნიადაგი საუკუნენახევრის მანძილზე. სწორედ მათი წყალობით შევძელი დამეცკა დოკუმენტებში მოყვანილი ფაქტები და არც რომანის კანონებისთვის მეღალატა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მიწადა მოვიხსენიო ძველი თუ ახალი



მეგობრების ჯგუფი, რომლებმაც საკუთარივეთ მიიტანეს გულთან ჩემი გაჭირვება და დამეხმარნენ ყველაზე დიდი ეჭვების გაფანტვაში. ბოლივარის რევოლუტარული პოლიტიკურ აზროვნებაში ჩაწვდომიდან დაწყებული, რასაც მისი ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამები ართულებდა, ისეთი ტრივიალური პრობლემით დამთავრებული, როგორც ბოლივარის ფეხსაცმლის ზომაა. მაგრამ ყველაზე მეტად იმ ადამიანებს ვუხედი მადლობას, რომლებიც ჩემი აუტანელი გულმაღიწყოების გამო ვერ მოხვდნენ წერილში.

კოლუმბიელმა ისტორიკოსმა ეუხენიო გუტიერეს სელისმა, ჩემი მრავალფეროვანი კითხვარის საპასუხოდ, ბარათების მთელი არქივი მომიშადა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღები იყო თავმოყრილი. ბევრი მათგანი მეცხრამეტე საუკუნის კოლუმბიური პრესიდან იყო ამოღებული. მანვე მასწავლა კვლევისა და ინფორმაციის მოპოვების მისეული მეთოდები. ისტორიკოს ფაბიო პუიოსთან ერთად დაწერილი მისი წიგნი „ბოლივარი დღიდან დღემდე“ კომპასის მაგვირობას მიწვედა და საშუალებას მაძლევდა წარმოდგენა მქონოდა ჩემი გმირის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. თვით ფაბიო პუიო ანაღვინივით დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე თავისი დოკუმენტებით, რომლებსაც ტელეფონით მკარნახობდა პარიზიდან ან სასწრაფოდ მიგზავნიდა ტელექსით ან ფაქსით. კოლუმბიელი ისტორიკოსის, მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის პროფესორის გუსტავო ვარგასის ტელეფონი ჩემს განკარგულებაში იყო. სწორედ მან გამარკვია იმ ეპოქის პოლიტიკურ აზროვნებაში. ბოლივარის ცხოვრების მკვლევარმა ისტორიკოსმა ვინისიო რომერო

მარტინესმა კარაკასიდან გამომიგზავნა მასალები ბოლივარის ჩვეებისა და მისი ამაღლის წევრთა შესახებ. მანვე მითითა, ბოლივარს არ შეეძლო ბავშური ნეტარებით ეჭამა მანგო, რაც მე დავაბრალებ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმხანად მანგო ჯერაც არ იყო შემოსული ამერიკაში.

პანამის ელჩი კოლუმბიაში, მოგვიანებით თავისი ქვეყნის კანცლერი ხორხე ედუარდო რიტერო რამდენჯერმე ჩამოვიდა ჩემთან და იშვიათი წიგნები ჩამომიტანა. ბოგოტელი დონ ფრანსისკო დე აბრისეკტა ჩემს ჯიუტ გზამკვლევად იქცა ბოლივარის ვრცელ ბიოგრაფიაში. ექსპრეზიდენტი ბელისარო ბეტანკური მთელი წლის განმავლობაში მიფანტავდა ეჭვებს ტელეფონით საუბრისას. სწორედ მან აღმოაჩინა, რომ ლექსები, რომლებსაც გენერალი კითხულობდა ზეპირად, ეკადორელ პოეტს ზოსე ზოაკინ ოლმედოს ეკუთვნოდა. წერის დაწყებამდე ვრცელი დიალოგები მქონდა გამართული ფრანსისკო პივიდალთან ჰავანაში, რომლის დახმარებითაც საბოლოოდ დავხვეწე წიგნის იდეა. კოლუმბიის ყველაზე პოპულარულმა ლინგვისტმა რობერტო კადავიდა (არგოსმა) პატივი დამდო და ზოგიერთი კუთხური გამონათქვამის აზრი განმიმარტა. ჩემი თხოვნით, კუბის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებმა, გეოგრაფმა გლედსტონ ოლივიამ და ასტრონომმა ხორხე პერეს დოვალმა გასული საუკუნის პირველი ოცდაათი წლის მთვარის ფაზები გამოიკვლიეს.

ჩემმა ძველმა მეგობარმა, ანიბალ ნოგერა მენდოსამ პორტო პრენსში მდებარე კოლუმბიის საელჩოდან საკუთარი გამოკვლევის შედეგები გამომიგზავნა და ნება დამართო ჩემი შეხედულებისამებრ გამომიყენებინა, თუმცა თვითონაც

ამ თემაზე მუშაობდა. მანვე აღმოაჩინა რომანის პირველ ვარიანტში დაშვებული უამრავი შეცდომა და ანაქრონიზმი, რაც ნაწარმოებს უცილობლად მოსცხებდა ჩირქს.

და ბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო მექსიკაში შემორჩენილი ძველი ტიპოგრაფი, ჩემი გმირის არაპირდაპირი ნათესავი ანტონიო ბოლივარ გოიანესი, რომელმაც ჩემთან ერთად გადაიკითხა ორიგინალი და მიმითითა ურთიერთგამომრიცხავ გამონათქვამებზე, არათანმიმდევრობებზე, გამეორებებსა და სხვა შეცდომებზე. ასე მოექცა რომანის შვიდ ვერსიას. სწორედ მისი წყალობით აღ-

მოვაჩინე ჩემს ნაწერში, რომ ერთ სამხედროს დაბადებამდე მოვაგებინე ომი, ერთი ქერივი საყვარელ მეუღლესთან ერთად გავაგზავნე ევროპაში, ბოლივარი და სუკრე ინტიმურ ვითარებაში ვახსმე ბოგოტაში მაშინ, როცა ერთი კარაკასში იმყოფებოდა, მეორე — კიტოში. და მაინც, ბოლო ორი შეცდომის გასწორებისთვის იქნებ არც უნდა ეუხდიდე მადლობას, რადგან, ჩემი აზრით, მსგავსი უზუსტობანი იუმორის ზოგჯერ ასე საჭირო, მცირე დოზით გააჯერებდა ამ საშინელ წიგნს.

გ. გ. მ. შეხიკო, 1984 წ. იანვარი

დასასრული.



ილია რურუა

„მარ ამ დღეების ნამდვილი მგზავრი“

ამ პოეტზე საუბარი უნდა დაეწყო სიმღერის თემით უფრო სწორად ალექო შენგელიას ცნობილ ლექსზე დაწერილი სიმღერის გახსენებით. მწვანე წარმოდგენა ქართული, ერთხელ მაინც რომ არ მოეხსინოს ლექსის, მუსიკისა და ადამიანთა შვის იშვიათი პარმონიული შერწყმით დაბადებული ეს ქმნილება. და მაინც, როცა გინდობა სურვილი, ახსნა ამ სიმღერის ესოდენ ემოციური ზემოქმედების უმთავრესი მიზეზი, მიღებარ დასკვნამდე, რომ აქ მაინც შთაგონებული სიტყვა დომინანტობს. ჩემი დრმა რწმენით, ამ ნამდვილად კლასიკურ ლექსში პოეტმა ზუსტად იპოვა რომანტიკულად აღტიხებული სულის მღვდლარების სრულად გამოვლინების შესაფერისი ლექსიკა, რიტმი და განწყობილება, რომელიც შეუძლებელია შენც არ გაღმავლოს და არ გაგინოს შერქმენამდე, რომ ველადევი ეს შენი საკუთარი არსებიდან მოდის:

„იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ, იმ თუთრ აკვანს, დედაჩემის ციხეფერ თვალებს, ვფიცავ მიწას, ვაყვას ვულზე დაყრილ მიწას, რიფრაქს, ვფიცავ, ნისლებში რომ იღერმკრთალებს...“

თუმცა სულის ამგვარი ამომღერება თითქოს ერთ ტონზეა ასხმული, ლექსის თემატური ვარიაციები სტროფებში მეორდება, მაინც არ გინდობათ მონოტონურობისა და ერთფეროვნების შთაბეჭდილება. პირიქით, ლექსის კეთილშობილურად გამოკვეთილი და არა მფერალა ტონალობა, სულის შინაგანი მქუხარება თანდათან იზრდება და სამშობლოსთვის ბრძოლაში თავდაცემებით გადაშვებული ღირსიკული გმირის გზალტრირებულ თავგანწირულებაში გადადის:

„დავიღუპო! ნუ მიტოვებთ დანაწევით... ნადველს ვულში არასოდეს ვაგვივლებდ... ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო... დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილებო...“

იქნებ ამგვარი შედარება სარისიკოც იყოს, მაგრამ გაუგებარ და ვიჭყვი: ალექო შენგელიას „ანდერძი“ რაღაცით მაგონებს რაველის „ბოლეროს“, თანდათან რომ გმუხტავთ, გეუფლებათ და სულს ამალელებული, მოხვიეე განცდით გივსებთ.

ამ ლექსთან დაკავშირებით ერთ გარემოებასაც ვერ აუვლით გვერდს. იგი აშკარა გაუგებრობასთან გახლავთ დაკავშირებული, მაგრამ მრავლის მოქმედლად ვგზენუნება. მე შეეხვედრი-

ვარ ადამიანებს, რომელთაც „ანდერძი“ ლაღო ასათანის ლექსად მიანდათ და მათი გაღარწმუნება ადვილი სულაც არ გამოდგა. ეს ფაქტი თითქოს იმის დადასტურებაა, რომ ომიისინა წლებში ქართული მწერლობის ასპარეზზე გამოვლილი ახალგაზრდა პოეტების თაობას გამოჩენულ რომანტიკულ სულისკვეთებათან ერთად გაანდა სთქმელის გამოხატვის საკუთარი კოდიც. ალექო შენგელია თითქმის ერთადერთი გაღარჩენილი მოქიკანი იყო მკაცრი ეპოქის სუხში ნადრეველ დამზრალი ამ თაობის პოეტებისა და, მისდა სასახელოდ, ბოლომდე უერთოვლა თავიდანვე მინიშნულ გზას, შეინარჩუნა ფიცხი სული და ახალგაზრდული შემართება. იქნება ამის გამოც მოიხსენიებდნენ საკმაოდ ხშირად, სიჭარბავის ასაკშიც, ალექო შენგელიას ახალგაზრდა პოეტთა შორის; იქნებ ამანაც განაპირობა ის უთუოდ საამყო ფაქტიც, რომ მისი პოეტური კრებული კოსმოსში პირველად აქრილი სომალდის ნაკვეთურში აღმოჩნდა, თითზე ჩამოსათველ წიგნთა შორის.

ოცდაათიანი წლების სისხლიანი რეპრესიების მომსწრე პოეტებს, რაკი ჩისინი მართლა პოეტები იყვნენ, შეუძლებელია, არ განხელოდთ სიკვდილის ტრაგიკული განცდა, მაგრამ მაინც არ დაუწიქათ. შემთხვევით როდი უთმობს ალექო შენგელია თავის მეორე საპროგრამო ლექსში „თანამედროვე“ ამდენ პასაჟს სიცოცხლის წამიერების თემას, თუმცა იქვე არც სიცოცხლეს დახარბებული, სულთ მღიერი ადამიანის ბუნებრივი ოპტიმიზმი დალატობს:

„მე წუთისოფლის მდინარეებს მივდეგ ტეტებით, წუთი წავა და ეს სიცოცხლევ გადავორდება. მაგრამ კვლავ მოვალ, დავენთები მიწას კვრტრავით, და გაზაფხულზე მუდამ ასე განმეორდება.“

ამგვარი განწყობილება, საერთოდ, ლეიტმოტივად გახლევს პოეტის მთელ შემოქმედებას, მაგრამ არც აკვიტებულითი გაგზნართ თავს და არც ფალბად ეღერს, რადგან გულმართლობიდან მოდის: „მე მინდა ეს დღე გათავდეს ასე — და განთიადიდან კვლავ ვთენდებოდე, ასი ათისი დღეების გზაზე ვოველთვის ახლად ვიბადებოდე“. უთუოდ ამ სულისკვეთებას უნდა ეშვა კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი „სიცოცხლის ხიმღრა“:

„...ნუ ჩამეთელება ეს მხოლოდ კვენად, სიცოცხლეს შევტრფვი ფართო თვალებით და, თუკი

ადარ ვიქნები ქვეყნად, — წავალ სულ უცხო გარდაცვალებით. არც თოვლის ფიფქად წამოვალ ციდან, არც ცივი-ცივი წყაროდ ავციდმებები, მე ცხელი მიწა ჩამიკრავს წმინდა, და ცხელ ძარღვევად დანაწილები“.

სიცოცხლის მიხეული შეგრძნება ესოდენ შთამბეჭდავი იმიტომაც გახლავთ, რომ იგი აქტიური ცხოვრების შუაგულში ტრიალის გაუნუღებული ვინიდან მომდინარეობს:

„ღაუღლ ამავი და დაუმცხრალი, ამ ცის, ამ მიწის მე ვარ მფლობელი... წინ მშობლური მიმამყრენს ქარი და ოცნებათა ვარ მაღლობელა. აქ ყველა სახლი ნაცნობი არი, და ყველა ქარი ჩემი კარია. ვარ ამ დღეების ნამდვილი მგზავრი, ვცოცხლობ, ვიზრდები და მისხარია...“

რაც უნდა ზეღაღებით ამტკიცონ ყველაფრის უარყოფელმა სკეპტიკოსებმა, დღევანდელი უკუროსი თაობის აღამაანებს ვერაფერ წაართმევს იმის კანონიერ სიამავეს, რომ მათ რწმენითა და ზეღამობებულად იცხოვრებს თავიანთი ქვეყნის სიკეთისათვის, მიუხედავად ყველა დროის თანმდევი უკუღმართობისა. ალექო შენგელიაც იმ წლების რიტმით ცხოვრობდა. მან შექმნა ისეთი ციკლები, როგორცაა „ქართული სიმღერა“, „ომგადახდილი ლექსები“, „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“, „აჭარის მთებში“, უყურადღებოდ არ დარჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა. ისიც უდავოა, რომ მათში ზედმეტად არის მოჭარბებული დოკუმენტური საწყისი და პუბლიცისტური მათეტიკა, ილუსტრატულობა და ხარკის მოხდის წადილიც, მაგრამ ამგვარ ქმნილებებშიც გაიფიქრებენ ისეთი ჩინებული ლექსები, როგორც, მაგალითად, სახალხო სიმღერად ქცეული „მისთვის ცემხალვარ“ ან „სიმღერა საქართველოს ყვავილებზე“. უშუალო მოქმე ვყოფილვარ იმისა, თუ როგორი მონღომებითა და შთაგონებით წერდა იგი მათთვის „ფოლადის ქალაქის ქრონიკებს“, რაოდენ ალტერნატიული ესმარებოდა აჭარაში ომის შემდგომ წლებში მიმდინარე პატრიოტულა სულის აღორძინების პროცესს, როცა იქაურნი კაცის ეროვნულმა თვითშეგნებამ ახალი თვისობრივი ხასიათი შეიძინა, როცა ზეღაღალა აღორძინდა ქართული ვაზი, როცა წინაპრების მიერ ამ კუროხეულ მიწაში ჩაფლავ ქვეყრებში სამი საუყუნის შემდეგ კვლავ ახმაურდა დღინო.

ალექო შენგელის პიროვნულ ბუნებასა და შემოქმედებით იმპულსებში, საერთოდ, ვერაფერაა ძველი სახეობის სიყვარული და უხასიათობის, სადაც კი გამოჩნდებოდა, თან მოქმონდა სიხალისე და გამოცოცხლება. ყველაფერში სიღამაზე ეძიებდა, მის მახვილ თვალს მხელად შეხამნევი ნიუანსებიც არ გამოეპარებოდა. ეს თვისება განსაკუთრებით მის ლირიკულ ქმნილებებში

ში იგრძნობა შეაფიოდ. მისი სატრფიალო ლექსები ყოველთვის ხასტრია, კონდენსირებული და ელვასავით გამოძრთალი. ვაგისხენოთუნდაც: „შეგლი“, „საპატარძლო“, „წამოლი ჩემთან“, „ზარები“ „ის საღამო“, „დღეები“, „ფარიდა“, „ვახსენება“, „ისე პატარა“ და სხვა მრავალი, რომლებიც ყოველთვის დაამშვენებენ ქართული ლირიკის საგანძურს.

ალექო შენგელია უაღრესად ვაქცურის ხასიათის აღამიანი გახლდათ — გულდია, ალაღმართლად პირდაპირი, მგრძნობიარე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნახიც, იქნებ ამან აიქვეყინა — „დღით ბავშვი ვარ და შუადღიდან ჩემი ოცნების ვიცი სახელი“. და ეს იმ დროს, როცა ცხოვრების სუხსი და მძიმე გასაჭირი ჰქონდა გამოვლილი, მრავალ მოუშუშებულ ტკივილს ატარებდა გულის სიდრემში. ბევრმა არც კი უწყვლად მისი უმცროსი მძის ამბავი. არადა, სულ ახლახან გავიკეთ, თუ რაოდენ მაღალნიშნობრი პოეტი ვყოფილა ისიც, რაოდენ უღვაწია და უტანჯია ტყვეობაში, ისევე და ისევე მშობელ ქვეყანასა და ხალხზე ამალეებულ ფიქრებში.

ალბათ, სწორი არ იქნება თავი ავარილით იმის, რომ ბევრის ი თვალში ალექო შენგელია ბოქმის განსახიერება გახლდათ. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამის გაზვიადება და, მიუფრო, გაუმბარდობა უსამართლობა იქნება. პირადად მე ცოტა შეშველვრია აღამიანი, რომელშიც სურნაზე ასე უღამაზდ ამქვლავდა თავის პიროვნულ და პოეტურ ბუნებას. არიფანა მისთვის აღამიანური ბუნების გაღაღების, გულგახსნილობისა და შეგობრული ურთიერთვაგების სასასარეუო იყო. დაუფიყვარია მისი ქვიშხეთური პოეტური სერობები. შეგობრებმა სახუშარი სტრიქონებიც გამოუყოფნეს: „ალექო ღვინო ქვიშხურა ავადმყოფ ღვიძლზე იშხურა“. თავადაც იცინიდა ამაზე: 'თუმცა ფარული სენი უკვე ღრღნიდა მის ძლიერ სხეულს. მახსოვს, წევნმა კეთილმა, დაუფიყვარმა ნიკა აგიაშვილმა უსამადურა კიდეც — ცოტა თავი დახზავი, ბიჭო, შენი ღვიძლის პატრონმაო. ალექო წუთით ჩაფიქრდა, გაწყურელ შეგობარს ხელი მქვავში მოქვიდა და სახესებით სერიოზულად უთხრა:

— შენც, ნიკა?!. ამა კარაოთ მიხედ-მოიხედეთ თუნდაც ვიფიანის ამ პატარა მამულში... რამდენი აჩიოხი ერთბაშად დააიღის მისი ცაცხელების ზეიანსა და კუთხე-კუნჭულში... ნახეარზე მარტი რატომღაც ერთმენებს ვერ იტანს... ოღონდაც რომ ნათოს ახსამერ ციხელ-ზოი... იინემე ხომ უნდა შთარიოს სასაიოდელ გამურული ეს ხალხი!.. მეოხა, შენ მინც დამიფახიბდი ამახს...

ნიკა აიაშვილის გაღიძრა, ფიქზე წამოღდა და პირაღს ოხიჩავით გადაიხვია.

ღმრემბა ნათელში ამყოფოს ორივეს სული!

მანანა ჩხაიძე

ვეშაპ-ვეშაპოილთა საკულტო დანერგვლების შესახებ

კავკასიის მთებში აღმოჩენილი გიგანტური თევზის ფორმის მეგალითების, ვეშაპ-ვეშაპოილთა კავშირის უძველეს სომხურ დასახლებებთან არსებულ ირიგაციულ სისტემასთან პირველად ნ. მარმა მიაქცია ყურადღება. მისი დაკვირვებით, ვეშაპთა მონოლითების გვერდები განლაგებულია იქ, სადაც წყლის განსაკუთრებული სიუხვია. მრავალი მონოლითი აღმოჩნდა ტოკმაგან-გელის უძველეს წყალსაცავთან. ნ. მარის აზრით, ვეშაპები წყლის სტიქიასთან დაკავშირებული ნაყოფიერების ღვთაების კერებია და წყლის სიუხვის მთორგანიზებული ფუნქცია ეკისრებოდათ.

ვეშაპ-ვეშაპოილთა მონოლითების ფუნქციადანიშნულების გასარკვევად საჭიროა არსებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალების ღრმად შესწავლა. ამ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება, კიდევ ერთხელ დავასაბუთოთ ნ. მარის მოსაზრება.

ვეშაპ-ვეშაპოილთა შესახებ არსებული ეთნო-არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დაბეჭი-თებით შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოსახულებები ნაყოფიერების იდეას უკავშირდებიან. ამ ასპექტით აღნიშნულ გამოსახულებათა შესწავლას საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა ა. ხიხარულიძემ. მის ქიერ ჩატარებული კვლევებითის და, არეთვე, სხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ, ყურადღება გავუქმებინა ვეშაპ-ვეშაპოილთა წყლის კულტთან კავშირზე და მიმოგვეხილა ამ საკითხთან არსებული ეთნო-არქეოლოგიური მონაცემები.

მონოლითთა უმეტეს ნაწილზე გამოსახულია ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავალები. შ. ამირანაშვილის და ლ. შელიჩხეთ-ბეგის აზრით, ეს გამოსახულებები სამი სამყაროს სემანტიკურ კონას წარმოადგენენ: ოთხფეხები (ხარი, კამეჩი, ირემი, ცხვარი და სხვა) მიწის სემოლთა, ჩიტები და ასტრალური ნიშნები — ოსა, ხოლო ქვეწარმავალი — ქვესკნელისა. ეს მეტად ხაინტკერესო მოსაზრებაა, ოღონდ გველი, ამ შემთხვევაში, უფრო წყლის სამყაროს უნდა წარმოადგენდეს.

თევზისა და გველის წყალთან კავშირს აღნიშნავს ბ. პიოტროვსკიც და ასახელებს გეომის მთის ერთერთ სტელას, სადაც გველი გამოსახულია წყლის ნაკადში და თვითონაც ამ ნაკადის ნაწილად გვევლინება.

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს სამი სამყაროს

სიმბოლურ გამოსახულებას ვეშაპთა კერებთან? ეს სემანტიკური კონა, ჩვენი აზრით, ნიშანი უნდა იყოს ქვეწიერების სამი სამყაროში ბატონობისა — მიწაზე, ჰაერში, წყალში. წარმართული ღვთაების კერაზე მისი გამოხატვა, ალბათ, მანიშნებელია ამ ღვთაების მთელ სამყაროზე ბატონობისა. ამ მხრივ ხაინტკერესოა ის ფაქტი, რომ ლეგენდებსა და ეპოსებში ვეშაპები არა მხოლოდ წყალში მკვიდრობენ, არამედ კიდევ დაფრინავენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წარმართული მსოფლმხედველობის მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხის თავყანისცემის ობიექტი სამივე სტიქიის მებატონე ღვთაება უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ სამი სტიქიის — მიწის, წყლის, ჰაერის შეზავებული ერთობა უზრუნველყოფს მეურნეობის ამ დარგთა ნაყოფიერებას.

გარდა იმისა, რომ მონოლითზე გამოსახულია სემანტიკურ კონას წარმოადგენს, თითოეულ შემადგენელ ნაწილს თავისი შინაგანი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს.

ვეშაპებზე ძირითადად გამოსახულია სამსხვერპლო ცხოველები — ხარი, კამეჩი, ცხვარი. ამ გამოსახულებებს თავის დროზე ი. სმირნოვმა მიაქცია ყურადღება და ხაზი გაუსვა ერთ ხაინტკერესო მომენტს. მონოლითთა უმრავლესობაზე გამოსახულია არა თეთრი ცხოველები, არამედ ცხოველთა ტყავები. ი. სმირნოვმა ეს სამსხვერპლო ცხოველთა ტყავები ვეშაპ-ვეშაპოილებთანადმი მიძღვნილ მსხვერპლშეწირვის რიტუალს დაუკავშირა. მონოლითებზე ცხოველთა ტყავების და არა თეთრი ცოცხალი ცხოველების გამოსახვა უფრო ცხადად მიანიშნებს მსხვერპლშეწირვის არსებობის ფაქტზე.

გარდა მსხვერპლშეწირვის მინიშნებისა, მონოლითებზე გამოსახულ ტყავებს სხვა მნიშვნელობაც ენიჭება. ფრემის ან თხის ტყავი დიდ როლს ასრულებდა ზეთურ კოფაში. საწმისი, როგორც სიმბოლო სამეფო კეთილდღეობისა, ვკვებდებოდა საგაზაფხულო დღესასწაულებში. მეფე და დედოფალი ქალაქების საკულტო შემოღობის დროს თან დაატარებდნენ ტყავს, როგორც მაგიური ძალის მქონეს. ამ ცერემონიის დროს საწმისი ხან ღვთაება ცითხარისა სახელს ატარებდა, ხანაც ქალღმერთ ინარას განახავიერებდა. ფ. პასის მონაცემების მიხედვით ზეთურ მითოლოგიაში ინარა აჯუღინება როგორც ნაყოფიერების ღვთაება და, აგრეთვე, რაც ჩვენი თვის განსაკუთრებით ხაინტკერესოა, როგორც წყლის გაშვებელი.

ზოგიერთ ხეთურ ლეგენდაში საწმისი იკავებს ნაყოფიერების ღვთაება ტელეპინუსის ადგილს. ბერძნულ და ეტრუსკულ წარმოდგენებში საწმისი მისი მფლობელს სიუხვეს და კეთილდღეობას ამძღვრავდა და ნაყოფიერების გარანტს წარმოადგენდა. თელეპინუს თქმულების თანახმად, ცხვრის ტყავი სიკეთის მომტანი ღვთებრივი საგანია. ზოგჯერ იგი განიხილება, როგორც ნაყოფიერების ღვთაება, მისი ძალა სახელმწიფოს სიუხვის შექმნას უზრუნველყოფს (ფ. პასი). ამ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე საწმისი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ნაყოფიერების ღვთაება ან როგორც ფეტვის ნაირსახეობა, რომელზეც ქვეყნის კეთილდღეობა იყო დამოკიდებული. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება ვეშაპ-ვეშაპოიდებზე ცხოველთა ტყავეების გამოსახვის მიზანშეწონილობა. ეს ვერსია, ჩვენა აზრით, ყველაზე ახლოს დგას ქვეშაირტებთან, თუმცა არც სხვა ვარაუდებია გამოსარიცხი, არამედ მათიველი მათგანი აგებებს ერთმანეთს.

ვეშაპთა მონოტიფიკაცია ხარის ტყავის გამოსახვას ბ. პიოტროვსკი სხვაგვარად ხსნის. მცენიერი მიუთითებს ვეშაპისა და ხარის სახის ურთიერთკავშირზე და აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის არქეოლოგიაში არის მასალები, რომლის მიხედვითაც ხარი შეიძლება შეფანდილი იქნას ასტრალური ცხოველების წრეში. აზერბაიჯანში, სოფ. ხოჯალის ფორდანში აღმოჩენილ ბრინჯაოს ფიგურეტებისაგან შედგენილ სარტყელზე ხარები გამოსახულნი არიან ვარსკვლავების, ვეშაპების და ჩიტების გარემოცვაში. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ხარის, ვარსკვლავების, ჩიტების და ვეშაპების ერთად გამოსახვა ამ შემთხვევაშიც ხშირად ხამაროს სემანტიკურ კონას წარმოადგენდეს, თუმცა ეს მოსაზრება არ გამოირიცხავს ხარის სახის, როგორც წარმართული ღვთაების კავშირს ასტრალურ და წყლის სამყაროსთან.

ხარისა და წყლის ურთიერთკავშირს ადასტურებს ამიერკავკასიის ვინოგრაფიასა და ფოლკლორში არსებული უამრავი ელემენტები. ბ. პიოტროვსკი მონოტიფიკაციის კომპლექსის ამირანის შესახებ, სადაც ამირანი იმისთვის, რომ ცაზე მოხვდეს, „ზღვის ხარის“ ტყავში ჩაჯდება.

თქმულებები წყლის, ტბის ცხოველების შესახებ ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მ. მაკალათია მოგვითხრობს სამხრეთ ჯავახეთში არსებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომლის მიხედვითაც ტბებში ბუღობს წყლის ხარი, წყლის ვერძი, წყლის ცხენი. ეს ცხოველები თითქმის ყოველთვის მამრობითი სქესისანი არიან და სახაფხულო სამოვრებზე გავყვანილ დედულ პიროვნებს ანაყოფიერებენ. ამ კუთხეებში საზაფხულო სამოვრები ახლოსაა ტბებთან. ზოგიერთ სოფელში (ხოხპიო, კოთელია, ჭობარეთი, ტოლოში) გავრცელებული რწმენის მიხედვით,

წყლის ხარი, კამენი და ცხენი ბუღობს ტბა-წყურის ტბაში. სოფელ პტენასა და მურჯახეთის გაღმრეკმთა თანახმად, წყლის ცხოველები ბუღობენ ნაქალაქქვთან, წყლის ტბაში. ასეთივე ცხოველები არიან ე. წ. „მწვანე მთებში“ მდებარე სოხაუნის და ჩილდრის ტბაში (მ. მაკალათია).

მსგავსი გადმოცემები გვხვდება აჭარაში. აირას მოვითხრობს ვ. შამილაძე: „ტიბინდ გამოსული ხარი ებრძვის და ამარცხებს სასოფლო ბუღას მანამ, ხანამ ამ უკანასკნელს მჭიდვლი რკინის მახვილს არ წამოაგებს რქებზე. სასოფლო ბუღა იმარჯვებს, მაგრამ განრისხებული წყლის ხარი საშინელ წვიმასა და ქვეა-ქუხილს იწყებს, რაც უწვლილობათა და ახლო-მასლო სოფლებს განადგურებით მთავრდება“. ეს გადმოცემა სხალთის ხეობის სოფელ ფერნებს უკავშირდება, რომლის სახელწოდებაც თითქოს ამ წარღვის შედეგად გაკვრანებას უნდა მიეწეროს. აჭარაში. ქუთაის ხეობაში გავრცელებული ლეგენდა ქინჭლის ტბის შესახებ, სადაც თითქოს ხარი ბუღობდა. იგი ხშირად ამოდიოდა წყლიდან და სამოვრის ახლოს ე. წ. ხარია თაღზე წვიმოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ხარია თაღი საქონლის საყვარელ საწოლ ადგილად ქცეულა; ამასთანავე, იქ ნაწოლი საქონლის სიკეთე და სიღალღე ცნობილი იყო. თვით ქინჭლის ტბას ძვირფასი სამკურნალო თვისებები მიეწერებოდა. ხეობის მოსახლეობა და, განსაკუთრებით, უშვილო ქალები, აქ სახანაოდ დადიოდნენ. გადმოცემა ტბის ხარის შესახებ ცნობილია შვეშეთშიც, ტბა ბუღა-გიოლთან დაკავშირებით.

მ. მაკალათიას აზრით, მსგავსი რწმენა-წარმოდგენები უნდა ეღოს საფუძვლად მთიანი ჩვენეთის სოფელ გალანჭოეთის ტბასთან დაკავშირებულ ლეგენდას „უწინ ეს ტბა აულ იალხაროსთან მდებარეობდა. ერთხელ ერთმა ქალიშვილმა დედასთან ერთად ტბაში ჭუჭუიანი ხარეცი გაარეცა. ამით ტბის კამკამა წყალი წაიბიღწა, ხოლო ტბის განრისხებულმა ხულმა ქალები გააქვავა. ტბამ ადარ მოისურვა ასეთ ხარეცილზე დარწმუნა. ის გადაიქცა მშვენიერ ხარად, რომელმაც კლდოვანი ქედი გადაიარა და უზარმაზარი ღრმულის სახით კვალი დატოვა. დაბლა ჩამოსული ხარი მივიდა იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ტბა მდებარეობს. აქ იყო სოფლის სახნავ-სათესი ნაკვეთი“. აღილობრივმა მცხოვრებლებმა ხარი გუთნაში შეაბეს და იწყეს ხენა. მეოთხე ვალის გააარების შემდეგ მიწიდან ამოხვამა წყალმა, რომელმაც მინდორი და მთელი ხალხი დაფარა: ხარი კი ტბის წყალში გაუჩინარდა“.

მსგავსი რწმენა-წარმოდგენები, ჩვენი აზრით, კავშირშია ვეშაპ-ვეშაპოიდთა კულტთან. ამ კავშირის მანიშნებელია ლეგენდათა და მონოტიფიკაციის გავრცელების არეალის თანხვედრაც. თქმულებათა შრავაღფეროვანი ვარიანტები არსებობს მეს-



ხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, რომლებიც შეგალი-თების სიმდიდრით გამოირჩევიან.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვაერცე-ლებულ თქმულებებზე დავრდებით ვ. შამილაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აქ საქმე ვეაქვს ტბის და ხარის კულტის ურთიერთშერწყმასთან, სადაც ტბის კულტი ხარის კულტის სახითაა პერსონიფიცირებული. ამ თქმულებებში აშკარად ჩანს რწმენა იმისა, რომ ტბას განანა-ყოფიერებელი ძალა აქვს, ეს დაბტურდება ტბის ხარის, კამეჩის, ცხენის, ვერძის შესახებ არსებული ლეგენდებითა და ზოგიერთი რიტუალით, — როგორც აღვნიშნეთ, ჭინჭაოს ტბაში, სადაც გადმოცემით ხარი ბღლოდა, შვილიერების მონიჭების მიზნით ბანადღენ უნაყოფო ქალები. აქვე უნდა ითქვას რომ ვერნების ლეგენდაში ტბის ხარისა და სახოფლო ბუღის ორბანბროლის მოტივთან დაკავშირებით ვ. შამილაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა აქ ასახვა პლავა გარეული საქონლის მოშინაურების ფაქტა.

მ. მაკალათიას აზრით, ტბებთან დაკავშირებული ეს რწმენა ამიერკავკასიის და მის სამხრეთით მცხოვრებ მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში ასახული წყლის კულტის განხილავის შემდგომი საფეხურია, წინაზე საფეხურად იგულისხმება ვეშაპ-ვეშაპილითა კულტი.

საინტერესოა, რომ ზოგიერთ ლეგენდაში (სოფ. ვერნების, სოფ. ვალანჭოვლის ტბის თქმულებები) ტბის ხარი ვეველინება წყლის სტიქიის მფლობელ შრიხანე არსებად. მის ძალაუფლებაშია ქვეა-ქუხილის, წყალდიდობის გამოწვევა, რაც ხალხის დაღუპვას იწვევს. აგრეთვე ამ არსებებს უკავშირდება ხეობებში წყლის მოტანა-გაქრობა. ეს თქმულებები აშკარად გვიანობენ ლეგენდებს ვეველშაბთა შესახებ, რომელთაც მსგავსი თვისებები მიეწერებოდათ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკუთრივ ვეველშაბთა შესახებ თქმულებებში ხშირად ვაუ-რეკვევლია მათი გარეული ხეივ. ისინი ხან გიჯანტურ ვეველად, ხან დრაკონად, ხანაც ვეშაპად ვეველინებიან. შეიძლება ტბის ხარის სახეც ვეშაბთა ერთ-ერთ სახეცვლილებად მივიჩნიოთ. საინტერესოა სომხური ეპოსი ხანასრა და ბადალასრად, რომელშიც ვეშაპი შერადრებულია კამეჩთან და მიუხედავად იმისა, რომ ეს შერადრება მხოლოდ ვეშაპის ზომებს ეხება, მაინც შესაძლოა, რაიმე კავშირის მანიშნებელი იყოს ვეშაპისა და ხარ-კამეჩის სახეს შორის.

საქართველოში ვაერცელებულია თქმულებები, სადაც ხარი ებრძვის ვეველშაბს. ასეთია ერწოს ტბაზე ვაერცელებულ ლეგენდათა სხვადასხვა ვარიანტი. ამ ლეგენდების მიხედვით ერწოს ტბაში დაბუღებულ ავ ვეველშაპს შეებრძობლება და დაამარცხებს სოფლის ბუღა. დაამარცხებული ვეველშაპი ამ ანემარდენ გადაიხვე-

წება, რასაც თან მოჰყვება ტბის წყლისგან დაცლა. წყლისგან დაცლილ ადგილას სოფელი გაშენდება, რომელიც ტბის სახელს ერწოს — შეინარჩუნებს (თ. ონიანური).

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ვარაუდი. ნ. ურუშაძე სამთავროს სამართავში ბრინჯაოს ქაშრების ანალიზის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქაშრებზე გამოსახული „ხარის-მავანის წარმოდგენენ ერთი და იგივე სახის კონკრეტულ ნაირსახეობას, რომელიც გულახს-მობს ნაყოფიერების, უხვი მოსავლისთვის ბრძოლის იდეის სახეით ფორმებში ხორცშესხმას“. „აქ დადგენილი იქნა ხარი — მხენელი, ხარი — მთესავი, ხარი — მფარცხველი, ხარი — მოსავლის ამღები. სახელთა ამ შერევაში გადმოიქცა სამიწათმოქმედო კალენდრის სრული ციკლი“, ა. სიხარულიძეც საუბრობს ამ ციკლზე და ფუნქციებზე და მიღის მეტად საინტერესო ვარაუდამდე — ვეშაპ-ვეშაპილითა მონოლითებზე განსახლები ხარი პირდაპირ გადმოიქცა წყლის ნაკადით ზომ არ არის ხარი-მრწვეელი?! ჩვენი აზრით, ეს ვარაუდი კიდევ ერთხელ აღსატურგებს ხარის, როგორც თაყვანსაცემი ობიექტის, ძალაუფლებას წყლის სტიქიაზე.

ვეშაპისა და ხარის სახის ურთიერთკავშირზე მსჯელობისას ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ვეშაპის მონოლითებთან დაკავშირებული წყლას არსებობს, გარდა იმისა, რომ ქალაქებს ამარაგებდნენ, შესაძლოა, გამოიყენებოდა მთის საძოვარზე საქონლის დასარწყვლებლად. ამით მეცნიერი ვეშაპთა კულტს შესაქონლბობასაც უკავშირებს.

განსილული მონაცემების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დაბეჯათებით შეიძლება ითქვას, რომ ხარის სახეც, რომელიც აშკარად უკავშირდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ნაყოფიერების კულტს, ასევე მჭიდრო კავშირშია წყლის კულტთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვეშაპთა მონოლითებზე ამოკვეთილ გამოსახულებებს შორის ხარის სახეც ვეველზე შეა-რია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვეშაპ-ვეშაპილითა ზოგიერთ მონოლითზე გამოსახული სემანტიკურ კონაში ცის სამკაროს წარმოდგენენ ფრინველები — ყარვატი ან წერო.

ეთნო-არქეოლოგიურ მასალაზე დავრდებით ა. სიხარულიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ყარვატები და წეროება განაფხულის, სიხარულის სიმბოლოებია და დაკავშირებული იყვნენ გამრავლების, ნაყოფიერების, სიმდიდრის კულტთან. წალკაში ყარვატს განაფხულის მასარობელს უწოდებენ. სამან ის არ მოიფრინდება, მიწის დამუშავებას არ იწყებენ. ყარვატის მოფრენას უკავშირდება, აგრეთვე, საქონლის გარეჯა საგანაფხულო საძოვრებზე (ა. სიხარულიძე). მსგავსი წარმოდგენებია წეროებზეც. ა. სიხარულიძის მიერ წარმოდგენილი მონაცემების გათ-

ვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყარყატის კულტი ერთნაირ კავშირშია როგორც მიწათმოქმედებასთან, ასევე მეცხოველეობასთანაც. ამავე დროს, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვეშაპთა მონოლითებზე შერჩეულია ფრინველთა სწორედ ის სახეობა, რომელიც ისე თუ ისე კავშირშია წყლის სამყაროსთანაც.

როგორც უკვე ითქვა, უშუალოდ წყლისა და ქვეყნის სამყაროს მონოლითებზე წარმოადგენენ გველის, თევზის, ხელიკის გამოსახულებები.

გველის კულტი მეტად გავრცელებული იყო წინა აზიაში და ამიერკავკასიაში. იგი ბოროტ ძალას განასახიერებს, მაგრამ, ამავე დროს, სიმბოლოა ნაყოფიერებისა და მისი კულტი მეტად ხშირია სამხრეთმოქმედ რელიგიებში. ქართულ და სომხურ ეპოსებში გვიანტური გველები, გველ-ვეშაპები წარმოგვიდგებიან მიუვალ გამოქვაბულთან, წყაროებთან და, საერთოდ, წყლის სტიქიასთან დაკავშირებულ არსებებად.

ერწის ტბის ლეგენდის ერთ ვარიანტში საუბარია, რომ ერწის ქვაბულის ტბაში ავი გველეშაპი ბუდობდა. მოსახლეობა მას ხარკად ქალვაკს სწირავდა. თ. იჩიური გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ გველშაპი ადრე ნაყოფიერების ღვთაება იყო, შესაძლებელია, თქმულებებში შემორჩენილი ამავე ქალვაკის ხარკად მიცემის შესახებ ანარეკლი იყოს ღვთაებისადმი ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის უფრო ადრინდელი წესისა. იგი აღნიშნავს, რომ ნაყოფიერების ღვთაებისადმი ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა ისტორიულად ცნობილი ფაქტია. ქართული ზღაპრების მიხედვით მსგავსი ხარკის მიცემა სწორედ გველშაპთა მიმართ ხდებოდა განსაზღვრული დროით და წესით.

საქართველოს და ამიერკავკასიის ეთნო-არქეოლოგიური მონაცემების კომპლექსური ანალიზი საფუძველს აძლევს ა. რობაქიძეს, დაასკვნას, რომ თევზის კულტი საერთო იყო მთელი ამიერკავკასიისათვის და მას მიეწერებოდა ნაყოფიერების და დაცვის ფუნქცია. მკვლევარის აზრით, ეს თავიანთსებამ სათავეს იღებს შუემრულ ეპოქაში და დაკავშირებულია შუემრული პანთეონის წყლის ღვთაება ეასთან, რომელსაც თევზაკად გამოსახავდნენ. ამ ღვთაების ფუნქციათაგან: ძალა, სიმბრძნე, განკურნება და სხვა, უმოგვრესი აბაღილი ნაყოფიერების იღვას ეჭირა.

ამრიგად, აქ მოტანილი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები საშუალებას გვაძლევს, რათა გარკვეულწილად მაინც წარმოვიდინოთ სახე წარმართული ვეშაპ-ღვთაებისა. მონოლითებზე ამკეთილი საკულტო ცხოველთა თუ ფრინველთა სიმბოლოების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დაიასკვნათ, რომ ჩვენს წინაშეა არქაული საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი სამყაროს კოსმოლოგიური მოდელი, რომელიც, ამავე დროს, ამ სამყაროს მთლიანობის იდეას გამოხატავს. მონოლითზე გამოსახული სემანტიკური კონა მიწის, პერის, წყლის სტიქიათა ერთიანობის იდეასთანაცა დაკავშირებული. ამასთანავე, მონოლითებზე ამოკვეთილი თითოეული სახე (ხარი, ვერძი, ყარყატი, გველი, თევზი) ვარდა ამისა, რომ ამ თუ იმ სტიქიის სიმბოლოს წარმოადგენს. ერთობლად უკავშირდება როგორც ნაყოფიერებას, ასევე წყლის კულტს; აგრეთვე, მეურნეობის ორ სახეს — მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ვარდა ზეითი ჩამოთვლილი მიზეზებისა, წარმართული ღვთაების კერძზე სემანტიკური კონის გამოსახვა ნიშანი უნდა იყოს ამ ღვთაების თითქოსდა მთელ სამყაროში პატრონობისა. მონოლითებზე სამსხვერპლო ცხოველთა ტყავების გამოსახვა მრუთი ღვთაებისადმი მსხვერპლ-შეწირვის მომენტზე. ვარდა ამისა, აშკარა გველენა ზეთური ტრადიციებისა, სადაც ცხოველთა ტყავები კავშირში არიან სიუხვის, კეთილდღეობის, ბედნიერების, ნაყოფიერების კულტთან და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, წყლის კულტთანაც.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ვეშაპთა მონოლითებზე გამოსახული ყარყატებიც მსგავსი სიმბოლური დატვირთვას მატარებდნენ არიან და ისინიც სიუხვის, კეთილდღეობის, ბედნიერების კულტს უკავშირდებიან.

საინტერესოა, აგრეთვე, საწმისის კავშირი გველთან. არქონავტების მითის თანახმად საწმისის იცავს ზღაპრული გველი. გველი, გველშაპის, ვეშაპის ურთიერთკავშირსა და იდენტურობას თუ ვაითვალისწინებთ, მონოლითებზე ამოკვეთილი ცხოველთა ტყავები შეიძლება ამუკავშიროთ ვეშაპ-ღვთაებას, რომელიც საწმისის, როგორც ნაყოფიერების, სიუხვის, კეთილდღეობის გამოსახულების დამცველად თუ გამგებლად წარმოგვიდგება.

მონოლითზე გამოკვეთილ კომპონენტთაგან ყველაზე მყარია ორი სახე — ხარისა და თევზ-ვეშაპისა. ეთნო-არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალების მიხედვით, ეს ორი სახე უძველეს რწმენა-წარმოადგენებში ყველაზე მეტად უახლოვდება ნაყოფიერების იდეას. თევზ-ვეშაპთა თავისთავად გამოხატულება წყლის სტიქიისა; ხარის სახეც, როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, აშკარა კავშირშია წყლის კულტთან და, ამასთანავე, უკავშირდება მეურნეობის ორ დარგს — მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ყველა ზემოთქმული მასლისა და მოსაზრების ერთობა საშუალებას იძლევა, მთლიანობაში წარმოვიდგინოთ სახე წყლის სტიქიასთან დაკავშირებული ნაყოფიერების და სიუხვის ღვთაებისა, რომელიც მიწათმოქმედი და მესაქონლე საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენდა.

ვივი ლობჯანიძე

ქრისტიანული იდეოლოგია—პოლიტიკურ მოქმედებათა საფუძველი საქართველოში

ბუნებითი სამართლის განვითარების ოთხი ეტაპიდან მეორე ეტაპი ქრისტიანული იდეოლოგიის პოლიტიკაში დაშვებულ იქნა. დღევანდელი ჩვენი განხილვის საგანიც ესაა — რატომ ითვლება ქრისტიანული იდეოლოგია პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძვლად საქართველოში.

„აღრინდელი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე დაკავშირებული რელიგიასთან. ვველა დასკვნა, რომელიც სახელმწიფო მოწყობისა და სამართლებრივ საკითხებს ეხება, ქვეშაბრტყელად არის მიწნეული, თუ ის რელიგიურ ნორმებს ზუსტად შეესაბამება“ (მ. ცაქაძე-შვილი).

ქართველი კაცის ეროვნულმა მისწრაფებებმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ორიენტაციამ ვერ შეიკუთვნა ძველი წარმართული სარწმუნოება და ქვეყანა ქრისტიანული ცხოვრების გზას დაადგა. ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა 337 წელს გამოცხადდა. ამით საბოლოოდ უარყვავით გერ აღმოსავლური ცეცხლთაყვანისმცემლობა, ხოლო შემდეგ ისლამი და ევროპულ კულტურასა და ცხოვრების წესს დაეუკავშირდით.

სწორედ ქრისტიანული რელიგია აღმოჩნდა ის სულიერი საზრდო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეძებდა ქართველი კაცი. „ღვთაების სიყვარული ადამიანურ სიყვარულში შედგენდება, მოყვასია უდიდესი დივინულება ამ ქვეყნად — „გიჟვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — აი, ქართველთა საარსებო ქუშირტიად ქვეყნის მოძღვრების არსი“ (გ. შურულაია).

უძველესი წერილობითი ძეგლები საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებიდან მოგვეპოვება, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებების განხილვაც სწორედ ამ ეტაპით იღებს დასაბამს. საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის ფუძე-

მდებელი პროფესორი ივანე სურგულაძე თავის გამოკვლევას „ნარკვევი საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ იაკობ ცურტაველის „მუშანიკის მარტივობით“ იწყებს.

ქუშირტი პატრიოტი მწერალი იაკობ ცურტაველი ვარსკენის მოქმედებას ეროვნული უბედურების მომასწავებლად მიიჩნევს და სამართლიანადც ემობს. ავტორმა პიტიახში კარზე განვითარებული ამბები კარგად გამოიყენა ქრისტიანული სარწმუნოების ინტერესებისათვის, სარწმუნოებისათვის თავდადება კი მაშინ სამშობლოსათვის თავგანწირვის ტოლფასი იყო ნაწარმოებები V საუკუნის II ნახევარში დაიწერა; საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული იყო ფეოდალური წყობილება.

ტექსტში მრავალგზის ვხვდებით: „აზნაურნი“ და „უაზნონი“, „დიდ-დიდნი აზნაურნი“, „ხეპურნი დედანი“. ე. ი. საზოგადოება დაყოფილი იყო ფენებად — სათავეშია პიტიახში, შემდეგ დიდ-დიდნი აზნაურნი, აზნაურნი და უაზნონი. ცალკე იდეა სასულიერო წოდება, ის გერ კიდევ არ იყო საკმაოდ მომძლავრებული, მაგრამ მაინც გარკვეულ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სწორედ ასეთ პოლიტიკურ ფონზე იშლება „მუშანიკის წამება“. დღემდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ძეგლი სამართლებრივი თვალსაზრისითაც იყრობს ჩვენს ყურადღებას. აქ დანაშაულსა და სასჯელს „საეკლესიო სამართლით“ განიზომება, ავიოვრავთა აზრით კი სწორედ ეს არის ყველაზე მართალი სამართალი.

იაკობ ხუცესი გრძნობს, რომ ამ ნაწარმოებში განსაკუთრებული როლი უნდა თამაშობს ქვეყნის ისტორიაში. ამიტომ თავს არ იზოგავს, ხშირად საფრთხეხაც არ ერიდება და, არა მარ-

ტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაც აშკარად დღოფლის მხარეზე დგება, ის მსაჯულიც არის და ბრალმდებელიც, მოვლენების უშუალო მოწყვეც და მონაწილეც.

ქმრის მიერ წაყენებულ ბრალდებას — ჩემი ოჯახი და ანაწილი — დედოფალმა უმითარი და პრინციპული პასხევი გახეცა, „არა თუ მე აღმუშართა ხატი იგი და შემცა დავაშუსო“ ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტყილენი და ეკლესიანი აღაშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი გარყუნენ და სხუად გარდაკციენ კეთილნი მინი. მამამან შენმან შენდინა შემოიხუნა სახილთისა, ხოლო შენ დვენი შემოიხუნე, მან დმერთი ცათაი და ქუეყნისაი აღიარა და მრწყენა, ხოლო შენ დმერთი ქუეშარიტი უფარ ჰყავ და ცეცხლსა თავუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უფარ-ჰყავ, ეგრეთცა მე შენ შეურაცხევაე და, თუ მრავალი ტანჯავაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“ (IV თავი).

ქრისტიანი ქალა არ უარყოფს, რომ შეურაცხყო, „შეჯლიერი“ შეუღლის დონსება, მაგრამ განამართლებელი საბუთიც გააჩნია. ძნელი გამხეცებულ პიტახსზე ზეგაეღუნის მოხდენა. ის არავის და აღარაფერს უწევს ანარაშს, ერთი-მეორეზე მძიმე დანაშაულს ჩადის, სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფს ღირსეულ დედოფალს;

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იმ დროისათვის დანაშაულიც და სახეელიც „საეკლესიო სამართლი“ ვინისოშებოდა და, მებისტორიის აზრით, ეს იყო ყველაზე მართალი სამართალი. ასე ფიქრობს შუშანიკიც. მას ამქვეყნად არ ეკუთვნის ძალა, რომელიც განსჯის ვარსკენის დანაშაულს და ფიქრით იმიერ ქვეყანაში გადის, „სად არა არს რჩევაი დედაკაცისა და მამაკაცისა“ და სადაც უფლის წინაშე უნდა წარსდგენს საკუთარი ცოდვა-მადლით ის და ვარსკენი. სწორედ უფალს შეთხოვს ქართლის დედოფალი განაჩენის გამოტანას, ხეცრა, რომ სამართალი გზას იპოვის, დამნაშავე, დმერთისა და ქვეყნის მოღალატე საკადრისად დაისჯება. „მოავოს მას უფალმან, ვითარ მან უთამოდ ჩაიოფინ ჩემნი მოსიოღენა და ხანთელი ჩემი დამრითვა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუთელიერებაი სიყუთისა ჩემისა დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა. და დმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის“.

და მსახვა კიდევ. უღმობელი და ტირანი პიტახსში ერისა და ქვეყნის დალატისათვის ვახტანგ გორგასანდამ მოაკვლევინა 482 წელს. ეს იყო ალბათ დმერთის განაჩენი და მფევი კი მისა აღმსრულებელი.

მართალია, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ ავთორაფიული ნაწარმოებია, არ წარმოადგენს პოლიტიკურ ტრაქტატს, მაგრამ იგი ნათლად წარმოდგენას ეკლესიის ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, სამართლებრივ მოწყობაზე

და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისათვის არაპირდაპირი წყაროა.

ქრისტიანული მოსოფმხედველობა ჩადებული იოანე საბანისძის თხზულებაში „აბოს საქება“. ივ. ჯავახიშვილს ის საკუთრივ ეროვნული იდეალების დამკვიდრების სამსახურში მდგომ ნაწარმდება მიანდა. მასში ორი უმთავრესი იდეა გამოკვეთილია — „ჩვეულებებისაგარ მამულისა სლვაი“ და „ადვერინეთი ერსა უცხოთა“. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძვლებს ძიებაც ამ ორ პრობლემაზე უნდა დაუკავშირდეს.

ნაწარმოები VIII საუკუნის დასასრულს, არაბების მღაზრობის ხანაში დაიწერა (786-791 წწ.). ქართლის კათალიკოსმა სამოელმა იოანე საბანისძეს, რომელიც საერთო პირი უნდა ვოფილიყო, სთხოვა აღეწერა დეაწლი და მოწამებნივი აღხასრული მისი მეგობრის აბოსი. კათალიკოსს იოანე ამ საქმის შესასრულებლად ყველაზე ღირსეულ კანდიდატურად მიუჩნევია და მასაც პირნათლად შეუსრულებია ეს თხოვნა.

დაძვევითი და შემსრულებელიც კარგად გრძნობდა, რომ დედაც „მამულისა ჩვეულებისაგარ სლვისა“ და დაძვევა დღი საფრისისა, „ადვერინეთი ერსა უცხოთა“, უნდა განხორციელებულიყო ეროვნული თვითშემეცნების გზით, რომელიც აუცილებლად რწმენით ცნობიერებაზე უნდა ვოფილიყო დაფუძნებული. სხვა გზით ვერ ავიცილებდით მოსალოდნულ უბედურებას.

როცა ქრისტიანულ რელიჯიაზე ვსაბურობდით, ხაზგახმით აღვნიშნეთ, რომ სწორედ ის იყო სულიერი ხაზრდი, რომელსაც ხაუკუნეების მანძილზე უბრუნდა ქართველი კაცე. ამ ქუშარიტეზასთან ნიარების შემდეგ კი მთელი არსებით დაუკავშირდა მას და შეისისხლბორცა. იმ დღიდან ერის განვითარების მაგისტრალური გზა ქრისტიანობაზე გადის.

იოანე საბანისძის აზრით, ყველა ანტიქრისტიანული მოძღვრება, მათ შორის არაბობა, ბორტება, ამდენად, მას მხოლოდ უბედურების მოტანა შეუძლია. თხზულების შესავალში ავტორი გვიხატავს ქართველთა დაქინენებისა და გადავადვრების საშინელ სურათს, ერთადერთი, რაც კიდევ ანარქუნებისება ქართველს ეროვნულ ხახეს, იყო ვითრა მოთმენით არგანსორება ქრისტიანული სარწმუნოებისა, ანუ ერთაულება „ჩვეულებისაგარ მამულისა სლვისა“. ამ ფრაზაში გააზრებულია ერის განვითარების უმთავრესი გზა, რომელიც ქრისტიანობასთან იყო შესისხლბორცებული. ეს გზა რომ არ გამრუდებულიყო, ამას ეწირებოდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შეილები.

იოანე საბანისძეს მტკიცედ სწამს, რომ მიუხედავად იმჟამინდელი უბედურებისა, საქართველი არ შეიძლება აღიავდოს პირისკაგან მიწისა. ამ იმედით ალაგხებს იგი მკითხველსაც და იმეცნებებს ქრისტიანული სარწმუნოების თვალთახედ-



ეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტებს, რომელთა ძალითაც ჩვენი ქვეყანა კვლავ წელში უნდა გაიმართოს, აღორძინდეს და ამაღლდეს. გუაანალიზოთ რამდენიმე არგუმენტი, რომ უფრო თვალნათლივ დაეინახოთ ამ ნაწარმოების პოლიტიკური მნიშვნელობა. „ვართ ყურება ამას ქვეყნისასა“ — ნიშნავს, რომ ქართულ სახელმწიფოს აქვს თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია; ის ქრისტიანული სამყაროს განაპირა გოლოლის, ციხესიმაგრის როლს ასრულებს და მტკიცედ ელოდება მუსლიმანურ შემოტევას. რ. სირაძის აზრით, ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი, რადგან ყველაფერი მანამდე არსებობს, ხანამ ფუნქცია აქვს.

მეორე არგუმენტი — საქართველო ტექსტში მიხსენიებულია „წმინდანთა დედად“. აქვე ხაზგასმულია, რომ ქართულ მიწაზე ქრისტიანთების თავს დებდნენ არა მხოლოდ ქართველნი, არამედ უცხოელებიც. პაგიორაფიულ ნაწარმოებებში არათხოვლად აღნიშნული, რომ ქართლში მოხვედრა არანახული სულიერი ძალებით აღდგებდა ვეხოვლს და ხელს უწყობდა მის გაქრისტიანებას. „აბო წამებაშიც“ არაბთა ჭაბუკის ქართლში მოხვლა არ არის შემთხვევითი მოვლენა, ეს უფლის ნებაა და მისი სურვილით ხორციელდება. ქართლი იქცა აბოსათვის აღქმულ ქვეყნად. სადაც ის ქრისტიანად მოინათლა და ჭეშმარიტ მორწმუნედ იქცა.

ეროვნულ ღირსებათა ნათელსაყოფად ავტორის წამოყენებული აქვს ოთხი მოტივი: 1. ქართველები მარტონი ვიცავთ ქრისტიანობას კულტურული მსოფლიოს განაპირას. 2. ხუთი წელზე მეტი ხანია, რაც ჩვენ ქრისტიანობას ეუჩიარეთ (ნაწარმოები დაიწერა 786-790 წლებში. ე. ო. ქართველები მონათლულან არა უკვიანეს 286-290 წლებსა. 337 წელი კი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიჯიად გამოცხადდა (ქვლია). 3. ჩვენი ხარწმუნოება ბერძნებისა ეთანატოლება. 4. ქართლი წმინდანთა სამშობლოა.

ასეთია ქართლის ღირსებანი. ახვა ჩამოყალიბებული „აბოს წამებაში“ ქართველთა ეროვნულ-ხარწმუნობრივ ღირსებათა შეგნება. არაბთა ჭაბუკის, ქართველთა „მეობის“, მათი სულიერად მხსნელის წამებით იწყება განახლება: „გაცნობიერება ეროვნული ღირსებისა, თავსდატყობილი იმდროინდელი უმეღერებისა და სამომავლო გებისა“. ამიტომ გახდა აბო მაჩვენებელი იმ გზისა, რომლითაც უნდა წარიმართოს „მამულითა ჩვეულებიისაგერ სლვაი“. ეს გზა კი ქვეყნის გადარჩენის გზაა, წერს რ. სირაძე.

პოლიტიკური თვალსაზრისით ტექსტში ხიანტერესთა ნერსე ერისთავის სახე. მისი ოჯახი ერთგვარი ცენტრია მთელი იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა. აქ აღიხარდა კერ. ხანძთელი და აქვე ჩაისახა საფუძვლები ქვეყნის მომავალი გაერთიანებისა. მტერს

შეუმჩნეველი არ რჩებოდა ერის თავკაცის საქმიანობა და ამიტომ ნერსე აღარნახე კურაპალატთან ერთად ბაღდადს გაუწევეით, ისინი, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები, სამი წელი საპყრობილეთა უყოლიათ. ერისთავს ეს დროც არ დაუკარგავს ჭკმად, მას ერისთავსა მოუხსნდნია არაბ ჭაბუკზე და ისიც შინდარუნებულს თან გამოჰყოლია. პატივრობამ და მოსალღნულმა საფრთხემ ვერ გატეხა ქართველთა ერისთავი. ხაზარეთს მისი გამგზავრებაც ქვეყნის მომავალზე ფიქრით იყო განაპირებებული.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების მიხედვით, — მიუთითებს ივ. სურგულაძე, — არაბობის „მძლავრობის ხანაში ქართული პოლიტიკური გაერთიანების სათავეში დგას ქართლის ეროვნობათვარი. ერთსმთავარი იყო ქართული პოლიტიკური ერთეულის მეთაური არაბების შემოსევაამდეც, მაგრამ ითანე საბანისძის შრომის მიხედვით, VIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი ამირაზე არის დამოკიდებული. ე. ო. ქართლის პოლიტიკური ერთეულის მეთაურის იურიდიული რევიმი უტოვლილია. მას იბარებენ ბაღდადში და ციხეში ხეავენ. ქართლში მისი უფროსი არის თბილისში მჯდომი ამირა. მამახადაძე; არაბობის „მძლავრობის“ ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ ქართლი აღარ არის დამოკიდებული სახელმწიფო; ავტონომია აზრით, არაბთა მთავრობა უნდა აილაგოს, რომ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო ვახდეს.

ასეთ პოლიტიკურ ფონზე გვიხატავს ავტორი არაბთა ჭაბუკის სახეს. ხაზს უსვამს, რომ ის ქრისტემ არაბთა შორის „გითარცა ვარდ ეკალთაგან“ გამოარჩია, წამების გვირგვინი დაადავა და ამით უკვადავებს აზიარა.

ავტორის მზანდახასულება სწორედ ისაა, რომ განამტკიცონ ქართველობა, ადგილი არ ჰქონდეს „აღრევას“. ამისთვის საჭიროა სიმაძაქე, თავგანწირვა, შეურიგებელი ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამის საუკეთესო და მისაბამი მაგალითია აბო. მითუმეტეს, ქართველი კაცი მზად უნდა იყოს, თავი გასწიროს ხალხისა და სარწმუნოებისათვის.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გიორგი მერნულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951 წ.).

მერნულე „სჯულ“ თუმიდან მე-ე აფექსებით ნაწარმოები ხასელია და აღნიშნავს არა გვარს ან სადაურობას, არამედ ხელობა-პროფისიას. ე. ო. მწერალი ყოფილა სჯულის, ანუ კანონიერი სამართლის მცოდნე, საქრისტიანო სამართლისა და მოძღვრების მცენიერი, თეოლოგი.

გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის მთელი სისრულით წარმოსახუნად რვეზ სირაძე წიგნში „ქართული საკვირარაფა“ საჭიროდ მიიჩნევს შემდეგ-

გი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებას:

„საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი ოდითგანვე იყო ქართლი. ამის გამო საქართველომ, მრავალი კუთხისაგან შემდგარმა ქვეყანამ, თავისი სახელწოდება ქართლისაგან მიიღო. სანამ სახელწოდება „საქართველო“ დამკვიდრდებოდა, მანამ საერო სახელწოდებად „ქართლი“ იყო.

XII საუკუნიდან დაწყებული არაბებმა ქართლი დაიპყრეს, მეფობა მოშალეს და თბილისის საამირო დააწესეს. ქართლში ცხოვრება ჩაკვდა. ამ კუთხემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ხოლო მთელმა ქვეყანამ უმნიშვნელოვანეხი ცენტრი. თუ ქართველ ერს სურდა თავისი პოლიტიკური და კულტურული სახე შეენარჩუნებინა, მას უნდა შექმნა ქართლის ნაცვალი, იმგვარი ცენტრი, რომელიც ქართლის მაგიერობას გასწევდა“.

ამ უდიდეს ეროვნულ საქმეს ჩაუღვა სათავეში გრიგოლ ხანძთელი. მან თავის მოწაფეებთან ერთად მიაშურა ტაო-კლარჯეთს და მურვან ყრუსაგან აიხრებულ კუთხეში დაიწყო ეკლესიამონასტრების მშენებლობა, რითაც საფუძველი ჩაუყარა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

გრიგოლ ხანძთელი ხომ ნერსე ერისთავის ოჯახში იყო გაზრდილი, ამიტომ მისთვის უცხო არ ყოფილა ერის ინტერესებისათვის ბრძოლა. ამ დროს გაიშა ოთანე საბანისძის გამაფრთხილებელი სმაც: „აღვერიენით ერსა უცხოას“, დავივიწყეთო „ჩვეულებისაგებ მამულისა სვლია“ და გრიგოლიც მტკიცედ დააგა ქვეყნის ხსნის გზას. ყველაფერი საიდუმლოდ და ფარულად უნდა გაკეთებულიყო, არაბები ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ნამდვილ არსს — წერს რ. სირაძე. მომძლავრებულ მტერთან უშუალო დაპირისპირება შედეგს არ მოიტანდა. ქვეყანაში დაწყებულ იდოი აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელსაც სათავეში ბერის სამოსში ჩაცმული გრიგოლ ხანძთელი ჩაუღდა, ერის გამოფხიზლების, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისა და კულტურული აღმაშენების გარანტი იყო. აი, რატომ უწოდებდნენ გრიგოლ ხანძთელს „ზეცის კაცს“ და „ქუეყნისა ანგალოზს“.

განადგურების კარზე მისულ ქვეყანაში, სადაც რწმენამაშურყვეული, დაშინებული და დამონებული ადამიანები ახალ-ახალი უბედურების მოლოდინში „ირყყოდნენ ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ („აბო თბ: ლელის წამება“), იმპლაურა სადმა პოლიტიკურმა აზრმა, მოიძებნა გზა და საშუალება დღისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადასარჩენად. მოსალოდნელმა ეროვნულმა საფრთხემ შუაკაემირა ერი და ბერი, ხმალი და გჯვარი ჩაღვა მამულის სამხურში. ტაო-კლარჯეთი იქცა სრულიად საქართველოს პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრად,

საიდანაც დაიწყო ქვეყნის გაერთიანებისა და მრავალსაუკუნოვანი მონობისაგან განთავისუფლების ცდა. საბოლოოდ სახელოვან წინაპროთ მიერ დაწყებული საქმე გამარჯვებით დაავიჯენინა დიდმა დავით აღმაშენებელმა.

სამართლის სპეციალისტებმა განსაკუთრებულ ყურადღებას აიყრობს ვიორგი შერნულეს აზრი თბის თაობაზე, რომ ეკლესიას თავისი მიმართულება აქვს და სახელმწიფოს თავისი. შინაურ საქმეებში ჩაურევლობა უნდა იყოს მათი თანაარსებობის საფუძველი, თუმცა მწერალი ზომიერ გამონაკლისს მაინც უშვებს ეკლესიის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სასულიერო პირები თვით მეფეებსაც ეი აღარ ემორჩილებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საბა იშხნელი, რომელმაც მეფეს მტკიცედ განუცხადა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ზელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტი ზეცისა და ქუეყანისა და ქუეხენლოთაი“;

მთელ ნაწარმოებს გასდევს აზრი, რომ „ქუშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არაყისსა ზელმწიფებასა ქუეშე არიან“.

მართალია, ავტორის აზრით, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა უნდა იყოს ეკლესიისა და სახელმწიფოს თანაარსებობის საფუძველი, მაგრამ საოჯახო საქორწინო სამართალში საერო ხელისუფლება მარცხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან შეჯახების დროს. შერნულე ავითარებს აზრს, რომ მუდღებუა დასაშვებია სოციალურად ერთ საფუძველზე მდგომ ადამიანებს შორის, ქორწინებისათვის კი მშობლებისა და ახლობლების თანხმობა აუცილებელი. სწორედ ასეი ქორწინებას ცნობს ეკლესია და ბოლომდე მხარს უჭერს მას, თუნდაც ის სიყვარულზე არ იყოს დაფუძნებული. შერნულე იცავს ოჯახის ღირსებას, სიმტკიცეს, ერთიანობას, რაც სახელმწიფოს ძლიერებაზე ზრუნვით იყო განპირობებული.

ამოტ კურაპალატმა, რომელსაც კანონიერი მეულე ჰყავდა „გარდარეული სიყვარულით“ შეიყვარა სხვა ქალი და ახლოს რომ ჰყოლოდა, სახალში მოიყვანა საგანძურის მცველად.

ეს შემთხვევები არ დარჩენილა და დღეოფლის ყურამდეც მიადწინა. ამ უკანასკნელმა დასმარებისათვის გრიგოლს მიმართა. ისიც აქტიურად ჩაერია. მეფის დაუეთხავად ქალი სასახლიდან გამოიყვანა და დედათა მონასტერში მიიბარა. ამოლ ცდილობს ამოტი, დაიბრუნოს სასურველი ქალი და სასოწარკვეთელებით წარმოთქვამს: „ნებტარ მას კაცსა, ვინ არდალა ცოცხალ არს“.

ღრმად განსწავლული მწერალი ნაწარმოებში დამაჯერებლად აშუქებს საერო და სასულიერო წოდებათა ურთიერთთანამშრომლობასაც, ამას კი საჭიროება განსაზღვრავდა. მეფეებსა და დეოდალებს ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდებოდათ არა მარტო საზოგადოებრივი სისტემის შესანარჩუნებლად, არამედ პირადი სულიერი და რელი-



ვიტონ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბიბლიაც ხომ ამას გვახსნავს: „ვეწინოდენ, შეილო ღმრთისა და მეფისა და ნუ ეურნები ორთავე მათ“. კ. დანელიას აზრით, ვკლესიასაც თავისი ანგარიშები ჰქონდა, სასულიერო საქმეების საკეთებლად ქვეყნის სიმშვიდე და ეკონომიკური საშუალებები იყო საჭირო. ამის საკუთვითო მაგალითია გრიგოლ ხანძთელის ურთიერობა ჯერ გაბრიელ დაფანშულთან, ხოლო შემდეგ ამოტ კურაპალატსა და მის შვილებთან.

საყურადღებოა მერჩულეს შეხედულება დანაშაულის შესახებ. საქრისტიანო სამართლისა და მოძღვრების ღრმად მცოდნე, თეოლოგი განიხილავს ქალის მოტაცების ფაქტს. დიდგვაროვანი ზნონის და ვინმე უკეთურმა კაცმა ეშმაკის საშუალებით აცდუნა და გაიტაცა. ავტორი არ აზუსტებს, რა სიტუაციაში მოხდა ეს. მხოლოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალის ქმაცლილობს ოჯახის ღირსება ალაღვინოს. დაეღვენა კიდეც უკან, მაგრამ გზაში ღვთისთვის მიცემული სიტყვა გაახსენდა და შეჩერდა. რომ დავეწიო და მოვკლა, სულს წარვიწყმედ, არ მოვკლა და ამაოდ მიგბრუნდე შინ — ეხეც სირცხვილია. სჯობია ღვთისათვის მიცემული აღთქმა შევასრულო — მონაზვნად შევდგეო. და შეასრულა კიდეც. მერჩულეს აზრით, დანაშაული მძიმდება, როცა საქმე გვაქვს მოსყიდვით შეკვლეობასთან, ესე იგი, როცა სასყიდლით დაქირავებული მკვლელი ჩადის დანაშაულს. ივ. სურგულაძე ამ საკითხის გამოკვლევისას სვამს კითხვას — თუკი დაზარალებულს ან მოკლულს რაიმე ბრალი მიუძღვის, ესე იგი, რაიმე დანაშაული ჩაუდენია, ეს გარემოება ხომ არ უმსუბუქებს მის მკვლელს დანაშაულს და თვითონვე აყალიბებს ვერსიას — საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებასთან გვქონდეს საქმე. საეკლესიო სამართლით კი შურიხმდება ნებისმიერ შემთხვევაში დიდ ცოდვად ითვლება. უფალი

თვითონ განსჯის, ხოლო მოკვდავს ამის უფლება არა აქვს.

თხზულებაში ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეფის, ამოტ კურაპალატის მოკვლის ფაქტი მაგრამ, საწესდაროდ, ავტორი მკვლელებსა და მოკვლის მიზეზებზე არაფერს ამბობს. ორიოდ სიტყვით გვაუწყებს — „ამოტ კურაპალატი მოიკლა“-ო. მერჩულის მიზანი არ არის, დასატოს ამოტი პოლიტიკურ მოღვაწედ, ამიტომ მუნწ ცნობას გვაძლევს მეფის მოღვაწეობის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, მის გამორჩეულ როლზე ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში. პაგიოგრაფი მწერლისათვის სრულიად საკმარისი იყო, წარმოედგინა მეფე ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ღვთის მსახურ ხელმწიფედ.

მართალია, მწერალი პაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვერდს უვლის მეფის მკვლელობის სამართლებრივ შეფასებასა და სახჯელს (იმას კი აღნიშნავს, რომ ამ დანაშაულის ჩამდენი უსამართლო და ბოროტი ადამიანები იყვნენ), მაგრამ ხაზს უსვამს უფლისწულების პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას, სახელმწიფოებრივ მოვალეობის გრძნობას, მერჩულის დაუფარავი კმაყოფილება ცხადდება იმ ფაქტის აღნიშვნაში, რომ შამის სიკვდილის შემდეგ ძმები ტახტის დაკავებისათვის კი არ ეცილებოდნენ ერთმანეთს, არამედ ხელს უწყობდნენ შუათანა ძმას — ბაგრატს — დაქუცმაცებული სამთავროების ერთიანი სამეფო ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებასა და არამთავან მიტაცებული მიწების შემომტკიცებაში.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პაგიოგრაფიული ნაწარმოებების, იმდროინდელი სხვა თხზულებების, ანონიმი სწავლული ისტორიკოსების და იურისტების ნააზრევის განხილვა-ანალიზი რაზედაც შემდგომში გვექნება საუბარი, იძლევა პასუხს კითხვაზე: თუ რატომ გახდა ქრისტიანული იდეოლოგია პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ჩამოყალიბების ერთერთი საფუძველი საქართველოში.



ქეთევან ქუთათელაძე

ეპისკოპოსი ანტონ თოვლაის ქ

XI საუკუნის მანგლისის ეპარქიის ისტორია წყაროების უქონლობის გამო მეტად ბუნდოვანია, მაგრამ მასთან დაკავშირებულ პიროვნებათა შესახებ გაბნეული ცნობების თავმოყრით შეხაძლა ზოგიერთი ქრონოლოგიური მონაკვეთის გაშუქება. ქვემო ქართლის ქართული ეპარქიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მანგლისის ეპარქია იპყრობს, რომელიც თავისი სიძველით გამოირჩევა. მანგლისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ლეონტი მროველის ცნობა მიუთითებს, რომლის მიხედვით ქრისტიანობის მიღებისთანავე, IV საუკუნის I ნახევარში მანგლისის ტაძარი აუკიათ, სადაც ქრისტიანების უძვირფასესი განძი ინახებოდა „და წარმოვიდა ეპისკოპოსი...“ და მოვიდა მანგლისის და იწყო ეკლესიასა შენება, და დაუტყვენ ფიცარნი იგი უფლისანი“ (ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955 წ. გვ. 118).

სწორედ ამ წმიდა რელიქვიამ გაუთქვა მანგლისის ტაძარს სახელი. მანგლისში სალოცავად არა მარტო ქართველები, არამედ სომხებიც მოდიოდნენ, სამწუხაროდ, VII საუკუნეში პერსიკე კეისრის ლაშქრობის დროს, ბიზანტიის იმპერატორს თავის სამეფოში წაუღია ქრისტეს „ფერხის ფიცარი“. ამასთან დაკავშირებით ჯუანშერი წერს: „მასინ ერეკლე მეფემან წარისუნა მანგლისით... ფერხთა ფიცარნი.. უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელი მოცემულ იქმნეს კონსტანტინესგან მირიანისად“ (ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 227-228). მანგლისში ქრისტეს ჯვრის წმინდა ნაწილების არსებობაზე ცნობა მოიპოვება არსენ ბერძანაც წმიდა ნინოს ცხოვრებაში (ცხოვრება წმიდა ნინოსი“, თბ. 1902 წ. გვ. 39, 48). მანგლისის ეპარქიის დაარსება ვახტანგ გორგასლის პერიოდს განეკუთვნება: „და დასუა ერთი ეპისკოპოსად... მანგლისს“ (ჯუანშერი, იქვე, გვ. 198). მანგლისის ეპისკოპოსი მანგლელად იწოდებოდა. იგი მოხსენიებულია „ეპისტოლეთა წიენში“ (ზ. ალექსიძე, „ეპისტოლეთა წიენი“, თბ. 1968. გვ. 97-98), ასევე „განგება დარბაზობისაში“, სადაც მანგლელს

მე-15 ადგილი უჭირავს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1965 წ. გვ. 47-49).

სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, VII საუკუნეში, სომხეთის კათალიკოსმა აბრაჰამმა აუკრძალა სომხებს მცხეთისა და მანგლისის ჯვრებზე სალოცავად წასვლა, აქედან ჩანს, რომ მანგლისის ტაძარი თავიდანვე ჯვრის სახელობის ყოფილა. მართლაც, როგორც უკვე ითქვა, წმიდა ჯვრის ნაწილები მანგლისის ტაძარში ესვენა. ივ. ჯავახიშვილი ამ „ჯვრებში“ სალოცავ ხატებს ან ჯვრის ტიპის ეკლესიას გულისხმობს. გ. ზუბინაშვილის აზრით კი ეს ღია ცის ქვეშ მდგარი ჯვრებია, რომელთა ადგილას მოუვანებობის ტაძრების აშენება ქონდა განზრახული. ლ. მელიქიძეთვის მოსაზრებით ამ შემთხვევაში ჯვარში ფიზიკურად ჯვარი იგულისხმება და არა ჯვრის სახელობის ეკლესია: „მანგლისის ჯვარს არანაირი კავშირი ქონდა იმ ადგილთან, სადაც აშენდა ძველი მანგლისის ტაძარი“, მანგლისის ჯვრად მკვლევარს „მარამ-ჯვარი“ მიაჩნია, რომელიც მანგლისის ტაძრის პირიპირ მდებარე ე. წ. საკრისის მთაზე, ანუ «Желтая гора»-ზე უნდა ვოფიოიყო აღმართული. მანგლისში მცხოვრები რუსები მას «Каменная невеста»-ს უწოდებენ. ლ. მელიქიძეთვის აზრით, ასევე „მცხეთის ჯვარი თვით მცხეთაში კი არ იყო, არამედ მის პირდაპირ მდებარე ბორცვზე, რომელსაც ამის გამო „ბორცვისჯვარს“ უწოდებენ“ (ლ. მელიქიძეთვის, მანგლისის რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, „ახალი სკოლისაკენ“ № 2-3, თბ. 1924 წ. გვ. 74).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით მანგლელი ეპისკოპოსი იყო „მწვეფში ალგეთის ხეობისა და ქვის ზემოთისა თრიალეთამდე“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973 წ. გვ. 325). X-XI საუკუნეებში მანგლისის ეპარქია კლდეკარის საერისთავოში უნდა შესულიყო, რადგან რატი ბაღვაში „ქპონდა... ქართლისგან მტკვარსა სამხრით კრძო ვოველივე; თრიალეთი, მანგლისი კევი და სკურეთი“ („მატიანე ქართლისა“, ქართლის



ცხოვრება, ტ. I გვ. 276). მანგლისის ხევი ეპარქიულად, მანგლელი ეპისკოპოსის ნეთაურობით, მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა, აქვე ინსტრაციულად კი კლდეკარის ერისთავს. წყაროების უქონლობის გამო არ ხერხდება დასუსტდეს, როდის მოხდა ბაღვაშთა მიერ მანგლისის ხევის შიტაცება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მანგლისის ხევი მათ თრიალეთში ფეხის მოკიდებისთანავე მიერთეს, რადგან მანგლისი თრიალეთის მიმდებარე მხარეა. ისტორიკოსის სიტყვები: „ქქონდა..... თრიალეთი, მანგლის-კევი და სურეთი“, მიგვანიშნებს, რომ რატის დროს ბაღვაშთა იგი კარგა ხნის მიერთებული უნდა ჰქონებოდა იგი.

XI საუკუნის II ნახევარში მანგლისის ეპარქია მნიშვნელოვან სამეცნიერო-ხალტირატორულ კვრას წარმოადგენდა, სადაც 1047-1048 წლებში კლდეკარის ერისთავთა ინიციატივით ცნობილი მათეს სახარება გადაიწერა. ვფიქრობთ, სამართლანი ჩანს მ. დვალის აზრი: „თვით ის ფაქტი, რომ XI საუკუნეში მანგლისში წიგნები იწერებოდა და ითარგმნებოდა, ნათლად მიუთითებს, რომ მანგლისში ამ დროს კულტურული ცხოვრება ჩქვედა“ (მ. დვალი, მანგლისის სურათობილურული ძეგლი, თბ. 1974 წ. გვ. 40).

მანგლისის ტაძარში გადაწერილ სახარებას მრავალი საისტორიო წარწერა აქვს, რაც შესანიშნავი დოკუმენტური მასალაა XI საუკუნეში მანგლისში მოღვაწე პირთა ცხოვრების შესახებ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ბაღვაშთა საეკლესიო წარმომადგენელთა შესახებ: მანგლისში გადაწერილი სახარებები შემდეგში გვამცნობს მონასტრის ინახვოდა. ეს ვახაგვიცა, რადგან თრიალეთის საეკლესიო გამოცხადების შემდეგ კლდეკარის ერისთავთა ღირსუხანიშნაობები დავით აღმაშენებელმა ეკლესიის მონასტრის შესწრა. მონასტრების საუბრეებზე, მათეს სახარების გადაწერის ინიციატივით ბაღვაშთა უძლიერესი წარმომადგენელი, ერისთავთ-ერისთავი, დიპარიტ IV, რომელიც მოიხსენიებს თავის საგარეულოს წარმომადგენელთა ყველა წევრს: მშობლებს დიპარიტსა და ცხოვრებას, პაპს - რატი ერისთავს, ძმებს - რატისა და ივანეს, შვილებს - რატის ივანესა და ნიანის (თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, თბ. 1892წ, აგ. 190).

სახარების მინაწერები ბაღვაშების გარდა სხვა ისტორიულ პირთა ცხოვრებასაც მოიხსენიებენ, მათ შორის მანგლისის ეპისკოპოს ანტონს, თოვლიან ძეს. „დაიწერა წიგნი ხევი მანგლის: ბრძანებითა ნემითა: საყოფელსა ძლევა შემოსილისა ძეპლისა ცხოვრებისა: მღვდელთ მოძღვრობასა. ანტონი ეპისკოპოსი: თოვლიანის ძისა:..... დ'თო შეიწყაღენ. ყნი ერისთავნი და აზნაურნი. მღვდელნი და ყნი მსახურნი ერისთავთა

ერისთავისა მაგისტრონიზისა დიპარიტისნი და დიკენი: ქორინიონი იფო საბ (1047 წ.)“ (თ. ჟორდანი, იქვე, გვ. 190-191).

სხვა მინაწერის მიხედვით: დაიწერა წიგნი ხევი ბრძანებითა ნემითა დიდებულსა ხაფარსა მანგლის საყოფელსა ძლევა შემოსილისა ძეპლისა ცხოვრებისა: მღვდელთ მოძღვრობასა ანტონი მამად მოავრისა ერისთავისა თოვლიანის ძისა დ'ნ აღ'ენ... აღიღენ დ'ნ ძლიერისა ერისთავთა ერისთავისა და მაგისტრონიზისა დიპარიტისნი:

დაეწერე კელითა საყრისა ნემითა გაბრეულ კოტაბასითა: ქორინიონი იფო საბ (1048)“. წიგნი შეუმოსავს მცხეთელ დიკონს ნიკოლოზს (იქვე, გვ. 193).

როგორც ვხედავთ, სახარების მინაწერები მოიხსენიებენ XI საუკუნის მანგლელ ეპისკოპოს მღვდელთ მოძღვარ ანტონ თოვლიანს (თოვლიან) ძეს, რომლის სახელი წერილობითი წყაროებით არ ფიქსირდება. წყაროების უქონლობის გამო ანტონის მოღვაწეობას შესახებ არაფერია ცნობილი. ზემოაღნიშნული მინაწერების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათეს სახარების გადაწერა ანტონ მანგლელის შეთავაზებით უნდა განხორციელებულიყო. ანტონ მანგლელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბაღვაშთა საეკლესიო უფროსთან. მართალია, წყაროებში პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არ მოიპოვება, მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას ებიბრაციული მასალა, კერძოდ, გონხარის ეკლესიის წარწერა გვაძლევს. გონხარი ალეთის მარჯვენა შენაკადის - ბზისწყლის ხეობაში, თრიალეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მანგლისიდან წავიკისისკენ მიმავალ გზაზე მოედარებოდა. ე. თაყაიშვილის აღწერილობით, გონხარის ტერიტორიაზე შემორჩენილი ყოფილა თარბაშული ტიპის ეკლესიის ნანგრევები. სამხრეთის კართან მდებარე ერთ-ერთ ქაშა, რომელიც ეკლესიის დანგრევის მოსურნეებს ვერხად წაუღიათ, აღმოჩნდა 16 სტრიქონიანი, ძალზე თანხანგული წარწერა, რომელიც შეკლევარმა ასეთი სახით აღაღო:

„ნუნ, რომლებიც წარმოვიშვით დაუსაბამოსი დვითსაგან და მიწის წვეთნი... ღირს ვიქმენით აღშენებად წმიდის ამის ეკლესიისა. დავიწვეთ ერისთავთ-ერისთავის დიდი დიპარიტის დროს და დაეპოვებოდ ერისთავობასა მისი შვილების... და გეორგიის კათალიკოსობისა და ცოლის რატ ერისთავისა... (ძეოთა მათთა)... რატ ერისთავთ-ერისთავის და ითანეს და... გადასარჩენად ჩემის ცოვლილის სულისა... შეეწირეთ ტრაპეზად მღვდელთა... ნებითა... და შეეწირეთ და დაეპოვებოდეთ. დაუმტკიცეთ შეუაღლად... უდიდესო წმიდანი და წმიდა მიწა-მე... დაქინებისათვის, დაე მოეთხოვოს მის სულს... მანგლელ ეპისკოპოსს განადიდებ დმერ-

თო ქორონიკონსა...“ [ИКОИМАО вып. III 1913, под ред. Л. Т. Лопатинского и Е. С. Такашвили, გვ. 6].

თ. თაყაიშვილი წარწერაში მოხსენიებულ პირებზედ სამართლიანად მიიხსნევს ლიპარტ IV და მის შვილებს რატისა და ივანეს. მკვლევარის აზრით, თუ ასოთა კომპლექსი „კზბსა“ წაეკითხავთ კეისრობასა, მაშინ მეფე გამოდის გიორგი II, მაგრამ, ვფიქრობთ, ექვთიმე თაყაიშვილის პირველი წაკითხვა უფრო სწორია, რადგან XI საუკუნის შუა წლებში მართლაც იყო გიორგი კათალიკოსი, რომელიც ბაგრატ IV მიერ შიომღვიმისადმი პოძებულ 1057-1058 წლების სიგელში მოიხსენიება. მეფე მანგლისი ზევის სოფელ „ბორცუისჯვარს“ შიომღვიმის მონასტერს სწირავს. ბაგრატის შეწირულობას ამტკიცებს გიორგი ქართლის კათალიკოსი: „მე გ(იორგი) ქ(ართლისა) კ(ათალიკოზი) მოწამე ვარ დაწერილსა მათსა“ (ქართული ისტორიულ საბუთების კორპუსი, თბ., 1984 წ., გვ. 37).

შესაძლებლად მიგვაჩნია, დავუშვათ, რომ წარწერაში მოხსენიებული მანგლელი ეპისკოპოსი იყოს „მღვდელთმამოძღვარი ანტონ ეპისკოპოზი თოულაის ძე“, რომლის დროსაც მანგლისის ტაძარში მათეს სახარება გადაიწერა. წარწერაში მოხსენიებული პირები: ლიპარიტ ერისთავი, ზისი შვილები რატი და ივანე, სახარების მინაწერებშიც გვხვდებიან. როგორც ვხედავთ, წარწერასა და სახარების მინაწერებში მოხსენიებული პიროვნებები თანხვდომილია.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ გოხნარის ეკლესიის წარწერა ანტონ მანგლელის კიდევ ერთ საქმიანობას პფენს ნათელს, კერძოდ, იგი ბაღვაშთა საგვარეულოსთან ერთად მონაწილეობს გოხნარის ეკლესიის მშენებლობა-

ში. წარწერა შეეხება არა მარტო ეკლესიის მშენებლობას, არამედ შეწირულობის ცნობასაც. რადგან ეკლესიას შეწირულობას შეუკვალდ უმტკიცებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო მინა ამასთანავე, დასაშვებად მიგვაჩნია ისიც, რომ შეწირულობის მოწმენი ყოფილიყვნენ მანგლისის ეპარქიის მღვდელთმამოძღვარნი ანტონ მანგლელი და გიორგი ქართლის კათალიკოსი.

მართალია, წარწერის თარიღს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი დათარიღება არც ისე რთულია. რადგან გოხნარის ეკლესიის წარწერასა და მათეს სახარების მინაწერებში ერთი და იგივე პიროვნებები მოიხსენიებიან, წარწერა შეიძლება მათი ზეობის წლებით დათარიღდეს. გოხნარის ეკლესიის წარწერის მიხედვით ეკლესიის მშენებლობა დაწყებულია ლიპარიტ დიდის ერისთავობისას და დამთავრებულია მისი შემკვიდრების მოღვაწეობისა და გიორგი ქართლის კათალიკოსის დროს. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი ლიპარიტის მოღვაწეობას, ბერად აღკვეცას და მის საქართველოდან წახვლას ემთხვევა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სახარება 1047-1048 წლებში გადაიწერა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკლესია 1047-1057-1058 წლებში აშენდა.

ამრიგად, დოკუმენტური და ეპიგრაფიული მასალის მონაცემების საფუძველზე წარმოინდო XI საუკუნის მანგლელი ეპისკოპოსი „ანტონ თოულაის ძე“ რომელიც მონაწილეობას იღებდა ბაღვაშთა მიერ ჩატარებულ ისეთ კულტურულ საქმიანობაში, როგორც იყო სახარების გადაწერა და ეკლესიის მშენებლობა. მანგლელი ეპისკოპოსის მოღვაწეობის გაშუქებით შესაძლებელია ნათელი მოეფინოს მის დროს მანგლისის ეპარქიაში მიმდინარე კულტურულ პროცესებს.



ზვიად დოლიძე

გათვითსწოგიაკავული ლეგენდა

კინოხელოვნების ისტორია იცნობს ფილმებს, რომლებმაც დიდი კვალი დაამჩნიეს ამა თუ იმ ჟანრის განვითარებას. ამგვარ ნაწარმოებად გვესახება ამერიკული კინოს პატრიარქის, რეჟისორ ჯონ ფორდის ექსტრადინალური ნამუშევარი „ჩემი ძვირფასი კლემენტაინი“, რომელსაც ეკრანებზე გამოხვალის საიუბილეო თარიღი – 50 წელი შეუსრულდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ექსტრენის აღზევება. ამ დროისათვის მან უკვე გაიარა ექსპერიმენტების მთელი სერია და მყარად ჩამოყალიბდა როგორც არა მარტო ამერიკული, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფიის წამყვანი ჟანრი. სამართლიანად აღნიშნავდა გამოჩენილი ფრანგი კინოკრიტიკოსი ანდრე ბაზენი, რომ სწორედ მაშინ გაჩნდა „ზევესტერნი“, ანუ „სუპერევესტერნი“, რომელსაც მოპეზრდა ადრინდელა თვითმყოფადობა და ცდილობდა, არსებობა გაემართლებინა რაიმე დამატებითი ფაქტორით – ესთეტიკური იქნებოდა ეს, სოციოლოგიური, მორალური, ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური. ერთი სიტყვით, რაიმე ახალი ღრსებით, რაც ხელს შეუწყობდა მის კიდევ უფრო გამდიდრება-გამრავალფეროვნებას.

„ჩემი ძვირფასი კლემენტაინი“ გამოირჩევა თხრობის აუცილებელ შესაშური უნარით, ბრწყინვალე კომპოზიციებით, ჟანრისათვის ეგზოტ სპირით და აუცილებელი ზო-ადი სცენებით. იგი თითქოს მარტო შურისძიების თემაზე აწვობილი ამბავია, არადა, ექსპოზიციის შედეგად ნათელი ხდება, რომ აქ უფრო გლობალური საკითხი იკვლიანსება – დასავლეთის აოჯისების ისტორიული თემა (იხ. „სკრინი ელექტიონი“ 1967, № 41, გვ. 31), რომელიც ვესტერნის აზნანია და ხელოვანთათვის მუდმივი ძიების საგანია ახალ-ახალ განზომილებებში.

სემ კელმანის მოთხრობის „ჩემი ძვირფასი კლემენტაინის“ და სტიუარტ ლეივის ნოველის „შერიფი უაიატ ირპის“ მიხედვით სცენარი დაწერეს უინსტონ მილერმა და სემუელ ინჯელმა. ფორდმა შესანიშნავ მსახიობებს მოუყარა თავი,

...ვევლაზე თორკანინი „თორკანინთა შორის“ უაიატ ერპი (მის როლს ასრულებს ჰენრი ფონდა) შორივებს ქალაქ ტომპსტონის შერიფის ვარსკვლავს, რათა კანონიერების დამცველის რანგში მყოფმა აღმოაჩინოს და დასაჯოს თავისი ძმის მკვლელი. სამსახურებრივი მოვალეობის გამო ის აქტიურად ებმება საქალაქო ცხოვრებაში. ახლად გამომცხვარი შერიფი თავის თავში ჩაკეტილ გალახულს ჰგავს. მის თვალში დარღს ჩაუბუღებია, თუმცა სულით რაინდია. პატარა დაპირისპირების შემდეგ იგი უშეგობრდება ახარტულ მოთამაშეს „ლოკ“ პოლიდის (ვიქტორ მეტიური) და მისი სახით მძლავრ თანამოაზრეს შეიძენს...

„ფორდისეული უაიატ ერპი უფრო მეტია, ვიდრე მარტოხელა კაცი ან სახალხო გმირი“, – წერს კრიტიკოსი ნიკოლას ანუზი, – „ისა იდეალიზმისა და მსხვერპლშეწირვის სიმბოლო, რაც აშოშინებს ველურ მიწას ისევე კარგად, როგორც ადამიანის პარპაროსულ ბუნებას. უაიატ ეკნიალური გმირია, რომელიც ბელითა და გარემოებებით ამორჩეულია ტომსტონის გადამრჩენელად“ (ფილმზ ინ რევიუ“, 1990, № 6, 7, გვ. 330).

რეალისტური ფერებითაა დახატული სცენა, როცა სალუნში გამოთვრალი მსახიობი გრენვილ თორნდაიკი (ალან მოუბრეი), რომელსაც ხელში ბოლი უჭირავს და ტექსტს სმამალა კარნახობენ, პამელტის მონოლოგს კითხულობს, ხშირად ავიწყდება სიტყვები და ბორბიკობს, ამით რეჟისორი მიანიშნებს თუ რა ხალხშია გარეული მისი გმირი, რომელიც სამოქალაქო თემის სრულყოფილია, მაგრამ უზერხული წევრია და თითქოსდა ინდიელთა და ბანდიტთა ახალგამავადა მოვლინებული დასავლეთში.

ასევე საყურადღებოა დაპირისპირება ორ ქალს: ჩიუპაჟასა (ლინდა დარნელი) და კლემენტაინს (კეისი დაუნზი) შორის. პირველი მექსიკელი გველამაჟა მებაჟია, რომლისთვისაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობაა მთავარი, მეორე კი ახალგაზრდა, წყნარი, აღმოსავლეთიდან



მოსული კეთილშობილი პედაგოგია და პოზიტიურ პაროვნებას (განათლება, სტაბილურობა) გამოხატავს.

ქენრი ფონდას მიერ განსახიერებული ერთა ფორდის გმირებში ყველაზე პროგრესულია; მის სიმბოლიკას რევინორი საუცხოოდ აჩვენებს საპარიკმაზნოს ეპიზოდში, როცა მომთაბარულ ცხოვრებას მიწვეულ, აწეწ-ლ-დაწეწილ. დაუვარცხნელ შერფის დალაქი სუფთად გაპარსავს, სუნამოს შეახსურებს და ცივილიზებული აღამიანის სახეს მისცემს. ამის შემდეგომ უაბატს მიიწვევენ ადგილობრივი ეკლესიის მშენებლობის საფუძელის ჩაყრის ცერემონიალზე, სადაც მას კლემენტინი გამოეცეკვება და მათ შორის სიყვარულის უზიდავი ძაფები გაიბმება.

ფონდა ღირსეულად გამოხატავს დასაკელის ავტორიტეტს, ძალას, სიმამაცეს, სცენა, როცა იგი მთვრალ ინდიელს მოსთხოვს, უკასუხოს თუ რატომ მიატოვა ამ უკანასკნელმა რეზერვაცია, მკვლევარ რობიან ვუდის აზრით, რასობრივი თვალსაზრისით აშკარად ძალიან უხიამოვნოა, მაგრამ მითოლოგიური თვალთახედვით საკმაოდ ნიშანდობლივი, რადგან ცივილიზაცია (ერაბი) აქ ჩაფიქრებულია, როგორც აუცილებელი ჩამსობი ძალა იმ დაუშინილებელი ელემენტებისა, ინდიელი რომ ასახიერებს. ასე რომ, ფილმი ისტორიულად საკლებად საინტერესოა. ის უფრო მეტად დღესასწაულია იმისა თუ როგორ მოდის დასაკელთში ცივილიზაცია. ამასთანავე, ნაწარმოები საკვია ფორდის დრმა გრძობებით ამერიკული ოჯახისა და საზოგადოების მიმართ.

რევისორი პირადად იცნობდა უიატ ერას და სხვა სახელოვან შერიფებს: პარდნერ ჯონსს, ალ ჯენინგსს და თვით ლეგენდარულ „ბაფალო ბილ“ კოლის. ისინი ხშირად დადიოდნენ ვადასაღებ მოედნებზე XX საუკუნის 10-იან წლებში და დანტერესებულნი იყვნენ ვესტერნებით. ფორდის მტკიცებით, ერაბი სახეიშო განწყობის კაცი იყო და სულაც არ უხდებოდა იარაღი


(„ფილმზ ინ რევიუ“, 1964, № 6, გვ. 332). მისი ცოლი ხშირად დადიოდა რელიგიურ თავფრილობებზე, ქმარი კი გამოიპარებოდა სახლიდან, სვამდა ვისკის ფორდის გადამღები ჯგუფის წევრებთან, სწორედ ასეთ დროს მოუწოლია უაბატს მისთვის „ოკეი კორალთან“ (საქონლის ფარები) ბრძოლის ამბავი, რაც რევისორმა ფილმში გამოიყენა. აქვე შევნიშნავთ, რომ კინოსურათის ფინალი ქენრი ფონდას დაქინებული ქთხონით ვაკეოდა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ფორდს მთლიანობაში არც კი უნახავს თავისი ფილმი.

„თხრობა და ხასიათები ჩემს ძვირფას კლემენტინში“ შეიძლება ლიმიტირებული და თავშეკავებული ჩანდეს, მაგრამ ფორდა გამოიყენა მავურებლისათვის უკვე გათვითცნობიერებული ლეგენდა, ფასი აუწია მითს, რომელსაც ქმნიდა — მიუთითებს კინომოდნე ჯონ პლეისი.

...მაღე შერიფი მოიპოვებს იმის დამამტკიცებელ ძახალას, რომ ცხენის ქურდებმა — კლტონებმა მოკლეს მისი მამა. გაიმართება ისტორიული ბრძოლა „ოკეი კორალთან“, რომელშიც უიატი და მისი მომხრეები გაიმარჯვებენ (მათგან მხოლოდ „დოკი“ დაიღუპება). შერიფი ტოვებს პოსტსაც და ქალაქსაც და სატრფის აღუთქვამს მაღე დაგბრუნდებიო...

ფილმი შეიძლება ჩაითვალოს ყველა დროის საუკეთესო და ღამამზ შავ-თეთრ კინოსურათად, მას მეტ სიღამაზეს ანიჭებს „მონუმენტური ვულის“ სივრცეები, ოპერატორ ჯოზეფ მაკდონალდის კინოკამერის ჩარჩოებში მოქცეული მშენიერი ინტერიერები, რაც გააღწვევტილია ვესტერნის საუკეთესო ტრადიციებში.

ფილმმა „ჩემი ძვირფასი კლემენტინი“ საგრძნობლად აამაღლა ფორდის რეპუტაცია. აგერ უკვე 50 წელი გავიდა ფილმის გამოსვლიდან და ეს შედეგერი, რომელიც კინოისტორიოსმა იონ ტუსკამ მორალური დანიშნულებებით თვის ბიბლიასაც კი შეადარა, დღესაც გვხიბლავს თავისი სიდალით.



ბიბლიოთეკის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

გადაეცა ასაწვობად 6. 11. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 01. 97 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ. სავ. თაბახი 14, 07 შეკვეთა 253, ტირაჟი 1000.

ნ 669/2

97  92
საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

შახი 1 ზარი და 20 თეთრი

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკის დირექტორის ბრძანებით
1990 წლის 10 თებერვლიდან დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის
საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკის დირექტორის ბრძანებით
1990 წლის 10 თებერვლიდან დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის